

Unknown Urban Heritage of old Tbilisi

ძველი თბილისის
უცნობი ურბანული მემკვიდრეობა

ტექსტი: მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩხუნაშვილი
გრაფიკული მასალის რედაქტორი: ნატო ცინცაბაძე
გრაფიკული მასალა: მათე სულხანიშვილი
თარგმანი: ნატო ცინცაბაძე
დიზაინი: თამაზ ჩხაიძე

Text by: Manana Suramelashvili, Tsitsino Chachkhunashvili
Architectural Drawings Editor: Nato Tsintsabadze
Graphic Materials: Mate Sulkhanishvili
Translation: Nato Tsintsabadze
Design: Tamaz Chkhaidze



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების,
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

The Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History
and Heritage Preservation



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

პროექტი (FR 21-1210) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და
შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

Present Project (FR 21-1210) was implemented with the financial support of Shota Rustaveli
National Science Foundation. Any opinions presented in this publication belong to the author and
do not necessarily reflect the viewpoints
of the Foundation.

თბილისი 2026

© გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

ISBN 978-9941-8-8428-3

წინასიტყვაობა

თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანზე და მიმდებარე უბანში 2016-2022 წლებში გაშლილი სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გაიხსნა აქამდე უცნობი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, რომელთა სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ აშკარად გამოკვეთა მათი გაღრმავებული შესწავლის აუცილებლობა. ამას ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევა, სადაც ძირითად თემასთან ერთად, მიმოხილულია საქართველოს ზოგიერთი ისტორიული ქალაქის სამშენებლო ტრადიციის ადგილობრივი და საერთო მახასიათებლები.

ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი. ნაშრომი შესრულდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში მრავალდარგობრივი საპროექტო ჯგუფის მიერ: ტექსტზე იმუშავეს ხელოვნებათმცოდნე მანანა სურამელაშვილმა და ციციწო ჩაჩხუნაშვილმა; გრაფიკული მასალა დაამუშავა არქიტექტორ-რესტავრატორმა მათე სულხანიშვილმა; გრაფიკული მასალის რედაქტირება უზრუნველყო არქიტექტურის კონსერვატორმა ნატო ცინცაბაძემ; ასევე განხორციელდა შერჩეული საკვლევი ობიექტების ფოტოგრამეტრიული 3D მოდელის შექმნა და გრაფიკული რეკონსტრუქცია (ზოგიერთი ნახაზისთვის გამოყენებულია უბნის რეაბილიტაციის პროცესში შესრულებული ანაზომები). ტექსტში ჩართული ფოტოსურათების ძირითადი ნაწილი გადაღებულია პროექტის წევრების მიერ, სხვა შემთხვევაში მითითებულია წყარო.

მუშაობის დროს გაწეული სხვადასხვა სახის დახმარებისთვის ავტორები მადლობას უხდიან გ.ჩუბინაშვილის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს: მაია მანიას, ეკატერინე კვაჭატაძეს, ნათია ნაცვლიშვილს, კატო ყარსელიშვილს და გია ჭანიშვილს; იკომოს საქართველოს წევრებს: ლია ბოკუჩავას, მერაბ ბოჭორიძეს, თათია ბუნურაძეს, ნინო კორძაბიას და ლაშა შარტავას; თბილისის განვითარების ფონდის ყოფილ დირექტორს ალექსანდრე ტოგონიძეს და ფონდის თანამშრომელ ოთარ ღლონტს; ასევე - ნინო ისაკაძეს, ბესო ტატიშვილს, თათია ღვინერას, ლანა ჩოლოგაურს, მერაბ ძნელაძეს და რუსუდან ძიგრაშვილს.

ცალკეული ძეგლების გრაფიკული მასალისა და ფოტოგრამეტრიული 3D მოდელის დამუშავებისთვის ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უხდიან სანდრო გიორგობიანს და ნატო ცინცაბაძეს (უმცროსს).


წიგნში გამოყენებულია: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივისა და კინო-ფოტო-ფონო არქივის, თბილისის განვითარების ფონდის, იკომოს საქართველოს, საპროექტო კომპანია-არტსტუდიო პროექტის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივის მასალები.

Contents

Introduction (M. Suramelashvili, Ts. Chachkhunashvili)	9
Residential Buildings in the Area Adjacent to Lado Gudiashvili Square with Multiple Construction Phases	15
Residential House at L. Gudiashvili Square No. 6 / B. Akhospireli I Lane No.1 (Ts. Chachkhunashvili)	17
Residential House at No. 21 G. Abesadze Street (M. Suramelashvili)	51
Residential House at B. Akhospireli I Lane / B. Akhospireli II Lane No.3/4 (Ts. Chachkhunashvili)	83
Buildings at L. Gudiashvili Square Nos. 7/2 and 7/3 (M. Suramelashvili)	105
New Findings on the Development at the Corner of Sh. Dadiani and L. Asatiani Streets (M. Suramelashvili)	129
A Brief Note on the Residential House at L. Gudiashvili Square No.2 (Ts. Chachkhunashvili)	161
Fragments of Late Medieval Structures in the Study Area (M. Suramelashvili)	169
No.3 G. Jibladze Street	169
No.5 G. Jibladze Street	177
B. Akhospireli Passage / G. Jibladze Streets No.3/7	181
No.2 Abo Tbileli Street	188
No.6 Abo Tbileli Street	193
No.7 B. Akhospireli Street	198
B. Akhospireli III Lane No.7	200
B. Akhospireli III Lane No.9	205
Documents Preserved in the Central Historical Archive of the National Archives of Georgia Concerning Certain Buildings in the Study Area	211
B. Akhospireli III Lane No.1/17 (M. Suramelashvili)	213
B. Akhospireli III Lane No.9 (M. Suramelashvili)	219
No.4 B. Akhospireli Street (M. Suramelashvili)	221
Residential House at the Corner of Sh. Dadiani and M. Lermontov Streets No.20/6 (M. Suramelashvili)	227
No.3 Abo Tbileli Street (Ts. Chachkhunashvili)	232
Vacant Plot at the End of B. Akhospireli II Lane (Ts. Chachkhunashvili)	237
No.2 Abo Tbileli Street (Ts. Chachkhunashvili)	238
Residential House at B. Akhospireli III Lane / B. Akhospireli II Lane No.3/4 (Ts. Chachkhunashvili)	240
A General Overview of the Urban Heritage of Georgia's Historic Towns	243
Akhaltzikhe (Ts. Chachkhunashvili)	245
Signagi (Ts. Chachkhunashvili)	257
Gori (M. Suramelashvili)	269
Conclusion (M. Suramelashvili, Ts. Chachkhunashvili)	289
Unknown Urban Heritage of Old Tbilisi. Summary	298
List of Illustrations	307

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი (მ.სურამელაშვილი, ც.ჩაჩხუნაშვილი)	9
ლადო გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბნის საცხოვრებელი სახლები მრავალი სამშენებლო ფენით.....	15
ლ. გუდიაშვილის მოედანი №6 / ბ. ახოსპირელის I ჩიხი №1 საცხოვრებელი სახლი (ც.ჩაჩხუნაშვილი)	17
გ. აბესაძის ქუჩა №21 საცხოვრებელი სახლი (მ.სურამელაშვილი).....	51
ბ. ახოსპირელის I ჩიხი / ბ.ახოსპირელის II ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3 (ც.ჩაჩხუნაშვილი)	83
ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და №7/3 შენობები (მ.სურამელაშვილი).....	105
ახალი მონაცემები შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის განაშენიანების შესახებ (მ.სურამელაშვილი).....	129
მცირე შენიშვნა ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელ სახლზე (ც.ჩაჩხუნაშვილი)	161
გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობათა ფრაგმენტები საკვლევ უბანში (მ.სურამელაშვილი)	169
გ. ჭიბლაძის ქ. №3	169
გ. ჭიბლაძის ქ. №5	177
ბ. ახოსპირელის გასასვლელი / გ. ჭიბლაძის ქქ. №3/7	181
აბო თბილელის ქ. №2	188
აბო თბილელის ქ. №6	193
ბ. ახოსპირელის ქ. №7	198
ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7	200
ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9	205
საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები საკვლევ უბნის ზოგიერთი შენობის შესახებ	211
ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17 (მ.სურამელაშვილი).....	213
ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9 (მ.სურამელაშვილი)	219
ბ. ახოსპირელის ქ. №4 (მ.სურამელაშვილი)	221
შ. დადიანისა და მ. ლერმონტოვის ქქ.-ის კუთხის №20/6 საცხოვრებელი სახლი (მ.სურამელაშვილი).....	227
აბო თბილელის ქ.№3 (ც.ჩაჩხუნაშვილი).....	232
ცარიელი ადგილი ბ.ახოსპირელის II ჩიხის ბოლოს (ც.ჩაჩხუნაშვილი).....	237
აბო თბილელის ქუჩა №2 (ც.ჩაჩხუნაშვილი)	238
ბ.ახოსპირელის III ჩიხი / ბ.ახოსპირელის II ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №3/4 (ც.ჩაჩხუნაშვილი)	240
საქართველოს ისტორიული ქალაქების ურბანული მემკვიდრეობის ზოგადი მიმოხილვა	243
ახალციხე (ც.ჩაჩხუნაშვილი)	245
სიღნაღი (ც.ჩაჩხუნაშვილი)	257
გორი (მ.სურამელაშვილი)	269
დასკვნა (მ.სურამელაშვილი, ც.ჩაჩხუნაშვილი).....	289
Unknown Urban Heritage of Old Tbilisi. Summary.....	298
ილუსტრაციების სია.....	307



საკვლევი არეალი

გამოყენებულია თბილისის
ისტორიულ-კულტურული
საყრდენი გეგმა 2.1.3.



შესავალი

თბილისის ძველ უბნებში ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მიკვლეული და სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გამოვლენილი შუა საუკუნეების საცხოვრებლის, სარდაფების თუ ურბანული ქსოვილის ფრაგმენტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ არაერთგზის დანგრეულმა და თავიდან აღდგენილმა ქალაქმა ძველი განაშენიანებიდან მეტნაკლები სისრულით არაერთი ნაგებობა შემოინახა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის სამოსახლო უბნები, რომლებიც XIX ს-ის დასაწყისამდე შუა საუკუნეების ზღუდის შიგნით ექცეოდა. ერთ-ერთი მათგანია ქალაქის უძველესი უბნის, ქვემო კალის შემადგენელი მიკროუბანი, სადაც ახლა ლადო გუდიაშვილის მოედანია, მისი მიმდებარე ქუჩებით და ჩიხებით. მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას აქ ადრინდანივე იქცევდა გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელი სახლი, რომელსაც გვერდს ვერ უვლის თბილისისადმი მიძღვნილი დიდი თუ მცირე პუბლიკაცია¹, უბნის სიძველეებზე და ურბანული მემკვიდრეობის თავისებურებებზე ყურადღება გამახვილებულია ბოლო პერიოდის ნაშრომებშიც².

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების თბილისის დიდი უბნები მცირე მიკროუბნებად იყო დანაწევრებული და თითოეულ მათგანს თავისი სახელი ერქვა, რომელიც ხშირად აქ არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის, ეკლესიის, გალავნის, ბურჯის, თუ მოქალაქის სახელიდან მომდინარეობდა³. XIX ს-ის და XX საუკუნის დასაწყისის რუკების მიხედვით, ქვემო კალაში მდებარე ახლანდელ ლადო გუდიაშვილის მოედანს და მიმდებარე ჩიხებს XVIII ს-ის შუა წლებში აგებულმა მოლნისის (მოლნინის) მონოფიზიტურმა ეკლესიამ მისცა სახელი⁴. ახლა ნანგრევებად ქცეული ეს ნაგებობა, საბჭოთა პერიოდში გამოიყენებოდა საწყობად, სპორტულ დარბაზად და ხალხური ხელოვნების მუზეუმად. ავარიული მდგომარეობის გამო, 1980 წელს შენობა დახურეს, 2009 წელს კი, ჩამოიქცა მისი გუმბათი, რამაც ეკლესიის მასშტაბური ნგრევა გამოიწვია.

2010 წელს, ტაძრის რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, მოლნისის გუმბათიანი შენობის ადგილზე გამოვლინდა XIII-XIV სს-ის ეკლესიის ფრაგმენტები⁵. უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, მისი მშენებლობა საქართველოს მეფეს დავით VIII-ს (1293-1311 წწ.) უკავშირდება და ცხადია, ეკლესია ქართულ-ქალკედონური იქნებოდა. გადმოცემით, აქ წმინდა გიორგის ნაწილები ყოფილა დასვენებული⁶, ხოლო მეფე დავითს სპეციალურად მათ დასაბრძანებლად აუგია ტაძარი⁷. როგორი იყო ამ დროს ეკლესიის ირგვლივ არსებული განაშენიანება, არ ვიცით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისევე როგორც შუა საუკუნეების არაერთ

¹ გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, *ქართული არქიტექტურის გზები*, ტფ., 1936, გვ. 146; ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ.* ტ. 1, 1960 წ., გვ. 105; ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, თბ., 1958, გვ. 174. მ. ბულია, მ. ჯანჭალია, *საქართველოს ძველი ქალაქები*, თბილისი, თბ., 2002

² მ. მანია, ეზო როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1989, №1, გვ. 107-115; მისივე, ძველი თბილისის სარდაფები, *საქართველოს სიძველენი*, №3, 2003, გვ. 150-167; მ. სურამელაშვილი, თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაფარული სამშენებლო ფენები, *ელექტრონული ჟურნალი, georgianart*, 2020.

³ მ. ბერძენიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბ., 1965, გვ. 7.

⁴ მოლნისის ეკლესიის რეაბილიტაციის 2010 წელს შესრულებულ საპროექტო სამუშაოების დასკვნაში ნათქვამია, რომ ლ. გუდიაშვილის, გ. ჯიბლაძის ქუჩების და პურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მენყრული პროცესების აღმოფხვრის გარეშე მოლნისის ეკლესიის სრულმასშტაბიანი აღდგენა აზრს კარგავს, რადგან ნაგებობა დროთა განმავლობაში ისევ დაზიანდება. იხ., მოლნისის ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, საბოლოო ანგარიში, შპს „არქიტექსი“, 2010 წ., მასალა დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

⁵ არქეოლოგიურ გათხრებს ანარმობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები გ. მირცხულავა (გათხრების ხელმძღვანელი) და კ. წერეთლი. იხ., გ. მირცხულავა კ. წერეთლი, მოლნისის ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა-ძიების პირველი ეტაპის შედეგები, *ხელნაწერი*, თბ., 2010, მასალა დაცულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

⁶ დ. ნინიძე წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში, *მნათობი*, №11-12, 1991, გვ. 171-176; გ. გაგოშიძე, მოლნისის ტაძარი თბილისში, ახალი არქეოლოგიური მონაცემები, *სამეცნიერო შრომების კრებული*, არმენოლოგია 100, თბ., 2023, გვ. 6-7.

⁷ დ. ნინიძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 170-171.

ქვეყანაში, საქართველოში წმინდა ნაწილებისადმი დამოკიდებულება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი⁸, ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი დავით VIII-ისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმაცია⁹, საქართველოს მეფის მიერ აგებული ტაძარი, უეჭველია, სატახტო ქალაქის ერთ-ერთ მთავარ უბანში უნდა მდგარიყო.

XIX ს-ის საარქივო დოკუმენტებში ლ. გუდიაშვილის მოედანი აბას-აბადის სახელითაც მოიხსენება. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც რუსმა გენერალმა ივანე პასკევიჩმა აბას-აბადის ციხე აიღო (1827 წ.), რომელიც ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა და რადგან რუსული იმპერიული მმართველობისთვის დამახასიათებელი იყო კავკასიაში საბრძოლო გამარჯვებების თბილისში დაფიქსირება, დღევანდელ ლ. გუდიაშვილის სახელობის მოედანს, აბას-აბადის მოედანი ეწოდა. ეს ადგილი ბაზრის მოედნის სახელითაც იყო ცნობილი, რაც არცაა გასაკვირი, რადგან „თბილისელებისთვის ქალაქის ყოველ კვარტალს, სადაც კი დუქნების რიგი იყო ბაზარი ერქვა“¹⁰.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული 1895 წლის ერთ-ერთ პროექტში ჩართული გენგეგმის მიხედვით, საპროექტო ნაგებობა აბას-აბადის მოედნის მიმდებარე ორ ჩიხს შორის უნდა აგებულიყო, რაც დღევანდელ გუდიაშვილის მოედანსა და ახოს-პირელის მეორე და მესამე ჩიხებს ემთხვევა. ამავე პროექტის სათაურში კი, აბას-აბადის მოედნის ნაცვლად, ბაზრის სახელი ფიგურირებს. ამგვარად, ერთსადაიმავე დოკუმენტში ერთდროულად ადგილის რამდენიმე დასახელება ფიგურირებს¹¹. საინტერესოა აგრეთვე, არქივში დაცული კიდევ ერთი საბუთი, რომლის მიხედვით, სხვა არგუმენტიც შეიძლება მოვიყვანოთ ლ. გუდიაშვილის მოედნის ძველი ფუნქციის და სახელწოდების გასაცნობად.

ეს არის 1857 წლის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იყო ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება აბას-აბადის მოედანზე არსებული ძველი სახლის ადგილზე. მისი განხილვის დროს, კომისიის წევრებზე დიდი გავლენა მოუხდენია ერეკლე II-ის ასულის, ბატონიშვილ ქეთევანის ვაჟიშვილის, ინჟინერ ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანბატონის (1817-1892)¹² მიერ წარმოთქმულ სიტყვას, რომლის მიხედვით, მოედანი საუკუნეების მანძილზე სავაჭრო სივრცეს (ბაზარს) წარმოადგენდა, განსახილველი პროექტით აგებული სახლი კი მოედნის კონფიგურაციის შეცვლას და შემცირებას გამოიწვევდა. ამ და სხვა მიზეზით, პროექტი არ დამტკიცდა¹³. გამონათქვამი „საუკუნეების მანძილზე“, ჩანს, ეყრდნობოდა ისტორიულ მესხიერებას, რომელიც მაშინ უნდა ჩამოყალიბებულიყო, როდესაც ეს ადგილი თბილისის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა.

XIX ს-ის დასაწყისში, რუსული მმართველობის დამყარებისთანავე აუცილებელი გახდა ახალი სამთავრობო-ადმინისტრაციული უწყებების შექმნა. მათ განსათავსებლად ქალაქის ძველი, ხალხისთვის კარგად ნაცნობი ადგილები შეირჩა. მათ შორის იყო ახლანდელი ლ. გუდიაშვილის მოედანი. იმ დროისთვის უბნის დომინანტურ ნაგებობას მოღვის ეკლესია წარმოადგენდა, რომელიც არაერთგზის დაზიანებულია და განუახლებიათ. სხვა შენობებთან ერთად, ნაგებობა ალა-მამამად ხანის 1795 წლის შემოსევის დროსაც შელახულა. შემონახული დოკუმენტების მიხედვით, ტაძარი XIX ს-ის დასაწყისში აღუდგენიათ¹⁴. XIX საუკუნეშივე განუზრახავთ ეკლესიისთვის ცალკე მდგომი სამრევლოს აგება და გალავნით შემოზღუდვა, რაზეც ალბერტ ზალცმანის მიერ 1870 წელს შედგენილი პროექტი მიუთითებს, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა¹⁵. საქართველოს საისტორიო არქივში დაცული 1874 წლით დათარიღებული პროექტის¹⁶ მიხედვით ბ. ახოს-

⁸ მ. ბულია, შუა საუკუნეების საქართველოში წმინდა ნაწილების თაყვანისცემის ზოგი თავისებურების შესახებ, *საქართველოს სიძველენი*, № 21, თბ., 2018, გვ. 175.

⁹ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ტახტის შესანარჩუნებლად, მას შემდეგ, რაც ყაენმა ვერ მოიხელთა მის წინააღმდეგ ამბოხებული დავითი, მეფობა მის ძმებს დაუმტკიცა. იხ. ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, თბ., 1979, გვ. 611.

¹⁰ მ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

¹¹ საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192-8ა, საქმე № 4593, გვ.1.

¹² ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანბატონის შესახებ, იხ. ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, 1801-1917, ტ.2, თბ., 1963, გვ. 162.

¹³ Дело о разрешении кн. Аргутинской – Долгорукой С. постройки дома на Аббас-Абатской площади в г.Тифлисе., საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 205, ანანური 1, საქმე № 1439, 1857 წ., გვ.6.

¹⁴ გ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

¹⁵ მ. ლიულუაშვილი, თბილისის XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სომხური საეკლესიო არქიტექტურა, წიგნში - *არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, დ.ხოშტარიას საერო რედაქციით, თბ., 2016, გვ. 119.

¹⁶ თ. შონვაძე, XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი არქიტექტურა თბილისში, თბ., 2023, გვ. 89.

პირელის ჩიხში ჩაფიქრებული ყოფილა წმ. გაიანეს სახელობის სომხური სამრევლო ქალთა სკოლის აგება. გვიან შუა საუკუნეებში მოლნისის უბნის მოსახლეობა არაერთგვაროვანი იყო როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური აღმსარებლობით¹⁷, რაც მათ ყოფით და საქმიან ურთიერთობას ხელს არ უშლიდა¹⁸. ისიც აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში თბილისელი სომხების ენა ქართული იყო¹⁹, რაც 2010 წელს, მოლნისის ტაძრის რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილმა სომეხთა საფლავის ქვების ქართულ ენაზე შესრულებულმა წარწერებმაც დაადასტურა²⁰.

როგორც აღინიშნა, ლადო გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბანს უწყვეტი განვითარების მრავალსაუკუნოვანი წარსული გააჩნია, ის დაკავშირებულია თბილისის ურბანული განვითარების საკვანძო ისტორიულ მოვლენებთან. უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, დადასტურდა, რომ უბნის ძველ სტრუქტურაზე დაყრდნობილ ურბანულ ქსოვილს არსებითი ცვლილება არ განუცდია უკანასკნელი 200 წლის მანძილზე. თუმცა, ბუნებრივია, მოედანსა და მის ჩიხებში არსებული შენობების ნაწილი განადგურდა, რომელთა შორის ვახტანგ V (შაჰნავაზი) დროს აგებული წმინდა გიორგის ოთხი ეკლესიიდან სამი ეკლესიაც²¹ უნდა ვიგულისხმოთ: მცირე მოლნისი დიდი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კიდევ ერთი ეკლესია, სავარაუდოდ, ბ. ახოსპირელის III ჩიხის მიდამოებში (ზოგიერთი ცნობით კოშმა და დამიანეს საყდარი) და ერთიც ლ. ასათიანისა და შ. დადიანის ქუჩების შეერთების სიახლოვეს ქალაქის შუა საუკუნეების გალავანს შიგნით (თუმცა იგი საკვლევი არეალის პირობითი საზღვრის მიღმა რჩება), რომლებიც დატანილია ინსტრუმენტულად გადაღებულ თბილისის 1800 წლის (ჩუიკოს) და 1802 წლის გეგმებზე. საბაზრო მოედნის სიახლოვეს, სავარაუდოდ, ქარვასლებიც უნდა ყოფილიყო, რომლებმაც აგრეთვე ვერ მოაღწია ჩვენამდე. გარდა ამისა, მრავალმა ძველმა შენობამ სახე იცვალა, ნაწილი ახალი ნაგებობის სტრუქტურას შეეფარა, თუ შეერწყა. მათმა შესწავლამ მეტად საგულისხმო ახალი მონაცემებით შეავსო ჩვენი ცოდნა.

* * *

ტერიტორია, სადაც წინამდებარე კვლევაში ჩართული შენობებია გაბნეული, მოიცავს ლ. გუდიაშვილის მოედანს და ირგვლივ მიმდებარე ქუჩათა ქსელს. ის გალავანს შიგნით მოქცეული შუა საუკუნეების თბილისის განაპირა, სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიკროუბანს წარმოადგენს, რომლის გარეთ იწყება ძველი სამეფო ბაღების ადგილზე დაგეგმარებული და XIX ს-ის შუა წლებიდან რეგულარულ ქუჩების ქსელზე გაშენებული სოლოლაკი. 2015 წელს დამუშავდა ქვემო კალაში შემავალი მოცემული არეალის კონსერვაციის გეგმა²², რომელიც პირობითად ასე შემოიფარგლა: დასავლეთით ტერიტორია გავრცელდა შ. დადიანის (ყოფ. ველიამინოვის) ქუჩამდე, რომელსაც ემთხვევა შუა საუკუნეების ქალაქის დამცავი გალავნის ხაზი; სამხრეთით საზღვარი გატარდა ლ. ასათიანის (ყოფილი ბებუთოვის, იგივე ბაღის) ქუჩაზე ისტორიულ პურის მოედნამდე, ხოლო აქედან ფართობი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით შემოისაზღვრა ძველი ქალაქის მჭიდრო განაშენიანებაში გამავალი აბო თბილელის (ყოფილი დიდი მრუდის), გ. აბესაძის (ყოფ. ანჩისხატის, კათოლიკური), ბ. კუფტინის (ყოფ. აბას-აბადის შესახვევით) და მ. ლერმონტოვის (კვლავ დიდი მრუდი) ქუჩების კლაკნილი ხაზით შ. დადიანის ქუჩის გადაკვეთამდე.

ლ. ასათიანისა და შ. დადიანის სწორხაზოვან, ერთმანეთის მართობულ ქუჩათა გარდა, ძველი ქალაქის ამ ნაწილში მთელი ფართობი შუასაუკუნეობრივი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩე-

¹⁷ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX), წიგნი პირველი, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, გვ. 225, 332.

¹⁸ დ. ხოშტარია, შენიშვნები თბილისის შუა საუკუნეების ეკლესიებზე, *საქართველოს სიძველენი*, №12, თბ., 2008, გვ. 237.

¹⁹ რ. თოფჩიშვილი, თ. გვიმრაძე, ეთნოლოგიური თბილისი, თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა, თბ., 2017, გვ. 5.

²⁰ გ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

²¹ ნ. ზაზანაშვილი, ბეგლარ ახოსპირელის ქუჩისა და ერთი ტაძრის ლოკალიზაციის საკითხისათვის ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე, *საქართველოს სიძველენი*, №12, თბ., 2008, გვ. 247-253.

²² „ლ. გუდიაშვილის სახელობის მოედნის და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმა“ დამუშავდა 2015 წელს თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით ძველებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველოს) პროფესიონალთა გუნდის მიერ

ბითა და ჩიხებით არის დაქსელილი. შიდაკვარტალურ ქუჩებსა, თუ ჩიხებში შენარჩუნებული ურბანული ქსოვილის უკლებლივ ყველა ნაგებობა მრავალშრიანობით ხასიათდება, ძველ ნაფუძარზეა დაშენებული და XIX ს-ის სხვადასხვა პერიოდის სართულებისა, თუ ფლიგელების გარდა შეიცავს XVII-XVIII სს-ების სტრუქტურათა დიდ ნაწილებს, სარდაფის ცალკეულ სადგომებს და ძველი კედლების ფრაგმენტებს.

საკვლევ ტერიტორიაზე თავმოყრილია თბილისური საცხოვრებლის სხვადასხვა ტიპები და თვითმყოფადი მხატვრული გადაწყვეტის მრავალფეროვნებით გამორჩეული შესანიშნავი ნიმუშები. მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ტრადიციული გეგმარებითი გადაწყვეტა, სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია, თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი თავისებური სივრცითი სტრუქტურის გახსნილ ეზოთა სისტემა²³. ეს ყოველივე წარმოადგენს მოცემული უბნის არსებით დასაცავ ფასეულობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა შენობას ძველის სტატუსი აქვს.

2012-2013 წლებში ლ. გუდიაშვილის მოედანზე ძველთა დაცვითი მეთოდოლოგიის უგულვებელყოფით დაიწყო საპროექტო და ფიზიკური საქმიანობა, რასაც ქალაქის ამ ნაწილის ჩამოყალიბებული განაშენიანების შეუქცევადი დანაკარგები მოყვა. ერთ ასეთ მნიშვნელოვან დანაკარგად უნდა შეფასდეს რამდენიმე სამშენებლო პერიოდის შემცველი, გამოკვეთილი ურბანული და მხატვრულ-ისტორიული ღირებულების, თუმცა უსტატუსო, №23/1 საცხოვრებელი სახლის დანგრევა მოედნისა და გ. აბესაძის ქუჩის კუთხეში მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიზეზით. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ არსებობდა ძველებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (იკომოს საქართველო) მიერ 2007 წელს დამუშავებული პროექტი, რომელიც ეჭვს ქვეშ არ აყენებდა ნაგებობის გადარჩენის საკითხს და სწორი მეთოდური მიდგომებით გულისხმობდა მის სრულად შენარჩუნებას.

ამ პერიოდს დაემთხვა ისტორიული ნაგებობების ნგრევა ერეკლე II-სა და პურის მოედნებზე და მათ ადგილზე ახალმშენებლობის გაშლა. მიუღებელმა პროცესმა გაამწვავა სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი ლ. გუდიაშვილის მოედანზე მიმდინარე უკონტროლო მდგომარეობის გამო, რასაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰამქარი“ ჩაუდგა სათავეში. ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ქვემო კალის მოღნიის უბანში, რომელიც თითქმის სრულად ძველის სტატუსის მქონე შენობებისგან იყო შემდგარი, დამძიმებულ ფიზიკურ მდგომარეობაში არსებული განაშენიანების დაცვა კანონის ჩარჩოში მოექცა. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან ამ დროისთვის დამუშავებული პროექტები არ ითვალისწინებდა ისტორიულ ნაგებობათა მხატვრულ-ისტორიულ მნიშვნელობას და შენარჩუნების ნაცვლად, უპირატესად, შემოთავაზებული იყო მათი ახალი მოცულობებით ჩანაცვლება. ამ ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში მთელი უბანი თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2015 წელს თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით იკომოს საქართველომ მოამზადა ლ. გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმა, რომელიც დაეყრდნო მრავალმხრივ კვლევას და ძველზე კონსერვაციული ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტის მიხედვით, ურბანული მემკვიდრეობის გადარჩენის წინაპირობად განისაზღვრა ლ. გუდიაშვილის მოედნის ირგვლივ განლაგებულ შენობათა რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტების არა იზოლირებულად დამუშავება, არამედ მათი განხილვა მიმდებარე კვარტლების კონტექსტში და ამ უბნის, როგორც კომპლექსური ძველის, დეტალური დაგეგმარების პროექტის დამუშავება. მოედნის ირგვლივ პირობითად მოინიშნა ტერიტორია, რომლის საზღვარი გატარდა ლ. ასათიანის, შ. დადიანის, მ. ლერმონტოვის, ბ. კუფტინის, გ. აბესაძის და აბო თბილელის ქუჩებზე; საპროექტო არეალმა მოიცვა 63 ნაგებობა, მათგან 33 ძველის სტატუსის მქონე და 2 ცარიელი ადგილი. კონსერვაციის გეგმის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტად უნდა ქცეულიყო უბნის შემდგომი აღდგენა-რეაბილიტაციისას, არსებით მოთხოვნად და ცალკეული ნაგებობის კვლევა-პროექტირების სწორი მეთოდოლოგიის განსაზღვრისთვის აუცილებელად იქნა მიჩნეული სამუშაო პროცესში სიძველეთა დაცვის სათანადო გამოცდილების სპეციალისტებისა და არქიტექტორ-რესტავრატორების ჩართვა.

კონსერვაციის გეგმაზე მუშაობის დაწყებისთანავე, დაფარვითი ინვენტარიზაციის ეტაპზე უკვე გამოიკვეთა რამდენად დატვირთული იყო შერჩეული ტერიტორია სიძველეებით. შემდგომი კვლე-


²³ მ. მანია, ეზო როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1989, №1, გვ. 107-115;

ვა-პროექტირების სტადიაზე გაშლილმა საველე სამუშაოებმა კიდევ მეტად შეავსო მათი ნუსხა. და ბოლოს, რეაბილიტაციის პროცესში, ნაგებობათა კედლის ნალესობის, სარდაფების იატაკის, ფუნდამენტის სივრცეების, თუ ჩაშენებების გახსნისას, კიდევ მეტი სამშენელო ფენები, საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები გამოვლინდა, რამაც ნათლად აჩვენა ფუნდამენტური კვლევის გადაუდებელი აუცილებლობა. მიმდინარე ფიზიკური სამუშაოების პარალელურად, დატვირთულ რეჟიმში და შემჭიდროებულ ვადებში ხდებოდა გამოვლენილი სიძველეების აღწერა-შეფასება, გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია.

აქაც, როგორც სხვა ძველი უბნების რეაბილიტაციისას, მთელი სისრულით გამოვლინდა თბილისური სახლების მრავალშრიანობა, რაც მათ სივრცით-გეგმარებით გადანწყვეტასთან ერთად დიდწილად განსაზღვრავს ყოველი ნაგებობის და მთელი ძველი ქალაქის თავისთავადობას. ჩვენამდე XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული გარეგანი სახით მოღწეულ ამ უბანში მიკვლეული იქნა მეტ-ნაკლები სისრულის ხუროთმოძღვრული სხეულით შემონახული XVII-XVIII საუკუნეების ცალკეული საცხოვრებელი სახლი; უმეტეს შემთხვევაში კი, შესაძლებელი გახდა XIX ს-ის ძირითად მოცულობაში შენიაღებულ, უფრო ადრეულ ნაგებობათა გადარჩენილი ნაწილების ამოცნობა.

სამწუხაროდ, მშენებლობის დაჩქარებულმა ტემპმა, ზოგჯერ გაუფრთხილებელმა და არაკვალიფიციურმა ქმედებებმა გარკვეული დანაკარგები გამოიწვია. ამავე დროს, ნათლად გამოიკვეთა თბილისის მანამდე დაფარული და უცნობი, ახლადგამოვლენილი ურბანული მემკვიდრეობის შესწავლის აუცილებლობა. დაგროვებული მასალის შემდგომმა გადრმავებულმა გამოკვლევამ არაერთი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა, რომელთა გამომზეურება ამ წიგნის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

ლაღო გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბნის განაშენიანება



1. ლ. გუდიაშვილის მოედანი №6 / ბ. ახოსპირელის I ჩიხი №1
2. გ. აბესაძის ქ. №21
3. გ. აბესაძის ქ. №23
4. ბ. ახოსპირელის I ჩიხი / ბ. ახოსპირელის II ჩიხი №3/4
5. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2
6. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/3
7. შ.დადიანის ქ. №34/17

8. შ. დადიანის ქ. №32
9. გუდიაშვილის მოედანი №2
10. გ. ჭიბლაძის ქ. №3
11. გ. ჭიბლაძის ქ. №5
12. ბ. ახოსპირელის გასასვლელი №7/3
13. აბო თბილელის ქ. №2
14. აბო თბილელის ქ. №6
15. ბ. ახოსპირელის ქ. №7
16. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7

17. ბ.ახოსპირელის III ჩიხი №9
18. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17
19. ბ. ახოსპირელის ქ. №4
20. შ. დადიანისა / მ.ლერმონტოვის ქქ. №20/6
21. ა. თბილელის ქ. №3
22. ბ. ახოსპირელის I/II ჩიხი №1/2
23. ბ. ახოსპირელის. ქ. №5

ლადო გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბნის
საცხოვრებელი სახლები მრავალი სამშენებლო ფენით

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6 / ბ. ახოსპირელის I ჩიხი №1 საცხოვრებელი სახლი

*„გარდაუვალად უნდა ვიცოდეთ შეძლებისდაგვარად
ბევრი ყოველ, ცალკე ნაგებობაზე, მათი მფლობელებისა
და მობინადრეების ვინაობის ჩათვლით“.*

*დიმიტრი თუმანიშვილი,
„სად იწყება და სად მთავრდება ძველი თბილისი“*

XIX ს-ის დასასრულის საარქივო მონაცემების მიხედვით, ლადო გუდიაშვილის მოედნის და ბეგ-ლარ ახოსპირელის I ჩიხის კუთხეში მდებარე №6/1 ორსართულიანი ორი საცხოვრებელი სახლი ერთი პირის მფლობელობაში იყო. როგორც ჩანს, ამან განაპირობა მათთვის ერთი მისამართის მინიჭება, რაც დღემდე ძალაში დარჩა. მოედნისა და მისგან განუყოფელი ჩიხის კონფიგურაციის განმსაზღვრელი ამ ორი ნაგებობიდან, ერთ-ერთი მთავარი ფასადით მოედნისკენაა მიმართული, ხოლო მეორე

ჩიხის სიღრმეში ვითარდება და №3 საცხოვრებელ სახლამდე გრძელდება. ამავე მხარესაა მოქცეული ორი გახსნილი ეზო (სურ.1,2). ნაგებობა სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა¹, ცალკე აღსანიშნავია მაია მანიას სტატია, სადაც ჩიხის სიღრმეში არსებული ძველი სარდაფია განხილული, რომელსაც ავტორი XVII საუკუნით ათარიღებს².

საცხოვრებელი სახლის 2016-2020 წლებში მიმდინარე რეაბილიტაციის დროს გამოვლენილი ძველი სამშენებლო ფენების შესწავლის და საარქივო



სურ.1. საცხოვრებელი სახლები ლ. გუდიაშვილის მოედნის დასავლეთ ნაწილში და ბ. ახოსპირელის I ჩიხში.

¹ 2015-2018 წლებში მიმდინარეობდა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ახორციელებდა იკომოს საქართველო, პროექტის ხელმძღვანელი – მ.ბოჭორიძე, მონაწილეები: ლ.ბოკუჩავა და ლ.შარტავა.

² მ. მანია, ძველი თბილისის სარდაფები, *საქართველოს სიძველენი*, №3, თბ., 2003, გვ.152.



სურ.2. ბ.ახოსპირელის ახოსპირელის | ჩიხი, საერთო ხედი.


კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გუდიაშვილის მოედანი №6/1 შენობა მოიცავს წარსულში ამ ადგილზე არსებულ XVI-XVIII სს-ის საცხოვრებელი ფუნქციის მქონე სადგომ-სათავსების მოზრდილ ნაწილებს, რაც მრავლისმთქმელია გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი თბილისის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარე უბნის ურბანული სახის და ისტორიის წარმოსაჩენად.

სახლის მშენებლობისთვის ძირითადად გამოყენებულია კვადრატული (ძველი) და მოგრძო (ახალი) აგური, ასევე – ხის მასალა³. გეგმარების საფუძველს წარმოადგენს შუა საუკუნეებიდან მომდინარე ანფილადური ხუროთმოძღვრული ტიპი (ნახ.1), რომელსაც XIX საუკუნეშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. შენობის მოედნის მხარეს არსებული ნაწილი ორმაგი ანფილადია, ორ რიგად დაწყობილი ოთახებით და კიდურა მონაკვეთში განთავსებული სადარბაზოთი, ფასადი შელესილი და შედებილია. პირველ სართულზე დომინირებს მწვანე ტონალობა, ხოლო მეორეზე – ოქრა. სარკმელთა საპირეები და მორთულობა თეთრი ფერისაა. პირველი სართული ნაღესობაში გამოყვანილი რუსტიკითაა დაფარული, ფასადზე ხუთი სარკმელი და სადარბაზო შესასვლელია განთავსებული, რომლის ნახევარწრი-



სურ.3. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, მთავარი ფასადი.

³ როგორც რეაბილიტაციის დროს მიმდინარე სამუშაოების დროს გაირკვა, მოედნისპირა სახლის ნახევარსარდაფი და ნაწილობრივ პირველი სართული ძველი აგურითაა ნაგები, ხოლო დანარჩენი – ახალი აგურით. ასეთივე სურათი გამოიკვეთა ჩიხის სიღრმეში, სადაც პირველი სართულისთვის ძველი აგურია გამოყენებული, ხოლო ზედა სართული ახალი აგურითაა ნაგები.



ნახ.1. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, პირველი სართულის გეგმა.



სურ.4. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ეზო ჩიხის მხარეს.

ული მოყვანილობის ფრამუგით დასრულებული დი-ობის ორფრთიანი, მოხარატებული კარი ბაროკუ-ლი ელემენტებითაა გაფორმებული. მეორე სართუ-ლის ნაძერწი მორთულობა დიობების ირგვლივაა თავმოყრილი. სარკმლებს პროფილირებული საპი-რეები შემოუყვება, მათ თავზე მდებარე სანდრიკე-ბი გირლანდებითაა გაფორმებული. სარკმელთა ქვე-და ნაწილი კედლის სიბრტყეში ჩაძირული სწორ-კუთხა არეებითაა ხაზგასმული. შენობა სრულდება სადა პარაპეტით და თაროს ფორმის კარნიზით, მე-ორე სართულის ცენტრალური ადგილი ლითონის დაკიდულ ღია აივანს უკავია. ნაგებობა დაბურულია აგურისფრად შეღებილი თუნუქის ოთხფერდა სახუ-რავით. (სურ.3-6).

ჩიხის სიღრმეში მდებარე დახრილ რელიეფზე განვითარებული შენობაც ორმაგი ანფილადია. მი-სი ორ რიგად დალაგებული ოთახები ყრუ კედლი-თაა სიგრძივად გამიჯნული, თითოეულ მწკრივს გადახურული აივნებიდან აქვს შესასვლელი. ეზო-ები შეღესილი და შეღებილი დაბალი ზღუდით და ლითონის აჟურული ჭიშკრებითაა გამიჯნული ჩი-ხიდან, სახლის პირველი სართულის ფასადი სწორ-კუთხა მოყვანილობის ფანჯრებითაა დანაწევრ-ბული, კიდურა ნაწილებში ერთფრთიანი და ორ-ფრთიანი მოხარატებული ხის კარია ჩართული. აქედან ჯერ კიბეზე და შემდეგ აივნებზე შეიძლება მოხვედრა. შენობის მეორე სართული აგურის შე-ულესავი ფასადით გამოდის პირველი სართულის თავზე მოწყობილ ვერანდაზე. სახლი დაბურულია აგურისფრად შეღებილი ოთხფერდა თუნუქის სა-ხურავით.


ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 ორივე შენობას აქვს სარდაფები. სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, ახოსპირელის I ჩიხში, სარდაფის შესასვლელ-



სურ.5. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ფასადი ჩიხის მხარეს.




სურ.6. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ეზო ჩიხის მხარეს.



გვიანი შუა საუკუნეები


ნახ. 2. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ნახევარსარდაფის გეგმა ძველი შენობის სადგომ-სათავსებით.

ნახ. 3. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, გრძივი ჭრილი, ხედი სამხრეთით.




გვიანი შუა საუკუნეები


ნახ. 4. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, გრძივი ტრილი, ხედი ჩრდილოეთით.




ნახ. 5. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ქვედა დონის სადგომის გრძივი ტრილი, ხედი აღმოსავლეთით.



ნახ. 6. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ქვედა დონის სადგომის გრძივი ტრილი, ხედი დასავლეთით.




1. ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, ლ.გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი შენობის ქვედა დონის სადგომის ინტერიერი, კიბე, და მიმდებარე სივრცე.



2. ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, ლ.გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ზედა დონის სადგომი, ინტერიერი და მიმდებარე სივრცე.



3. ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, ლ.გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ზედა დონის სადგომი ბოთლისებური კონსტრუქციით.



4. ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, ლ.გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი შენობის სხვადასხვა დონეები.



სურ.7. ლ. გუდიაშვილის მოედანი. საცხოვრებელი სახლი №6/1, სახლი ჩიხის მხარეს, ძველი სადგომის შესასვლელი კარი და კედელი.



სურ.9. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ჩიხში მდებარე სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა.



სურ.8. კედლის ძველი ფრაგმენტი ლ.გუდიაშვილის მოედანი №4 სახლის ეზოში.

თან, ღია ცის ქვეშ გაითხარა დიდი ზომის ორი ქვევარი. მათ შორის ერთ-ერთი მათგანი სრულად იყო შემორჩენილი. ახლა ის სარკოფაგშია ჩასმული და ისევ მიწაშია ჩაფლული. სახლის ქვეშ არსებულ სარდაფებს შორის ჩართულია სიგრძივად განვითარებული, კვადრატული აგურით ნაგები სადგომი. სამხრეთიდან მოწყობილ მის შესასვლელს მასიური ხის კარი აქვს შებმული (სურ. 7-10; ნახ. 2-4).

2018 წელს მიმდინარე სამუშაოების დროს, კა-

რის ქვეშ მოიხსნა 40-50 სმ. სიმაღლის ფენა, რამაც ძველი აგურის და რიყის ქვის წყობის ფრაგმენტები გამოავლინა. ყურადღებას იქცევს შესასვლელი კარის გვერდით არსებული, რიყის ქვის და მოზრდილი ფლეთილი ქვებით ნაწყობი კედელი, რომელიც კიდევ უფრო მეტი სიძველით გამოირჩევა⁴. სავარაუდოა, რომ საცხოვრებელი სახლის ყველაზე ძველი სარდაფი ამ ადგილზე არსებული უფრო ადრინდელ ნაგებობათა ნაწილი იყოს, რომელიც მოგვიანო შენობის ფარგლებში მოაქცეს.

სახლის ძველ სადგომში მოხვედრა მისი შეისრული კამარის ზედა ნაწილში გაჭრილი ღიობიდან დაშვებული შვიდსაფეხურიანი ხის კიბითაა შესაძლებელი. ნაგებობის მეტად შთამბეჭდავი ინტერიერის აღქმა ახლა მხოლოდ ხელოვნური განათების გამოყენებით შეიძლება, რადგან სადგომი მიწის ქვეშაა მოქცეული. მის მაღალ სამშენებლო ხელოვნებაზე მიუთითებს იდეალური სიზუსტით და ოსტატურად გამოყვანილი არქიტექტურული ფორმები, როგორიცაა ერთსაფეხურიან პილასტრებზე გადაყვანილი მუზარადისებრი მოყვანილობის, წვერში შეტეხილი თაღები და იმავე ფორმის კამარა, რომელიც ნაგებია აგურის ხალიჩისებურად დალაგებული წყობით.

⁴ ამავე სარდაფის ძველი ნაწილი უნდა იყოს გუდიაშვილის მოედანი №4 საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებული კედლის ფრაგმენტი, რომელიც რეაბილიტაციის შემდეგ ნალესობით დაფარეს. ეს არის რიყის ქვის რიგებისაგან შემდგარი წყობა აგურის მცირე ჩანართებით და განივად გაყოლებული ხის ძელით.



სურ.11. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ჩიხში მდებარე სახლის ძველი სადგომის შესასვლელი.



სურ.12. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ჩიხში მდებარე სახლის ძველ სადგომში ჩასასვლელი.



სურ.10. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ჩიხში მდებარე სახლის სარდაფის შესასვლელთან აღმოჩენილი ქვევრი.



სურ.13. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ჩიხში მდებარე სახლის ძველი სადგომი, ინტერიერი.



სურ.14. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ჩიხში მდებარე სახლის ძველი სადგომი, გრძივი კედლის ფრაგმენტი.

გრძივ კედელზე (აღმოსავლეთით) კიბისებურად დალაგებული აგურით გადაყვანილი თაღით დასრულებული ორი სარკმელია, რომლებიც ახლა ამოქოლილია, ამავე მხარეს არსებული სავარაუდო კარის ღიობი ძველი კრამიტებით და სამშენებლო ნარჩენებითაა შევსებული. გრძივი კედლების ქვედა რეგისტრში კედლები გასქელებულია აგურის დამატებითი წყობით, რომელიც ნაწილობრივ ფარავს რიყის ქვის და აგურის წყობით შევსებულ თაღოვან ნიშებს, რომელთაგან სრულად მხოლოდ სამხრეთ კედელზე შერჩენილი შეწყვილებული ნიშაა გადარჩენილი. სადგომი ახლანდელი საცხოვრებელი სახლის ერთიან ორგანიზმში ჩართული უძველესი ნაწილია. ისიც საფიქრალია, რომ ის პირვანდელი სიმაღლით არ არის შემონახული (სურ.11-14). ნაგებობა დროის იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც მასზე დაშენებული ახლანდელი შენობა ჯერ კიდევ არ არსებობდა და მის ადგილზე სხვა ნაგებობები იდგა.

არანაკლებ საინტერესოა გუდიაშვილის მოედნისკენ მიმართული ფასადით დაფარული აქამდე უცნობი სადგომები, რომლებიც ნაწილობრივ საცხოვრებელი სახლის ნახევარსარდაფშია მოქცეული, რომლის შესასვლელი ბოლო 15 წლის მანძილზე ჩახერგილი და შეუღწევადი იყო მნახველ-

თათვის. დღევანდელი სახით მისი გეგმარება ძირითადად სახლის პირველი სართულის ორმაგი ანფილადის ღერძების მიმართულებას ემთხვევა, მაგრამ სათავსები სხვადასხვა დონეზეა განლაგებული. შენობის რეაბილიტაციის დროს აღმოჩნდა, რომ მობინადრეთა მიერ აგურის ტიხრებით დანაწევრებულ სივრცეში აგურისავე წყობით იყო ამოქოლილი კედლის სისქეში მოქცეული სათავსები. ისიც გაირკვა, რომ შენობის ამ ნაწილს XIX ს-ის გადაკეთებაც განუცდია სურ.15-18; ნახ.2-6; ფოტოგრ. 4, 5). რეაბილიტაციის დროს განხორციელდა ძეგლის გახსნა-განმენდა, გამოვლინდა ადრეული სამშენებლო ფენები, ძველი გეგმარების დეტალები, საარქივო მასალების მოშველიებით დაზუსტდა XIX ს-ის გადაკეთებები, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

შენობის ქვედა დონის სადგომში მოხვედრა ახლა მის კამარაში გაჭრილი ღიობით შეიძლება გუდიაშვილის მოედნიდან. სადგომის კვადრატული აგურით ნაგები კედლები ღრმა თაღოვანი ნიშებითაა დანაწევრებული, ცილინდრული კამარა ორ ნაწილადაა გაყოფილი ნახევარწრიული საბჯენი თაღებით, რომლებიც გრძივი კედლების შუაში მოქცეულ ქვის ბოლომომრგვალებულ კონსოლებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ კედელზე გარკვეული სის-



სურ.15. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, პირველი სართულის ფასადი, ისრით მონიშნულია ძველ სადგომში ჩასასვლელი.



სურ.16. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის კამარაში გაჭრილი შესასვლელი.



სურ.17. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის ნიშებიანი კედელი გახსნამდე.



სურ.18. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომი, ინტერიერი რესტავრაციის შემდეგ.



სურ.19. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, წყობაში ჩაყოლებული კერამიკული ჭურჭლის გამოვლენა ნიშის გახსნის დროს.



სურ.20. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის გრძივი კედლის ფრაგმენტი რესტავრაციამდე.

ტემით დალაგებული თაღოვანი ნიშებია განლაგებული: ქვედა რეგისტრის ორი ნიშის ზევით ერთი მცირე ზომის ნიშაა ჩართული, მთელ კომპოზიციას კი კრავს მათ ზემოთ გადაყვანილი, ნაოთხალ კონსოლზე შეკიდული კედლის თაღი. თითოეული ნიშის თაღოვან ნაწილში ჩატანებულია წყობაში ჩაძირული მცირე ზომის ბრტყელძირიანი კერამიკული ქოთანი, რომლის ზედაპირი კედლის სიბრტყეს უსწორდება. ქვედა რეგისტრში არსებული უფრო მოზრდილი და ღრმა ნიშები ხის თაროებითაა გაყოფილი, სარდაფის აღმოსავლეთ კედელზე განთავსებულია აგურის კიბისებურად დალაგებულთაღიანი დახრილწირთხლებიანი სარკმელი (სურ.19-22).

სადგომში ჩასასვლელის მოპირდაპირე გრძივი კედლის რთული დანაწევრებიდან ერთ მხარეს ზედა დონის სათავსთან დამაკავშირებელი კიბის მარშია, რომლის გვერდით ორი თაღოვანი ნიშაა განთავსებული. ამას მოსდევს ნიშის სიღრმეში შესული და ორ დონეზე ასული აგურით ნაგები კონსტრუქცია, რომელსაც მომრგვალებულ გეგმაში ჩასმული ჭვრისებრი მოყვანილობა გააჩნია. მისი კედლები შიგნიდან ორსაფეხურიანი თაღებითაა დამუშავებული, აგურის წყობით თაღებს შორის „აფრები“ გამოყვანილი, მათი მეშვეობით ხდება წრეზე გადასვლა და რადიალურად დალაგებული



სურ.21. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის გრძივი კედლის ფრაგმენტი რესტავრაციის შემდეგ.



სურ.22. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომი, ინტერიერი რესტავრაციის შემდეგ.

აგურის წყობით გვირგვინის აყვანა, რომელიც სიმაღლის მატებასთან ერთად ვიწროვდება, ადის ზედა დონეზე და ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის იატაკს ებჯინება (სურ.23-26; ნახ.2; ფოტოგრ.2,3).

კედელზე მიბჯენილი ამ უცნაური კონსტრუქციის მომრგვალებულბურგიანი მოცულობა ზედა დონეზე ინტერიერშია მოქცეული. ის რიყის ქვის, დამტვრეული აგურის და კირის ხსნარისაგან ბოთლისებური მოყვანილობის სხმულის სახითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, მისი ცალი მხარე რაღაც პერიოდში ჩამოკვეთეს. აღწერილი კონსტრუქციის შიდა სივრცე ახლა სადგომის ორივე დონეზეა გახსნილი, კონსტრუქციის ზედა ნაწილში ჩართულია გეგმაში ნახევარწრიული მოყვანილობის, კონქისებურად დახურული მცირე ზომის ნიშა. რეაბილიტაციის დაწყებამდე ზემოთაღწერილი კონსტრუქცია იმგვარად იყო ორ ნაწილად გამიჯნული, რომ მისი ცისფრად შეღებილი, სქელი ნალესობით დაფარული და ალაგ-ალაგ გაჭვარტლული კედლის თაღების ნაწილი ზედა დონეზე ხვდებოდა. რეაბილიტაციის პროცესში მოიხსნა ნალესობა და კონსტრუქციის ორი დონის სივრცე გაერთიანდა (სურ.27-30).



სურ.24. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის ქვედა დონეზე გამოვლენილი კონსტრუქციის კედლის თაღების ფრაგმენტი.



სურ.23. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის ქვედა დონეზე გამოვლენილი კონსტრუქციის შიდა სივრცე.



სურ.25. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველ სადგომში გამოვლენილი კონსტრუქციის ზედა ნაწილი.



სურ.26. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის კონსტრუქციის ზედა ნაწილი რესტავრაციამდე.



სურ.27. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის კონსტრუქციის ზედა ნაწილი რესტავრაციის შემდეგ.



სურ.28. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის კონსტრუქციის ზედა ნაწილი ზურგის მხრიდან.

გარდა ზემოთ აღწერილისა, აქამდე უცნობი სტრუქტურები გამოვლინდა სადგომის ქვედა დონეზე . ასეთია კედლის სისქეში გამართული, სფერული კამარით დახურული ორი მცირე სათავსი საჭრაქე ნიშებით. სამხრეთი კედლის ორი თაღოვანი ნიშიდან მარცხენაში (პირით კედლისკენ) გაიხსნა ზედა სართულზე ამავალი კიბე, რომელიც ჯერ მარჯვნივ უხვევს, შემდეგ სწორი მიმართულებით ადის, აცდება ქვედა დონის სათავსის კამარას და ადრე არსებული სავარაუდო შენობის კარის დიობის ქვედა ნაწილს (მისი ზღურბლი ადგილზეა შემორჩენილი), შემდეგ ორი საფეხურით მარჯვნივ უხვევს და ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის იატაკს ებჯინება (ფოტოგრამ. 1.4). კიბის ქვედა დონეზე თაღოვანი კედლის ნიშაა განთავსებული, სადაც სანთელს დგამდნენ კიბის გასანათებლად. თაღის თავზე გვიანი შუა საუკუნეების დამახასიათებელი, კუთხით დალაგებული აგურებისაგან შემდგარი მწკრივია გაყოლებული. მის გვერდზე არსებული კედელი ახალი განახლებულია, მაგრამ ძველის გახსნის დროს, კედლის ქვედა ნაწილში გამოჩნდა ქვის სხვადასხვა დიამეტრის მრგვალი კოლონების ფრაგმენტები და ჩიხიდან შემოსასვლელი ღიობის წირთხლი, რომელიც კირში შერეული დაფხვნილი აგურის ხსნარით იყო შელესილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ



სურ.29. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის ზედა დონეზე გახსნილი კედელი.



სურ.30. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი სადგომის ორ დონეზე აყვანილი კონსტრუქციის შიდა სივრცე.




სურ.31. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, კედლის სისტემაში გამართული სფერულკამარიანი სათავსი სატრაქე ნიშებით.



სურ.33. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, წრიული კოლონებით ამოქოლილი ღიობი, რომელიც თავდაპირველად ჩიხიდან შემოსასვლელს წარმოადგენდა.



სურ.32. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, სართულების დამაკავშირებელი ამოქოლილი კიბის გახსნის პროცესი.



სურ.34. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, სასანთლე ნიშა კიბის გასანათებლად.



სურ.35. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, სართულების დამაკავშირებელი კიბე.



სურ.36. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ქვედა დონის სადგომის დაბალ ნიშნულზე არსებული სივრცე, ხედი სამხრეთით.

კიბის უტრედი ძველსავე დროში ყოფილა გაუქმებული (სურ.31-35). ქვედა დონის სადგომს ჰქონია ძველი აგურით დაგებული იატაკი, რომელიც მოგვიანებით განუახლებიათ⁵.

ზემოთ აღწერილით არ სრულდება აქამდე უცნობი არქიტექტურული აღმოჩენები. ქვედა დონის სადგომის სამხრეთი კედლის მარჯვენა (პირით კედლისკენ) თალიდან კიბის 6 საფეხურით შეიძლება კიდევ უფრო ქვევით ჩასვლა, რის შემდეგაც სფერული კამარით დასრულებულ, გეგმაში წრიული მოხაზულობის აგურით ნაგებ სადგომში შეიძლება მოხვედრა, რომლის ქვედა ნაწილის წყობაში ჩაყოლებულია თანაბარი ზომის ფლეთილი ქვები. კედლებს მაღალი თაღოვანი ნიშები შემოუყვება, რომელთა შორის ჩასმულია კიბისებურად დალაგებული აგურის წყობით დასრულებული საჭრაქეები. იატაკის დონეზე მოწყობილია ნალისებრი მოყვანილობის, 1 მ. სიღრმის მქონე ჩაღრმა-

ვება, რომლის კარგად ამოშენებულ აგურის კედლებზე ორი საჭრაქე ნიშაა განთავსებული. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე იატაკში ჩაღრმავებული ეს მოცულობა არ მოჩანდა. მისი განმენდა მომდევნო პერიოდშიც გაძნელდა გრუნტის წყლის დაგროვების გამო. 2018 წელს მოხერხდა მისი არქეოლოგიური მეთვალყურეობით გასუფთავება, რის შედეგაც გამოვლინდა ხრეშით მოფენილ ძირზე მოწყობილი, ვერტიკალურად ჩასმული ოთხი კვადრატული აგურით შექმნილი მცირე ღრმული, აგურისავე ძირით⁶ (სურ: 36-39; ნახ. 4,5. ფოტოგრამ. 2.).

როგორც აღინიშნა, ზედა დონის სადგომის აღმოსავლეთი კედელი, სადაც ზემოთ აღწერილი კონსტრუქციაა მიყრდნობილი, ღრმა თაღოვანი ნიშებითაა დანაწევრებული, მათ ზედა და ქვედა ნაწილში აგურის წყობაში ჩართული რიყის ქვის პორიზონტალური რიგებია გაყოლებული, რაც

⁵ ლ. ჩოლოგაური, თ. ბუნურაძე, ლ. გუდიაშვილის მოედანი 1/6 შენობის სარდაფში გამოვლენილი ნაგებობის იატაკის დონის განმენდითი სამუშაოების მონიტორინგის ანგარიში, გვ.1-2, 2019, მასალა ინახება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდში.

⁶ თ. ბუნურაძე, ნ. ცქვიტინიძე, ახოსპირელის I ჩიხის 1/6 შენობის სარდაფში გამოვლენილი ე.წ მაცივრის განმენდითი სამუშაოები, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, თბ., 2019, გვ.2.



სურ.37. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ქვედა დონის სადგომის სამხრეთით გამოვლენილი სივრცე რეაბილიტაციის შემდეგ.

დროის უფრო ადრეულ პერიოდზე მიუთითებს, მაგრამ მისი თავდაპირველი მთლიანობა მნიშვნელოვნადაა დარღვეული ახალი აგურით ნაგები ჩრდილოეთი კედლით, რომელიც თაღებით დანაწევრებულ აღმოსავლეთ კედელს ებჯინება. გვიანდელია აგრეთვე ორი დონის შემაერთებელი კიბე, თითქმის მთლიანად განახლებულია სადგომის დასავლეთი კედელი, რომლის გარეთ ძველი ფრაგმენტები გამოვლინდა. ეს არის გეგმაში წრიული მოხაზულობის შემონეროვრობაზე დალაგებული თაღოვანი ნიშები, რომელთაგან მხოლოდ ერთი მათგანია სრულად შემონახული, მის ზემოთ შემორჩენილია კამარის საწყისი ქუსლი. არქეოლოგიური მეთვალყურეობის შედეგად, წრის შიგნით გაიწმინდა ძველი აგურით მოგებული იატაკი, ხოლო მის ქვეშ – თონე⁷. ზედა დონის სადგომის აღმოსავლეთი კედლის ნაწილი, რომელიც კედელზე მიყრდნობილი კონსტრუქციიდან სამხრეთ კედლამდე გრძელდება, ახლა ცემენტით შელესილ ყრუ სიბრტყეს წარმოადგენს. (სურ. 39-40; ნახ. 2,3, ფოტოგრ. 4,5).

ზემოთ აღწერილმა სიძველეებმა აჩვენა, რომ გუდიაშვილის მოედანი 6/1 საცხოვრებელმა სახლმა ჩვენ დრომდე XIX-XX სს-ის მიჯნაზე ჩამოყალიბებული სახით მოაღწია, მაგრამ მანამდე შენობამ არაერთგზის იცვალა სახე. თუმცა ადგილზე რჩებოდა სხვადასხვა პერიოდის, მათ შორის გვიანი შუა საუკუნეების, სამშენებლო ფენები, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.



სურ.38. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ნალისებრი მოყვანილობის ჩაღრმავება საჭრაქე ნიშებით.

⁷ ლ. ჩოლოგაური, თ. ბუნურაძე, ლ. გუდიაშვილის მოედანი 1/6 შენობის სარდაფში გამოვლენილი თონის განმდნითი სამუშაოები, გვ., 1-2, 2019, მასალა ინახება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდში.



სურ.39. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ზედა დონის სადგომის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე.



სურ.40. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №6/1, ძველი შენობის ფრაგმენტი და თონის ადგილი.



სურ.41. დ. ნიკიტინი, თბილისის პანორამა, 1864 წ.

მოძიებული საარქივო მასალები


მოძიებული საარქივო მასალებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დიმიტრი ნიკიტინის 1864 წლის ცნობილი პანორამული ხედი, რომლის წინა პლანზე მოჩანს ახლანდელი ლადო გუდიაშვილის მოედნის ჩრდილო - დასავლეთ მონაკვეთზე მდებარე იმდროინდელი შენობები. მათ შორისაა ახლანდელი ლ. გუდიაშვილის №2 ნაგებობა, რომლის ფასადს დღემდე დიდი ცვლილება არ განუცდიდა. საკვლევი შენობის ადგილზე კი მოჩანს ერთსართულიანი, ბრტყელსახურავიანი სახლი ბანზე ასასვლელით და მრგვალკოლონებიანი პორტიკით მოედნის მხარეს. (სურ.41). უფრო მეტი მონაცემების მოძიება საცხოვრებელი სახლის შესახებ შესაძლებელია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული პროექტებიდან. მათ შორის, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1850 წლით დათარიღებულ პროექტი, რომელიც აბას-აბადის მოედანზე არსებულ ერთსართულიან

საცხოვრებელ სახლზე მეორე სართულის დაშენებას ითვალისწინებს⁸ (სურ.42). საპროექტო შენობის პირველი სართული მრგვალკოლონებიანი პორტიკის მქონე ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო პროექტის თანმხლები განმარტებითი წარწერები გვამცნობს, რომ 1850 წელს თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიამ განიხილა და დადებითად შეაფასა თბილისში, ქალაქის II ნაწილის 3 კვარტალში, აბას-აბადის მოედანზე მდებარე კნეინა სოფიო არღუთინსკი-დოლგორუკის ერთსართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენების პროექტი⁹. როგორც დოკუმენტის თანმხლები წარწერებიდან ირკვევა, პროექტის ავტორი ყოფილა საგუბერნიო არქიტექტორი ბელოი¹⁰. შემდეგი პერიოდის საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ზემოთ აღნიშნული პროექტი არ განხორციელდა, რადგან იმ დროს შენობაში განთავსებული ყოფილა დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი ჰა-

⁸ 1827 წელს, ი. პასკევიჩის მიერ აბას-აბადის ციხის აღების შემდეგ, დღევანდელ ლ. გუდიაშვილის სახელობის მოედანს, აბას-აბადის მოედანი ეწოდა.

⁹ Чертеж дома Аргутинской С., 1850 год., საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი, 205, ანაწერი 1, საქმე № 756; პროექტის გრაფიკული ნაწილი გამოქვეყნებულია წიგნში: ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, ტ.1, თბ., 1960, სურ. 101, გვ.114.

¹⁰ 1850-იან წლებში საგუბერნიო არქიტექტორი თბილისში იყო ტიმოთი ბელოი. იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წწ., ტ.2, თბ. 1963, გვ 165.



სურ.42. სოფიო არტუთინსკის სახლის პროექტი აბას-აბადის მოედანზე, 1850 წ.

უპტვახტი¹¹. სახლის პატრონი არტუთინსკი-დოღგორუკოვი¹² კი ამ სახით გაწეული სამსახურის საფასურად წელიწადში 120 რუბლს იღებდა¹³.

კერძო მფლობელის სახლში ჰაუპტვახტის თუ სხვა ადმინისტრაციული დაწესებულების განთავსება რუსული მმართველობის მიერ XIX ს-ში თბილისში შემოღებული საბინაო ბეგარის შედეგი იყო, რომლის მიხედვით, იმ მოქალაქეებს, „რომელთა სახლები იმდენად იყო აღდგენილი, რომ შიგ ასე თუ ისე ხერხდებოდა ცხოვრება, თავისი ბინის ნაწილი მოხელეთა, სამხედრო პირთა და დაწესებულება-

თათვის უნდა დაეთმოთ“¹⁴. ასეთი პოლიტიკა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 1795 წლის დარბევის და ნგრევის შემდეგ ქალაქის მრავალი შენობა ჭერ კიდევ არ იყო აღდგენილი.

რადგან ჰაუპტვახტი სამხედრო ნაგებობად ითვლებოდა, 1852 წელს ს. არტუთინსკი-დოღგორუკი¹⁵ უკვე თბილისის სამხედრო გუბერნატორს მიმართავს თხოვნით საკუთარ სახლზე მეორე სართულის დაშენების თაობაზე. მის მიერ პატაკის (папорт) სახით წარდგენილ წერილში აღნიშნულია, რომ ჰაუპტვახტი მხოლოდ დროებით (на время) უნდა ყოფი-


¹¹ რუსეთის იმპერიაში ჰაუპტვახტს რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნდა. მათ შორის იყო ჰაუპტვახტი დაბალი ჩინის მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომელსაც ჰქონდა სპეციალური სათავესი პატიმარი სამხედროებისთვის. იხ., Энциклопедический словарь, СПб.Изд. Брокгауза Ф.А. и Ефрона И.А., 1892, Т. XIV, გვ. 465; 1851 წლის კავკასიის კალენდარი გვამცნობს, რომ მთავარმართებელ რეზიდენციის განკარგულებით, 1812 წელს აბას-აბადის მოედანზე აშენდა ჰაუპტვახტი. იხ., Кавказский Календарь 1851 (на 1852 г.), Тифл. 1851, გვ. 396.

¹² გვიან შუა საუკუნეებში არტუთინსკი-დოღგორუკები (XIX საუკუნიდან – არტუთინსკი-დოღგორუკები) მხარგრძელთა მამულს განაგებდნენ სანაინში და თავს მხარგრძელთა შთამომავლებად მიიჩნევდნენ; 1783 წელს ერეკლე II-მ მათ სიგელიც უბოძა. იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს მეფის ერეკლე II და რუსეთის იმპერატორის პავლე I სიგელები მხარგრძელთადმი, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1944, გვ. 24-25; XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე II-მ არტუთინსკი-დოღგორუკებს თავადის წოდება მიანიჭა. იხ. ა. ბოშიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ. 2020, გვ. 204.

¹³ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, ოფიცრებისთვის განკუთვნილი ჰაუპტვახტი განთავსებული ყოფილა ახლანდელ ლ. გუდიაშვილის №2 შენობაში.

¹⁴ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წწ., ტ.1, თბ. 1960, გვ. 37.

¹⁵ საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სოფიო არტუთინსკი-დოღგორუკი იყო „კოლეჟსკი ასესორის“, თავად არტუთინსკის მეუღლე. „კოლეჟსკი ასესორი“ მეფის რუსეთში წარმოადგენდა მერვე კლასის მოხელეს.



სურ.43. აბას-აბადის ჰაუპტვახტის შენობის გეგმა, ფასადი და ჭრილი, 1855-1856 წწ-ის საარქივო დოკუმენტი.

ლიყო კნეინა არლუთინსკის კუთვნილ შენობაში განთავსებული. ამიტომ ის უნდა გადაიტანონ სხვაგან¹⁶. რუსულ ენაზე შედგენილი ეს დოკუმენტი სრულდება ქართული წარწერით: „კოლფუსკი ასესორმა კნეინა სოფიო არლუთინსკი დოღგორუკოვი“¹⁷. საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ჰაუპტვახტის გადატანის საკითხის განხილვა 1853-1854 წლებშიც არ დასრულებულა¹⁸.

1855 წელს ქალაქის რუსულ მმართველობას გადაუწყვეტია ჰაუპტვახტების სამხედრო დაქვემდებარებიდან სამოქალაქოში გადატანა. როგორც ჩანს, ასეთი უწყებრივი ცვლილება მოითხოვდა შენობის არსებული მდგომარეობის გრაფიკულ ფიქსაციას და წერილობითი აღწერის შედგენას. ეს წესი საკვლევ შენობაზეც გავრცელებულა. სოფიო არლუთინსკის სახლის აღწერა და გრაფიკული მასალა ჩართულია საარქივო დოკუმენტში¹⁹, სადაც შენობის აგების ზუსტ თარიღად მითითებულია 1812 წელი. პა-

ტაკში ჩართული აღწერის მიხედვით, კირის ხსნარზე დაწყობილ ქვის და აგურის სახლს რიყის ქვის საძირკველი, მიწაყრილიანი სახურავი, შეკიდული ჭერი და ხის იატაკი ჰქონია. საქმეში ჩართულია ნაგებობის ზომები: სიგრძე 81 ფუტი, სიგანე – 22, ხოლო სიმაღლე სახურავამდე – 19 ფუტი, რაც მეტრებში უდრის: სიგრძე 24 მ. 68 სმ.; სიგანე – 6 მ. 70 სმ.; სიმაღლე – 5 მ. 79 სმ. აღწერის მიხედვით, შენობა 4 განყოფილებისაგან შედგებოდა, ფანჯრები დარაბებით იკეტებოდა, ინტერიერში განთავსებული ყოფილა პოლანდიური ღუმელი (печь Голандская угловая), ბუხარი, კერა მილით (очаг с трубою), ასევე სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნივთები, ჭურჭელი და სხვა²⁰.

საქმეში ჩართული გრაფიკული მასალა წარმოდგენილია A4 ზომის ქალაქდგმე, ავტორის ხელმოწერა გვამცნობს, რომ ნახაზი შესრულებულია II კლა-


¹⁶ Дело о составлении сметы на постройку Абас-Абадской гауптвахты, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი, 205, ანაწერი 1, საქმე №965, 1852 წ.

¹⁷ იქვე, გვ.25.

¹⁸ Дело о постройке Абас-Абадской гауптвахты, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი, 205, ანაწერი 1, საქმე №1071, 1853-1854 წწ..

¹⁹ Дело о передаче военным ведомством в ведение комиссии Абас-Абадской и полицейской гауптвахт, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 205, ანაწერი 1, საქმე №1283, 1855-1856 წწ. აბას-აბადის ჰაუპტვახტთან ერთად, დოკუმენტში აღწერილია აგრეთვე საპოლიციო ჰაუპტვახტი, რომელიც მდებარეობდა მეფისნაცვლის (ახლანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის) სასახლის მოპირდაპირე მხარეს.

²⁰ იქვე, გვ.11-14.



სურ.44. დ. ერმაკოვი, თბილისის პანორამა, 1880-იანი წწ.

სის კონდუქტორის სლონევსკის მიერ²¹, მოცემულია შენობის გეგმა, ფასადი და ჭრილი (სურ.43). საბუთის დასასრულს მოთავსებული წარწერა გვაუწყებს, რომ თბილისის საქალაქო არქიტექტორმა, აკადემიკოსმა ივანოვმა ამ ნახაზის მიხედვით მიიღო შენობა²². ისიც აღსანიშნავია, რომ ნახაზზე წარმოდგენილი შენობის ფასადი ემთხვევა არქიტექტორ ბელოის მიერ 1850 წელს შესრულებული ორსართულიანი სახლის პროექტის პირველი სართულის გრაფიკულ გამოსახულებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს პროექტიც არსებულ ერთსართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენებას ითვალისწინებდა.


კონდუქტორ სლონევსკის მიერ 1855 წელს შესრულებული გეგმის და ფასადის ჩანახატის მიხედვით, ფასადი გვიანკლასიციკლურ სტილშია გადაწყვეტილი, კოლონებისთვის გამოყენებულია დორიული ორდერი, ფასადი არ არის დატვირთული არქიტექტურული დეტალებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოედნის მხარეს ერთიანი ფრონტით გამოშავალი ნაგებობის გაწონასწორებული ფასადით დაფარული იყო შენობის შიდა სტრუქტურა. გეგმაზე მოჩანს, რომ ნაგებობის სიგრძის დაახლოებით

შუა ნაწილიდან მისი დასავლეთი კედელი მკვეთრად იჭრება ინტერიერის მხარეს, რის შედეგად ზურგის ფასადზე საფეხური ჩნდება. აქედან მოყოლებული, შენობა ცალკე „მკლავის“ სახით გრძელდება ჩრდილოეთისკენ. აღნიშნული „მკლავის“ დასავლეთი კედელი ნიშებით და ერთადერთი სარკმლითაა დანაწევრებული, რომელსაც საფეხუროვანი ძირი ჰქონია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა ლ. გუდიაშვილის მოედანი 6/1 შენობის ფასადის სიგრძე გაცილებით ნაკლებია საარქივო დოკუმენტში აღნიშნული ნაგებობის ზომებზე, გამოდის, რომ არღუთინსკი-დოლგორუკის სახლის ე.წ. მკლავის ადგილზე ახლა გუდიაშვილის მოედანი №4 შენობა დგას და ნაგებობა სიგრძივად იყო განვითარებული ახლანდელი გუდიაშვილის მოედანი №6/1 და 4-ის ადგილზე (სურ.46).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, სავარაუდოა, რომ სოფიო არღუთინსკის 1812 წელს აშენებულ სახლში ჩართული იყო მასზე უფრო ძველი შენობის (ან შენობების) ფრაგმენტები, რაც ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა მრავალჯერ დანგრეული და აღდგენილი თბილისისთვის. ამას რუ-

²¹ ინჟინერიის კონდუქტორი (Инженерный кондуктор), წარმოადგენდა დაბალი რანგის ტექნიკურ მოხელეს. იხ. Толковый словарь русского языка под редакцией Д.Н. Ушакова, т. 1, М. 1935, გვ. 1436.

²² ეს უნდა იყოს არქიტექტურის აკადემიკოსი გრიგოლ ივანოვი, რომელსაც 1852-1857 წლებში თბილისის საქალაქო არქიტექტორის პოსტი ეკავა. მის შესახებ იხ. ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, 1801-1917 წწ., ტ.2, გვ. 162.



სურ.45. გრიგოლ მირიმახოვის სახლის პროექტი აბას-აბაძის მოედანზე, 1897 წ.

სული მმართველობაც არ უშლიდა ხელს, მის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა საცხოვრებელ სახლებს კანონით დაწესებული „აპრობირებული პროექტების“ ფასადი ჰქონოდა, „ხოლო რა იმალებოდა ამ ფასადების უკან, ხელისუფლებას არ აინტერესებდა“²³.

1857 წელს „კოლეფსკი ასესორის“, თავად არლუთინსკი-დოლგორუკის ცოლს სოფიო არლუთინსკი დოლგორუკისას უკვე ახალი სახლის აგება გადაუწყვეტია და სათანადო პროექტის წარუდგენია თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიისთვის. პროექტი ითვალისწინებდა ორსართულიანი ახალი საცხოვრებელი სახლის აგებას აბას-აბაძის მოედანზე მდებარე ძველი სახლის ადგილზე²⁴. სამშენებლო კომისიას ეს პროექტი გადაუცია საქალაქო


არქიტექტორ აბესალომოვისთვის.

საქართველოს ეროვნულ არქივში პროექტი არ მოიძებნა, მაგრამ შემონახულია დოკუმენტი, რომელიც პროექტის განხილვის პროცესს აღწერს. კომისიის წევრებზე და სხდომის საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი გავლენა მოუხდენია თავად ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანბატონის²⁵ გამოსვლას, რომელსაც იმ დროს ინჟინრის პოზიცია ეკავა. მის მიერ წარმოდგენილი სიტყვის მიხედვით, აღნიშნული მოედანი საუკუნეების მანძილზე სავაჭრო სივრცეს (ბაზარს) წარმოადგენდა, რომლის გასაფართოებლად თავის დროზე კერძო მფლობელებსაც დაუთმიათ საკუთარი მიწის ფართობი. სოფიო არლუთინსკის სახლის პროექტის განხორციელება კი მოედნის კონფიგურაციის შეცვლას და შემცირებას გამო-

²³ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წწ., ტ.1, გვ.39, 67.

²⁴ Дело о разрешении кн. Аргутинской – Долгорукой С. постройки дома на Аббас-Абатской площади в г. Тифлисе., საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 205, ანაწერი 1, საქმე №1439, 1857 წელი.

²⁵ ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანბატონის შესახებ, იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წწ., ტ.2, გვ. 162.



სურ.46. ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 და 4 საცხოვრებელი სახლების ფასადების არსებული მდგომარეობა და ამ ადგილზე XIX ს-ის დასაწყისში მდებარე ჰაუპტვახტის შენობის ფასადი საარქივო დოკუმენტის მიხედვით.

იწვევდა²⁶. საბოლოოდ, ს. არღუთინსკი-დოლგორუკისას დაევალა პროექტის შეცვლა, რომელიც შემდეგ კავკასიის მეფისნაცვლისთვის უნდა წარედგინათ²⁷. 1856-1863 წლებში კავკასიის მეფისნაცვალს იყო ალექსანდრე ბარიატინსკი. გარკვეულ გარემოებათა გამო, მასთან შეხვედრა არ შემდგარა და პროექტი ისევ თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიას დაუბრუნდა შემდეგი რეაგირებისთვის²⁸, 1858 წელს ჩნდება ჩანაწერი, რომ პროექტის განხილვის პროცესი დასრულებულია და დოკუმენტი არქივს უნდა ჩაბარდეს²⁹. ჩვენთვის უცნობია რა ბედი ეწია არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლის პროექტს 1857 წლის შემდეგ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, დიმიტრი ნიკიტინის 1864 წლის ფოტოსურათის მიხედვით, ნაგებობა ისევ ერთსართულიანი სახითაა წარმოდგენილი. დაახლოებით 1880-1890-იანი წლების თბილისის პანორამებზე საკვლევი სახლის ად-

გილზე ორსართულიანი შენობა მოჩანს, მაგრამ კადრის სიშორის გამო, მისი დეტალური აღწერა არ ხერხდება. (სურ.44)

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის დროინდელი ცვლილებების შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვანვდის 1897 წლის საარქივო დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო შენობა უკვე თავად გრიგოლ მირიმანოვს³⁰ ეკუთვნის, რომელიც გარდა მოედნის მხარეს არსებული ნაგებობისა, ჩიხის სიღრმეში არსებულ ერთსართულიან შენობასაც ფლობს და ამ უკანასკნელზე მეორე სართულის დაშენების პროექტს წარუდგენს თბილისის საქალაქო სამმართველოს. როგორც ირკვევა, მირიმანოვს განზრახული ჰქონია აბას-აბადის მოედანზე, I ჩიხში (глубокий переулок)³¹ მდებარე ფლიგელზე მეორე სართულის დაშენება³². დოკუმენტში ჩართულია ახლანდელი გუდიაშვილი 6/1 საცხოვრებელი სახლის

²⁶ იქვე, გვ.6.

²⁷ იქვე, გვ.13-14

²⁸ იქვე, გვ.18.

²⁹ იქვე, გვ.19.

³⁰ მირიმანიძეები, მირიმანაშვილები XVII საუკუნეში ჩამოყალიბებული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. გარკვეულ პერიოდში, ისინი მელიქის სახელოსაც ფლობდნენ თბილისში. იხ. მ. მესხია, „მელიქის“ სახელოსთვის XVI-XVII სს-თბილისში, *მაცნე, ისტორიის სერია, №4, 1978*, გვ. 80; ა. ბოშიშვილი, გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ.1, თბ., 2011, გვ.176-182; ა. ბოშიშვილი, *მელიქი და მელიქ-მამასახლისი თბილისში*, თბ., 2013, გვ.12-46.

³¹ ეს არის დღევანდელი ახოსპირელის 1 ჩიხი, რომელიც XIX საუკუნეში მოღონის შესახვევად იხსენიებოდა.

³² Чертежи на постройку жилых домов — Мириманов Григорий, 1897. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური

მოედნისპირა და ჩიხში არსებული შენობების 1 და 2 სართულის გვერდები, სადაც, დღევანდელთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები შეინიშნება (სურ., 45) მაგალითად, შეცვლილია სადარბაზოდან საცხოვრებელ სივრცეში განაწილების სქემა, ოთახების განლაგება, ღიობების განაწილების რიტმი ჩიხის მხარეს არსებულ შენობაზე. გარდა ნახაზებისა, საქმეში ჩართულია წერილობითი დოკუმენტები, რომლის მიხედვით, ირკვევა, რომ თავად მირიმანოვის სახლის მშენებლობა დარღვევებით მიმდინარეობდა. კერძოდ, აღნიშულია, რომ მან გადაუხვია პროექტს, რის გამოც თბილისის საქალაქო სამშენებლო კომისიას ორჯერ მიუმართავს თბილისის პოლიცემისტერისთვის. თუმცა მიუხედავად ამისა, მშენებლობა იმავე წელს დასრულებულა³³. პროექტის თანხლები გვერდის მიხედვით, მირიმანოვის სახლის გვერდით მდგარი ნაგებობები იმ რიგითაა წარმოდგენილი, როგორსაც ახლა ვხედავთ ამ ადგილზე. გუდიაშვილის №6/1 საცხოვრებელი სახლის მოედნის მხარეს გამომავალი ახლანდელი შენო-

ბის ფასადი სიგრძით ჩამოუვარდება არღუთინსკი-დოლოგორუკის კუთვნილ ადგილზე ადრე არსებულ შენობას. განსხვავების დანახვა შესაძლებელია თუ ერთმანეთს შევადარებთ შენობის 1855 წლის და დღევანდელ ანაზომებს, საიდანაც ირკვევა, რომ დღევანდელი შენობის სიგრძე არღუთინსკის სახლისას 14 მ-ით ჩამორჩება.

საარქივო მასალების განხილვამ აჩვენა, რომ სახლის სხვადასხვა მფლობელის სოციალური სტატუსიდან და ქონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, XIX ს-ში ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 საცხოვრებელმა სახლმა არაერთგზის იცვალა სახე, რაშიც გარკვეული როლი რუსული მმართველობის მიერ შემოღებულ საბინაო პოლიტიკასაც ეკავა. სოფიო არღუთინსკი-დოლოგორუკოვის კუთვნილ 1812 წელს აგებული შენობის ფასადი აღარ არსებობს, მაგრამ მასზე უფრო ადრინდელი სამშენებლო ფენები შემონახულია, რომლებიც იმთავითვე ყოფილა ჩართული ნაგებობის სხეულში.

ძველი სამშენებლო ფენების ანალიზი

სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს თბილისში გამოვლენილ ყოველ შენობას თავისი ინდივიდუალური ისტორია აქვს³⁴. მათ შორისაა ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 ერთი მისამართით გაერთიანებული ორი საცხოვრებელი სახლი. პირველ რიგში განვიხილოთ მოედანზე ფასადით გამომავალ შენობაში შემონახული XVIII ს-ის სავაჭრო-სახელოსნო და საცხოვრებელი სივრცე. საარქივო მონაცემების მიხედვით, 1812 წელს ის ახალი შენობის პერიმეტრში მოექცა, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში სხვა საცხოვრებელი სახლის ორგანული ნაწილი გახდა. (სურ.1, ნახ.2-5, ფოტოგრ. 1-4).

აღნიშნული სადგომი არ არის უბრალო სამეურნეო დანიშნულების სათავსების კრებული, რომელიც მხოლოდ პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება. მისი მშენებელი დიდი გამოცდილების მქონე ოსტატია, რომელიც კარგად ფლობს სამშენებლო ხელოვნებას. გვიანი შუა საუკუნეების საერო-სათავდაცვო ნაგებობების მსგავსად, ის მაქსიმალუ-

რად ითვისებს მოცემულ ფართობს და მცირე ზომის სივრცეში ანაწილებს ნაგებობის მთავარ და დამხმარე ფუნქციის მქონე სათავსებს. ასეთია მაგალითად, შენობის სხვადასხვა ვერტიკალში განთავსებული სადგომების კიბით დაკავშირება (სურ.31,34,35), რაც კომპლექსური ტიპის საცხოვრებლის გარდა ანფილადური გეგმარების საცხოვრებელ სახლებშიც გვხვდება³⁵. გვიან შუა საუკუნეების პერიოდზე მიუთითებს ისეთი დეტალები, როგორიცაა აგურის საჭრაქე ნიშების და სარკმლის კიბისებურად გამოყვანილი ცრუ თალი; კიბის უჭრედის გასანათებლად გამართული თაღოვანი ნიშის ზევით გაყოლებული კუთხით დალაგებული აგურის კარნიზი; კედლის სისქეში მოქცეული სფერულკამარიანი მცირე ზომის სათავსები³⁶. აღნიშნული ნიშნებით ქვედა დონის სადგომი XVIII ს-ით შეიძლება დათარიღდეს. მას ჩიხის მხრიდან ექნებოდა მთავარი შესასვლელი, საიდანაც ხვდებოდნენ ქვედა დონის სათავსებში. აქედანვე იწყებოდა ზედა დო-

არქივი, ფონდი 192, 8 ა, საქმე №5246, 1897 წ.

³³ იქვე, გვ. 10-11, 21.

³⁴ იხ. მ. სურამელაშვილი, XVIII საუკუნის ერთი თბილისური ბანიანი სახლის შესახებ, *საქართველოს სიძველენი*, 7-8, თბ., 2005, გვ. 326-336; მ. მანია, ავლევის შესახვევის ძველი სახლი და მისი მიკროუბანი, *საქართველოს სიძველენი*, 14, თბ., 2010, გვ. 205-229; მ. მანია, ციხისუბანი — ძველი თბილისის დაკარგული ფასეულობა, *საქართველოს სიძველენი*, 15, თბ., 2012, გვ.412-456; მ. სურამელაშვილი, თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაფარული სამშენებლო ფენები, *ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica*, სერია B, 2020.

³⁵ В. Цинцадзе, Тбилиси, 1958, გვ.73.

³⁶ მარტყოფი, შინჯიკაშვილების კომპის ჩანახატები, იხ., ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება, ტ. I, გვ.200-2001.

ნის საცხოვრებელ სივრცეში ასასვლელი კიბე.

გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი ფრაგმენტები ზედა დონეზეცაა შემორჩენილი. ესაა თაღოვანი ნიშებით დანაწევრებული კედელი და სადგომის მიღმა გამოვლენილი თონე, მიმდებარე ძველი სამშენებლო ფენებით (სურ. 39,40). ზედა დონის შემონახული სიძველეების კედლის წყობა, თაღების განლაგება და რიტმი, ასევე თონის არსებობა XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე გვიანდელი არ უნდა იყოს. რაც შეეხება ხუროთმოძღვრულ ტიპს, რომლის ნაწილიც შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული სიძველეები, ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ გუდიაშვილის მოედანი №6/1 შენობის მოედნის მხარეს ფასადით მიმართულმა შენობამ შემოგვინახა დარბაზული საცხოვრებლის ნაწილი, რომელიც ჯერ XIX ს-ის დასაწყისში, ხოლო შემდეგ XIX-XX სს-ის მიჯნაზე ახალი საცხოვრებელი სახლის პერიმეტრში მოექცა. როგორც ცნობილია, თბილისური დარბაზებიდან ჩვენამდე მხოლოდ ფორაქიშვილის დარბაზმა მოაღწია გადაკეთებული სახით, მაგრამ შემონახული საისტორიო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამ ტიპის სახლების შემადგენლობაში, გარდა გვირგვინით დასრულებული სადგომისა, შედიოდა სხვა სათავსებიც. მაგალითად, 1735 წელს შედგენილი დოკუმენტი გვაუწყებს: „მოგყიდეთ კვიდრი ჩვენი მამეული სახლი: ერთი დარბაზი და უკან ორი ოთახი და დარბაზის დერეფანი და ქვეშა სარდაფი...“³⁷

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 ორი საცხოვრებელი სახლის მაგალითის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ გვიანი შუა საუკუნეების თბილისური საცხოვრებლის სამშენებლო ოსტატობა მაღალ დონეზე იდგა, რასაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საცხოვრებელი სახლები აგრძელებს³⁸. ეს გარდამავალი ეტაპი უფრო მრავალსახოვანი უნდა ყოფილიყო, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით. საამისოდ საკვლევი სახლის სხვადასხვა დონეზე განვითარებული სადგომ-სათავსების მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ერთ-ერთი მათგანია შენობის ყველაზე დაბალ ნიშნულზე მდებარე წრიული გეგმარების მქონე სადგომი, რომლის კედლები მაღალი თაღოვანი ნიშებით და მათ შორის მოთავსებული საჭრაქე ნიშებითაა დანაწევრებული. ასეთივე საჭრაქე ნიშები აქვს ამავე სათავსის იატაკში ჩაღრმავებულ, აგურის წყობით ამოყვანილ

მრგვალზურგიან ჩაღრმავებას (სურ. 37,38). არ არის გამორიცხული, რომ ის წყლის დაგროვებას და მისი დონის კონტროლს ემსახურებოდა. ამისათვის აუცილებელი იყო განათება, რაც ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში ნიშებში განთავსებული ჭრაქებით ხორციელდებოდა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე აუზში შერჩენილი თხელი ნალესობის კვალი. ისიც აღსანიშნავია, რომ შენობის რეაბილიტაციის დროს ამ ადგილზე დიდი ხნის მანძილზე გროვდებოდა წყალი. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ აქ საყინულე ყოფილიყო გამართული³⁹. ცნობილია, რომ მიწაში ჩამჭდარი საყინულე სარდაფები საკმაოდ გავრცელებული იყო თბილისში. ზამთარში იქ ყინულს ინახავდნენ, რომელსაც წელიწადის ცხელ დროს იყენებდნენ. იმ შემთხვევაში თუ საკვლევი შენობის ყველაზე დაბალ ნიშნულზე მდებარე სათავსი საყინულეს წარმოადგენდა, მის ქვევით ღრმა ორმოს არსებობა უნდა ვიგულისხმოთ⁴⁰.

არანაკლებ ძნელად ასახსნელია გუდიაშვილის მოედანი №6/1 სახლის სარდაფის ორ დონეზე ამართული კონსტრუქცია, რომელიც ძველი აგურიტაა ამოშენებული. ქვედა დონეზე ის კედლის სისქეში ექცევა, ხოლო ზევით კედელზე მიდგმული ბოთლისებური მოყვანილობის მოცულობით იხსნება ინტერიერში (სურ. 23-25,27,28,30). მისი თავდაპირველი ფუნქცია ნათლად არ ირკვევა. ბუხრის არსებობას გამორიცხავს ის ფაქტი, რომ კონსტრუქციის ძირის არქეოლოგიური ზედამხედველობით განმნდამ ცეცხლის კვალი არ დააფიქსირა. ამაზე მეტყველებს კედელებში დატანილი თაღოვანი ნიშები ქვედა დონეზე და კონქისებურად დასრულებული მცირე ზომის ნიშა ზედა დონეზე. სავარაუდოა, რომ არასრული სიმაღლით შემონახული, ორ დონეზე ამართული კონსტრუქცია ერთდოთი სრულდებოდა და ბანზე ადიოდა. ერდოს ერთ-ერთი ფუნქციის შესახებ საინტერესო ვარაუდს გამოთქვამს ლონგინოზ სუმბაძე. მისი მოსაზრებით, ერდო, გარდა ინტერიერის განათებისა და ვენტილაციისა, კომუნიკაციისათვის გამოიყენებოდა. მისი მეშვეობით ბანზე ასულები ხმოვან კავშირს ამყარებდნენ დარბაზში მყოფებთან⁴¹. საკვლევი სადგომთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სარდაფის ქვედა დონის თითქმის ყველა სათავსის კედლის სისქეში მოქცეული წრიული

³⁷ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, გვ. 267, დოკუმენტი №143.

³⁸ В. Цинцадзе, დასახ. ნაშრ., გვ.91, 108, ტაბ., 72.

³⁹ ვ. ცინცაძის ნაშრომში, სადაც განხილულია 1830-იან წლებში აგებული საცხოვრებელი სახლის სარდაფი, XVIII საუკუნეს მიეკუთვნება და ბუნებრივია, მასზე დაშენებულ საცხოვრებელ სახლზე უფრო ძველია. ადგილობრივი მცხოვრების გადმოცემით, სარდაფში არსებულ ნიშებიან წრიულ სათავსს მაცივრად იყენებდნენ. იბ., В. Цинцадзе, დასახ. ნაშრ., გვ.91, 108, ტაბ., 70.

⁴⁰ ჯ. სონდულაშვილი, თოვლისა და ყინულის შენახვის ხალხური წესები თბილისის სანახებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთაბე, ტ. XXIII-B, 1962, გვ 171-174.

⁴¹ Л. Сумбадзе, Архитектура грузинского народного жилища дарбази, Тб., 1984, გვ. 66-67.

მოყვანილობის ჩადრმავეებში ჩადგმული კერამიკული ჭურჭელი, შესაძლოა, აკუსტიკის გამართულობას უწყობდა ხელს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაღაც პერიოდში კოსტრუქციის ზედა დონეზე ქურა გამართეს. ამაზე მიუთითებდა შენობის გახსნის პროცესში გამოვლენილი სურათი, რომელიც ახლა ნაწილობრივ ნაშლილია. როგორც ჩანს, კონსტრუქციის ზედა ნაწილის ერთი მესამედი გარკვეულ პერიოდში მოხსნეს, ქვედა დონისგან გამიჯნეს შელესეს და მას ქურად იყენებდნენ. ეს ცვლილება იმ დროს უნდა განხორციელებულიყო, როდესაც აქ ჰაუპტვახტი ფუნქციონირებდა⁴² (სურ. 26). შესაძლოა, ამავე დროს განაახლეს სარდაფის ქვედა დონის იატაკი.

1880-1897 წლების დროინდელ დიდ განახლებას შეიძლება მივაკუთვნოთ 1812 წლის შენობის ჩრდილოეთი ნაწილის მოკვეთა, რომელზეც ახლა გუდიაშვილის მოედანი №4 შენობა დგას (სურ. 46). ასეთმა მკვეთრმა მოქმედებამ გამოიწვია საცხოვრებელი სახლის მოედანზე გამომავალი ფასადის ცვლილება: მოიშალა მრგვალოკოლონებიანი პორტიკი⁴³; გაუქმდა შემოსასვლელი ჩიხის მხრიდან; მოედნის მხრიდან, კამარაში გაჭრეს ახალი შესასვლელი, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს; ამოშენდა ორი დონის შემაერთებული კიბე, რის შემდეგაც აუცილებელი გახდებოდა ორი სათავსის სხვაგვარად დაკავშირება, რისთვისაც ახალი კიბე გაიჭრა ქვედა დონის სადგომის დასავლეთ კედელზე (სურ. 39). XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მოედნისპირა სადგომი, ალბათ, უკვე სამხარეულო-საკუჭნაოს წარმოადგენდა, ხოლო ჩიხის სიღრმეში მდებარე XVI-XVII სს-ის ძველი ნაგებობა საცხოვრებელი სახლის სარდაფებს შორის ჩაერთო.

გუდიაშვილის მოედანი №6/1-ის I ჩიხის სიღრმეში მდებარე საცხოვრებელი სახლის შესახებ არსებული საარქივო მასალები XIX საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება, როდესაც ახალმა მფლობელმა ამ ადგილზე არსებულ ერთსართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენება გადაწყვიტა და განახორციელა კიდევ ეს ჩანაფიქრი. საარქივო ფოტოებიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ მეორე სართულის დადგამდე ჩიხში მდებარე სახლი ბანიან შენობას წარმოადგენდა. ნაგებობა იმთავითვე მოიცავდა გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის შენობის ფრაგმენტს, რომელიც ამ ადგილზე არსებული ძველი განაშენიანების ნაწილი უნდა ყოფილიყო. ეს არის ჩრდილოეთი-სამხრეთი მიმართულებით სიგრძივად განვითარებული სადგომი, რომელიც თავდაპირველად ცალი მხრიდან გახსნილი ყოფილა, ახლა სარკმლები და კარი ამოქოლილია. მის თარიღზე მიუთითებს

მუხარადისებური მოხაზულობის შეისრული კამარა და იმავე მოყვანილობის თაღები, რაც ძველი აგურით ნაგებ შეულესავ წყობასთან ერთად, XVI-XVII საუკუნეზე მეტყველებს (სურ. 11-14). განსაკუთრებით აღსანიშნავია სარდაფის კამარის და თაღების შემოწერილობის ფორმა, რომელიც განსხვავდება გუდიაშვილის მოედანზე გამოვლენილი შეისრული მოყვანილობის თაღ-კამარებიანი შენობებისაგან. საეკლესიო ნაგებობებიდან ასეთი შემოწერილობის თაღები XVI საუკუნეში აგებულ ახალი შუამთის და გრემის ეკლესიებს გააჩნია. რეაბილიტაციამ ისიც გამოავლინა, რომ აღნიშნული სადგომი კიდევ უფრო ადრინდელ სამშენებლო ფენებს მოიცავს. ამაზე მიუთითებს სარდაფის შესასვლელი კარის მარჯვნივ მდებარე კედლის მოზრდილი ფრაგმენტი ძველი აგურის, ფლეთილი ქვის და რიყის ქვის წყობით. ამავე სადგომის კედლის ნაწილი უნდა ყოფილიყო №4 შენობის ეზოში შემორჩენილი (ამჟამად შელესილი) რიყის ქვის რიგებისაგან შემდგარი 30x40 კვ. სმ. ფართობის მომცველი კედელი აგურის მცირე ჩანართებით, რომელსაც წყობაში ჩაყოლებული ხის ძელი გაუყვებოდა (სურ. 7,8).

დასკვნები:

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 ორი საცხოვრებელი სახლი მოიცავს შუა საუკუნეების გალავნით შემოზღუდული ძველი თბილისის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარე დღემდე შემონახულ გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენებს. მოედნის მხარეს ფასადით გამომავალი საცხოვრებელ სახლში მოქცეულია სხვადასხვა დონეზე განვითარებული XVIII ს-ის შენობა, რომელსაც ჩიხის მხრიდან ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი. ქვედა დონეზე განლაგებულ სათავსებს, ალბათ, სავაჭროს და სახელოსნოს ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ხოლო კიდურა ნაწილში დატანილი კიბით ადიოდნენ მის ზემოთ არსებულ სივრცეში, რომელსაც საცხოვრებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ნაგებობას ჰქონდა ერთიანი ბრტყელი სახურავი. ვაჭრობასა და ხელოსნობასთან იქნებოდა დაკავშირებული ასევე ლ. გუდიაშვილის №6/1-ის ჩიხის სიღრმეში მდებარე საცხოვრებელი სახლის XVI-XVII სს-ის შეისრულკამარიანი, თავდაპირველად ცალი მხრიდან გახსნილი სადგომი, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ძველ სამშენებლო ფენებზე დგას.

1812-დან XIX ს-ის შუა წლებამდე მოედნის მხარეს არსებულ შენობაში რუსულმა მმართველობამ განათავსა დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურეების ჰაუპტვახტი, რისთვისაც მეპატრონეს გარკვეულ თანხას უხდიდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც

⁴² ეს უნდა იყოს, 1855 წლის საარქივო დოკუმენტში მოხსენიებული კერა მილით (очаг с прыном).

⁴³ შენობის გახსნის დროს გამოვლინდა კედელში ჩაშენებული მრგვალი სვეტის გადატყეხილი ფრაგმენტები, რომელიც, შესაძლოა არღუთინსკი-დოლგორუკების სახლის პორტიკის წრიული კოლონების ნაწილები ყოფილიყო.

თბილისში სრულად არ არის საქალაქო ცხოვრება აღდგენილი, „სამწახარო ძეგლებს“ უწოდებს თვითმხილველი 1811-1812 წლებში თბილისში ჯერ კიდევ შემორჩენილ ნანგრევებს, თუმცა აღნიშნულია, რომ მოსახლეობა უბრუნდება კუთვნილ ადგილებს⁴⁴. ახლანდელმა გუდიაშვილის მოედანმა და მიმდებარე ჩიხებმა ამ დროსაც შეინარჩუნა სავაჭრო-საბაზრო ფუნქცია. ამაზე ვაჭართა საცხოვრებელი სახლების XIX ს-ის შუა წლების პროექტები მეტყველებს.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ჰაუპტვახტის ფუნქციონირების დროს ნაგებობას რუსული მმართველობის მიერ დაწესებული სავალდებულო ფასადი ჰქონდა. ის იყო ერთ-ერთი პირველი შენობა თბილისში, სადაც გარედან შემოტანილი სავალდებულო არქიტექტურული კომპონენტი და ადგილზე არსებული ძველი ნაგებობის ფენები გაერთიანდა. თუმცა, ამ დროს საცხოვრებელი სახლის გარეგნობაში ჯერ კიდევ არ ჩანდა თბილისური სპეციფიკა⁴⁵. აღნიშნული პერიოდის ერთადერთ ადგილობრივ ელემენტს,

რომელიც ნაგებობის გარეგნობაში ვლინდებოდა, იყო შენობის ბანი. როგორც ჩანს, ასეთი შენობები ვერ იგუა ქალაქმა და XIX ს-ის პირველივე ნახევარში შეიქმნა „თბილისურ სახლად“ გარდაქმნილი დასრულებული არქიტექტურული კომპოზიცია, რომელიც სავალდებულო ფასადების ელემენტებისა და ლოჯია-აივნების შერწყმის გზით შეიქმნა⁴⁶.

გუდიაშვილის მოედანი №6/1 საცხოვრებელი სახლის შესწავლამ აჩვენა, რომ საარქივო მასალასა და ძველ დოკუმენტებთან ერთად, თბილისური საცხოვრებლის ისტორიის ახლებურად გასააზრებლად და ძველთა დაცვითი სამუშაოების სწორად წარმართვისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უცნობი სამშენებლო ფენების გამოვლენა ქალაქის ძველ უბნებში. ასევე, მათი დეტალური ფიქსაცია და პარალელურად მიმდინარე კვლევითი სამუშაოები, რაც, ჩვენ რეალობაში, უმეტესად სარეაბილიტაციო სამუშაოების დროსაა შესაძლებელი.

⁴⁴ ი ნაჭყ.ებია, გ. სანიკიძე, ფრანგი მოგზაურების ცნობები თბილისის შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი) *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, X თბ., 2017, გვ.278.

⁴⁵ როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, XIX ს-ის პირველ ათიანი წლების პროექტებში „... სრულიად არ ჩანს, რომ შემდგენელთ ადგილობრივ ტრადიციებთან და მოთხოვნილებებთან შეფარდების რაიმე სურვილი ან უნარი გამოეჩინათ“. იხ., ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 85.

⁴⁶ დ. თუმანიშვილი, *ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები, უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე*, თბ., 2022, გვ.287.

„თფილისის არსებობას მის მიერ გადატანილი უბედურებანიც სდევს თან. რა გასაკვირია, რომ ან მცირედენი თუ იხილვება ნაყოფთაგან მისი ძველისძველი მოქალაქეობრიობისა, რომლის დვრიტაც კი მუდამჟამ ისპობოდა“¹.
პლატონ იოსელიანი

გ. აბესაძის ქუჩა №21 საცხოვრებელი სახლი

თბილისის ძველი უბნების ურბანული განაშენიანება ძირითადად მრავალ სამშენებლოფენიანი საცხოვრებელი სახლებისგან შედგება, რომლებიც საერთო ნიშნების საფუძველზე შეიძლება დაჯგუფდეს. ერთ-ერთ ასეთ ტიპოლოგიურ ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ მიწის ერთ ნაკვეთზე თავმოყრილი რამდენიმე შენობისგან შემდგარი სახლები, რომელთა საერთო სტრუქტურის ჩამოყალიბება ხშირად ერთი მფლობელის არსებობით, ან მიწის ქვეშ შემონახულ ძველ სადგომთა ურთიერთმიმართებით არის განსაზღვრული.

თბილისურ საცხოვრებელში ბოლო საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე არქიტექტურული, თუ სტრუქტურული სახეცვლის პროცესის თვალის გადევნება ყველაზე უკეთ სწორედ ამ ტიპის სახლებზე დაკვირვებით შეიძლება მოხერხდეს. ამის თვალსაჩინო ნიმუშებს საკვლევ არეალში ლ. გუდიაშვილის მოედ./ბ. ახოსპირელის I ჩიხის №6/1-თან და შ. დადიანი/ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის №34/17-თან ერთად, გ. აბესაძის ქ. №21 სახლიც წარმოადგენს. ქუჩისპირა ფასადით ყველასთვის კარგად ნაცნობი ეს თბილისური სახლი (სურ.1), რეალურად ერთი ადმინისტრაციული მისამართით გაერთიანებულ სამ განსხვავებულ შენობას შეიცავდა.

გ. აბესაძის ქ. №21 საპროექტო ობიექტების ნუსხაში ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბნის რეაბილიტაციის საწყის ეტაპზე (2015-2016 წწ) აღმოჩნდა². ამ დროისთვის უკვე დანგრეული, მეტად საყურადღებო №23 შენობის არარსებობის გამო, იგი ფაქტობრივად ასრულებდა გ. აბესაძის ქუჩის კენტ ნომრიანი ისტორიული შენობების რიგს მოედნისკენ და მისით შემოიფარგლა აღსადგენ ნაგებობათა წრე ამ მხარეს. №21-ის ყველა შენობა ავთენტურობის საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, თუმცა მათი ფიზიკური მდგომარეობა განსხვავებული იყო; ინჟინერ-კონსტრუქტორისა და მშენებლების მიერ ეზოში განთავსებული ორი ნაგებობის მდგომარეობის მძიმედ შეფასების გამო, მათი დაშლა ფიზიკური სამუშაო-




სურ.1. გ.აბესაძის ქ.№21, ქუჩისპირა ნაგებობა, 2016

ობის დაწყებიდან მალევე განხორციელდა, რამაც სამწუხაროდ წაშალა ამ ადგილზე XIX ს-ში გაშლილი მშენებლობის რიგიუბობის ამსახველი სურათი.

ძველის სტატუსის მქონე №21 სახლი გ. აბესაძისა და ბ. კუფტინის ქუჩებს შორის მოქცეულ გრძელ მიწის ნაკვეთზე სამი მხრიდან იყო შემოშენებული და შუაში იქცევდა ეზოს, რომელსაც ჩრდილოეთიდან უბნის განაშენიანების მომიჯნავე სახლები ესაზღვრება. ერთმანეთთან მიჯრით მიდგმული სამი შენობა, რომელიც შეკრულ სტრუქტურას ქმნიდა, XIX საუკუნის შუა ხანიდან ათწლეულების შუალედით აგებულ, ძველი აგურის ორსართულიან, ტრადიციული ტიპის თბილისურ საცხოვრებელ სახლებს წარმოადგენდა ეზოსკენ მთელი პერიმეტრის შემოყოლებით ორ იარუსად გამართული ხის აივ-

¹ პ. იოსელიანი, *აღწერა თფილისის სიძველეთა*, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს დიმიტრი თუმანიშვილმა, ირინე ჭოლოშვილმა, იუზა ხუსკივაძემ, თბ., 2009, გვ.17

² გ. აბესაძის ქ. №21 საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი დაამუშავა იკომოს საქართველომ: პროექტის მთავარი არქიტექტორი მ. ბოჭოიძე, არქიტექტორ-რესტავრატორები ლ. ბოკუჩავა, მ. კვიციანი, ლ. შარტავა.



ნახ.1. გ. აბესაძის ქ. №21, I სართულის გეგმა, 2024

ნებით, ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი სართულ-შუა გადახურვებით, გარედან მიდგმული ხის კიბეებით და ქანობიანი სახურავებით. სახლების გეგმარებაც ტრადიციული, – მარტივი, ან ორმაგი ანფილადური ტიპისა იყო.

ყველაზე ადრეული, **გ. აბესაძის ქუჩისკენ ფასადით მიმართული კუბური მოცულობა**, XIX საუკუნის შუა წლებშია აგებული, მის პარალელურად ეზოს სიღრმეში განთავსებული იყო მომდევნო ათწლეულში აშენებული სახლი, ხოლო მათ შორის იდგა XIX ს-ის ბოლოსკენ აშენებული, თავდაპირველად დამხმარე დანიშნულების, უსარდაფო ფლიგელი, რომლის ყრუ ზურგის კედელი გ. აბესაძის ქ. №23 ეზოსკენ გადიოდა. ადგილობრივ მცხოვრებთა ინფორმაციით, ეზოს სიღრმეში მდგარ სახლს ადრე გასასვლელი ჰქონდა ბ. კუფტინის ქუჩაზე, რასაც ძველი ოფიციალური მისამართიც – №21/14 ადასტურებდა. 2000-იან წლებში ბ. კუფტინის ქუჩის მხრიდან №14-ში ახალი მოცულობის მიშენებისა და ჩანს, დროთა მსვლელობაში მფლობელთა ცვლილების შედეგადაც, გასასვლელი გაუქმებულა (ნახ.1).

გ. აბესაძის ქ. №21 სახლის რეაბილიტაციის საწყის, კვლევით ეტაპზე (2016-2017წწ.), განსხვავებული პერიოდისა და არქიტექტურული გადანწყვტის სარდაფის სადგომების განლაგების გამო გაჩნდა ვარაუდი, რომ შენობათა ჯგუფის საერთო გეგმარების ძირითადი განმსაზღვრელი ძველი სტრუქტურების არსებობა იყო, რაც სახლის შემდგომმა შესწავლამ და საარქივო დოკუმენტებმაც დაადასტურა. შენობების გახსნამ და მიწის ქვეშ მოქცეული ძველი საცხოვრებლის ფრაგმენტების შემცველი სარდაფის სადგომების გამოვლენამ მშენებლობის ქვედა ზღვარი გამოკვეთა და დაადასტურა აქ არაუგვიანეს XVII საუკუნიდან მოყოლებული ცხოვრების უწყვეტი კვალის არსებობა.

გ. აბესაძის ქ. №21 შენობათა ჯგუფის ქუჩისპირა ნაგებობა კვადრატს მიახლოებულ, ორმაგი ანფილადური გეგმის კუბურ მოცულობას წარმოადგენს ეზოს მხარეს გაგრძელებული ვიწრო მკლავით, რომელშიც მეორე სართულთან დამაკავშირებელი ხის კიბეც არის ჩართული. სახლის ფასადების მხატვრული დამუშავება ზომიერებით და დახვეწილობით გამოირჩევა. საფასადო კედლის სიბრტყე ორივე სართულზე თანაბარი ინტერვალით განაწილებული ხუთ-ხუთი ღიობით არის გახსნილი. II სართულს, ფასადის თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს შეკიდული, გადახურული ხის აივანი შეფიცრული ჭერითა და ძირით; შუა ღიობი აივანზე გამომავალ კარს წარმოადგენს. ფასადს გასდევს ჰორიზონტალური სარტყლით გაერთიანებული არქივოლტები, რომლებიც სწორკუთხა ღიობების თავზე ტიმპანებს შემოწერს. აივნის ოთხ მრგვალ სვეტს ლილვის პროფილის, მრგვალი ბაზისები და კაპიტელები ამკობს, ხოლო სვეტებს შორის ბალიასინებიანი მოაჭირია ჩართული (სურ.2).



სურ.2. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის აივანი, 2016



სურ.3. გ.აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის ზურგის კედელი, 2016



სურ.4. გ.აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობა რეაბილიტაციის შემდეგ, 2025

დამახასიათებელი გადაწყვეტა ჰქონდა შენობის მეზობელი (№23) ეზოსკენ მიმართულ ზურგის კედელს, რომელზეც მოჩანდა აგურის წყობაში ჩატანებული ხის ძელების ანტიისეისმური, ჰორიზონტალური სარტყლები (სურ.3). მიუხედავად იმისა, რომ შენობა ვახტანგ ბერიძის კვლევის საგანი არ გამხდარა, XIX ს-ის შუა პერიოდის თბილისური საცხოვრებლის დახასიათებისას, აგურის კედლის წყობაში ხის სარტყლების გამოყენების თვალსაჩინო ნიმუშად მკვლევარს თავის წიგნში სწორედ ამ კედლის ილუსტრაცია აქვს ჩართული³; ეს საგულისხმო ფოტო წარმოგვიდგენს შეუღესავ სახლს, სადაც კედლებზე ხის ჰორიზონტალურ სარტყლებთან ერთად მასში განივად დატანებული ძელების სიმრავლაც იკითხება. მოჩანს, ასევე, XIX ს-ის შენობათა ფასადებისთვის დამახასიათებელი კედლის თხელი შებათქაშება, რომელიც ავსებდა ნაკერებს აგურის რიგებს შორის და წყობა მის თხელ ფენაში გამოსტვიოდა. ამ ფოტოთი ცხადი ხდება, რომ სახლის შელესილობა, რომელიც ცვლიდა ფასადების ავთენტურ მხატვრულ გადაწყვეტას, 1960-იანი წლების შემდეგ ყოფილა შესრულებული. რეაბილიტაციის შემდეგ კი, ზურგის კედლის სიბრტყე, რომელზეც დაზიანებულ ნალესობაში ასე თუ ისე იკითხებოდა

და თვალს იზიდავდა ხის კონსტრუქციების ნახატი, ცემენტის ახალმა ნალესობამ მთლიანად დაფარა და უმეტესწილად გახადა (სურ.4).

შენობის გვერდითი ფასადი, რომელიც ეზოში შესასვლელის გასწვრივ ვითარდება, უფრო სადაა, თუმცა გამომსახველობა არ აკლია. ჩამოცვნილ ნალესობაში აქაც მოჩანდა ჰორიზონტალური სარტყლები. მეორე სართულზე განთავსებულ თაღოვან ჩანეულ სიბრტყეში ჩასმულ ორ სწორკუთხა ფანჯარას შორის, – ასევე თაღოვანი, ერთი ცრუ სარკმელია. ამ კედელს ალმაცერად აგრძელებდა საკმაოდ მაღალი ნაშენი ზღუდე, რომელიც სამი შენობისგან შემდგარი საცხოვრებლის საერთო ეზოს ფართში გამოყოფდა ქუჩისპირა შენობის მცირე ეზოს და ამავე დროს, **ახდენდა მომიჯნავე №21 და №19 სახლებს შორის შემავალი ჩიხის ფორმირებას** (სურ.5).

XIX ს-ის I ნახევრის თბილისის გეგმებზე №21-ის მიმდებარედ, აბას-აბადის მოედანსა (ლ.გუდიაშვილის მოედ.), აბას-აბადის ქუჩასა (დღევანდელი ბ.კუფტინის ქ.) და კათოლიკურ ქუჩასთან (დღევანდელი გ.აბესაძის ქ.) ერთად აღნიშნულია ვიწრო ჩიხი, რომელიც XIX ს-ის შუა წლებში აქიმის ჩიხად იწოდება. თუ გავითვალისწინებთ გ.აბესაძის №21 და მეზობლად მდგომი №19 სახლების ჩამოკვეთილ

³ ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1817 წლები*, წ. I, თბ., 1960, გვ.105, ტაბ.44



სურ.5. გ. აბესაძის ქ. №21, ეზოს ზღუდე, 2016

წიბოებს, რომელიც №21-ს მთელ სიმაღლეზე ასდევს, ხოლო №19-ს – შუამდე, ეს ნათელს ხდის ჩიხის ამ ადგილზე ლოკალიზებას. ურბანულ დასახლებებში შუა საუკუნეებიდან მომდინარე ეს ძველი ქალაქური სამშენებლო წესი, – შენობათა ჩამოკვეთილი კუთხეები, ვიწრო ქუჩებში ტრანსპორტის (ურემი, ეტლი, ფაეტონი) მოძრაობის გაადვილებას ემსახურებოდა. ამ შემთხვევაშიც, ჩანს, ჩიხი საჭირო ტვირთის (შეშის, თუ სხვა რამ სანოვავის) ეზოს სიღრმემდე მისატანად იქნებოდა გამოყენებული. თბილისის XIX ს-ის ადრეული პერიოდის სახლებში ამ წესის გამოყენების მაგალითებს შორის, რომლებიც მიმზიდველობას სძენს ქალაქის მოცემულ ურბანულ კვანძებს, აქვე ახლოს მდებარე გრ. ხანძთელის ქ. №1 შეიძლება გავიხსენოთ (სურ.6).

როგორც ცნობილია, „თბილისში იყო სათემო ქუჩა, რომელსაც შარასა და გზასაც უწოდებდნენ. სათემო ქუჩა ქალაქის საკუთრება იყო და ამ ქუჩაზე კარის გამოღება ყოველი თბილისელის უფლებას წარმოადგენდა. მაგრამ სათემო ქუჩათა გარდა იყო

აგრეთვე ისეთი ქუჩები, რომელთა მესაკუთრე რომელიმე კერძო პირია. ასეთ ქუჩებზე კარის გამოღება და სიარული ქუჩის პატრონთან მორიგებაზე იყო დამოკიდებული“.⁴ კერძო ქუჩათა სახელწოდებებში, როგორც წესი, ადგილის მფლობელ პირთა სახელები, თუ მეტსახელები იყო ასახული. ეს აჩენს აზრს, რომ, შესაძლოა, აქიმის ჩიხის სახელწოდებაში მაშინდელი მფლობელის საქმიანობა იგულისხმებოდეს. საინტერესოა ისიც, რომ „ქალაქური განწესება ცდილობდა ქუჩაზე ურმის მოსაბრუნე ადგილის დატოვებას. როცა ეს ქუჩა საამისოდ ვიწრო იყო, მაშინ ქუჩის თავში სტოვებდნენ ფართო ადგილს ურმის მოსაბრუნებლად“.⁵ მოცემულ შემთხვევაში ტრანსპორტის მოსაბრუნებლად საკმაოდ ვრცელი ეზო იქნებოდა გამოყენებული.

№21 ქუჩისპირა სახლის მხატვრულ გაფორმებაში მთავარ ფასადზე არანაკლებ საყურადღებო იყო ეზოს მხარეს მიმართული ფასადის მეორე სართულიც (სურ.7). მიუხედავად გადაკეთებისა და ტრადიციული შუშაბანდის დატიხრული ალათების ნაც-

⁴ მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში*, თბ., 1965, გვ.71

⁵ მ. ბერძნიშვილი, *იქვე*, გვ.72



სურ.6. გ.ხანძთელის ქ. №1, 2025

ვლად ჩასმული ჩვეულებრივი ფანჯრებისა, გაუქმებული აივნის ყველა ელემენტი მაინც ადგილზე იყო დაცული: მრგვალი სვეტები, ბალიასინებიანი მოაჭირი, ნალექისგან აივნის დასაცავად მოწყობილი გადახურვის დიდი ნაშვერი. შემორჩენილი იყო აივნის კიდურა ნაწილების ჩამკეტი ვიტრაჟების „რომბებიანი“ მუშარაბები, რომელშიც ჩასმული იყო იისფერი და მწვანე მინები⁶. ქუჩის ფასადის ანალოგიურად, ამ მხარეს გამოშავალ კედელში განაწილებული, არქივოლტებით გაფორმებული ღიობებიც თავდაპირველ შეუმინავ აივანზე, ცხადია, ნათლად წაიკითხებოდა.

ოსტატური შესრულებით გამორჩეული საფასადო მორთულობის გარდა დროის მხატვრული გემოვნების და კარგი ხელობის კვალს ამჟღავნებდა ინტერიერის ავთენტური დამუშავება (სურ.8,9) განიერ კედლებში ჩასმული ფანჯრები შიგნითკენ განიერებული წირთხლებით და დარაბებით, დეკორატიულად დამუშავებული გულსართებით შემკული ყრუ, ორფრთიანი ხის კარები, ჭერის ირგვლივ ნალესობით გამოყვანილი პროფილირებული კარნიზები, სქელი ფიცრის იატაკი, კარ-ფანჯრებზე შემორჩენილი ძველი სახელურები, კარის საკეტები და სხვა. შენობის გეგმარება, ფასადებისა და ინტერიერის დამუშავების აღნიშნულ თავისებურებებთან



სურ.7. გ.აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის II სართული რეაბილიტაციის შემდეგ, 2024

⁶ სახლის მაცხოვრებლის თქმით, მუშარაბში ადრე ყვითელი მინებიც ყოფილა ჩასმული, რაც ჩანს დაიმსხვრა და არ შემორჩენილა.



სურ.8. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის II სართულის კარი, 2016



სურ.9. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის კარის სახელური, 2016

ერთად, მისი აშენების თარიღს XIX ს-ის შუა წლებით განსაზღვრავს.

სახლის მთელი ფართის ქვეშ განთავსებულია ერთიანად ძველი აგურით ნაშენი, შეუღესავ კედლებიანი სარდაფი. მისი გეგმა ზედა სართულის ორმაგი ანფილადის გრძივ ღერძებს ესადაგება და ერთმანეთის პარალელურად განლაგებული, ერთ დროს კამარით დასრულებული ორი გრძელი, დაუნაწევრებელი სივრცისგან შედგება, რომელიც სამი ფართო, ნახევარწრიულთაღოვანი გასასვლელით ყოფილა დაკავშირული. რეაბილიტაციის დაწყებისას კამარა ჩამონგრეული, ხოლო გასასვლელები ამოშენებული იყო. ნანგრევებით სავსე სარდაფის ინტერიერში კედლებზე ცემენტის ხსნარისა და ბლოკების გამოყენებით ჩატარებული უწინდელი გამაგრებითი სამუშაოების კვალი ჩანდა, არმირებული იყო კამარის შემორჩენილი საბჯენი თაღის ნაპირები (სურ.10,11,12).

რეაბილიტაციის დაწყებისას განსაკუთრებით მძიმე შენობის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში, ეზოს მხრიდან მართი კუთხით მოდგმული დამხმარე მკლავის ქვეშ მოქცეული სარდაფის მცირე სათავსის ფიზიკური მდგომარეობა იყო. ძლიერად დეფორმირებული ჩრდილოეთი კედელი შიგნით შემოზნექილი, ხოლო გრძივ კედლებში დატანებული სამ-სამი თაღოვანი ნიშა ამოშენებული იყო; კამარას, რომელ-



სურ.10. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის სარდაფის მცირე სათავსი სამხრეთით, 2016



სურ.11. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის სარდაფი, კამარის არმირებული საბჯენი თაღი, 2016




სურ.12. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის სარდაფი, დაზიანება ინტერიერში, 2016



სურ.13. გ. აბესაძის ქ. №21, ნაგებობა ეზოს სიღრმეში, 2016



სურ.14. გ. აბესაძის ქ. №21, ნაგებობა ეზოს სიღრმეში, II სართული, 2016



ნახ. 2. გ. აბესაძის ქ. №21 ნაგებობათა სარდაფის სართულის გეგმა, 2024



ნახ.3. გ. აბესაძის ქ. №21 ნაგებობათა ჭრილი, 2024

საც შუაში აგურის თევზიფხური წყობით შესრულებული ზოლი გასდევდა, გასამაგრებლად შეყენებული ჰქონდა ამ დროისთვის უკვე ნაქცეული, განიერი კვების აგურით ნაშენი საყრდენი ბოძი. მასთან ერთად, ცალკეულ მონაკვეთებში ჩამონგრეული კამარაჯ ხერგავდა ინტერიერს და შიგნით ბოლომდე შეღწევას შეუძლებელს ხდიდა.

მრავალმხრივ საყურადღებო იყო **ეზოს სიღრმეში მდგარი საცხოვრებელი სახლიც**, რომელსაც მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, შენარჩუნებული ჰქონდა ფასადისა და ინტერიერის მორთულობის ავტენტურობა (სურ.13,14). შენობას მიწის ნაკვეთის მთელი სიგანე ეკავა და ერთმანეთში გამავალი ოთახების ერთი რიგისაგან შედგებოდა. ჩრდილოეთიდან მართი კუთხით მიდგმული დამხმარე მკლავი ოთახებსაც შეიცავდა და II სართულთან დამაკავშირებელ კიბესაც. ლათინური L-ის მოხაზულობის საერთო აბრისს წინ აივანი შემოსდევდა. ყურადღებას იქცევდა სახლის თხელი, ოთახებს შორის არსებული ტიხრების სიგანის საფასადო კედელი. მხოლოდ პირველ სართულზე, ძირითადი და ჩრდილოეთ მკლავის გადაბმის ადგილზე განთავსე-

ბულ სათავსოს ჰქონდა განიერი, მზიდი კედლები (ნახ.1). ამ ოთახის დასავლეთ კედელში არსებული ღრმა ნიშა გაუქმებული ფანჯრის ადგილზე იყო მოწყობილი. ეს ყველაფერი ნაგებობაში ჩართულ განსხვავებულ სამშენებლო ფენებზე მიანიშნებდა.

პირველი სართულის ფასადზე განაწილებული მორთავი ღიობებისა და კუთხეჩამოკვეთილი სადა სვეტების საპირისპიროდ, მეორე სართულის რვა-ნახნაგოვან სვეტებს ყრუდ შეფიცრული მოაჯირის სიმაღლის მძლავრი ძირი და ასეთივე სვეტისთავეები ჰქონდა, რომლის კუთხეები ფართოდ იყო ჩამოკვეთილი. საფასადო სიბრტყეზე თანაბარი ინტერვალით განაწილებული მშვილდათალოვანი კარფანჯარა პორიზონტალური სარტყლით გაერთიანებული, ნალესობით გამოყვანილი, ასევე მშვილდათალოვანი, დაბალპროფილიანი თავსართებით იყო გაფორმებული.

ნაგებობის დათარიღება ფასადის დამუშავებისას გამოყენებული ხის და ნალესი პლასტიკური დეკორის, აივნის სვეტების ტანის, ბაზისებისა და კაპიტელების დამახასიათებელი პროფილების და ღიობების მშვილდათალოვანი მოხაზულობის ანალიზის სა-



სურ.15. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის ნაგებობაში ჩასასვლელი, 2016

ფუძველზე იყო შესაძლებელი. ამ ტიპის ბრტყელთალოვანი კარ-სარკმლები, ორნაწილიანი ფრამუგით, რომელიც პასუხობს მოძრავი ფრთების ტიხრებით დანაწევრებას, ფართოდ იყო გავრცელებული XIX ს-ის 60-იანი წლებიდან, რასაც ვხვდებით თბილისში მოღვაწე ცნობილი არქიტექტორების - ალბერტ ზალცმანისა და ევგენი ბელოის მიერ დაპროექტებულ შენობებში (მაგ.: ა. ჯორჯაძის ქ. №5, არქიტ. ა. ზალცმანი, 1860-იანი წლების II ნახევარი; მოსკოვის ქ. №3, არქიტ. ე. ბელოი, 1870-იანი წლების დასაწყისი და სხვა). ვ. ბერიძე ბრტყელთალოვანი სარკმლების შესახებ აღნიშნავს, რომ - „ასეთ სარკმლებს უფრო გვიან ძალიან იშვიათად თუ იყენებენ, ისიც მხოლოდ ძველი, ტრადიციასთან დაკავშირებული არქიტექტორები“⁷.

თარიღის დასაზუსტებლად, საინტერესო აღმოჩნდა II სართულის აივნის ავთენტური რვანახნაგა სვეტების კვადრატული გეგმის ბაზისებისა და სვეტისთავების ფართოდ და გრძლად ჩამოკვეთით დამუშავებული კუთხეების ანალოგიური ნიმუშის მოძიება იქვე ახლოს, ქვემო კალას სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების გადაკვეთასთან მდგარი ძეგლის – №34/17 საცხოვრებელი სახლის ეზოს მხარეს არსებული I სართულის აივნის გაფორმებაში; იმ განსხვავებით, რომ №21-ში ფორმები უფრო მსხვილია, მასშტაბური და სავარაუდოდ, უფრო გვიანი.



სურ.16. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სადგომი, ინტერიერის ფრაგმენტი, 2016

⁷ ვ. ბერიძე, *თბილისის სუროთმოდგერება, 1801-1817 წლები*, წ. II, თბ., 1963, გვ. 116



სურ.17. გ.აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი



სურ.18. გაბესადის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფი, ნიშების განლაგება ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, 2016

ეზოს სიღრმეში მდგარი სახლი მნიშვნელოვან სიძველეს ინახავდა ნაგებობის ძირში დაცული მეტად საყურადღებო, არაუგვიანეს XVII ს-ის, ორსადგომიანი ძველი შენობის სახით (ნახ.2). მიწაში საკმაოდ ღრმად ჩამჯდარ, ლათინური L-ის მსგავსი გეგმის ამ სარდაფში ჩასვლა ეზოდან არის შესაძლებელი აგურის საფეხურებიანი კიბის მარშით, რომელიც შეისრულთალოვან კარის ღიობთან სრულდება. ეს ღიობი გეგმით მართკუთხა, შეისრული კამარით დასრულებული დიდი დარბაზის (9.90მ X 3.55მ; სიმაღლე კამარის წვერამდე 4.0მ) გრძივი, აღმოსავლეთი კედლის შუაშია დატანებული (სურ.15,16,17). სარდაფის ეს სათავსი ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულების გრძივ ღერძზე ანფილატურად განლაგებული საცხოვრებელი ოთახების ქვეშ იყო განთავსებული, ხოლო პატარა, კვადრატული ოთახი, რომელიც მასზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არის მოდგმული, საცხოვრებელი სახლის პერიმეტრს გარეთ იყო გასული და ფლიგელის ქვეშ თავსდებოდა. კვადრატული აგურის ოსტატური წყობით ნაშენი, შეუღესავკედლებიანი გრძელი დარბაზი შეისრული კამარით სრულდება, რომელიც შუაში გადაყვანილ, ასეთივე მოყვანილობის ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობა. კედლებიც ისრული მოხაზულობის, მოზრდილი, ღრმა ნიშებით (1.36მ X 0.97მ X 0.47მ) არის დამუშავებული;

ლი; მათი ძირი, რომელიც იატაკის დონიდან ერთი საფეხურით (0.75მ) მაღლაა, შუაში ამოზნექილი ზედაპირით იქცევს ყურადღებას, რასაც ვერტიკალური აგურების წყობა ქმნის (ეს უჩვეულო გადანწყვება საკვლევ უბანში სხვაგანაც დაფიქსირდა).

დასავლეთის გრძივ, ყრუ კედელში ნიშები თანაბარი ინტერვალით ნაწილდება, საპირისპირო, აღმოსავლეთ კედელზე ეს რიტმი დაცულია, თუმცა ორ შეღრმავებაში ნიშის ნაცვლად კარის ღიობია განთავსებული: საბჯენი თაღის გვერდით, როგორც ითქვამს, გარედან შემოსასვლელი კარია, ხოლო სამხრეთ კუთხესთან – მცირე ოთახში გასასვლელი. აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი კუთხის ახლოს სიბრტყის დანაწევრების განსხვავებულ კომპოზიციას ქმნის იატაკიდან შემადგენელ დონეზე განთავსებული ნახევარწრიულთალოვანი, მცირე ზომის შეწყვილებული ნიშა და მათ ზემოთ, მთელ სიგანეზე გაშლილი დაბალი და სწორკუთხა თახჩა. ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთით მიმართული შეწყვილებული ნიშების კონქისებური დასრულება და სწორკუთხა თახჩის მორკალული ზურგი. ვფიქრობ, მათ სახატე, სასანთლე და საზედაშე ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა⁸ (სურ.18,19).

საპირისპირო, დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხესთან ერთი შეხედვით ნიშის მსგავსი, დაბალი უბე იქმნება, რომელიც უშუალოდ იატაკის დო-

⁸ მოსაზრება საზედაშე ფუნქციის ნიშის შესახებ XVIII-XIX სს. მიჯნის ჭონქაძის დარბაზის ინტერიერში იხ. მ. მანია, *დუშეთი, ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა*, თბ., 2016, გვ. 85



სურ.19. გ.აბესაძის ქ. №21, ნიშები XVII ს-ის სარდაფის აღმოსავლეთი კედელზე, 2016

ნეზე იწყება და მკვეთრად გამოკვეთილი ისრული წვერით სრულდება. დაკვირვება აჩვენებს, რომ კედელში ღრმად შეჭრილი ეს უბე დიდი დარბაზის კიდევ ერთი, ამჟამად ჩაშენებული და გაუქმებული კარია (სურ.20). ამ უბესა და დანარჩენ ნიშებს შორის განსხვავებას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აჩვენებს ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი (სურ.25). დარბაზის ამავე ბოლოში, დიდ ადგილს იკავებდა მოგვიანებით გამართული აგურის კიბე, რომლის მასიური კუბური ძირი ნაწილობრივ ფარავდა აღნიშნულ კარს და ჩანს, ღიობის გაუქმების შემდეგ იყო აგებული. მისი ზედა ბაქანი კამარის ქუსლთან გაჭრილ, ასევე გაუქმებულ ღიობთან სრულდებოდა (სურ.21,22). ამ ადგილიდან შესაძლებელი იყო კამარის გვერდით არეში შექმნილ განმტკირთავ გვირაბში გახედვა, საიდანაც შთამბეჭდავი სიმტკიცის დასავლეთი კედლის კირხსნარში ჩაძირული დიდრონი რიყის ქვის წყობა მოჩანდა (სურ.23).

გარდა აღნიშნულისა, ზედაპირდაზიანებულ განივ კედლებში, ჩრდილოეთით, კიბის მისასვლელთან მაღლა განთავსებული კიდევ ერთი ფართო ნიშა, სამხრეთით კი, – იატაკამდე ჩამოსული ორი შეისრულთაღოვანი ნიშის კვალი იკითხებოდა. სარდაფის დიდ სადგომში სინათლე და ჰაერი ეზოს მხარეს დატანებული სამი სარკმლიდან აღწევდა. ამ მცირე ზომის, თაღოვანი ღიობების აგებულება: – ფართოდ გაგანიერებული წირთხლები და ძლიერად დაქანებული საფეხუროვანი ძირი – მზის შუქის მაქსიმალურ გაბნევას უზრუნველყოფდა ინტერიერში (სურ.24). საკ-



სურ.20. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის გაუქმებული კარი ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, 2016



სურ.21. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფი, კიბის ბაქანი ჩრდილოეთ კედელთან, 2016



სურ.22. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფი, ღიობი კამარის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, 2019



სურ.23. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფი, კამარის განმტვირთავი კონსტრუქციული გვირაბი, 2016



სურ.24. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის სარკმელი, 2016



სურ.25. გ.აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, მოცულობა სამხრეთ-დასავლეთიდან, 2024



სურ.26. გ.აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, დიდი და პატარა სათავსის დონეთა სხვაობა, 2024



სურ.27. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის მცირე სადგომი, ზედა იარუსის ნიშები, 2016

მაოდ მაღლა, კამარის არეში შეჭრილი ეს ღიობები, რომლებსაც ზემოთ ორქანობა, კიბისებური დასრულება აქვს, დროთა მსვლელობაში, დონის აწევის გამო თითქმის მთლიანად მიწის ქვეშ ჩაძირულა. სარდაფის ინტერიერის ღამე გასანათებლად ნიშებს შორის არეებში თაღის ქუსლის დონეზე განაწილებული, სწორკუთხა სატრაქე ნიშებია დატანებული.

რაც შეეხება გეგმით კვადრატს მიახლოებულ მცირე ზომის (2.05მ X 2.09მ; სიმაღლე იატაკიდან კამარამდე 3.40მ) სადგომს, მისი იატაკი დარბაზთან შედარებით დაბლაა, სადაც აგურის საფეხურებიანი კიბე ეშვება (ნახ.3, სურ.26), კარის ზღურბლის დონეზე კედლებს შემოყოლებული შვერილი თარო შიდა სივრცეს ორ იარუსად ყოფს. ზედა იარუსზე ყოველი მხარე კედლის ფართო შეისრული თაღით და მის შიგნით მოქცეული კვადრატს მიახლოებული ნიშით არის დამუშავებული, რომელსაც საფეხურებად გადმოწეული აგურის რიგებით შექმნილი მორკალული ზურგი აქვს (სურ.27). თაღებს ზემოთ კედლებს მცირე საფეხურით შვერილი თარო უვლის და ამგვარად შემოწერილი სწორკუთხედიდან გადაყვანილი სამკუთხა სეგმენტებით დაბალი, კოლოდა კამარა იკვრება, რომლის შუაში ცენტრიდან დასავლეთით დაძრული, ოვალური მოყვანილობის მაღალყელიანი ერდოს ხვრელია დატანებული, საი-

დანაც თავის დროზე სინათლე და ჰაერი აღწევდა ინტერიერში (სურ.28,29,30).

მცირე ოთახის ქვედა იარუსში ყოველი კედელი წყვილი ღრმა, შეისრულთაღოვანი ნიშით (0.70მ X 0.65მ X 0.50მ) არის დამუშავებული, რაც სადგომის ფართის სიმცირეს ნაწილობრივ აკომპენსირებს. აქაც, დიდი სადგომის მსგავსად, ყურადღებას იქცევს ნიშების ამოზნექილი ძირი, რასაც ამ შემთხვევაში ბრტყლად დადებული აგურები ქმნის (სურ.31). იატაკის შუაში აგურით ამოშენებული, ნაწილობრივ ნაპირშემომტვრეული წრიული მოხაზულობის მცირე აუზია, რომელსაც აბრისს გარეთ გასული ფეხის დასადგმელი საფეხური ახლავს. ორმო დროთა განმავლობაში დაგროვებული მიწით არის ამოვსებული და მისი სიღრმე დაუზუსტებელია.

ქუჩისპირა შენობის სარდაფში ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოების მსგავსად, XX ს-ის ბოლოს, ამ ძველი სარდაფის დიდ სადგომშიც ჩაუტარებიათ ანალოგიური ღონისძიებები: წყალგაყვანილობის მოუნესრიგებელ სისტემასთან დაკავშირებული სინესტიდან და კედლებში არსებული წვრილი ბზარებიდან მომდინარე საფრთხის პრევენციის მიზნით, გრძივ კედლებზე ნიშებსშორისი არეები ბეტონის მასიური შემოშენებით გაუძლიერებიათ, რითაც თავდაპირველი სივრცის მთლიანობა შელახულა და დანაწევრებულა⁹.

⁹ რეაბილიტაციის შედეგად, საცხოვრებელი სართულების დემონტაჟთან ერთად მოხდა სარდაფის დიდი სადგომის კამარის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთის დაშლა და თავიდან აგება, რაც ამ მხარეს განთავსებულ სარკმლებზეც გავრცელდა; ზედა სართულებისთვის საყრდენის შესაქმნელად მოხდა კამარის დასავლეთი გრძივი კალთის დაბურღვა და მასში რკინის ოთხი, კვადრატული კვეთის კონსტრუქციის გატარება-დამონტაჟება, რამაც ადრე განხორციელებულ ჩარევებთან ერთად, მნიშვნელოვნად დააკნინა დარბაზის სივრცის მასშტაბურობა და მისი მთლიანობის აღქმის შესაძლებლობა უფრო მეტად შეზღუდა.



სურ.28. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის მცირე სადგომის კოლოფა კამარა, 2016



სურ.29. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის მცირე სადგომის ერდო, 2016

რაც შეეხება გ. აბესაძის №21 აღწერილი ორი ძირითადი საცხოვრებელი სახლის დამაკავშირებელ და ეზოს სამხრეთიდან შემომსაზღვრავ გრძელ ფლიგელს, იგი ერთ რიგად განლაგებული ოთახებისა და მათ წინ, ორივე სართულის გაყოლებით გამართული ვიწრო, ბოლო დროს ნაწილობრივ შუშაბანდებით დახურული აივნისგან შედგებოდა (სურ. 32). ამ ნაგებობის სწორკუთხა ღიობები, მოურთავი საფასადო სიბრტყე, კუთხეჩამოკვეთილი სუსტი სვეტები ზემოთ მიკრული თხელ ფიცარში გამოჭრილი სამკუთხა ფარდებით და მარტივი ჭვირულორნამენტიანი მოაჯირები, აშკარას ხდიდა ნაგებობის შედარებით გვიან, სავარაუდოდ XIX ს-ის მიწურულში აგებას და ამასთანავე, მიანიშნებდა მის თავდაპირველ დამხმარე დანიშნულებაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ფლიგელს სარდაფი არ ჰქონდა და შესაბამისად, სიძველეს არ შეიცავდა, თუ არ ჩავთვლით ერდოიან ოთახს, რომელიც მის ქვემოთ იყო მოქცეული (ნახ.3).

ასეთი იყო რეაბილიტაციის საწყის, კვლევა-პროექტირების ეტაპზე გ. აბესაძის №21 – სამი შენობისგან შემდგარი მასშტაბური სახლის საცხოვრებელი სართულებისა და სარდაფის სადგომების არსებული მდგომარეობა და სამშენებლო პერიოდების ზოგადი სურათი. საველე კვლევისა და ბიბლი-



სურ.30. ერდოიანი პატარა სათავსის ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, 2024



სურ.31. ერდოიანი პატარა სათავსის ქვედა ნაწილის ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი, 2024



ნახ. 4. გ. აბესაძის ქ. №21 XVII ს. ორსადგომიანი სარდაფის ფოტოგრამეტრიული ჭრილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, 2024

ოგრაფიული შესწავლის მონაცემები დამატებითი ინფორმაციით შეავსო საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში მოძიებულმა გრაფიკულმა და წერილობითმა დოკუმენტებმა, რამაც რიგ საკითხებში მეტი სიცხადე შეიტანა.

არქივში მიკვლეულმა ორმა პროექტმა გ. აბესაძის №21 საცხოვრებლის მფლობელის ვინაობის დადგენის საშუალება მოგვცა მისი აშენების დროისათვის. როგორც ირკვევა, სახლი თავად არეშოვებს ეკუთვნოდა. ზაქარია ჭიჭინაძე არეშო-

ვებს, იგივე არეშიძეებს, ქართველ გრიგორიან-თა¹⁰ გვარებს შორის ასახელებს: „ქართველთაგან ძველთაგანვე რომ მრავლად დაკავშირებიან გრიგორიანობას ამას ასაბუთებს შემდეგი მაგალითებიც... არეშიძე ხომ ვიცით, რომ ქართული გვარია. არეშიძეები მრავლად სცხოვრობენ საქართველოში. ტფილისში რამდენიმე ხელოსანი სცხოვრობს არეშიძეების. არეშიძეა ხომ გიორგი არეშიძე, ქართულ ენაზე რამდენიმე სამეცნიერო წიგნთა მთარგმნელი. ამათგან ძველად რამდენიმე პირი დაუკავშირდა გრიგორიანობას და მის მეოხებით დღეს იგინი არეშიძეს მაგიერ არეშოვად იწოდებიან და სომხად სთვლიან თავს. ამათი რიცხვი საკმარისია ტფილისში“.¹¹

მეტად საგულისხმო ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა 1857 წლის ოქტომბრის ერთი წერილობითი დოკუმენტი¹², საიდანაც ვიცებთ, რომ იმ წლის აგვისტოში, პრაპორშჩიკ დავით არეშოვს ანჩისხატის¹³ ქუჩაზე მდებარე თავის კუთვნილ მიწაზე, მშობლებისგან მემკვიდრეობით დანატოვარი ძველი დარბაზის ადგილზე¹⁴ ახალი სახლის აშენების თხოვნით მიუმართავს სამშენებლო კომისიისთვის. ამასთან ერთად მას წარუდგენია ახალი შენობის ფასადი და ადგილის გეგმა¹⁵. იმის გამო, რომ დარბაზისა და მიწის მფლობელობის დოკუმენტები დავით არეშოვის მშობლებს დაკარგული ჰქონიათ, შესული თხოვნის საფუძველზე სამშენებლო კომისიას ჩაუტარებია საპოლიციო მოკვლევა, რომელსაც დაუდასტურებია ძველი დარბაზისა და მიწის პრაპორშჩიკ დავით არეშოვის კუთვნილება. ქალაქის არქიტექტორ სოკოლოვს¹⁶, რომელსაც დავალებული ჰქონდა ნატურაში შემოწმებინა მდგომარეობა, კომისიაში წარუდგენია დასკვნა გეგმის ადგილთან თავსებადობის შესახებ და სახლის აშენების ნებართვის გაცემა შესაძლებლად მიუჩნევია; ფასადი განუხილავთ კომისიის სახელოვნებო ნაწილის



სურ.32. გ. აბესაძის ქ. №21, ეზოს სამხრეთით მდებარე ნაგებობა, 2016

წევრებს და დაუდასტურებიათ მისი შესაბამისობა სამოქალაქო არქიტექტურის უზენაესად დადგენილ სანიმუშო ნახაზებთან. ყოველივე ამის საფუძველზე კომისიას თხოვნა დაუკმაყოფილებია და მშენებლობის ნებართვა გაუცია. ხსენებული დოკუმენტი მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი აღმოჩნდა: მან შემოგვინახა ამ ადგილზე ადრე არსებული ნაგებობის ტიპის თანადროული განსაზღვრება და მას ძველი დარბაზი უწოდა; ასევე, გავაცანო გარემოებათა გამო საკუთრების დამადასტურებელი საბუთების დაკარგვის ერთი შემთხვევა და მასთან დაკავშირებული პროცედურები¹⁷.

გარდა ზემოთ მოტანილი წერილობითი დოკუმენტისა, არქივში მოიძებნა **გ. აბესაძის №21 საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული ორი პროექტი** – ერთი მალევე, 1857 წლის ნოემბერში შედგენილი, ხოლო მეორე – 1881 წლით დათარიღებული. პირ-

¹⁰ ქართველთა „გასომხების“ საკითხს, რასაც პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლები ჰქონდა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, ოსმალთა და ირანელთა შემდეგ რუსეთიც აქტიურად უწყობდა ხელს, ბოლო დრომდე არაერთი კვლევა მიედევნა: გ. მაისურაძე, *ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა (XIII-XVIII სს-ებში, თბ., 1982*; ანანია ჯაფარიძე, *ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, თბ., 1999*; რ. თოფჩიშვილი, *ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. I, თბ., 2005*; ა. ბოშიშვილი, *ცოტა რამ სამველ კარაპეტიალის ნაშრომზე - Меры Тифлиса, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 2012* და სხვა.

¹¹ ჭიჭინაძე ზ. (1906) *ქართველი გრიგორიანები*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო ქ. ქუთათელაძემ, თბ., 2014, გვ. 109, 111

¹² საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 205, ანაწ. I, №1446


¹³ გ. აბესაძის ქუჩა XIX ს-ში ჩამოყალიბდა, მას სხვადასხვა დროს ერქვა ფრანგების, ანჩისხატის, კათოლიკეების, პირველი მაისის ქუჩა, 1991 წ-დან ქართველთა შერიგებისთვის თავგანწირულ კარდიოლოგ გია აბესაძის პატივსაცემად ეწოდა მისი სახელი.

¹⁴ XIX ს-ის მანძილზე ყოფა-ცხოვრების ახალი ნორმებისა და პირობების შესაბამისად თბილისური დარბაზების გადაკეთებისა და მოსპობის შესახებ იხ. ვ. ბერიძე *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1817 წლები, წ. I, თბ., 1960, გვ. 65*

¹⁵ ამჟამად საქმეში ეს პირველი პროექტი არ დევს.

¹⁶ ვ. ბერიძე ბიოგრაფიულ ცნობაში აღეწესანდრე სოკოლოვის თბილისის საქალაქო არქიტექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდს უთითებს 1858-1864 წლების შუალედში; იხ. ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1817 წლები, წ. II, თბ., 1963, გვ. 180*, აღნიშნულ პროექტში მითითებული სოკოლოვი დანამდვილებით იგივე პირი უნდა იყოს და როგორც ჩანს, 1857 წელს მას უკვე დაკავებული ჰქონდა თანამდებობა.

¹⁷ ეს შემთხვევა აცოცხლებს თბილისელთა ყოფის ერთ აქტუალურ მხარეს, რის წინაშეც 1795 წლის ტრაგიკული მოვლენის დროს ქალაქიდან გაქცეული და საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ახალი რუსული მმართველობის პირობებში უკან მობრუნებული არაერთი მოქალაქე აღმოჩნდებოდა.



ნახ. 5. დავით არეშოვის სახლის პროექტი, 1857

ველი პროექტით¹⁸ ირკვევა, რომ სახლის მფლობელ პრაპორშჩიკ დავით არეშოვს ამ დროისთვის მხოლოდ ქუჩისპირა ნაგებობის აშენება ჰქონია განზრახული (ნახ. 5). პროექტის გენგეგმა მოკლე და სხვაგვარი კონფიგურაციის ნაკვეთს გამოსახავს, რომლის ქუჩისპირა კონტური დღევანდელი №23 ნაკვეთისკენ შეტეხილი ხაზით ვრცელდებოდა. ეს ტეხვა გ. აბესაძის ქუჩას ლ. გუდიაშვილის მოედნის შესაყართან დღემდე შენარჩუნებული აქვს. ამ მხარეს მომიჯნავე მეზობელი ამავე გვარის წარმომადგენელი ჩინოვნიკი ნიკოლოზ არეშოვი ყოფილა¹⁹; სიღრმეში, კუფტინის ქუჩისკენ ნაკვეთის მფლობელი ჩინოვნიკი ქაიხოსრო ბროძელოვი (ბროძელი), ხოლო გ. აბესაძის №19-სკენ – გლეხი ანტონ კოცოცოვი ყოფილა.

საპროექტო შენობა მართკუთხა მოხაზულობის გეგმის, ორი ოთახისგან შემდგარ, ორსართულიან სახლს წარმოადგენს სარდაფით, რომელსაც სამხრეთით, გ. აბესაძის №23-სკენ რომბისმაგვარი გეგ-

მის კიდეც ერთი ოთახი ებმის. მაშინდელი ნაკვეთი და სავარაუდოდ, ძველი დარბაზიც, რომელსაც სახლის ძირი უნდა დაფუძნებოდა, შესაძლოა აქეთაც ვრცელდებოდა. რეალურად, სახლი ამ რომბისებური ოთახის გარეშე, პროექტით გათვალისწინებული მარტივი ანფილადის ნაცვლად, ეზოსკენ დამატებული ოთახების კიდეც ერთი რიგით, სწორკუთხედში მოქცეული ორმაგი ანფილადის სახით აშენებულა. გეგმის არსებითი ცვლილებების მიუხედავად, შენობის ფასადი პროექტთან სრული შესაბამისობით განხორციელებულა და დღემდე ავთენტური სახით არის მოღწეული. შეუნარჩუნებიათ პროექტით გათვალისწინებული ორმხრივი აივნებიც.

რაც შეეხება სარდაფს, სადაც ძველი სამშენებლო ფენების მიკვლევის მოლოდინი საარქივო დოკუმენტში აღნიშნულმა ძველი დარბაზის ამ ადგილზე მოხსენიებამ კიდეც უფრო გააძლიერა, ხელმოსაჭიდი ცოტა რამ შემოინახა. „დარბაზის“ სახელწოდებით ცნობილი საცხოვრებელი სახლები თბილისში

¹⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი. 205, ანაწ.1, საქმე №1481; პროექტი შეუდგენია არქიტექტორ სიგუნოვს(?) (ხელმოწერა გაურკვეველია).

¹⁹ როგორც ირკვევა არეშოვებს საკვლევ უბანში კომპაქტურად უცხოვრიათ: მეზობლად, №23 ნაკვეთის მფლობელად დასახლებული ჩინოვნიკი ნიკოლოზ არეშოვთან ერთად, ამ გვარის კიდეც ერთ წარმომადგენელს, თავად ივან გრიგორის ძე არეშოვსაც ჰქონია აქვე ახლოს, აქიმის ქუჩაზე (Докторская-ზე) საკუთარი ნაკვეთი, სადაც მას, საისტორიო ცენტრალურ არქივში მიკვლეული 1885 წლის პროექტის თანახმად ჩაფიქრებული ჰქონია ორსართულიანი სახლის აშენება. ეს გვარი მითითებულია ასევე, ლ. გუდიაშვილის, ყოფილი აბას-აბაძის მოედნის №7/3 სახლის 1889 წლის პროექტის გენგეგმაზეც, სადაც მომიჯნავე, №7/2 ნაკვეთს მინანერი აქვს – არეშოვის მამული. ამ ადგილზე XX ს-ის დასაწყისამდე იდგა მეტად საგულისხმო, ძველი ნაგებობა, რომელზეც საუბარია წიგნში ჩართულ კვლევაში (გვ.114-118) და შესაძლებელია მისი მფლობელიც არეშოვი იყო.



სურ.33. გ. აბესაძის ქ. №23-ის ეზოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ნაგებობის ნანგრევი, 2024

XIX ს-ში პირველ ნახევარში და ადრეც არსებობდა²⁰, თუმცა ამ ტიპისთვის დამახასიათებელი მთავარი, გვირგვინიანი სათავსოს, ან ნიშების კვალი აქ არ შემორჩა. პროექტში წარმოდგენილი ჭრილი საერთოდ ბრტყელჭერიან სარდაფს აჩვენებს. შესაძლოა, ამ ადგილას არსებულ ძველი სახლის სათავსოს ჭერი დაზიანებული ჰქონდა, ან, საარქივო პროექტებისთვის დამახასიათებელ მიდგომასთან გვაქვს საქმე, რომლებიც ასაგები შენობის ადგილზე შემორჩენილ ძველ ნაშთებს სქემატურად და ხშირად, არასწორი ფორმით წარმოგვიდგენს. დავით არეშოვი ახალი სახლის აშენების ნებართვის თხოვნაში ხაზს უსვამს დარბაზის დაძველებას - „... на месте ветхого дарбазა“-ო, წერს იგი. არ არის გამორიცხული, ნაგებობის ყავ-ლგასულობა ხანდაზმულობასთან ერთად XVIII ს-ის მიწურულის ტრაგიკული მოვლენის შედეგებს უფრო დაემძიმებინა, რადგან საფიქრებელია, თბილისის სხვა საცხოვრებელ-სავაჭრო უბნებთან ერთად ამ დროს ლ. გუდიაშვილის მოედნის²¹ განაშენიანება და ეს ქუჩისპირა ნაგებობაც დაზიანებულიყო.

რეაბილიტაციის პროცესში, 2019 წელს, აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული რომბისმაგვარი გეგმის ოთახის ადგილას, №23-ის ეზოს ფართში მიწის ქვეშ გამოვლინდა №21 შენობაზე მიდგმული მძიმედ დაზიანებული სტრუქტურა²², რომელიც სხვადას-



სურ.34. გ. აბესაძის ქ. №23-ის ეზოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ნაგებობის ინტერიერის ფრაგმენტი კიბით, 2021

²⁰ В. Цинцадзе, Тбилиси, Тб., 1958, გვ. 79

²¹ შუა საუკუნეებისთვის ზოგადად დამახასიათებელი მოედნების მთავარი, სავაჭრო ფუნქცია, ლ. გუდიაშვილის მოედანს XVIII ს-ის შემდეგ, ახალ დროშიც კარგა ხანს შერჩა, რაც იმდროის თბილისის ადმინისტრაციული დაყოფის სისტემაში ამ ტერიტორიის სახელწოდებაშიც აისახა - V, ბაზრის უბანი.

²² არქეოლოგიურ სამუშაოებს მეთვალყურეობდნენ ლ. გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის პროცესში თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან ჩართული სპეციალისტები თ. ბუნურაძე და ლ. ჩოლოგაური; კონსულტაციებში მონაწილეობდნენ არქიტ.-რესტავრატორი მ. ბოჭორიძე ICOMOS-იდან და არქიტ.-რესტავრატორი ნ. ზაზუნაშვილი კულტურული მემკვიდრე. სააგენტოდან.



სურ.35. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის სარდაფი, ინტერიერის ფრაგმენტი, 2016

ხვა რიგის სამშენებლო ფენისგან შედგება და სავარაუდოდ, XVIII-XIX სს-ის სხვადასხვა პერიოდის კედლებსა და კამარებს შეიცავს (სურ.33). მიწის ქვეშ მოქცეულ, ძველი აგურის წყობით ნაშენ ამ ქუჩისპირა მოგრძო სადგომს კამარა და დასავლეთი კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეული აქვს. სამხრეთი კედლის წინ ახალი აგურით ნაშენი კედელია ინტერიერში ჩაშენებული, რომელიც სავარაუდოდ, ძველი სათავსოს ამ მხარეს არსებულ კარს უნდა კეტავდეს. კედლის მიღმა, ქუჩის მხრიდან ეშვება აგურით ნაშენი და ხის ფენილით დაფარული კიბის საფეხურები (სურ.34). ძველი სადგომის კედლებისა და კამარის აგურის წყობა აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს №21-ის მომიჯნავე სარდაფის კედლებთან, უმთავრესად კი ვიწრო სადგომის კედლის წყობასთან. სათავსო, შიგნით ჩაშენებული ახალი აგურის კედლის გარდა, გარედანაც მოქცეულია ახალი აგურით ნაშენ მასიურ ძირზე გადაყვანილი, ერთმანეთის პარალელურად განთავსებული ორი განიერი თალის არტახებში. მშენებლობის ეს ბოლო, სავარაუდოდ XX ს-ის დამდეგის ეტაპი, ჩანს, ნაწილობრივ №23 სახლისა და ნაწილობრივ ეზოს ქვეშ მოქცეული ამ ძველი სტრუქტურის ჩანგრევის საფრთხის პრევენციას ემსახურებოდა. ძველი სადგომის

მდგომარეობის ნახვა აჩენს განცდას, რომ ის არა სიძველეს, არამედ რაღაც კატასტროფას უნდა ექცია ნანგრევად; თეორიულად, შეიძლება დავუშვათ, მიზეზი ალა მაჰმად-ხანის შემოსევა ყოფილიყო²³. უბნის სავაჭრო ფუნქციიდან გამომდინარე ქუჩისპირა სტრუქტურა, შესაძლოა, დუქანს, ან სახელოსნოს წარმოადგენდა, რაც ხშირად შეთავსებული იყო კიდევ ერთმანეთთან²⁴. ზაქარია ჭიჭინაძე რომ აღნიშნავს, „ტფილისში რამდენიმე ხელოსანი სცხოვრობს არეშიძეების“-ო, სათავსოს მეპატრონე ეგებ ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელიც აქ ხელოსნობდა და ვაჭრობდა კიდევ. განსაკუთრებით საგულისხმოა განმედიტი სამუშოებისას ნაგებობის ინტერიერში გამოვლენილი დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალის ჩამონათვალი, რაც ანგარიშებშია დაფიქსირებული: მოჭიქული და სადა კერამიკის ფრაგმენტები, სპილენძის მონეტა (კოროზიის გამო იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა), კერამიკული ჩიბუხი, ლურჯი, მწვანე და თეთრი მინის ჭურჭელი, რომელთა ნაწილს შესაძლოა სააფთი-აქო დანიშნულება ჰქონოდა²⁵. მასალის ნუსხა სავსებით შეესაბამება მოსაზრებას ნაგებობის სავაჭრო დანიშნულების თაობაზე. 1857 წლის პროექტით ამ მხარეს დაგეგმილი რომბისებური ოთახის მშენებლობის-

²³ თანამედროვეთა მოგონებებიდან ცნობილია, რომ იმის შემდეგ, რაც უთანასწორო ძალებით შეტაკების შემდეგ თავგანწირულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ და მეფემ ცოცხლად გადარჩენილ ჯარის მცირე ნაწილთან ერთად თბილისი დატოვა, გაბოროტებულმა ხანმა თავის მეომრებს უბრძანა დაენგრიათ, გაეძარცვათ, დაენავათ ეკლესიები, სასახლეები, კერძო სახლები. ის თბილისელები, რომლებიც არ გახიზნულან, არ გაქცეულან, ან ტყვედ აყვანას გადაურჩნენ, თავის სახლებში გამაგრებულები უწევდნენ მტერს წინააღმდეგობას. თავაშვებული ძალადობა რამდენიმე დღე გრძელდებოდა, რაც მრავალ სპარსელს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა, ქალაქი სექტემბრის ამ მძიმე დღეების შემდეგ ნანგრევებად იქცა. ბატონიშვილი თეიმურაზი, ტფილისის აღება ალა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს, წიგნი პოლიეფქტოვი მ., ნათაძე გ., *ძველი ტფილისი*, ტფ., 1930, გვ.58-61.

²⁴ მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბ., 1965, გვ.66

²⁵ არქეოლოგ თ. ბუწურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიშები: 28.02.2019, 23.08.2019, რომლებიც ინახება თბილისის განვითარების ფონდში.



სურ.36. გ. აბესაძის ქ. №21, ქუჩისპირა ნაგებობის სარდაფი, ინტერიერის ფრაგმენტი, 2016

გან თავის შეკავების მიზეზი კი, სავარაუდოდ, აქ არსებული ძველი ნაგებობის მძიმე დაზიანება შეიძლება გამხდარიყო.


რაც შეეხება **№21 ქუჩისპირა შენობის ქვეშ არსებულ სარდაფს**, მისი აღრეულობა ერთი შეხედვით შეუმჩნეველია, თუმცა აგურის წყობის განსხვავებული, სიძველის ნიშნით აღბეჭდილი ხასიათი, რაც თვალსაჩინოა სახლის ზედა სართულის კედლების თანაბარზომიერი აგურის წყობასთან შედარებისას და ასევე, აქ არსებული პილასტრები, საბჯენი თაღები და კედლის თაღები, – ყველაფერი ააშკარავებს მშენებლობის ეტაპების სხვადასხვაობას. სავარაუდოდ, ძველი, XVIII-XIX სს-ების მიჯნის დარბაზის ძირი მასთან შერწყმულ ახალ კედლებს გაუგრძელებია ზემოთ (სურ.35). უდაოდ ძველი ნაგებობიდან უნდა იყოს შემორჩენილი ფართო, სწორკუთხა გასასვლელის კვალი, რაზეც მიანიშნებს აგურის მარაოსებური წყობით შესრულებული „არქიტრავი“ და წირთხლების ადგილას დარჩენილი ნაკვრები სარდაფის დიდი სადგომისა და ვიწრო მკლავის კუთხესთან (სურ.36). ამ კარის არსებობა 1857 წლის მშენებლობის დროს ნაკვეთის განსხვავებული კონფიგურაციისა და №23 ტერიტორიაზე მოგვარე არეშოვის მეზობლობის გათვალისწინებით, – ლოგიკური ჩანს. რაც შეეხება სარდაფის კამარის დაბრტყელებულ მოხაზულობას, რომლის აღდგენა შემორჩენილი ქუსლის რკალის საშუალებით გახდა შესაძლებელი, მისი მსგავსი კამარები XIX ს-ის დასაწყისის სარდაფებში სხვაგანაც შეგ-

ვხვედრია და ეს აქვე ახლოს, აბო თბილელის №6-ის სარდაფშიც შეიძლება დავინახოთ. ამ დროის სარდაფებთან სიახლოვე კამარის არეში მოქცეული სარკმლების აგებულებაშიც იჩენს თავს.


ამგვარად, 1857 წლის წერილობითი დოკუმენტი და ამავე წლის პროექტი ღირებულ ცნობებს შეიცავს და წინასწარულად XIX ს-ის შუა წლებით დათარიღებული ქუჩისპირა ნაგებობის აშენების წლების დაზუსტების საშუალებას იძლევა. არქივში მოძიებული კიდევ ერთი, 1881 წლის პროექტი²⁶, რომელიც გულისხმობს ამ დროს თბილისის დაყოფის მიხედვით V, იგივე ბაზრის უბანში მდებარე თავად დარჩო არეშევის სახლის ქუჩისპირა ნაწილზე რკინის (железной) გადახურვის მოწყობას და ქვის ჭიშკრის ცვლილებას, №21-ს შედარებით სრული სახით, კათოლიკური (გ. აბესაძის) ქუჩიდან აბას-აბადის (ბ. კუფტინის) ქუჩამდე აჩვენებს; ირკვევა, რომ ამ პერიოდში ნაკვეთის კონფიგურაცია და მომიჯნავე ნაკვეთების მფლობელებიც შეცვლილა: მთელი სამხრეთი საზღვრის განვრივ №23-სკენ და ჩანს, ლ. გუდიაშვილის №2-სკენაც ნაკვეთის მფლობელი თავადი არლუთინსკი გამხდარა, კუფტინის №10-სკენ ნაკვეთი სოლომონ სავიანოვის ყოფილა, ხოლო გ. აბესაძის №19-სკენ – ქიქოვის ქვრივის (Вдовы Киковой), ანუ ქიქოდის, თუ ქიქავას ქვრივისა. პროექტი შეიცავს ფასადებს ორივე ქუჩის მხრიდან, ჭრილს და გეგმებს სართულების მიხედვით და მიუხედავად სქემატურობისა, წარმოდგენას გვიქმნის სახლის საერთო მდგომარეობაზე 1881 წლისთვის²⁷ (ნახ.6). პრო-

²⁶ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 192, ანან.8ა, საქმე №10734, 1881 წ.; პროექტი გულისხმობს არსებული სახურავისა და ჭიშკრის ცვლილებას და ეს შესწორებები არსებული მდგომარეობის ამსახველ ნახაზში შეუტანია ტექნიკოს დავიდოვს.

²⁷ ძირითად ხაზებში მსგავსი კონფიგურაცია აქვს ტექ.ბიუროს არქივში დაცულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე №21/14 სახლის გენგეგმას.



ნახ. 6. გ.აბესაძის ქ. №21 ქუჩისპირა ნაგებობაზე რკინის გადახურვის მოწყობის პროექტი, 1881



ნახ. 7. გ.აბესაძის ქ. №21 ნაგებობათა შეთავსებული გრძივი ჭრილები: 1881 წლის პროექტის და რეაბილიტაციამდე არსებული მდგომარეობის მიხედვით, 2024

ექტში ქუჩისპირა ნაგებობაზე რკინის სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით, საინტერესოა ამ ნაგებობის გამოსახულება 1870-იანი წლების პანორამიდან, რომელიც მას ბანიანი სახით წარმოგვიდგენს. ის თვალსაჩინოდ გვაჩვენებს, რომ 1857 წლის პროექტზე ქანობიანი გადახურვით დასრულებული ნაგებობა პრაქტიკულად, იმ დროის თბილისისთვის ბრტყელი გადახურვის ჯერ ისევ საკმაოდ მყარი ტრადიციის გათვალისწინებით ბანით დაუსრულებიათ და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მომხდარა სახლის ქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცევა (სურ.37).

1881 წლის პროექტი ადასტურებს ნავარაუდებ მოსაზრებას, რომ ამ დროს მიწის ნაკვეთზე უკვე აგებული ყოფილა ორი ძირითადი შენობა. მათ შორის აგებული ყოფილა ნაკვეთის სამხრეთიდან შემოჭარგლავი გრძელი კედელი, რომელზე მიშენებული მცირე ზომის დამხმარე სათავსები ირგვლივ შემოყობებული აივნებით ძირითად საცხოვრებლებს უკავშირდებოდა. პროექტში ქუჩისპირა სახლი უკვე ორმაგი ანფილადის გეგმით არის ნაჩვენები და მის ქვეშ არსებულ სარდაფებში ჭრილზე დაბალი კამარებიც ნაჩვენებია²⁸ (ნახ. 6).

²⁸ სახლის საცხოვრებელ სართულებთან შედარებით ძველი ქვედა სართულის მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამოსწორებისთვის, სხვადასხვა დროს ჩაუშენებიათ სარდაფის ორი სივრცის დამაკავშირებელი თაღები; სავარაუდოდ, ძველის ადგილზე მოუწყვიათ, პარალელურწირთხლებიანი და დამრეცხირიანი, დაბალი და სიგანეში გაწელილი სარკმლები; ჩაუშენებიათ ეზოსკენ მოქცეული ვიწრო სარდაფის გრძივ კედლებში დატანებული თაღოვანი ნიშები. ბოლო მასშტაბური შეკეთება, სავარაუდოდ, 1960-1970-იან წლებში მომხდარა. ამ დროისთვის დაზიანებული კამარის გასამაგრებლად, ქუჩისპირა სივრცეში საბჭინი თაღის არმირება მოუხდენიათ; ეზოს მხარეს მოქცეულ ნაწილსა და ვიწრო მკლავში კამარისთვის გეგმით კვადრატული, აგურით ნაშენი საყრდენი ბოძები შეუყენებიათ, რასაც ეს პროცესი ვერ შეუჩერებია და ბოძები წაქცეულა, ან გადახრილა. ამავე დროს, წარმატებით განუხორციელებიათ №23-სკენ მიმართული ზურგის კედლის გამაგრების ღონისძიება, რაც სარდაფის და ნაწილობრივ პირველი სართულის არეში ძველი აგურის წყობის ბლოკით შეცვლის გზით შესრულებიათ ისე, რომ კედელი ზედა სართულზე ხელუხლებლად დაუტოვებიათ. ამ დროსვე ბლოკით ჩაუშენებიათ გ. აბესაძის №23-სკენ გამავალი ზემოხსენებული კარი.



სურ.37. ფრაგმენტი თბილისის 1870-იანი წლების პანორამიდან.



სურ.38. ეზოს სიღრმეში მდგარი სახლის საფასადო კედელში ჩართული სვეტების რიგი, 2018



სურ.39. გ. აბესაძის ქ. №21, ეზოს სიღრმეში მდგარი სახლის საფასადო კედელში ჩართული სვეტების დამუშავება, 2018



სურ.40. სვეტი სოფელ ორგორის მესხური ოდის ინტერიერში, 2025

1881 წლის პროექტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ეზოს სიღრმეში მდგარ სახლთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ორმაგი ანფილადური გეგმით წარმოგვიდგენს, ორმხრივი აივნებით ეზოსკენ და ბ. კუფტინის ქუჩისკენ, მაგრამ ამ მხარეს ჭრილი არა სრული სიმაღლის სარდაფს, არამედ დაბალ სივრცეს აჩვენებს. ნახაზი სქემატურია და ჭრილში ძველი სარდაფის შეისრული კამარის ნაცვლად დაბალი რკალია გამოხაზული, გეგმაზე კი,

დატანილია სარდაფის ინტერიერში გამართული კიბე, რომელიც მას ბ. კუფტინის ქუჩისკენ განთავსებულ ოთახთან აკავშირებდა. ჭრილის ხაზი არ კვეთს ერდოიან სადგომს, თუმცა ნახაზი აჩვენებს ერდოს ამოზიდული კონსტრუქციის დასაცავად პირველ სართულზე ღიად დატოვებულ სივრცეს და მის ზემოთ, მეორე სართულზე გამართული სათავსის დასაყრდნობად აშენებულ, კვადრატული გეგმის წყვილ ბოძს. ნახაზიდან ისიც ირკვევა, რომ მეორე სარ-



სურ.41. მუხრან-ბატონის სასახლის ნანგრევები თბილისში, 1860-იანი წლები.

თულზე განთავსებული, სახლის აივანიდან დაშორებული დამხმარე სათავსი არ დაფარავდა ამ ნაწილში არსებულ საფასადო მორთულობას, რაც მოგვიანებით განხორციელებული მშენებლობისას აღარ გაუთვალისწინებიათ, ფლიგელი ეზოს სიღრმეში მდგარ სახლამდე გაუგრძელებიათ, მისი ფასადის კუთხის ნაწილი დაუფარავთ და პირველ სართულზეც ერდოს თავზე სათავსები მოუწყიათ. საინტერესოა, რომ 1881 წლის პროექტში წარმოდგენილი შენობათა ჭრილების შეთავსებამ რეაბილიტაციის დაწყებისას არსებულ მდგომარეობასთან არსებითი თანხვედრა აჩვენა (ნახ.7).

2018 წელს ეზოს სიღრმეში მდგარი შენობის დაშლისას²⁹ საარქივო დოკუმენტებისა და ადგილზე შესწავლის მონაცემები მეტად საყურადღებო მასალით შეივსო. პირველი სართულის აივნის უკან, უჩვეულოდ თხელი საფასადო კედლის დაშლის შემდეგ გამოჩნდა მასში ჩაშენებული, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული, მთელი სართულის სიმაღლის მძლავრი, კვადრატული კვეთის, თავიდან ბოლომდე თანაბარი ზომის (28სმ x 28სმ) სვეტები, რომელიც თავსა და ბოლოში ასეთივე კვეთის ძელებით იყო შეკრული (სურ.38,39). სვეტების რიგი, ანუ შესაბამისად, დაშლილი კედელი ემთხვეოდა შეის-

რულკამარიანი სარდაფის დიდი დარბაზის სარკმლებიანი, წინა გრძივი კედლის ხაზს. სვეტების მთელი ზედაპირი განზრახ იყო დაჩორკნილი კედელში მათი ჩაშენებისას დულაბთან შეჭიდულობის გაძლიერების მიზნით. მიუხედავად ზედაპირის უხეში დაზიანებისა, გარკვევით იკითხებოდა სვეტების თავდაპირველი დამუშავებიდან შემორჩენილი კუთხეებს აყოლებული წვრილი ლილვები და გარკვეული ინტერვალით ჩამოკვეთილი ნიბოები. საგულისხმოა, რომ სვეტების ანალოგიური დამუშავების ნიმუშს შევხვდით ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის ძველი მესხური ოდის ინტერიერში (სურ.40). სავარაუდოდ, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში №21 სახლის სვეტების რიგი ღრმა ლივანს, ლოჯიას ქმნიდა, რომლის მსგავსს ვხედავთ თბილისში, ანჩისხატის მახლობლად 1880-იან წლებამდე მდგარი მუხრან-ბატონის სასახლეზე³⁰, რომელიც XVIII ს-ში გ.აბესაძის №21/14-ის გვარად ძველ ძირზე უნდა ყოფილიყო დაშენებული (სურ.41). ზემოაღწერილი სვეტების უკან, პარალელურ დასავლეთ კედელზე ნაღესობის ჩამოხსნისას გამოვლინდა აფიცრული და გაუქმებული ორი მაღალი, ორფრთიანი კარი, რამაც დაადასტურა 1881 წლის პროექტზე მითითებული კავშირი ბ. კუფტინის ქუჩისკენ მდებარე ოთახებთან. ნა-

²⁹ გადაწყვეტილება შენობის საცხოვრებელი სართულების დაშლის თაობაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაეფუძნა ინჟინერ-მშენებლისა და კონსტრუქტორის დასკვნას შენობის მძიმე ავარიულობის შესახებ.

³⁰ თ. გერსამია, *ძველი თბილისი*, თბ., 1984, ტაბ. და ანოტაცია 33



სურ.42. გ. აბესაძის ქ. №21, ეზოს სიღრმეში მდგარი სახლის კედლები ნალესობის მოხსნის შემდეგ, 2018


ლესობის მოხსნამ აღნიშნულ დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე ჩაშენებით გაუქმებული ნიშები და დამახასიათებელი წყობა გამოაჩინა აგურის რიგებში განივად დატანებული ძელებით და მთელ სიბრტყეს შემოყოლებული ერთმანეთის პარალელური ხის ორი ჰორიზონტალური (დაახლ. 50 სმ-იანი დაშორებით) სარტყლით. სწორედ ამ სარტყლებს შორის იყო ჩასმული ნიშები, ზემოთ დაბალი და განიერი განყოფილებით, ხოლო ქვემოთ იატაკამდე ჩამოსული სწორკუთხა და ღრმა თახჩით. ანალოგიური პროპორციის ორნაწილიანი წალოები ჩაუხატავს ნიკოლოზ სევეროვს გლეხის დარბაზის ინტერიერში³¹. ზემოთ აღნიშნული არქიტექტურული ელემენტები, რაც პირველი სართულის წინა კედლის დაშლისას და შიდა კედლების ნალესობის მოხსნის პროცესში გამოჩნდა, ერთხელ კიდევ მიუთითებს საცხოვრებელი სივრცის დამუშავების დამკვიდრებული და ფართოდ გავრცელებული ტრადიციული ფორმების არსებობაზე (სურ.42,43).

სავარაუდოდ, აღწერილი სვეტებიანი და თახჩე-

ბიანი ნაგებობა სარდაფის სართულის შეისრულთაღოვან, XVII ს-ის სახლსა და ზედ დაშენებულ, ჩვენთვის ნაცნობ 1860-იანი წლების სახლამდე არსებული გარდამავალი პერიოდის³², XVIII-XIX ს-ის მიჯნის საცხოვრებელს ეკუთვნოდა. ყურადღებას იქცევდა კიდევ ერთი გარემოება: – I სართულის აღწერილი სივრცის ჩრდილოეთით მოსაზღვრე, ძველი სარდაფის ფარგლებს გარეთ მოქცეული ოთახის ხაზგასმულად განიერი კედლები (ნახ.1), მკვეთრად განსხვავებული უშუალოდ სარდაფის თავზე დაშენებული ოთახების თხელი კედლებისგან, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მშენებლებს განზრახული ჰქონიათ ძველი სარდაფის შიდა სტრუქტურაში ჩაურევლად შეძლებისდაგვარად შეემცირებინათ დატვირთვა და შეემსუბუქებინათ მის თავზე დადგმული სახლი. წარსული ცხოვრების სურათის აღდგენისთვის საყურადღებო აღმოჩნდა ასევე, მიწის სამუშაოების დროს ეზოს ბოლოში, სარდაფის სიახლოვეს, აგურით ამოშენებული სამეურნეო ტის და ორმაგშრიანი თონის გამოვლენა, აქვე, კერამიკული ფრაგმენ-

³¹ იხ. ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*, თბ., 1974, გვ. 187, სურ.155.

³² ამ პერიოდის შესახებ იხ. В. Цинцадзе, *Тбилиси*, 1958, გვ. 72.



სურ.43. გლეხის დარბაზის ინტერიერი, ნახატი ნ. სევეროვისა

ტებისა და პატინით დაფარული, არაბულწარწერიანი (?) მონეტის მიკვლევა, რამაც დამატებითი შტრიხები შესძინა მას³³. სავალალოა, რომ გარდამავალი პერიოდის სახლის დეტალები და აღწერილი საგულისხმო სურათის კვალი, რომელიც უწყვეტი ცხოვრების რეტროსპექტივას აჩვენებდა ამ ადგილზე არაუგვიანეს XVII ს-დან დღემდე, მხოლოდ ფოტოებს შემორჩა.

ამგვარად, მოძიებულ საარქივო პროექტებსა და ნატურაში კვლევაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა გ. აბესაძის ქ. №21/14 სამი ნაგებობისგან შემდგარი ერთიანი სტრუქტურის სხვადასხვა ეტაპის მშენებლობის თარიღების მეტ-ნაკლები დაზუსტება. სამწუხაროდ, პროექტებმა ვერაფერი შემატა ყველაზე ადრეული ნაგებობის, ეზოს სიღრმეში მდგარი სახლის ქვეშ დაცული ორსართავიანი სარდაფის შესახებ ჩვენ ცოდნას, თუმცა მისი არქიტექტურული ფორმები, გეგმარებითი გადანაწევება, სამშენებლო მასალა და კედლების წყობა ამის გასარკვევად საკმარისად მეტყველი აღმოჩნდა.

სარდაფის XVII ს-ით დათარიღებისთვის ნაგებობის გეგმასთან ერთად მნიშვნელოვანია ინტერიერის არქიტექტურული ელემენტებით დამუშავების ხასიათის და ამასთანავე, სამშენებლო მასალისა და მშენებლობის ხარისხის გათვალისწინება. როგორც ითქვა, მთელი ნაგებობა კვადრატული (ე.წ. ქართული) აგურის ოსტატური წყობით არის ნაშენი, რიგების სწორხაზოვნებას მათ შორის ხსნარის თანაბარი ზოლებიც უსვამს ხაზს. ამასთან ერთად, კედლების ქვედა რიგებში, ნიშების ძირში და კამარის გვერდით, განმტკირთავი გვირაბის კედელში ნარჩევი რიყის ქვაა გამოყენებული. ინტერიერის ძირითადი არქიტექტურული ელემენტების – საუცხოოდ გამოყვანილი კამარის რკალის (იხ. ნახ.4), სხვადასხვა ზომის ნიშებისა და კედლის თაღების თავისებურებას მათი შეისრული მოხაზულობა წარმოადგენს, რაც გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ხუროთმოძღვრების სტილური ნიშანი და ირანული კულტურული გავლენის ყველაზე მტკიცედ შეთვისებული ფორმაა. იგი ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც

³³ მიწის სამუშაოების დროს გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის შესახებ მონაცემები დაფიქსირებულია არქეოლოგების თ.ბუნრაძისა და ლ. ჩოლოგაურის 02.2019 და 02.2020 ანგარიშებში, რომელიც ინახება თბილისის განვითარების ფონდში.



სურ.44. გ. აბესადის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის კამარის დამუშავება, 2024

საცხოვრებელ, ასევე საეკლესიო, თუ თავდაცვით ნაგებობებში და მათ მხატვრულ სახეს განსაზღვრული დროის დაღს ასვამდა. გიორგი ჩუბინაშვილი სეფიანთა ეპოქაში ირანულ მხატვრულ გემოვნებასა და მოდურ მიმდინარეობებზე მსჯელობისას ხაზს უსვამს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ამას საე-სებით ეგუებოდნენ მთავარი ქალაქები, საზოგადოების გაბატონებული ფენები, დიდგვაროვანთა წრე, რომლებიც ცდილობდნენ სპარსელებს დამსგავსებოდნენ ცხოვრების წესით, გარეგნული იერით, ბინების მოწყობით და ახალი ნაგებობებითაც³⁴. მსგავსმა ტენდენციებმა ქართლის რეგიონში და სავარაუდოდ თბილისშიც, კახეთთან შედარებით გვიან მოიკიდა ფეხი. ვ. ბერიძის მოსაზრებით, „ისლამური (ირანული) ელემენტების შემოჭრა ქართლის ძეგლთა ხუროთმოძღვრულ დამუშავებაში როგორც მეფის დროიდან უნდა იწყებოდეს³⁵“, ირანული კულტურული გავლენები სხვადასხვა ფორმით XIX ს-ის თბილისის არქიტექტურის ნიმუშებშიც აისახა³⁶. ამ

გავლენებს ყოფაშიც დიდხანს არ დაუკარგავს მიმზიდველობა. ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის თქმით³⁷, რომელიც 1811-1812 წლებში იმყოფებოდა თბილისში, იმ დროის თავადაზნაურობას შორის, „კარგ ტონად“ ითვლებოდა „სპარსული ენის ცოდნა და სპარსული წესების მიბაძვა“; აქვე, ალსანიშნავია, რომ თბილისში ამავე დროს მყოფი ლეიტენანტი ტრეზელი ხაზს უსვამს ქალაქის განსხვავებულობას აღმოსავლური სამყაროსგან: „ორი წლის განმავლობაში აზიის მდუმარე ქალაქებში ცხოვრებით გაბეზრებულნი, რომელთა ვიწრო და უკაცრიელ ქუჩებში მხოლოდ შიშველი კედლების რიგია, ტიფლისი ის პირველი ქალაქია, სადაც ხელახლა სიამოვნებით ვიხილეთ ევროპულ წესებთან მსგავსება, დიდად გავიხარეთ ქრისტიანული ქალაქის ცხოვრებით და იმ ათასი რაღაცით, რაც ადრე ჩვენი ყურადღების მიღმა რჩებოდა“³⁸-ო, წერს იგი. ესეც კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითია თბილისის მრავალსახეობისა. თვითმყოფადობა, რომელიც მუდამ

³⁴ Г. Чубинашвили, Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии, *Вопросы истории искусства, Исследования и заметки*, Т. 1, Тб., 1970, gv. 308-320

³⁵ ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994, გვ.32

³⁶ დ. ხოშტარია, სპარსული მშენებელი ოსტატები XIX საუკუნის საქართველოში, *საქართველოს სიძველენი*, 23, თბ., 2020, გვ.138-156

³⁷ ი. ნაჭყებია, გ. სანიკიძე, ფრანგი მოგზაურების ცნობები თბილისის შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, X, თბ., 2017, გვ. 278

³⁸ ი. ნაჭყებია, გ. სანიკიძე, იქვე, გვ.276

იყო თბილისის ხასიათის განუყოფელი შტრიხი, განუხრელად გასდევდა მის არსებობას და კულტურული გავლენების მიმღებლობის პარალელურად შესაძლებელს ხდიდა ტრადიციული ფორმებისა და შინაარსის რბილ მოდერნიზაციას.

თუ დავუბრუნდებით გ. აბესაძის №21-ში შემორჩენილ ძველ სარდაფს, შეისრული ფორმების პრევალირებით ის სავსებით პასუხობს XVII ს-ისთვის დამახასიათებელ დროის ტენდენციებს, თუმცა, მათ პარალელურად ყურადღებას იქცევს ნახევარწრიულთალოვანი და სწორკუთხა მოხაზულობის ნიშების გამოყენებაც. დაბალი და განიერი, მორკალულ-ზურგიანი თახჩის ანალოგს მიტროპოლიტ საბა ტუსისშვილის ნინოწმინდის XVIII ს-ის სასახლეშიც ვხედავთ³⁹, სადაც შეისრული ნიშები და კამარები სრულად უარყოფილია, ჭერი ბრტყელია და კარსარკმლებიც სწორკუთხაა. იმის მაგალითებიც გვაქვს, როცა არქაული ფორმები ახალ დროში მყარად ნარჩუნდება და დათარიღებისას დამაბნეველი შეიძლება აღმოჩნდეს რის ნიმუშადაც ბოდბეში იოანე მაცაშვილის XIX ს-ის სასახლის ქვედა სართულის ინტერიერის დამუშავება გამოდგება, რომელიც ერთი შეხედვით XVIII ს-ის კუთვნილებად შეიძლება ჩაგვეთვალო⁴⁰. ამდენად, გ. აბესაძის №21-ის სარდაფში შეისრული, ნახევარწრიულთალოვანი და თარაზულად გადახურული ნიშების შეთავსებაში უცნაური არაფერია, შესაძლოა ეს სტილის ცვლილების მოახლოებაზეც მიანიშნებდეს, თუმცა მთლიანი სურათით ნაგებობა XVII ს-ის არქიტექტურის ნიმუშებს შორის ლოგიკურად ეწერება.

ძველი ნაგებობის მიწაში ღრმად ჩაფლვას, რაც მის ხანდაზმულობას და დროის მსვლელობაში მიწის დონის აწევას უკავშირდება, სხვა მიზეზებიც აქვს. მხედველობაშია მისაღები აღმოსავლეთ საქართველოში და კონკრეტულად თბილისში დამკვიდრებული ტრადიცია, რაც სეისმურ უსაფრთხოებას, ზაფხულში საცხოვრებლის ცხელი კლიმატისგან დაცვას, ზამთარში სანჯავის ეკონომიას და სტაბილური ტემპერატურის ეფექტურ შენარჩუნებას ემსახურებოდა. ცოკოლის სართულის ოთახების საცხოვრებლად გამოყენებას ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ კლიმატურ ზონაში ხანგრძლივი ის-

ტორია აქვს⁴¹. კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აღმოსავლეთ საქართველოს და კონკრეტულად თბილისურ ტრადიციულ საცხოვრებელსაც აურევლავს ეს წესი, რაზეც არაერთი მოგზაური და ისტორიკოსი საუბრობს და ამ სახლებს მიწურებად იხსენიებს. სახელწოდებაც სპარსული – „სარდაბი“ დამკვიდრებულია⁴². ამ ფორმით სიტყვას თბილისურ დოკუმენტებში ვხვდებით, მაგალითად XVIII ს-ის ერთ პირობის წიგნში ჩამოთვლილ ნაგებობებს შორის იხსენიება: „...სახლები, დარბაზი, სათონე, სარდაბი...“⁴³ რაც შეეხება კონკრეტულად №21 სარდაფს, იგი სანახევროდ უნდა ყოფილიყო ჩაძირული მიწაში, რაზეც აღმოსავლეთ კედელში დატანებული სარკმლები მიუთითებს.

თავის დროისთვის მოდური გემოვნებით გაფორმებული №21 სარდაფი, რომელიც სავარაუდოდ, საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენდა, ვფიქრობ, უფრო მოზრდილი სახლის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომლისგანაც ჩვენამდე ერთი დიდი და ერთი მცირე სადგომი შემორჩა. ამაზე მეტყველებს ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან არსებული ამოშენებული შეისრულთალოვანი კარი, რომელიც, სავარაუდოდ, გვერდით განთავსებულ, შესაძლოა ასეთივე ზომის სხვა სადგომს უკავშირდებოდა. ამას ეთანხმება, 1881 წლის პროექტზე გამოსახული სახლის ორმაგი ანფილადური გეგმაც ოთახების კიდევ ერთი რიგით ბ. კუფტინის ქუჩისკენ, რომლებიც სავარაუდოდ, ასევე ძველ ფუძეს უნდა დაყრდნობოდა. საარქივო პროექტში წარმოდგენილი გეგმა მეორე რიგის ოთახების ქვეშ სარდაფს არ აჩვენებს, თუმცა ის დაბალჭერიან სივრცეს მაინც უთითებს, რაც ეჭვს აჩენს, რომ აქ მდგარი სახლის საცხოვრებელი სართულის მშენებლობისას სიღრმეში ჩამალული ძველი ნაგებობა უკვე დაზიანებული და სანახევროდ მიწით ამოვსებული შეიძლება ყოფილიყო. ამას უნდა გამოეწვია კარის გაუქმება და პირდაპირ ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბის ბლოკის მიშენება ამ კუთხესთან. XVII ს-ის თბილისური დოკუმენტების: – წყალობის, გასამყრელო, თუ ნასყიდობის წიგნების გაცნობა, საკმაოდ სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის მოქალაქეთა საცხოვრებლის შემადგენელი ნაწილების თაობაზე, რის ნიმუ-

³⁹ ლ. რჩეულიშვილი, საბა ტუსისშვილის სახლი სოფ. ნინოწმინდაში, *ქართული ხელოვნება*, ტ. 3, თბ., 1950, სურ.7, ტაბ.102; ვ. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება*, I ტ., თბ., 1983, გვ.250, სურ.181

⁴⁰ ც. ჩაჩხუნაშვილი, ნ. ზაზუნაშვილი ბოდბის ტაძრის რესტავრაციის შედეგები, *საქართველოს სიძველენი*, №7-8, თბ., 2005, გვ. 64-80; აქვე წიგნში იხ. გვ. 263, სურ. 8.

⁴¹ А. Мец, *Мусульманский Ренессанс*, М., 1973, გვ.305-306; ადამ მეცი სამარაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი IX ს-ის მესოპოტამიური საცხოვრებლის აღწერისას აღნიშნავს, რომ ყველა სახლს აქვს აბანო, კანალიზაცია, ხშირად ჭა და ზოგ შემთხვევაში ოთახები ცოკოლის სართულში, - ანუ „სარდაბი“. XI ს-ში მოგზაური ნასირ-ი-ხუსრაუსთვის თვალშისაცემი ყოფილა არაჯანის თავისებურება, სადაც იმდენივე მიწისქვეშა საცხოვრებელი სარდაბები ყოფილა, რამდენიც მიწისზედა ბინები.

⁴² „სარდაფი (სარდაფისა) [სპარ. სარდაბ] 1. პირველი სართულის ქვემოთ, მიწის დონეზე დაბლა მდებარე ნაწილი შენობისა; იყენებენ რისამე შესანახად (ზოგჯერ საცხოვრებლადაც)“. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბ., 1960, სვეტი 778

⁴³ *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.)*, წიგნი პირველი, შეადგინეს: ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, თბ. 1962, დოკ. №179, გვ. 214

შად 1656 წელს როსტომ მეფისგან მანდენანთ როსტევანისადმი ბოძებული წყალობის წიგნიც გამოდგება; „...გიბოდეთ რისაც მქონებული მერაბა იყო: დარბაზი, შიგნით დიდი სახლი, სათორნე, აქათ მარანი, მისის ჭურითა, მარანს წინ სახლი, დარბაზის კუთხეში ოთახითა, დარბაზს გვერდით სახლები...“⁴⁴ ნაგებობათა, თუ სათავსოთა მსგავსი კრებული ჩვენთვის საინტერესო XVII ს-ის №21 ძველ საცხოვრებელთანაც შეიძლება ყოფილიყო თავმოყრილი, ეგებ აქაც, „მარანს წინ სახლთან“ გვექონდეს საქმე და ამჟამად ამოქოლილი კარი, ადრე, მარანში გასასვლელი ყოფილიყო, ხოლო სარდაფში ჩამოსასვლელი კიბის მახლობლად, ეზოში, მიწის საფარს ქვეშ გამოვლენილი ორშრიანი თონე – აქ არსებული „სათორნის“ ჩვენამდე მოღწეული ნაწილი.

გ. აბესაძის ქ. №21 სარდაფის დიდი სადგომის გაპარტახებული მდგომარეობის მიუხედავად, მისი სრულფასოვან საცხოვრებლად წარმოდგენა ძნელი არ არის. დღესაც შესანიშნავი სანახავია აგურის ფაქიზი წყობით გადაყვანილი, საბჭენი თაღით ორ სეგმენტად გაყოფილი შეისრული კამარა, რომელსაც ბრტყლად დადებული ოთხი აგურით შედგენილი „ვარდულები“ ამშვენებს ორივე ნაწილში (სურ.44). თავის დროზე ამ დიდ სათავსოს თიხატკეპნილი, ან აგურით მოგებული იატაკით, ხალიჩებითა და ფარდაგებით დამშვენებული კედლებით, ნიშებში მოწყობილ თახჩებში, წაღოებსა და განჯინებში დალაგებული საჭირო ნივთებითა და ინვენტარით, შეიძლება ერთდროულად შეეთავსებინა საძინებლისა და სატრაპზოს ფუნქცია, ამ უკანასკნელის ჩრდილოეთ ნახევარში განთავსებით, რასაც ნიშების სიმრავლე, ორი სარკმლიდან შემოსული ჰაერი და ჭარბი სინათლე უფრო კომფორტულს გახდიდა დღისით სამყოფად.

რაც შეეხება პატარა ოთახს, ორ იარუსად განაწილებული კედლის თაღებით, სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნიშებით, შეკრული კამარით, აუზითა და ერდოთი, ამ მცირე, აგურით ნაძერწი სივრცის დათარიღება და ფუნქციის დადგენა სწორედ აღნიშნული არქიტექტურული ელემენტების საშუალებით შეიძლება, რომელთა სიმრავლე და რაც მთავარია, ზედა განათება-განიავების სისტემის არსებობა, გამორიცხავს სათავსოს ტრადიციულ საყინულედ მიჩნევას, ან მის სამეურნეო დანიშნულებას. საყურადღებოა კედლების დამუშავება ორ რეგისტრად განლაგებული ისრულთაღოვანი ნიშებით, რაც გვიან შუა

საუკუნეებში სამეფო, თუ ფეოდალთა რეზიდენციების ირანულ ყაიდაზე დამუშავებულ ინტერიერებში ფართოდ იყო გამოყენებული. ნიმუშებს შორის შეიძლება გავიხსენოთ ალექსანდრე მეფის კოშკური საცხოვრებელი დავით გარეჯის ლავრაში, თელავის სამეფო სასახლის კუთხის პატარა ოთახები, მუხრანის შიოსუბნის მამაბურჯის კოშკის მესამე სართულის ოთახი, ფალავანდიშვილების სასახლე ძალიანაში⁴⁵, ქართლის ყარაღაჯის გლეხური დარბაზი, ფორაქიშვილების ქალაქური დარბაზი⁴⁶ თბილისში და სხვა, რაც ინტერიერის ამგვარი დამუშავების სურათს დროის ხანგრძლივ მონაკვეთში აჩვენებს, გვიანი შუა საუკუნეებიდან XIX ს-ის ჩათვლით. ზემოხსენებული ნიმუშებისგან განსხვავებით, აბესაძის ქ. №21 ერდოიანი ოთახის დაყოფა იარუსებად და მისი სივრცით-გეგმარებითი კომპოზიცია სხვა დანიშნულებაზე მიანიშნებს და ინტერიერის მხოლოდ მხატვრულ გაფორმებას არ ემსახურება. ქვედა იარუსის ნიშები საკმაოდ ღრმა უბეებს ქმნის და ფართის გავრცობას, სივრცის ფორმირებას ახდენს, რითაც ის ერთგვარად ეხმიანება აბანოების არქიტექტურას. ამ მოსაზრებას იატაკში ჩაღრმავებული აუზი და ზედა განათების არსებობაც მათებს დამაჯერებლობას. შესაძლოა, დამოუკიდებელი განიავების მქონე ამ სათავსოს შერეული ფუნქცია ჰქონოდა და საპირფარეშოს დანიშნულებითაც ყოფილიყო გამოყენებული. ამის პარალელად გამოდგება ვახტანგ ცინცაძის⁴⁷ მიერ მიკვლეული სახლი ავლევის შესახვევიდან. იგი აღნიშნავს, რომ თბილისის სახლების აგურის კამაროვან მიწისქვეშა მცირე სათავსოებში იდგმებოდა ჭურჭელი უწმინდურობის შესაგროვებლად, რომლის გატანაც პერიოდულად ხდებოდა.

განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა 2019 წელს, სახლის საცხოვრებელი სართულების დაშლის შემდეგ დიდი სარდაფის სამხრეთ კედელზე გარედან გაყოლებული, ერთმანეთში ჩამჭდარი რამდენიმე თიხის მილის გამოვლენა⁴⁸, რასაც წყალსადენის დანიშნულება უნდა ჰქონოდა (სურ.45) მილების მიმართულება ემთხვეოდა ერდოიანი ოთახის ადგილმდებარეობას. ვარაუდი მიწაში ღრმად ჩამჭდარი ამ სათავსოს შერეულ სანიტარულ ფუნქციაზე ამოუხსნელს ტოვებდა გამოყენებული წყლის გაყვანის პრობლემას. 2020 წელს, ერდოიანი სადგომის მახლობლად, საკმაოდ ღრმად ეზოში, აგურით ამოშენებული წრიული სამეურნეო ორმო გამოვლინდა (სურ.46). შესაძლებელია ორმო ნახმარი წყლის მიმ-

⁴⁴ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი პირველი, შეადგინეს: ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, თბ. 1962, საბუთი №14, გვ. 19-20

⁴⁵ ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I ტ., თბ., 1983, გვ. 219-221, 150, 233-237.

⁴⁶ Л. Сумбадзе, Грузинские дарбазы, Тб., 1960, таб.4, таб.28

⁴⁷ В. Цинцадзе, Тбилиси, 1958, Тб. 1958, გვ.107, таб.31

⁴⁸ არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიშები: 29.07.2019 და 23.08.2019, რომელიც იწახება თბილისის განვითარების ფონდში.



სურ.45. გ. აბესაძის ქ. №21, XVII ს-ის სარდაფის სამხრეთ კედელთან გამავალი თიხის მილები, 2018



სურ.46. აგურით ამოშენებული ორმო XVII ს-ის სარდაფის გვერდით, 2019

ღები სისტემის ნაწილი იყო, თუმცა საკითხის ტექნიკური მხარის შემოწმების შესაძლებლობა ნაჩქარევად მიმდინარე პროცესების გამო არ გამოჩენილა. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოთქმული მოსაზრება არცთუ ისე დაუშვებლად გამოიყურება. თბილისის ძველ უბნებში დადასტურებულია წყალგაყვანილობის მილების, ქვისა და ქვითკირის წყალსაცავი აუზების და წყლის მიწოდება-სარგებლობის ჩამოყალიბებული წესების არსებობა⁴⁹. ფრანგი იუველირის, კომერსანტისა და მოგზაურის, ჟან შარდენის ცნობით XVII ს-ის შუა წლების თბილისში ხალხი უფრო მეტად სამკურნალო თვისებების ცხელი გოგირდის მინერალურ წყლებზე გამართულ აბანოებს ეტანებოდა, თვით ქალაქში კი, აბანოები ცოტა ყოფილა⁵⁰. გარდა დიდი საზოგადოებრივი აბანოებისა, ქალაქის სხვა უბნებში პატარა კერძო აბანოებიც არსებობდა; ყოფილა „...დუქნები, რომელთა ქვეშ აბანოებიც კი იყო გამართული⁵¹“-ო. სავარაუდოა, რომ შეძლებულ პირთა საცხოვრებელ სახლებშიც ყოფილიყო საოჯახო დანიშნულების აბანო, თუ სააბაზანო ოთახი და აქ, სწორედ მსგავს შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე. ამ თვალსაზრისის გვიმყარებს 1708 წლის გასამყრელო საბუთი, სადაც ძმებს შორის გასაყოფი ქონების ჩამონათ-

ვალში იხსენიება „ჰაუზხანა თავისი თალიანი ოთახითა“⁵², რაც, ესადაგება ჩვენი საკვლევი სადგომის ფუნქციის და აგებულების დახასიათებას და საგულისხმო ცნობას წარმოადგენს მისი იმდროინდელი სახელწოდების განსაზღვრისთვისაც⁵³.

ამგვარად, აბესაძის ქ. №21 შენობათა ჯგუფის შესწავლამ ქალაქური საცხოვრებლის არქიტექტურული და სტრუქტურული გადაწყვეტის სამ-ოთხსაუკუნოვანი განვითარების სურათი გამოავლინა. შესაძლებელი გახდა სამეცნიერო ლიტერატურისთვის არსებითად უცნობი ნაგებობის ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე ცვლილებათა პროცესის კონტურების გამოკვეთა და უცნობი ისტორიის ზოგიერთი ფურცლის აღდგენა. ნაგებობათა კვლევის შედეგები, ბოლო პერიოდში თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში უკვე საკმაოდ მრავლად გამოვლენილ სხვა მსგავს ნიმუშებთან ერთად, არსებითად ცვლის და ამსხვრევს დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის უწყვეტი საქალაქო ცხოვრების მიუხედავად, თბილისში ძველი საცხოვრებელი სახლები არ შემონახულა და მრავალრიცხოვან ბუნებრივ კატაკლიზმებს, თუ მტრის შემოსევებს მხოლოდ საკულტო, ან საფორტიფიკაციო ნაგებობები გადაურჩა.

⁴⁹ მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გაყვანილი სახე XVIII საუკუნეში*, თბ., 1965, გვ. 74-77

⁵⁰ ჟ. შარდენი, *მოგზაურობა საქართველოში*, თბ., 1935, გვ.95

⁵¹ მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბ., 1965, გვ.67

⁵² *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.)*, წიგნი პირველი, შეადგინეს: ნიკო ბერძნიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა, თბ. 1962, საბუთი #66, გვ. 74-75;

⁵³ „ჰაუზხანა“ იმ დროის თბილისის ყოფაში დამკვიდრებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობის სახელწოდების მსგავსად (მაგ. „სირაჯხანა“-ღვინის სახლი), ასევე, სპარსულიდან შემოსული სიტყვაა: - „**هــاـوـز**“ - подвальное помещение в доме или при мечети, в котором имеется небольшой бассейн“.. *Рубинчик Ю.А. Персидско-русский словарь*, т.1, М., 1970, გვ.521.



ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ახლად გამოვლენილი სადგომი, ფოტოგრამეტრიული 3D მოდელი.

ბ. ახოსპირელის I ჩიხი / ბ. ახოსპირელის II ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3

ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა ლადო გუდიაშვილის მოედნის დასავლეთიდან იღებს სათავეს, სამ ვიწრო ჩიხად იშლება და ლადო ასათიანის ქუჩამდე გრძელდება¹. მისდამი პერპენდიკულარულად მიმართულ, სწორხაზოვნად განვითარებულ პირველ ჩიხს ორივე მხარეს უწყვეტად გაუყვება შენობათა რიგი, იმის მიღმა კი შალვა დადიანის ქუჩის საცხოვრებელი სახლების წყებაა, რომელთა ეზოები გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე განაშენიანების მხარეს გამოდის. შ. დადიანის ქუჩის სახლები გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ჩიხების მოკრძალებული ზომის შენობებისაგან განსხვავებით, მობრძლი საცხოვრებელი სახლებისგან შედგება.



სურ.2. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, ჭიშკარი და მიმდებარე საცხოვრებელი სახლები.



სურ.1. ბ. ახოსპირელის II ჩიხი, საერთო ხედი.

ბ.ახოსპირელის პირველი ჩიხი შ.დადიანის ქუჩის, №22 საცხოვრებელი სახლის (ამჟამად დანგრეული) ეზომდე გრძელდება. ამ ორ სივრცეს შორის არსებულ ზღვარს კი ჩიხის ორივე მხარეს მდგარი ბოლო საცხოვრებელი სახლები და მათ შორის ჩასმული ლითონის გისოსებიანი ჭიშკარი წარმოადგენს, რომლის სწორკუთხა ჩარჩოს გვერდითი ამყოლები ქვის კვადრებისაგანაა შედგენილი, ხოლო არქიტრავი აგურისაა.

ძველი თბილისის ამ ნაწილის შესახებ, საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოქვეყნებული პუბლიკაციის მიხედვით, „დასავლეთის კედელი ქალაქისა სოლოლაკის მთიდან იყო ჩამოშვებული და მოდიოდა ეხლანდელი ველიამინოვისა და პუშკინის ქუჩამდე... შიშიანობის გამო მცხოვრებლები ქალაქის კედელს არ სცილდებოდნენ, ამიტომ შიგ ქალაქში სივინროვე იყო და მამული ძვირად ფასობდა. ნელ-ნელა გაქრა შიშიანობა და გაშენდა და გადიდდა ქალაქიცა“². ტექსტში XVIII-XIX სს-ის მიჯნის თბილისის დასავლეთ საზღვარზეა გამახვილებული ყურადღე-

¹ XIX ს-ის რუკების და საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ახლანდელ ბ. ახოსპირელის ჩიხებს მოლნინის შესახვევი ან უბრალოდ, ჩიხი (глубокий переулок) ერქვა.

² საქართველოს კალენდარი 1905 წლისა, ტფ., 1904, გვ. 237.



სურ.3. თბილისის პირველი პანორამული ჩანახატი, ფრაგმენტი.

ბა, მოხსენიებულია ველიამინოვის, ანუ დღევანდელი შ. დადიანის ქუჩა, რომლის იქით სამეფო და დიდგვაროვანთა ბაღები იყო გაშლილი. თბილისის პირველ პანორამულ ჩანახატზე, რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებშია შესრულებული, კარგად მოჩანს მაღალი ხეების ფონზე გამოსახული ქონგურებიანი გალავანი და მჭიდრო განაშენიანება³ (სურ.1-3).

ბ. ახოსპირელის I და II ჩიხებს შორის იდგამცირე ზომის, ერთი შეხედვით, უსახური, მრავალჯერ გადაკეთებული და საკმაოდ დაზიანებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მკვლევართა ყურადღებას იქცევდა. როგორც შემდეგში გაირკვა, შენობა მიმდებარე განაშენიანების მიწის ზევით შემორჩენილ ერთ-ერთ ადრეულ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელმაც XIX ს-ის მეორე ნახევარში არ იცვალა სახე.

2015 წელს, მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმის ფარგლებში მიმდინარე ინვენტარიზაციის დროს, შენობის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში გაჩნდა შეფასება მისი უძრავ ძეგლად აღრიცხვის შესახებ. მოვიყვანთ ამონარიდს აღნიშნული დოკუმენტის სხვადასხვა გრაფებში არსებული ტექსტებიდან:


“საცხოვრებელი სახლი ლ.გუდიაშვილის მოედნის და მისი მიმდებარე განაშენიანების ერთ-ერთი ძველი ნაგებობაა, რომელიც მნიშვნელოვანია გეგმარებითი, ურბანული და ადგილობრივ ტრადიციაზე დამყარებული სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით, შენობა იმსახურებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებას ... ნაგებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი რესტავრაცია”⁴.

2019 წელს, თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით შედგა საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტი. საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ნაგებობის მძიმე მდგომარეობის გამო, უნდა მოხდეს “შენობის მიწისზედა ნაწილის დაშლა და ხელახლა ამოყვანა, ხოლო სარდაფის შენარჩუნება და მისი გამაგრება-გაძლიერება”⁵. აღნიშნული პროექტი განხორციელდა, მაგრამ სარდაფის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, ძველი საცხოვრებელი სახლის ადგილზე ახლა 2022 წელს აგებული შენობა დგას. ახალი მშენებლობისთვის ტერიტორიის განმენდის დროს, რომელიც არქეოლოგიური ზედამხედველობით წარიმართა, გამოვლინდა წინა საუკუ-


³ სულხან სალაძე, *ძველი თბილისის ევროპული გრაფიურები*, თბ., 2020, გვ. 92.

⁴ ც. ჩაჩუნაშვილი, ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3, უძრავი ძეგლის პასპორტი, 2015 წ.

⁵ საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტის მთავარი არქიტექტორია გ. სულაბერიძე, საპროექტო კომპანია-არტსტუდო პროექტი, დოკუმენტაცია ინახება თბილისის განვითარების ფონდში.



ნახ.1. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ნახევარსარდაფი, გეგმა.



ნახ.2. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, პირველი სართული, გეგმა.



სურ.4. ლუნომრიანი სახლები ბ ახოსპირელის I ჩიხის დასაწყისში.



სურ.5. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ეზო, პირველი სართული.

ნეების სხვადასხვა სისრულით შემორჩენილი სამშენებლო ფენები, კერამიკული მასალა და საყოფაცხოვრებო ნივთები⁶, რაც ქალაქის უძველესი ნაწილის ფარგლებში მიმდინარე რთულ ისტორიულ პროცესებზე მიუთითებს.

ბ. ახოსპირელის I და II ვიწრო ჩიხების მწკრივად დალაგებულ ნაგებობათა რიგში ჩართული საკვლევია საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთით დგას მოედნისკენ მთავარი ფასადით მიმართული XIX ს-ის 80-იანი წლების შენობა (ბ.ახოსპირელის I ჩიხი / ბ. ახოსპირელის II ჩიხი №2/1), რომელმაც, როგორც ჩანს, აქ არსებული უფრო ძველი ნაგებობა ჩაანაცვლა. ამაზე მიუთითებს სარდაფის ერთ-ერთი სათავსის იატაკის დონეზე გამოვლენილი აგურის თაღის ზედა ნაწილი, რომლის ქვევით მიწაში ჩაფლული უფრო ძველი ფენები იგულისხმება. საკვლევია შენობის მეორე მხარე უკავია 2007 წელს აგებულ სახლს (პროექტის ავტორი პ.ძინძიბაძე). I და II ჩიხებს შორის მდგარ შენობათა რიგს ასრულებს XIX ს-ის შუა წლებში აგებული №7/8 საცხოვრებელი სახლი, რო-

მელიც უბნის ერთ-ერთ მხატვრულად ღირებულ ნაგებობას წარმოადგენს, სადაც თავი მოიყარა თბილისური სახლის ყველა დამახასიათებელმა ნიშანმა, როგორცაა: ანფილადური გეგმარება, გახსნილი ეზო, კლასიკური არქიტექტურული რეპერტუარის მხატვრული გადამუშავება და სხვა.

ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3 საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი 2020 წელს განხორციელდა. მანამდე, ეს იყო ორსართულიანი შენობა ხის სართულშუა გადახურვით, ეზოში განვითარებული ერთსართულიანი მკლავით (სხვენიტურთ) და სახლის მთლიანი ფართობის ქვეშ არსებული ნახევარსარდაფით, რომელიც ნაწილობრივ საცხოვრებლად გამოიყენებოდა. შენობა იდგა მართკუთხა ტრაპეციის მოხაზულობის მიწის ნაკვეთზე. მის გამრუდებულ სამხრეთ გვერდს მიუყვებოდა ნაკვეთის ზღვარზე გაყოლებული ფასადი, რომელიც მთელი სიგრძით იყო გაშლილი ბ.ახოსპირელის II ჩიხის მხარეს (ნახ. 1,2). სამშენებლო მასალას წარმოადგენდა კვადრატული აგური და

⁶ შენობის დემონტაჟს და მიწის სამუშაოებს ახლდა არქეოლოგიური ზედამხედველობა, რასაც ახორციელებდნენ არქეოლოგები: თათია ბუნურაძე და ლანა ჩოლოგაური.



სურ.6. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, აივნის სვეტის ძირი.



სურ.7. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ფანჯრის გაფორმება.

ხე, მოგვიანო შეკეთებები მოგრძო ფორმის აგურით იყო განხორციელებული.

საცხოვრებელი სახლი ორი მხრიდან უვლიდა მცირე ზომის ეზოს, რომელიც შელესილი ზღუდით და ლითონის ყრუ ჭიშკრით იყო გამიჯნული ჩიხიდან. ეზოში განვითარებული მკლავი ვიწრო ფასადით გადიოდა I ჩიხის მხარეს. შენობის აღმოსავლეთ კიდურა ნაწილში გატანილ მოაჭირიან ხის კიბეს ერთ მხარეს ორი შეფიცრული სათავსი აუყვებოდა, რომლებსაც კიბისავე საფეხურებიდან ჰქონდა შესასვლელი. პირველი სართულის აივნის ფარგლებში, მის აღმოსავლეთ კიდურა ნაწილში არსებული ორფრთიანი კარიდან იწყებოდა მეორე სართულზე ასასვლელი დახურული კიბის უჯრედი. აქედან კი შუშაბანდში მოქცეული ხვეული კიბის ავლით, რომელიც ძირითადი კორპუსიდან ნაშვერით იყო გადმონეული ეზოს მხარეს, მეორე სართულის შემინულ აივანზე შეიძლებოდა მოხვედრა. პირველი სართულის და ეზოს სიღრმეში განვითარებულ მკლავის გასწვრივ ერთ რიგად დალაგებულ ოთახებს შესასვლელი ღია აივნიდან ჰქონდა. ხოლო ზედა სართულზე ამ ფუნქციას შუშაბანდი ასრულებდა.

პირველი სართულის აივნის შელესილ და შეთეთრებულ ფასადზე გამოდიოდა პროფილირებულ საპირეში ჩასმული მშვილდათაღიანი კარის და ფანჯრის ღიობი, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა თავდაპირველი დარაბები. პირველი სართულის ღია აივნის სიძველეებიდან გადარჩენილი იყო მწყობრი პროპორციის ხის სვეტი დორიული ორდერის დამახასიათებელი ელემენტებით (სურ.4-7).

ეზოს სიღრმეში განვითარებული მკლავის თავდაპირველი სახის ერთადერთ გადარჩენილ დეტალს სახურავის ქვეშ ჰორიზონტალურად გაყოლებული ხის კრონშტეინების მწკრივი წარმოადგენდა, რომლებიც ხისავე ჰორიზონტალურ ძელზე იყო დაბჯენილი. ამ დეტალის მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად აღნიშნულ მკლავსაც ღია აივანი ჰქონდა.

ჩიხის მხარეს გამომავალ სახეცვლილ ფასადზე განლაგებული იყო სარდაფის ორი მცირე სარკმელი და პირველი სართულის ფართო ფანჯარა, ხოლო დახრილ სახურავში მოქცეულ სხვენში მცირე სარკმელი იყო გაჭრილი. საცხოვრებელი სახლის ეზოში უცხო სხეულებით იყო ჩაჭედილი უსახური, გვიანდელი მინაშენები.



სურ.8. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ფასადი, ახოსპირელის II ჩიხის მხრიდან, საერთო ხედი, 2015 წ.



სურ.9. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, აგურის წყობით გამოყვანილი „საჭეჭი ქვით“ დასრულებული პირველი სართულის ღიობი, 2015 წ.



სურ.10. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, მრგვალი კოჭის თავი და ხის სარტყლის ფრაგმენტი ფასადზე, 2015 წ.



სურ.11. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, პარალელურად გაყოლებული ხის სარტყლები ფასადზე, 2015 წ.

ახოსპირელის II ჩიხის მხარეს გაშლილი ფასადის მთავარ მაფორმირებელს აგურის ზუსტი წყობით შესრულებული კედელი და სარკმლის ღიობები წარმოადგენდა. ამ მხრიდან ნაგებობას შესასვლელი არ გააჩნდა. შენობის ქვედა დონეზე კედელს გაუყვებოდა პარალელურად გაყოლებული ხის სარტყლები, რომლებიც კედლის სიბრტყეზე გამჭოლად გამოსულ ხის მრგვალ

კოჭებზე იყო დაყრდნობილი. დაზიანების და გვიან გაჭრილი სარკმლების გამო ისინი ზოგან წყდებოდა. შენობის ძირში, მიწის პირზე ამოდიოდა სწორკუთხა მოყვანილობის, აშკარად გვიან გაფართოებული ორი მოზრდილი ფანჯარა და მცირე ზომის ამოქოლილი სარკმელი.

პირველი სართულის კედლის სიბრტყე დანაწევრებული იყო სხვადასხვა მოყვანილობის



სურ.12. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, პირველი სართულის ღიობები ფასადზე, 2019 წ.



სურ.13. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, პირველ და მეორე სართულებს შორის არსებულ საფეხურზე დაყრდნობილი სწორკუთხა შევრილი და მიმდებარე ღიობები მეორე სართულზე, 2015წ.



სურ.14. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ნახევარსარდაფის დასავლეთი ნაწილის ბრტყელი გადახურვა, 2015 წ.

ფანჯრის 6 ღიობით, ერთ-ერთი მათგანი შევსებული იყო აგურის წყობით. ღიობებს თავსა და ბოლოში უწყვეტად გასდევდა კედლიდან შვერილი აგურის ერთი წყება რიგი. ფასადზე არსებული სარკმლებიდან მხოლოდ ერთადერთ ფანჯარას ჰქონდა შერჩენილი თავდაპირველი მოყვანილობა. ეს იყო აგურის წყობაში გამოყვანილი სოლისებრი „საჭექი ქვით“ დასრულებული სწორკუთხა ღიობი. დანარჩენ ფანჯრებს შეცვლილი ჰქონდა თავდაპირველი სახე. შენობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ახალი აგურის წყობით განახლებული სამშენებლო ნაკერი დაუყვებოდა. პირველი სართულის ღიობების რიგს ასრულებდა უკიდურეს აღმოსავლეთ კიდეზე გამომავალი მცირე ზომის სწორკუთხა ღიობი (სურ.8-13).

ზედა სართულის ფასადი დანანევრებული იყო სახურავის შვერილი კოჭებიდან პირველ სართულამდე დაშვებული განიერი, კედლის სიბრტყესთან გათანაბრებული ხის ვერტიკალური ძელებით, რომლებიც ხუთ ნაწილად ყოფდა ფასადს. თითოეულ მათგანში კი მართკუთხა ფორმის ფანჯარა იყო ჩასმული. ამასთანავე, ზედა სართულის ფასადი ხის ჰორიზონტალურად გა-

ყოლებული ძელებითაც იყო დაყოფილი, რომლებიც ვერტიკალურთან ერთად, შენობის შემკვრელ ფუნქციას ასრულებდა და ფასადის მხატვრულ კომპოზიციაში მონაწილეობდა. ვერტიკალურ ძელებს შორის მოქცეულ ფანჯრების თავზე გაყოლებული ხის სართყელი ზოგან რამდენიმე სარკმელს აერთიანებდა. პირველ და მეორე სართულებს ერთმანეთისაგან გამოყოფდა 25-30 სმ-ის სიგანის საფეხური, რომელსაც ერთგან (აღმოსავლეთ ნაწილში) ეყრდნობოდა ბუხრის ზურგის მსგავსი სწორკუთხა შვერილი. შენობა სრულდებოდა ფასადზე გამომავალ გადახურვის შვერილ კოჭებს შორის დახრილად დალაგებული აგურის ერთი რიგით და რთული კონფიგურაციის ტეხილი სახურავით. ავარიულობის გამო, შენობის სარდაფის სრულად შესწავლა ვერ მოხერხდა. მის დასავლეთ ნაწილს, სადაც ეზოდან შეიძლებოდა მოხვედრა, იყენებდნენ საცხოვრებლად და სამეურნეო დანიშნულებით. აღნიშნული სადგომის ბრტყელი გადახურვა ხის სართყელზე დაბჯენილ მრგვალ კოჭებს ეყრდნობოდა (სურ.14).

საცხოვრებელი სახლის მეზობელი შენობის (ახოსპირელის II ჩიხი, №1/2) ეზოსკენ მიმარ-



სურ.15. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, გვერდითი ფასადი ნალესობის მოხსნამდე.


თული გვერდითი ფასადის პირველი სართული ცემენტის ნალესობით იყო დაფარული, ხოლო მეორე სართული – ნაწილობრივ ჩამოცვენილი კირნარევი სქელი ხსნარით. როცა ორივე სართულის ნალესობა მოიხსნა, გამოჩნდა, რომ პირველი სართულის გვერდით ფასადს ერთი პირი აგურით ამოყვანილი კედელი ფარავდა. ამ დამატებითი კედლის მოხსნის შემდეგ პირველ სართულზე გამოჩნდა აგურით ნაგები კედლის სიბრტყე, რომელზეც აშკარად იკითხებოდა ზედა სართულზე ასასვლელი კიბის ორი მარში. ხოლო ფასადზე გამოდიოდა კიბის გამჭოლი კოჭები და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხის სარტყლები. მეორე სართულის ნალესობის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა ჰორიზონტალურად დანყობილი ხის პანელებისაგან შემდგარი კედელი, რომელშიც ვერტიკალური ძელი იყო ჩართული. კიბის ორი მარშიდან ერთ-ერთი აივნისაგან ადიოდა ზედა სართულზე, ხოლო მეორე კიბე, მისი მდებარეობის მიხედვით, პირველი სართულის საცხოვრებელი სივრცეიდანვე უკავშირდებოდა ზედა სართულს (სურ.15,16). როგორც უკვე ითქვა, საკვლევი შენობა დაზიანებული იყო სიძველის, მრავალჯერადი გადაკე-



სურ.16. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, გვერდითი ფასადი ნალესობის მოხსნის შემდეგ.

თების და არასათანადო მოვლა-პატრონობის შედეგად, მაგრამ მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, ის გამოირჩეოდა უბნის საცხოვრებელი სახლებისაგან.

როგორც ცნობილია, ქალაქის ძველ ნაწილში მდებარე შენობის შეფასებისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მათ შორისაა წერილობითი წყაროები თუ ძველი გრაფიკული მასალები, რაც ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3 საცხოვრებელი სახლზე არ იძებნება, შენობის განსახილველად მხოლოდ 2015-2020 წწ-ში შესრულებული ტექსტური ჩანაწერები და გრაფიკული მასალა გვაქვს. საცხოვრებელი სახლის სამხრეთი ფასადის ადრინდელი მდგომარეობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის დ. ერმაკოვის მიერ სოლოლაკის ქედიდან გადაღებული XIX ს-ის 80-90-იანი წლების პანორამა, სადაც ნაწილობრივ იკითხება ახოსპირელის II ჩიხის მხარეს მიქცეული ფასადი. ფოტოსურათზე შენობის ორფერდა სახურავის კეხი მეორე სართულის სწორკუთხა შვერილის ასწვრივია მოცემული, ხოლო კალთები მის ორივე მხარეს გაჭრილი ფანჯრების ზემოთ ექცევა. ამავე სურათებზე მოჩანს ხის ძელით მონიშნული ამოშენებული ღიობი პირ-



სურ.17. დ. ერმაკოვი, თბილისის პანორამა, ხედი სოლოლაკის ქედიდან, 1880-იანი წწ.

ველ სართულზე, რომელიც ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი (სურ.23). ღიობის შევსებული მასის სამშენებლო მასალა და წყობა გვაფიქრებინებს, რომ მისი ამოქოლვა სახლის მშენებლობის პროცესშივე განხორციელდა.

საცხოვრებელი სახლის გეგმა ერთმაგ ანფილადს წარმოადგენდა და როგორც ამ ტიპის შენობებისთვისაა დამახასიათებელი, მწკრივად დალაგებულ ოთახებში ძირითადად აივნებიდან შეიძლებოდა მოხვედრა. როგორც ცნობილია, ანფილადური გეგმარების მქონე შენობები ტრადიციულია საქართველოსთვის. ვ. ცინცაძის მოსაზრებით, ამ ტიპის საცხოვრებლები თბილისში ძირითადად XIX საუკუნის პირველი ნახევრის მეორე მეოთხედიდან, ამავე საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით შენდებოდა. მას საფუძვლად დაედო საქართველოში არსებული IX-X საუკუნეების სასახლეების მშენებლობაში დამკვიდრებული სტრუქტურა, რომელიც XVIII ს-ის დასასრულამდე გაგრძელდა⁷.

აღნიშული ტიპის შენობებმა საუკუნეებს გაუძლო, განვითარდა და XIX ს-ში ქალაქური საცხოვრებლის ძირითად სახედ იქცა⁸. ცხადია, ამ პროცესში მათი არქიტექტურაც იცვლებოდა. მაგალითად, გვიანი შუა საუკუნეების სასახლეების ზურგის მხარეს ღიობები არ კეთდებოდა, ცალფრონტიანი ანფილადური შენობების აგება XIX საუკუნეშიც გაგრძელდა⁹, მაგრამ პარალელურად შენდებოდა საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც გრძივი ფასადის ორივე მხარეს ჰქონდა ღიობები¹⁰. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ორ ჩიხს შორის მოქცეული ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3 საცხოვრებელი სახლი.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაგებობის სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა ხის ორი კიბით, რომელთა სწორკუთხა კოჭები გამჭოლად გამოდიოდა პირველი სართულის განივ ფასადზე. ერთ-ერთი კიბის უჭრედი აივნის ფარგლებში იყო განთავსებული, მეორე კი შესაძლოა კედ-

⁷ В. Цинцадзе, *Тбилиси*, 1958, გვ.80.

⁸ ლ. რჩელიშვილი, საბა ტუსიშვილის სასახლე სოფელ ნინოწმინდაში, *ქართული ხელოვნება*, №3, თბ., 1950, გვ. 243-245.

⁹ ვ. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება*, ტ. I, 1983, გვ. 246-250.

¹⁰ ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917*, ტ.1, თბ.,1960, გვ.69.



სურ.18. გ. აბესაძის ქუჩა, საცხოვრებელი სახლი №19, ოთახი ჭერის ჩამოქცევის შემდეგ.



სურ.19. ბ. კუფტინის ქუჩა, საცხოვრებელი სახლი №4 ეზოს ფლიგელი, მეორე სართული.

ლის სისქეში იყო დატანებული, რომელიც რაღაც პერიოდში უნდა გაეუქმებიათ. ბოლო ხანებში მის სავარაუდო ადგილზე სველი წერტილი იყო გამართული, რომლის მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელი შენობის ფასადზე გადიოდა ბ.ახოსპირელის II ჩიხის მხარეს. თავდაპირველად ის ალბათ, ყრუ ნიშას წარმოადგენდა, სადაც სანთელი იდგმებოდა.

ცალკე საკითხია იყო თუ არა საცხოვრებელი სახლის მეორე სართული პირველის თანადროული. ხომ შესაძლოა, ზემოთ აღნიშნული კიბის ორივე მარში ამჯერად აღარ არსებულ ბანზე აღიოდა და არა ზედა სართულზე. თუმცა გვერდითი ფასადის ერთიანი წყობა ორი სართულის თანადროულობაზე მიანიშნებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად ბანს არ შლიდნენ და თუ მოგვიანებით შენობას დახრილ სახურავს უკეთებდნენ, ან დამატებით სართულს ადგამდნენ, ბანი შენობისავე ტანში რჩებოდა. ჩვენ საკვლევ უბანში ასეთი სურათის მომსწრე გავხდით გია აბესაძის №19 საცხოვრებელ სახლში,

სადაც ბანი მას შემდეგ გამოჩნდა, როდესაც ოთახში ჭერი ჩამოიქცა.

ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3 სახლის ზედა სართულის ფასადის გადაწყვეტას განაპირობებდა აგურის წყობაში ჩართული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხის ძელები, რომლებიც კედლის სიბრტყესთან იყო გათანაბრებული. კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ამ ხერხს მხატვრული დატვირთვაც გააჩნდა და განსაზღვრავდა ფასადის სახეს. დიმიტრი თუმანიშვილი ამგვარ გადაწყვეტას ევროპული „ფახვერკის“ მსგავს აგურით შევსებულ ძელოვანი კარკასის მქონე შენობების წყობას ადარებს¹¹. ჰორიზონტალური ხის სარტყლები ხშირია თბილისის ძველ საცხოვრებელ სახლებში¹², უფრო იშვიათია, როდესაც ისინი ვერტიკალურთან ერთდროულადაა მოცემული ერთ შენობაში. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერტიკალური ძელები გამოყენებულია ბ.კუფტინის №4 საცხოვრებელი სახლის ეზოს ფლიგელის მეორე სართულზე (სურ.18,19).

¹¹ დ. თუმანიშვილი, სად არის თბილისი დომენტი კათალიკოსის სასახლე, *ომეგა*, №7, 2001, გვ.28.

¹² ხის სარტყლების კონსტრუქციულ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას ვ. ბერიძე, იხ., ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917*, ტ.1, გვ.105.



სურ.20. დ. ერმაკოვი, თბილისის პანორამა, 1893 წ.



სურ.20. დ. ერმაკოვი, თბილისის პანორამა, 1893 წ. ფრაგმენტი.

რა პერიოდიდან შენდებოდა ამ კონსტრუქციის მქონე შენობები თბილისში? შევითხვამე პასუხის გაცემა გაგვიადვილდება თუ მოხერხდება მსგავსი ნაგებობის რომელიმე ისტორიულ ფაქტთან დაკავშირება. ამ მიზნით მოვიშველიებ დომენტი კათალიკოსის სასახლეს, რომელიც მოჩანს რუსი მხატვრის ნიკანორ ჩერნეცოვის 1830-იანი წლების ჩანახატზე და დი-

მიტრი ერმაკოვის პანორამულ ფოტოებზე. რუსუდან გვერდნიტელის და დიმიტრი თუმანიშვილის პუბლიკაციების მიხედვით, ანჩისხატის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარის მაღალ ნაპირზე იდგა დომენტი კათალიკოსის XVII ს-ის სასახლე, რომელიც 1795 წლის დარბევის დროს მნიშვნელოვნად შეილახა¹³. XIX ს-ის დასაწყისში ის განაახლეს და ახალი სართული დაადგეს. სწორედ ამ გვიანდელი ნაწილის ფასადს დაუყვებოდა ვერტიკალური ძეგლები. დომენტი კათალიკოსის სასახლის გვიანდელი მდგომარეობის ასახულობა კარგად მოჩანს დ. ერმაკოვის პანორამულ ფოტოსურათებზე (სურ.20). ასეთივე სახით მოჩანს ის ჩერნეცოვის მიერ XIX ს-ის 30-იან წლებში შესრულებულ ჩანახატზე, რაც მიანიშნებს, რომ მსგავსი სტრუქტურის საცხოვრებელი სახლები თბილისში XIX ს-ის პირველი ათეული წლებიდანვე შენდებოდა.

არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ბ. ახოს-პირელის I ჩიხი №4/3 სახლს შუა საუკუნეების დროინდელ ქორედიან საცხოვრებელთან ჰქონ-

¹³ დომენტი კათალიკოსის სასახლის შესახებ იხ., რ. გვერდნიტელი, დომენტი კათალიკოსის სასახლე ძველ თბილისში, *ძეგლის მეგობარი* №60, თბ., 1982, გვ. 65-68; დ. თუმანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.27-29.

დეს ევოლუციური კავშირი, რომელმაც, შესაძლოა, გადამუშავებული სახით ახალ დრომდე მოაღწია. ვ. ცინცაძის მოსაზრებით, ამავე ტიპის საცხოვრებელს უკავშირდება ანფილადური საცხოვრებელი სახლები მეზონინით¹⁴. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, “ქორი თუმცა ზევითი სართულის სახელი იყო, მაგრამ მისი აგებულება განსხვავდებოდა იმ სართულის აგებულებისაგან, რომელზედაც ის იდგა. ჩვეულებრივ, ამ ქორში ზაფხულში იმყოფებოდნენ ხოლმე”¹⁵. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, აღნიშნულ ტერმინს სხვადასხვა განმარტება აქვს მათ შორისაა: “სახლზედ სახლი აგებული”¹⁶. გასათვალისწინებელია აგრეთვე მ. ბერძნიშვილის განმარტება, რომლის მიხედვით, ზედა სართულის ოთახს, რომელიც ქვედა სართულს შიგნითა კიბით უკავშირდებოდა, „ბალახანა“ ერქვა. ასეთი სადგომი შეიძლება ყოფილიყო საცხოვრებელიც და დუქანიც¹⁷.

თუ შენობას ზევიდან ქვემოთ მივყვებით, ბ.ახოსპირელის I ჩიხი №4/3 სახლის ზედა სართული XIX ს-ის პირველი ნახევრის 30-იანი წლების შემდგომ, ამავე საუკუნის შუა ხანებამდე პერიოდის უნდა იყოს; იმავე დროისაა პირველი სართული, ამავე II ჩიხის ფასადზე შერჩენილი სარკმლის თაცდაპირველი გაფორმება მიანიშნებს, რომელიც, რუსული მმართველობის მიერ შემოღებული „სავალდებულო ფასადების“ ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდა სტილიზებული „საჭეჭი ქვის“ სახით; ნახევარსარდაფი XVIII ს-ით შეიძლება დათარიღდეს. მის უჩვეულოდ განიერ კედლებთან ერთად, ამავე მიუთითებდა სამხრეთი ფასადის ძირში გაყოლებული პარალელური ხის ძელები და ფასადზე გამჭოლად გამომავალი მრგვალი კოჭები¹⁸.

როგორც უკვე ითქვა, საცხოვრებელმა სახლმა შემოინახა ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა მიხედვით, ის XIX ს-ის I ნახევარზე გვიან არ უნდა იყოს აგებული. ისიც აშკარაა,

რომ ნაგებობის სტრუქტურა ამ ადგილზე არსებულმა უფრო ძველმა სამშენებლო ფენებმა განაპირობა. XIX ს-ის პირველი ნახევარი და განსაკუთრებით მისი დასაწყისი ის დროა, როდესაც თბილისში მუშაობას აგრძელებდნენ ადრინდელი სამშენებლო ამქრები¹⁹ და შესაბამისად, იმდროინდელი ხელოსნები. ამ დროს ქართული საცხოვრებელი არქიტექტურა გადადიოდა განვითარების ახალ ფაზაში, რაც არაერთი ფაქტორით იყო განპირობებული. ვ. ცინცაძემ ის დაახლოებით XVIII ს-ის დასასრულით და XIX ს-ის დასაწყისით განსაზღვრა²⁰. ქვეყნის ცხოვრებაში ეს იყო გარდამტეხი ეტაპი, მაგრამ XVIII ს-ის შუა ხანებიდან საქართველოში დაწყებული ეკონომიკური წინსვლის პროცესი²¹ ჯერ ალამაჰად ხანის, ხოლო შემდეგ რუსული მმართველობის დამყარებამ შეაფერხა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ქალაქური საცხოვრებლის განვითარებას.

XIX ს-ის დასაწყისიდან თბილისური საცხოვრებელი დაადგა საერთო ევროპული არქიტექტურის განვითარების გზას²². XIX ს-ის პირველ ათეულ წლებში, თბილისში ჩასულმა ყველა მოგზაურმა შეამჩნია, რომ ქალაქი ევროპული მოდელის მიხედვით შენდებოდა²³. თუმცა, ადგილობრივმა სამშენებლო ტრადიციამ ამ პროცესს თავისი კვალი დაატყო, რაზეც ზემოთ განხილული მცირე ზომის საცხოვრებელი სახლის მაგალითიც მიანიშნებს. სავარაუდოა, რომ მისი მშენებლობის დროს ახლანდელ ლ. გუდიაშვილის მოედანზე და მის ირგვლივ ყალიბდებოდა ადრეულ სამშენებლო ფენებზე დამყარებული ახალი განაშენიანება.

* * *

ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3 საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის დროს (2020 წ.), რომელიც არქეოლოგების ზედამხედველობით ხორციელდებოდა, აღმოჩნდა წინა საუკუნეების მი-

¹⁴ В. Цинцадзе, *დასახ. ნაშრ.*, გვ.73.

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, ტ. I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 16-17.

¹⁶ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. II, თბ., 1993, გვ.231.

¹⁷ მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბ., 1965, გვ.66.

¹⁸ ნაგებობის ზოგიერთი თავისებურება ძველი სამშენებლო ფენებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომლებიც შენობის არსებულ სტრუქტურაში იყო შეჭრილი. მათი განმარტებისათვის აუცილებელი დეტალური ანგარიშები არ არსებობს.

¹⁹ ვ. ბერიძე, *ქართული ხელომოდერების ისტორია*, თბ., 2014, გვ. 387.

²⁰ ვ. В. Цинцадзе, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 72.

²¹ ა. თაბუაშვილი, *ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია*, თბ., 2020, გვ. 202, 245-246, 255.

²² გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, *ქართული არქიტექტურის განვითარების გზები*, ტფ., 1936, გვ.145.

²³ ი. ნაჭყებია, გ. სანიკიძე, *ფრანგი მოგზაურების ცნობები თბილისის შესახებ (XIX ს-ის პირველი ნახევარი)*, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, X, 2017, გვ. 282. სქ. 36.



სურ.21. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ადრეული სამშენებლო ფენების გამოვლენის პროცესი.



სურ.22. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ძველი სადგომის კიბის საფეხურები და იატაკის ფრაგმენტი.



სურ.23. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, რიყის ქვით მოკირწყლული შუა საუკუნეების ქუჩის დონე ქვაბულის ჭრილში

ნით დაფარული სამშენებლო ფენები, რომლებიც ინმინდებოდა, პარალელურად, შეძლებისდაგვარად, უტარდებოდა სარესტავრაციო სამუშაოები ხოლო ნაპოვნი არტეფაქტები აღირიცხებოდა და საცავში ინახებოდა (სურ.21-27). ცხადია, გეგმაზომიერი გათხრების გარეშე რთულია სტრატეგრაფიის შეუცდომლად დადგენა, მაგრამ საერთო სურათის წარმოდგენა შესაძლებელია. სამუშაოების პროცესში გაირკვა, რომ სხვადასხვა დონეზე დაფიქსირებული უკლებლივ ყველა იატაკი კვადრატული აგურით იყო მოგებული. მათი ზომები, ზედა ფენიდან დაწყებული სიღრმისკენ მიმართული, შემდეგ ფარგლებში მერყეობდა: 22X22X4 სმ.; 25X25X3,5 სმ. ქვედა ფენებზე დაფიქსირდა დიდი ზომის (36X26X6 სმ.) სწორკუთხა მოხაზულობის რამდენიმე აგური და კიბის საფეხურები, რომელიც 27X27X6 სმ. აგურითაა ნაგები.

ცნობილია, რომ სამშენებლო ფენების მხოლოდ აგურის ზომების მიხედვით დათარიღება რთულია, რადგან შეიძლება ის სხვა შენობიდან იყოს ამ ადგილზე მოხვედრილი²⁴, რაც განსაკუთრებით დიდი ზომის აგურებზე უნდა ითქვას²⁵. დამკვიდრებული თვალსაზრისით, ერთი ზომის აგურის გამოყენება უმეტესად დამახასიათებელია მთლიანად აგურით ნაგები შენობებისთვის²⁶. მაგალითად, ბოდბის ტაძრის უადრესი ფენისთვის (IX ს-ის დასასრული) ძირითადად 27X27X6 სმ. აგურია გამოყენებული, ხოლო ამავე ბაზილიკის XII ს-ში განახლებულ ნაწილში კი 24X24X6 სმ. ზომის აგურია ნახმარი²⁷. ლ.გუდიაშვილის მოედნის დომინანტური ნაგებობის, მოღნისის ეკლესიის რეაბილიტაციის დროს მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა XIII-XIV სს-ის აგურით ნაგები (ზომები: 22X22X4 სმ.; 23X23X4,5სმ.)

²⁴ დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია, *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში*, თბ., 2012, გვ.211

²⁵ ი. გრძელიშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლთა „ქართული აგურის“ დათარიღების ცდა, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. IX, №8, თბ., 1948, გვ. 632.

²⁶ ჯ. ჭლამია, *სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში*, თბ., 1980, გვ. 43.

²⁷ ც. ჩაჩხუნაშვილი, ნ. ზაზუნაშვილი ბოდბის ტაძრის რესტავრაციის შედეგები, *საქართველოს სიძველენი*, №7-8, თბ., 2005, გვ. 64-80.



სურ.24. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, გვიანი შუა საუკუნეების სადგომის მთავარი სივრცე სხვადასხვა პერიოდის იატაკის ფენების დონეების ჩვენებით.

ეკლესიის ფრაგმენტები²⁸.

ბ.ახოსპირელის I ჩიხი №4/3 საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის დროს მიმდინარე მიწის სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ფენების უცვლელად შენარჩუნება ვერ მოხერხდა, მათი კონსტრუქციულად არამდგრადი ნაწილები გადაეწყო. ამასთანავე, უნდა მომზადებულიყო სამშენებლო მოედანი ახალი შენობისთვის. თბილისის განვითარების ფონდთან შეთანხმებით, მიწის სამუშაოების დროს გამოვლენილი რესტავრირებული არქიტექტურული სტრუქტურები და კვადრატული აგურით მოგებული სხვადასხვა პერიოდის იატაკები სტრატეგრაფიული მიმ-

დევრობით განთავსდა ახლად აგებული შენობის ნახევარსარდაფის ქვევით, ბეტონის კონსტრუქციებს შორის (სურ.28-31). აღნიშნულ სივრცეში წარმოდგენილი სურათი გვიჩვენებს არა მარტო კონკრეტულად ამ სახლის, არამედ ქალაქის რთულ ისტორიას. როგორც ჩანს, წინა საუკუნეებში არსებულ ნაგებობათა ხშირი ნგრევა-გადანგვის შემდეგ, იმავე ნაკვეთის ფარგლებში მოსწორდებოდა ტერიტორია, რის დროსაც ხშირად ადგილზე რჩებოდა ძველი იატაკი და ამის შემდეგ იწყებოდა ახალი მშენებლობა²⁹.

ეტაპობრივად მიმდინარე განმედიტი სამუშაოების შედეგად, რამაც ნულოვანი დონიდან

²⁸ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები გ. მირცხულავა (გათხრების ხელმძღვანელი) და კ. წერეთლი. იხ., გ. მირცხულავა კ. წერეთლი, მოლნისის ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა-ძიების პირველი ეტაპის შედეგები, ხელნაწერი, თბ., 2010, მასალა დაცულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

²⁹ პროცესის საილუსტრაციოდ, მოგვყავს ამონარიდი 2020 წლის ივნისის არქეოლოგიური ანგარიშიდან, რომელიც შესრულდა თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით, ავტორი, თ. ბუნურაძე: „არქეოლოგიური განმედიტი სამუშაოები გაგრძელდა ახოსპირელის №2/4 შენობის ტერიტორიაზე გამოვლენილ სარდაფებში. როგორც ჩანს, აქ სივრცე რამდენიმე ნაწილად იყოფა სხვადასხვა პერიოდის შენობა-ნაგებობების ნაშთებით. 2/4-ის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს №1 შეისრულთაღოვანი სარდაფი, რომლის კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ქვემოთ 40-50 ს-ის სისქის რიყის და თლილი ქვების საძირკველია. საძირკვლის ქვემოთ ფიქსირდება ნაყარი და ნახანძრალი (პირობითად №1) ფენა. ამ შენობის საძირკვლის ამოყვანისას დაუზიანებლად გადარჩა მის ქვეშ არსებული ადრეული პერიოდის შენობის აგურის იატაკი ... თაღის ქვეშ ფიქსირდება დაახლოებით 40 სმ-ის სისქის ნაყარი ფენა. აღნიშნული ფენა შეიცავს ნახშირს, აგურს, კრამიტებისა და სხვა მასალის ჩანარებს. ნაყარი ფენის ქვემოთ დაახლოებით ნახევარი მეტრის სისქის აგურისა და დიდი ქვების წყობაა (საძირკველი?) ... “.



სურ.25. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, გვიანი შუა საუკუნეების სადგომის დასავლეთი კედელი.



სურ.26. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ნიშა გვიანი შუა საუკუნეების სადგომის დასავლეთი კედლის თალი



სურ.27. ბ.ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, გვიანი შუა საუკუნეების სადგომის აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი.

დაახლოებით -5 მ-მდე ჩასვლა მოითხოვდა, დაფიქსირდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მეტნაკლებად შემონახული სამშენებლო ფენები და კერამიკული ნაწარმი, მათ შორის აღსანიშნავია თიხის მცირე ზომის ფიგურის ფრაგმენტი, ერთ-ერთი იატაკის ქვეშ გამოვლენილ ორმოში (დიამეტრი - 1,18 სმ., სიღრმე - 2.10 სმ.) დაფიქსირდა ადგილობრივი და იმპორტული თითქმის დაუზიანებელი კერამიკული ნაკეთობები და საყოფაცხოვრებო ინვენტარი. როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ნივთები დაახლოებით XI-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება. გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული ორმო შესაძლოა კერამიკული სახელოსნოს ნაწილი ყოფილიყო³⁰. ამავე პერიოდში გამოიკვეთა სამშენებლო ნაკვეთის აღმოსავლეთი მიჯნა, რამაც გავლენა იქონია ამ ადგილზე აგებულ გვიანდელ შენობაზე.


ბ. ახოსპირელის I ჩიხი №4/3 სახლის ნაკვეთზე გამოვლენილ სამშენებლო ფენებს შორის

მეტი სისრულით შემონახულია ნახევარსარდაფის ქვეშ მდებარე სადგომი, რომლის კედლები დაახლოებით 2 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი; აგურთან ერთად, მის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ირეგულარული ფორმის ზედაპირმოსწორებული ფლეთილი ქვები, რომლებიც უსისტემოდაა ჩართული წყობაში, ზოგან კი მორიგეობით ენაცვლება აგურის რიგებს (ნახ 3,4). ასეთი წყობა გვიანი შუა საუკუნეების საერო ნაგებობებისთვისაა დამახასიათებელი, რის მაგალითად მარტყოფის თუშმალიშვილების XVIII ს-ის კოშკი შეიძლება გამოდგეს³¹.


ძველი სადგომის კედლები შეისრულთაღიანი შეწყვილებული კედლის ნიშებითაა დანაწევრებული, რომელთა შორის მცირე ზომის სატრაქე ნიშებია ჩართული. ასეთი განლაგება უცვლელი ფორმულასავით მეორდება სათავსის სხვადასხვა კედელზე, რაც საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების საერო ნაგებობებისთვისაა დამახას-

³⁰ T. Butsuradze, An Attempt to Analyze Ceramic Assemblages and the Function of the Pit from Gudishvili Square, Springer Nature Switzerland AG 2024. M. F. Shahidan et al. (eds.), Urban Narratives: Exploring Identity, Heritage, and Sustainable Development in Cities, Advances in Science, Technology & Innovation, <https://doi.org/10.1007/978-3-031-48517-6-9>. გვ. 99-121.

³¹ ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, გვ. 83. მარტყოფის თუშმალიშვილების კოშკი.



ნახ. 3. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ახლად გამოვლენილი სადგომის გეგმა და სამშენებლო ფენები.



ნახ. 4. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ახლად გამოვლენილი სადგომი, ტრილი, ხედი ჩრდილოეთით.



სურ.32. 1. ბ.ახოსპირელის ქ. №7, საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული გამაგრების დროს აღმოჩენილი XVII ს-ის სადგომის ფრაგმენტი.

სიათებელი (სათავდაცვო-საცხოვრებელი კოშკები და სასახლეები). ინტერიერის მსგავსი ხერხებით დამუშავების ფრაგმენტები აღმოჩნდა ბ. ახოსპირელის №7 საცხოვრებელ სახლთან (სურ.28).

ბ.ახოსპირელის I ჩიხი №4/3-ის მიწისქვეშა სადგომი იმ დონემდე არ არის შემორჩენილი, რომ მისი გადახურვის ფორმა (ბრტყელი თუ კამაროვანი) დავადგინოთ, რაც მეტ სინათლეს შეიტანდა შეფასებაში. თუმცა სავარაუდოა, რომ შენობას შეისრული კამარა ჰქონდა, რაც გვიან შუა საუკუნეებზე მიანიშნებს. ახლად აღმოჩენილი სამშენებლო ფენები XVII-XVIII სს-ის უნდა იყოს.

სადგომის ფუნქციის განსაზღვრა რთულია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ის არ წარმოადგენდა საცხოვრებელს, თუმცა არც რიგითი სამეურნეო დანიშნულების სათავსი უნდა ყოფილიყო, უფრო მეტად ის სავაჭრო-სახელოსნოს


შეესაბამება. იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 საცხოვრებელ სახლში შემონახულ XVI-XVII სს-ის სათავსს (ნახ.5).

როსტომ მეფის შემდგომი (XVII ს.) პერიოდთან ამ ფუნქციის მქონე შენობებს დუქანი ერქვა³², რამაც ადრინდელი დასახელება (ფუნდუკი) შეცვალა. დუქნები სხვადასხვა ზომის შეიძლება ყოფილიყო. მაგალითად, კედელში დატანილ ნიშასაც დუქანი ეწოდებოდა და ამავე დროს, არსებობდა ორსართულიანი შენობები, რომლის ქვედა სართულზე დუქან-სახელოსნო იყო გამართული, ხოლო ზედა – საცხოვრებელს წარმოადგენდა³³.

ახოსპირელის II ჩიხი №3/4 საცხოვრებელი სახლი არ აღმოჩნდა გამონაკლისი ქალაქის უძველეს უბანში მდებარე ისტორიული შენობებისგან, რომლებიც შუა საუკუნეების საცხოვრებლის

³² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

³³ მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.



ნახ. 5. ბ. ახოსპირელის I ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №4/3, ახლად გამოვლენილი სადგომის გეგმის რეკონსტრუქცია და ლ.გუდიაშვილის მოედანი №6/1 საცხოვრებელ სახლში შემონახული ძველი სათავსის გეგმის არსებული მდგომარეობა.

ფრაგმენტებს და რიგ შემთხვევაში, თითქმის სრულად შემონახულ ინტერიერს, ან ფასადის დეტალებს მოიცავს. ასეთი მაგალითები აუცილებელია ქალაქური საცხოვრებლის განვითარების საერთო სურათის წარმოსადგენად. ნი-

ნამდებარე კვლევა იმასაც აჩვენებს, რომ რთულმა ისტორიულმა მოვლენებმა ხელი ვერ შეუშალა სამშენებლო ტრადიციის უწყვეტად განვითარებას და დროის ცვლილებებზე სწრაფ და შესაბამის რეაგირებას.




სურ.1. ლ. გუდიაშვილის მოედანი. 2025

ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და №7/3 შენობები

შუა საუკუნეების დროინდელი ვიწრო ქუჩებითა და მიხვეულ-მოხვეული ჩიხებით დაქსელილი საკვლევ უბნის განაშენიანებაში ყურადღებას იქცევს ყოველი მხრიდან გამოყოფილი სამკუთხა „კუნძული“ მოლნისის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესა და ლ. გუდიაშვილის მოედანს შორის (სურ.1), რომელიც 1800 წლიდან ყველა ისტორიულ რუკაზე მკაფიოდ იკითხება. მასში სამი ნაკვეთი გამოიყოფა მცირე ეზოებიანი სამი საცხოვრებელი სახლით: ბ. ახოსპირელის ქ. №4, ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/3¹. მიუხე-

დავად იმისა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობებში ძველი მშენებლობის ფრაგმენტები უხვად შემორჩა, მათ შორის, №7/2 და №7/3 სახლები² განსაკუთრებით გამოირჩევა სიძველის ნაშთების სიმრავლითა და მრავალშრიანობით. ტრაპეციისმაგვარი, ირეგულარული მოხაზულობის მინის ნაკვეთზე მორგებული ეს შენობები განვითარების პროცესში ისეა ერთმანეთთან შეზრდილ-შეკავშირებული და ერთ მთლიანობად ქცეული, რომ მათ შორის საზღვრის გავლება ძნელია³.

ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და №7/3 შე-



ნახ. 1. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/3 და №2/7 შენობების I სართ. გეგმა

¹ ყველა ამ ნაგებობას აქვს ძველის სტატუსი.

² ამ შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი დაამუშავა ივოშოს საქართველოს სპეციალისტთა ჯგუფმა: მთ. არქიტ. მ.ბოჭორძე, არქიტ.-რესტ. ლ. ბოკუჩავა, ლ. შარტავა, ხელოვნებათმც. შენობათა თვალსაჩინო მდებარეობასთან ერთად, ძველი ფრაგმენტების სიმრავლემ განსაზღვრა იდეის ჩამოყალიბება, რომ აქ, თბილისის განვითარების ფონდის კუთვნილ ნაწილში მომხდარიყო ლ. გუდიაშვილის მოედანზე ჩატარებული რეაბილიტაციის დროს გამოვლენილი მასალების ამსახველი სამუშეო სივრცის მოწყობა, რაც არ განხორციელდებოდა.

³ აქ მდგარი ორი დამოუკიდებელი სახლის არსებობას ადასტურებს მოძიებული საარქივო პროექტი, რომელიც განცალკევებულად ეხება №7/3 ნაგებობას. თუმცა ამ ორი შენობის ერთმანეთთან შეზრდის გამო, ზოგიერთ დოკუმენტში, მაგალითად 2019 წლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტში ნაგებობები გამთლიანებულია და მითითებულია მისამართი №7/2. ამავე ნომრით, გაერთიანებულადაა წარმოდგენილი შენობათა ძირში გამოვლენილი ძველი ფენები არქეოლოგიურ ანგარიშებში.



სურ.2. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3 და №7/2 შენობების ფასადი, 2025

ნობების საერთო გეგმარებითი სტრუქტურის დაკვირვებით გაცნობისას გაირჩევა შეწყვილებული ორი თბილისური სახლი მთავარ საცხოვრებელ ბლოკზე მართი კუთხით მიდგმული დამხმარე ფლიგელებით. მიჯრით განლაგებულ შენობათა ფასადების ერთიანი ფრონტი სამხრეთიდან შემოსაზღვრავს მოედანს, ხოლო ეზოსკენ განვითარებული დამხმარე მკლავები ზურგის კედლებით ებჯინება ერთმანეთს (ნახ. 1). გვერდითი ფასადები და ეზოები კი, საპირისპირო მიმართულებით, ბ. ახოსპირელის ქუჩისა და ამავე სახელწოდების გასასვლელისკენ იხსნება.

ვიზუალური დაკვირვება და მოპოვებული მასალების (საარქივო ფოტოები, ნახაზები) ანალიზი აჩვენებს შენობათა ხანგრძლივ ტრანსფორმაციას XIX ს-ის შუა წლებიდან XX ს-ის დამდეგამდე, სართულების დამატების ჩათვლით.

მიწის ნაკვეთის ირეგულარული კონტურიდან გა-

მომდინარე, შენობები უმეტესად შეიცავს არასწორი გეომეტრიული მოხაზულობის, ბლავი და მახვილი კუთხეების შემცველ ოთახებს. სახლების საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე განვლილი ეტაპები და სამშენებლო პერიოდები მათ რთულ სივრცით-გეგმარებით აგებულებაში, განსხვავებულ მასალაში, ღიობების მოხაზულობასა და ფასადების მხატვრულ დამუშავებაში იკითხება. მიუხედავად არაერთგვაროვნებისა, ორივე სახლის ზოგადი აგებულება მსგავსია და გეგმარება ტრადიციულად ანფილადურია, რაც საცხოვრებლის გენეტიკურად ძირეულ და განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიან ტიპს წარმოადგენს⁴: დამხმარე ფლიგელში სათავსების ერთი რიგია, ხოლო ძირითადი ნაგებობები ორმაგი ანფილადის ტიპისაა, თუმცა გრძივი ღერძები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ადასტურებს კიდევ დამოუკიდებელ ნაგებობათა შემდგომ გაერთიანებას.

რელიეფის ქანობის გამო №7/3 შენობის სართუ-

⁴ საცხოვრებლის ანფილადურ გეგმარებაზე: ლ. რჩეულიშვილი, საბა ტუსიშვილის სასახლე სოფელ ნინოწმინდაში, *ქართული ხელოვნება*, №3, თბ., 1950, გვ.243; В. Цинцадзе, *Тбилиси*, 1958, გვ.80-81; ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, 1801-1917, ტ.1, თბ.,1960, გვ.69;




სურ.3. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, კიბეები ეზოსკენ, 2015

ლიანობა ცვალებადია და მოედნისკენ მიმართულ ორსართულიან ფასადს ბ. ახოსპირელის გასასვლელისა და ეზოსკენ ქვემოთ კიდევ ერთი საცხოვრებელი სართული ემატება. შესაბამისად, მთელ პერიმეტრზე არსებული სარდაფები გარკვეულ ნაწილში ორდონიანია.

როგორც აღინიშნა, ძირითადი და დამხმარე მკლავისგან შემდგარი გეგმა შუაში მოქცეული ეზო-



სურ.5. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, დამხმარე ფლიგელის უკანა კედელი, 2015



სურ.4. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, ღობე და ეზო, 2008

თი პასუხობს XIX ს-ის მანძილზე ფართოდ გავრცელებული თბილისური საცხოვრებლის ტიპს. ასევე, დამახასიათებელია მოედანზე გამოშვებული სადარბაზოებიანი, ევროპული ფასადების შეთანხმება ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით გადანაცვლებული ეზოს ფასადთან, სადაც სართულებს იარუსებად შემოსდევს მხატვრულად დამუშავებული, ხის სვეტებითა და ჭვირული მოაჭირებით გაფორმებული აივნები ხისავე, გადახურული კიბეების სისტემით. (სურ.2,3) ამავე პერიოდში გავრცელებული გადანაცვება ჰქონდა გახსნილი ეზოს ზღუდესაც, რომელიც აგურით ნაშენ დაბალ ბოძებს შორის ჩართული რკინის აფურული მესერით იყო დასრულებული.

რეაბილიტაციის დაწყებისას №7/3 სახლის დამხმარე მკლავი და კიბეები მთლიანად იყო ჩამონგრეული და ძველი აგურით ნაშენი გაშიშვლებული ზურგის კედელი მოჩანდა. დაშლილი იყო ეზოს აგურის ზღუდეც და ადგილზე აღარ ჩანდა დამასრულებელი რკინის მესერი და ჭიშკარი (სურ.4).

№7/3 ნაგებობაზე ვიზუალური დაკვირვება საცხოვრებელი სართულების სხვადასხვა სამშენებლო ეტაპებზე მიანიშნებს, რაც ღიობთა განსხვავებულ მოხაზულობაში, ინტერიერის დამუშავებაში და აივნების გადანაცვებაში იჩენს თავს. სავარაუდოდ, XIX ს-ის შუა წლებში უნდა იყოს აგებული მოედნისკენ გამოშვებული, პროფილირებულ საპირიანი მშვილდათალოვანი ფანჯრებით გახსნილი პირველი სართული, რომელიც საკმაოდ ღრმა სარდაფზეა დაფუძნებული. რელიეფის ქანობის გამო ეზოს მხარეს გა-



სურ. 6. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, ფასადის დამასრულებელი კარნიზი და პარაპეტი, 2015

მავალი უკანა რიგის ოთახები მეორე სართულის დონეზე გამოდის, ხოლო მათ ქვეშ მოქცეული, მთლიანად მიწის ზემოთ ამოსული სარდაფი პირველ საცხოვრებელ სართულად გვევლინება, რომელიც თავის მხრივ, ქვედა დონის სარდაფს ეფუძნება.

ჩანს, ამ პერიოდის მშენებლობას ეკუთვნოდა დამხმარე მკლავის მიწაში ჩამჭდარი ქვედა სართულიც, რომელიც რეაბილიტაციის დაწყებისას ჩამონგრეული იყო და მოჩანდა შეუღესავი აგურის უკანა კედელში მოწყობილი მაღალი, მშვილდათალოვანი განჯინებისა და ნახევარწრიულთალოვანი ნიშებისა და ბუხრების მონაცვლეობა (სურ.5).

შემდგომ ეტაპზე, მალევე უნდა მომხდარიყო მოედნისკენ პარაპეტით დასრულებულ ერთსართულიან სახლზე იგივე რიტმით განაწილებული თაღოვანი ფანჯრებით გახსნილი ზედა სართულის დაშენება, რომელიც თავიდან პროფილირებული სარტყლით, ხის დეკორატიული კრონშტაინების მწკრივით და შეფიცრულნაშვერიანი გადახურვით ყოფილა დასრულებული. მშენებლობის მომდევნო ეტაპზე პარაპეტის დამატების შედეგად ჩამოყალიბებულია დღეისთვის არსებული, ხის კრონშტაინებისა და პარაპეტის უჩვეულო შეთავსება (სურ.6). განსხვავება სართულებს შორის თვალსაჩინოდ ჩანს ეზოს მხარესაც. აქ, პირველი სართულის სადა, მრგვალსვეტებიანი აივნისგან განსხვავებით, ზედა სართულები მთელ სიგრძეზე, დამხმარე მკლავის ჩათვლით, კუთხეჩამოკვეთილი სუსტი სვეტებით და მათ შორის



სურ. 7. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, აივნის სვეტები I სართულზე, 2015

ჩართული აჟურული მოაჯირებითა და ფარდებით იყო გაფორმებული (სურ.7). სართულების განსხვავებული დამუშავება ინტერიერშიც იჩენს თავს და პროფილირებული კარნიზები მხოლოდ ქვედა სართულის ოთახებშია გამოყენებული.

დ. ნიკიტინის მიერ სოლოლაკის ქედიდან გადაღებულ თბილისის ერთ-ერთ უადრეს პანორამაზე (1864 წ.), კადრის უკიდურეს ქვედა მარჯვენა კუთხეში უკვე იკითხება მოედანთან მთელი სიმაღლით აღმართული №7/3 სახლის სახურავი. XIX ს-ის ბოლოსთვის, მაშინდელი აბას-აბადის მოედნისა და მოდინის შესახვევის კუთხეში მდებარე, საკვლევი ნაგებობის მდგომარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის საისტორიო **არქივში მოძიებული 1889 წლის პროექტი**⁵ (ნახ.2). ამ დროისთვის სახლის მფლობელ ივან დავითის ძე ხუდადოვს⁶ გათვალისწინებული პქონია მიშენება სამსართულიან სახლსა და ფლიგელზე. გეგმები საცხოვრებელი სართულების მიხედვითაა წარმოდგენილი, ჭრილებში ძირითადი საცხოვრებელი ბლოკის ქვეშ სარდაფები იკითხება, ცალკეა გამოტანილი ფლიგელის სარდაფის გეგმა. სხვა საარქივო პროექტთა მსგავსად, სარდაფის გრაფიკული გამოსახულებები არც აქ გამოირჩევა დოკუმენტური სიზუსტით, ის არც მოედნისკენ გამავალი სარდაფის ბრტყელი კამარის რეალურ პროფილს აჩვენებს და არც ფლიგელის სარდაფში არსებული ნიშებისა და ბუხრების თვალშისაცემ სიმრავლეს (სურ.8).

⁵ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.192, ანაწ. 8ა, საქმე №2584

⁶ ნახაზზე წარმოდგენილი გენგეგმიდან ვიგებთ, რომ ბ. ახოსპირელის (მაშინდელი მოდინის) ქუჩასა და გასასვლელს შორის მოქცეულ სამკუთხა „კუნძულზე“ მდებარე მომიჯნავე ნაკვეთების მფლობელები ყოფილან არეშოვი - მოედნისკენ⁶ და ყორღანოვი - ბ. ახოსპირელის ქ. №4-სკენ.



სურ. 8. დამხმარე ფლიგელის ერთი ოთახის უკანა კედელი რეაბილიტაციის შემდეგ, 2024

ნახაზებში ნათელი ფერის საღებავით გამოიყოფა მოედნის მხარეს მოქცეული ნაწილი, ანუ ერთმაგი ანფილადური გეგმა, რითაც ხაზგასმულია, რომ ამ ნაწილს ცვლილება არ განუცდია. ძნელია ზუს-

ტად განისაზღვროს რას ითვალისწინებდა პროექტი, თუმცა საფიქრებელია, რომ იგი ეზოს მხარეს მოქცეული უკანა რიგის ოთახების გადაგეგმარებას, ფლიგელისა და საცხოვრებელი ბლოკის აივნების ნაწილში მიშენებას და გარედან მიდგმული კიბეების სისტემის მოწყობას გულისხმობდა. მუქი ყავისფერი საღებავით აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული ჩარევა განსაკუთრებით მკაფიოდ შუა სართულზე იკითხება და შესაძლოა, ძველი, მრგვალსვეტებიანი აივნის აფურული ელემენტებით შეცვლაზე მიუთითებდეს, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი და რაც სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო.

№7/3 საცხოვრებელ სახლზე მიჭრით მიდგმული ნაგებობა ძეგლთა ნუსხაში **ბ. ახოსპირელის ქუჩისა და ლ. გუდიაშვილის მოედნის №2/7**-ით არის შეტანილი (სურ.9). რეაბილიტაციამდე შენობაში საცხოვრებელ ბინებთან ერთად საქალაქო ბიბლიოთეკა⁷ იყო განთავსებული. ორმაგი ანფილადური გეგმის ძირითადი საცხოვრებელი ბლოკისა და მასთან დაკავშირებული დამხმარე მკლავის შემცველი, მთავარი ფასადით მოედნისკენ მიმართული ეს ორსართულიანი, მანსარდით დასრულებული ნაგებობა გვერდითი ფასადით ბ. ახოსპირელის დამრეცი ქუჩისპირს მიყვება, ხოლო დამხმარე მკლავით №7/3



სურ.9. ლ. გუდიაშვილის მოედ. №2/7, ფასადი, 2009

⁷ XX ს-ის შუა წლებიდან რეაბილიტაციამდე შენობის I სართული ბიბლიოთეკას ჰქონდა დაკავებული. ტექბიუროს 1956 წელს შედგენილ ნახაზზე სხვენის სართულზე მითითებულია სცენის ადგილი. მკვიდრ მოსახლეთა ცნობით გარკვეულ წლებში აქ წარმოდგენები იმართებოდა.




სურ. 10. ლ. გუდიაშვილის მოედ. №2/7, კუთხე და გვერდითი ფასადის ნაწილი, 2015

და ახოსპირელის ქ. №4 სახლს ებჯინება. №2/7 შენობა მოედნისკენ ფანჯრებით გახსნილ, თუმცა დღეისთვის მიწაში ღრმად ჩამჭდარ ნახევარსარდაფს შეიცავს; დიობების წინ, ტროტუარზე, სასინათლო-სავენტილაციო ჭებია მოწყობილი.

№2/7 ნაგებობის შელესილ-შედებილი მთავარი ფასადის პირველ და მეორე სართულზე სიმეტრიულ კომპოზიციას ქმნის ჯგუფებად განაწილებული მაღალი, სწორკუთხა ფანჯრები: განაპირა ორ-ორი დიობი აქეთ-იქიდან ფართო, ჩაღრმავებულტანიანი, დეკორაციულ პილასტრისებრ შვერილებს შორისაა მოქცეული, ხოლო მათ შორის, შუა არეში სამ-სამი დიობია თავმოყრილი, რომელთა წინ მეორე სართულზე რკინის გრძელი შეკიდული აივანია გამართული გაფრიალებული ლენტების მოდერნული მოტივით გაფორმებული მოაჭირით. შენობას სწორხაზოვანი პარაპეტიტ დასრულებული მანსარდის სართული აგვირგვინებს, რომელსაც ამგვარადვე დაჯგუფებული მრგვალი სარკმლების რიგი გასდევს.

ნაგებობის გვერდითი ფასადი ტეხილ ხაზს ქმნის: მოედნისკენ მიმართულ კუთხესთან, I სართული სამი სწორკუთხა ფანჯრით არის გახსნილი, რასაც ზედა სართულებზე შესაბამისი მოხაზულობის - სწორკუთხა და მრგვალი ცრუ სარკმლები პასუხობს; გვერდითი კედლის მომდევნო, შეტეხილი ნახნაგი, რომელიც ალმაცერად ეშვება ბ. ახოსპირელის ქუჩაზე, წყვილ-წყვილი დიობითაა გახსნილი (სურ.10).



სურ. 11. თბილისის პანორამა სოლოლაკის ქედიდან, ფრაგმენტი, დ. ერმაკოვის ფოტო



სურ. 12. თბილისის პანორამა სოლოლაკის ქედიდან, ფრაგმენტი, დ. ერმაკოვის ფოტო.

მას ჭასავით ჩადრმავებული, მცირე ზომის სამკუთხა ეზო მოსდევს, რომლის ღია სივრცე უკან მოქცეული დამხმარე მკლავის შუშაბანდიან სართულებთან დამაკავშირებელ რკინის კიბეთა მარშებს უკავია.

როგორც ირკვევა, ასევე ეტაპობრივად აშენებული №2/7 ნაგებობის ძირითადი მოცულობის ჩამოყალიბება 1910 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო. დროში გაწელილ სამშენებლო პროცესზე თვალის გადევნება ძეგლის ვიზუალური შესწავლით და საარქივო ფოტოებზე დაკვირვებით არის შესაძლებელი. ნაგებობის მრავალშრიანი სტრუქტურა აერთიანებს XVIII-XIX სს-ის მიჯნიდან XX ს-ის დამდეგამდე პერიოდში დამატებულ და ერთ სხეულად შეკრულ ნაწილებს. რეაბილიტაციის დროს ნაგებობის გახსნის პროცესში გამოვლენილი, ადრე ნალესობით დაფარული ძველი ფენების შესწავლამ და საარქივო ფოტოებთან შეჯერებამ ხელშესახები გახადა ეტაპობრივი მშენებლობის მიზეზები.

XIX ს-ის II ნახევარში, სოლოლაკის ქედიდან სავარაუდოდ, 1880-იან წლებამდე, შუალედებით გა-

დაღებულ რამდენიმე პანორამაზე⁸ (სურ.11,12), სადაც ერთ-ერთზე, მოედნის შუაგულში სკვერის მოსაწყობად მოზიდული მიწის გროვები მოჩანს, №7/3 ნაგებობა სრული სიმაღლით იკითხება, მის გვერდით კი, კადრში შემოდის მომიჯნავე №2/7, მოედნიდან შიგნით შეწეული, საუკუნის შუა წლებიდან გავრცელებული ტიპური ორფერდასახურავიანი გრძელი სახლი, რომელიც ბ. ახოსპირელის (მაშინდელი მოლნინის) ქუჩისკენ მრგვალსარკმლიანი ფრონტონით სრულდება და პერიმეტრს გაყოლებული ხის აივნით იხსნება აქეთ არსებული მცირე ეზოსკენ. სახლი თავისი მდებარეობით, კონფიგურაციით და დამხრობით უტყუარად იდენტიფიცირდება ამჟამინდელი ორმაგი ანფილადის ტიპის №2/7 ნაგებობის შიდა ნაწილთან ბ. ახოსპირელის ქუჩისკენ გამავალი თავისი გვერდითი ფასადის ალმაცერი წიბოთი და ეზოსკენ გახსნილი, ახლა უკვე რკინისმოაჭირიანი აივნით (იხ. ნახ. 1). ამავე ფოტოებზე ყურადღებას იპყრობს შედარებით დაბალი და უფრო გრძელი მოცულობის ბუნდოვანი გამოსახულება, რომელიც სახ-

⁸ შენობა ასახულია სოლოლაკის ქედიდან გადაღებული, შედარებით მოგვიანებით, 1890-იან წლებში გადაღებულ კადრზე – თ.გერსამია, *ძველი თბილისი*, თბ., 1984, ტაბ. 109.



სურ. 13. თბილისის პანორამა, ფრაგმენტი, გადაღებულია 1909 წლამდე

ლის წინ, მოედნისკენ გაირჩევა. ირკვევა, რომ ეს ერთსართულიანი ნაგებობა XX ს-ის დასაწყისში ჯერ ისევ მდგარა. მსგავსი პროექციით და კუთხით იგი მოჩანს ფოტოზე (სურ.13), რომელზეც ქუჩის საპირისპირო მხარეს მდგომი ბ. ახოსპირელის ქ. №3 საცხოვრებელი სახლის კუთხეზე უკვე დაშენებული ყოფილა 1904 წლით დათარიღებული გუმბათი.

ფოტოგრაფ პროკუდინ-გორსკის მიერ 1909-1915 წლების შუალედში სოლოლაკის ქედიდან გადაღებული პანორამის საშუალებით შესაძლებელი ხდება №2/7 ნაგებობის ძირითადი სტრუქტურის ჩამოყალიბების თარიღის დაზუსტება. ამ ფოტოზე ახალი შენობა უკვე სრულად იკითხება, ცხადია, მოგვიანებით



სურ. 14. თბილისის პანორამა, პროკუდინ-გორსკის ფოტო, 1910-იანი წლები, ფრაგმენტი

დაშენებული მანსარდის სართულის გარეშე (სურ.14).

ამავე პერიოდის კიდევ ერთი ფოტო ნათლად წარმოგვიდგენს სკვერისკენ ერთიანი ფრონტით მიმართულ №7/3 და №2/7 შენობებს, მათ სოლიდურ მასშტაბს და სიმეტრიულ, განონასწორებულ კომპოზიციას (სურ.15). ფასადების გამთლიანების მიზნით №7/3 სახლის ფასადზე ისეთივე მოდერნულმოტივებიანი მოაჯირით გაფორმებული რკინის კონსოლური აივანი მოუწყიათ, როგორიც ახალ შენობას აქვს; ამ დროსვე, გაერთიანებული ფასადის ცენტრში მოქ-



სურ. 15. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3 და №2/7 შენობების საერთო ხედი, 1910-იანი წლების ფოტო



სურ. 16. ლ. გუდიაშვილის მოედ. №2/7, სადარბაზოს კარი რეაბილიტაციამდე, 2015

ცეული №7/3-ის მეორე სართულთან დამაკავშირებელი სადარბაზოს ღიობშიც მოდერნის სტილის, მკაფიო მხატვრული ღირებულების ორფრთიანი ხის კარი ჩაუსვამთ, რომლის დახვეწილი შესრულებით გამორჩეული მოტივები - დენადი ხაზები და ვარდულები, მაღალ ღიობებში ჩასმული, მარაოსებურ სადგამზე აღმართული მგესუმზირისებური ყვავილები და ფოთლებით გაფორმებული ლითონის ცხაურები დღესაც თვალს იტაცებს (სურ.16). მოდერნული ელემენტებით შედგენილი დინამიკური ნახატი გამოუყენებიათ სადარბაზოს ვესტიბულში კიბის მარშის დასაწყისში აღმართულ რკინის აფურულძირიანი განათების ბოძის და მოაჯირის დამუშავებაშიც. ამავე დროს, ფასადების ვიზუალური გაერთიანებისთვის ახალი შენობის დამასრულებელი პარაპეტი მომიჯნავე შენობის არსებულ კარნიზს ზემოთაც, მთელი ფასადის სიგრძეზე გაუგრძელებიათ და სწორედ ამის შედეგად ჩამოყალიბებულა ხის კრონშტაინებისა და პარაპეტის უჩვეულო შეთავსება.


ფოტოზე ყურადღებას იქცევს პარაპეტზე განთავსებული წარწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ დროისთვის შენობაში კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება ყოფილა დაბინავებული.

საყურადღებო აღმოჩნდა №2/7 შენობის ადგილზე გვიანობამდე მდგარი ძველი, ერთსართულიანი ნაგებობის ნაწილების მიკვლევა დღეს არ-



სურ. 17. ლ. გუდიაშვილის მოედ. №2/7 სადარბაზო, ძველი კედლის ფრაგმენტი, 2019

სებულ სტრუქტურაში. №7/3 და №7/2 შენობების გადაბმის ადგილას განთავსებული სადარბაზოს ნაწილში და მის მიმდებარედ ნალესობის მოხსნის შემდგომ გამოჩნდა აგურის ალმაცერი წყობისა და ხის ძელის ჩართვით შედგენილი XVIII ს-ისთვის დამახასიათებელი კედლის ფრაგმენტი (სურ.17), თუმცა განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა 2019 წლის ზაფხულში შენობის წინა ნაწილში, ბიბლიოთეკის ფართში არსებული ტიხრებისა და კედლის ნალესობის მოხსნის შემდეგ **კვადრატული აგურით ნაშენი ძველი კედლის** გამოვლენა, რომელიც განივად, აღმოსავლეთიდან კრავდა მთლიანად ახალი აგურით ნაშენ დიდ, გრძელ დარბაზს. კედელზე იკითხებოდა თანაბარი ინტერვალით განაწილებული, ასევე ძველი აგურითა და რიყის ქვით ჩაშენებული ხუთი მაღალი შეისრული დასრულების მქონე ნიშა. ცენტრში განთავსებულ ნიშაში მონყობილი იყო ნალესობით გამოყვანილ პროფილირებულ სწორკუთხა ჩარჩოში მოქცეული ბუხარი, ხოლო მის გვერდით - კარის ღიობი, რომელიც არღვევდა აღწერილ სიმეტრიულ კომპოზიციას და მისი გაჭრა გვიან, საბჭოთა პერიოდის რიგითი რემონტის დროს უნდა მომსდარიყო, ისევე, როგორც ფასადზე, მოდერნულ მოაჯირიან გრძელ აივნებს შორის რკინის უსახური აივნის დამატება, რომელიც უხეშად ცვლის საუკუნის დასაწყისში ორი



ნახ. 3. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2, განივი ჭრილი ძველი ფენების ჩვენებით



სურ. 18. ლ. გუდიაშვილის მოედ. №2/7, ძველი კედელი რესტავრაციის შემდეგ, 2022



სურ. 19. ა) ლ. გუდიაშვილის მოედ. №2/7 შენობაში მიკვლეული ქვის ფილა, 2018; ბ) გომის ქ. №13 საცხოვრებელი სახლის ბუხრის ძირის ქვა, 2011

შენობის შერწყმისას ჩამოყალიბებულ სიმეტრიულ საფასადო მხატვრულ კომპოზიციას.

აშკარა იყო, რომ ნიშებიანი კედელი სწორედ იმ შენობიდან იყო შემორჩენილი, რომელსაც ამ მნიშვნელოვან ტერიტორიაზე გაშლილი სამშენებლო საქმიანობა დიდხანს უვლიდა გვერდს და თავისი მხატვრულ-ისტორიული, თუ ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, XX ს-ის დამდეგამდე მოაღწია. სავარაუდოდ, ამ ძველი შენობის მფლობელი №7/3 სახლის 1889 წ-ის საარქივო პროექტის გენგეგმაზე №7/2 ნაკვეთის მეპატრონედ მითითებული არეშოვი უნდა ყოფილიყო. ნიშების ჩაშენებისგან გათავისუფლებამ მეტად შთამბეჭდავი და მწყობრი სურათი გამოავლინა (ნახ. 3). კედელში ჩატანებული ხის ჰორიზონტალური ძელი ორ არათანაბარ იარუსად ყოფს კომპოზიციას, რომელსაც ზედა რეგისტრში შეისრულთაღოვანი მოხაზულობის მაღალი და თითქმის ჭერამდე აზიდული ნიშების მწკრივი გასდევს, ხოლო ძელის ქვემოთ, - იატაკთან ახლოს განთავსებული დაბალი და განიერი სწორკუთხა თახჩები. ეს კედელი წარმოდგენას გვიქმნის ძველი შენობის ინტერიერის მხატვრულ დამუშავებასა და ასაკზე, რაც XVIII ს-ის II ნახევართან უნდა

იყოს დაკავშირებული (სურ.18).

შუაში მოქცეული ბუხარი, ჩანს, მოგვიანებით იყო მოწყობილი. მისი ღიობის პირი მორღვეულია, თუმცა არსებული შემთხვევითი ჭრილი არ მიგვანიშნებს კილისებური, ან მაღალი თაღის არსებობაზე. მისი მოწყობა, სავარაუდოდ, XIX ს-ში უნდა მომხდარიყო, ბუხრის ზემოთ სწორკუთხა სიბრტყეს პროფილირებული ჩარჩო შემოწერს ნიშის თაღის ქუსლამდე. ჩარჩოს ზედა კუთხეებში მარაოსებრი ნაძერწი მოტივებია გამოყვანილი, ხოლო სიბრტყის შუაგულში ლილვით ოთხკუთხა ვარდულია შემოწერილი. ზედაპირზე მოყვითალო, ნაცრისფერი, ცისფერი და თეთრი საღებავის ფენები მოჩანს, რაც ბუხრის ხანგრძლივ ექსპლუატაციაზე მიუთითებს.

რეაბილიტაციის დაწყებისას ამ ფართში ქვის ორი მოზრდილი ფილა აღმოჩნდა შენახული, რომელთა წინა მხარე მცენარეული ორნამენტით არის შემკული (სურ.19 ა, ბ). იგი მსგავსებას ამჟღავნებს გომის ქ. №13 სახლის ბუხრის ძირის ქვასთან, რომელსაც წინა მხარე მსგავსი ორნამენტით აქვს დამუშავებული, თუმცა, რადგან აქ მიკვლეული ქვების ზომა აღწერილ ბუხარს არ შეესაბამება მისი კუთვნილების საკითხის დაზუსტება ვერ მოხერხდა.

№7/3 და №7/2 შენობათა სარდაფებსა და ეზოში გამოვლენილი შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაშთები და არქეოლოგიური ფენები⁹

ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3 და №7/2 შენობათა ერთიანად აგურით ნაშენი, შეუღესავკედლებიანი სარდაფების ნაწილში რეაბილიტაციის დაწყებამდე იქცევდა ყურადღებას შერეული მასალის, განსხვავებული წყობის და სიგანის კედლები. მათ შორის იყო აგურისა და ფლეთილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით შედგენილი მძლავრი სტრუქტურით

გამორჩეული სათავსის კედლები მთავარი ბლოკისა და დამხმარე მკლავის შეერთების კუთხეში ქვედა დონის სარდაფში; აქვე, თვალსაჩინო იყო კედლების უცნაური გასქელება, რაც განსხვავებულ სამშენებლო პერიოდზე, ან სხვა უცნობ ფაქტორებზე მიანიშნებდა. ასევე, გამოირჩეოდა აგურისა და ალმაცერად ჩალაგებული რიყის ქვის რიგების მონაც-

⁹ რეაბილიტაციის პროცესში შენობათა სარდაფებსა და ეზოში ჩატარებულ მიწის სამუშაოებს სხვადასხვა დროს არქეოლოგიურ ზედამხედველობას უწევდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან არქეოლოგი ზ.გიორგაძე და თბილისის განვითარების ფონდის კონტრაქტორი არქეოლოგები თ.ბუნურაძე და ლ.ჩოლოვაური.



სურ. 20. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3 ქვედა დონის სარდაფი, განსხვავებული წყობის კედელი, 2018


ვლეობით შედგენილი განსხვავებული წყობის ჩანართები, რასაც ზოგან შიგ ჩატანებული ხის ძელებიც ერთვოდა (სურ.20,21). ეს ფრაგმენტები მიუთითებდა გვიან შუა საუკუნეებსა და XIX ს-ის ადრეულ წლებში აქ მდგარ ნაგებობათა ნაწილების შენარჩუნებაზე მშენებლობის შემდგომ ეტაპზე აგებული სახლების სტრუქტურაში.

რეაბილიტაციის დროს, 2018 წელს შენობათა საძირკვლების გაძლიერების მიზნით იატაკის არსებული დონის დაწევის პროცესში გამოვლინდა მანამდე მიწის ქვეშ მოქცეულ ნაგებობათა ნაშთების მოულოდნელი სიმრავლე. არქეოლოგიური ფენების განმენდის პარალელურად სავსე სურათი სწრაფად და პერმანენტულად იცვლებოდა, თუმცა გახსნის შედეგების აღწერისთვის, თუ ფოტო და გრაფიკული ფიქსაციისთვის მცირე დრო იყო განსაზღვრული (ნახ.4).

№7/2 შენობის ნახევარსარდაფის სართულში საძირკვლის გამაგრებისთვის მიმდინარე სამუშაოების წარმოებისას, იატაკის დონიდან ჩაღრმავების დროს ნაგებობათა კედლებთან ერთად გაიხსნა, თონე, ხაროები და ამოვიდა დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები. არქეოლოგიური ნანგრევების ფრაგმენტულობის გამო მშენებლობის ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია; არანაკლებ რთულია მათი ფუნქციური იდენტიფიკაცია, რადგან წარსულში ამ მიკრო-უბნის განაშენიანების სტრუქტურაზე, ურბანულ თავისებურებებზე, საცხოვრებლის ტრადიციულ ტიპოლოგიაზე, მოსახლეობის საქმიანობაზე, თუ მეურნეობის ფორმებზე ჩვენი ცოდნა ზოგადი ხასიათისაა. გამაგრების მიზნით სამუშაოები



სურ. 21. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3 სარდაფი, განსხვავებული წყობის კედელი, 2018



ნახ. 4. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და №7/3, სარდაფის სართული, არქეოლოგიური ფენები



ნახ. 5. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და №7/3 შენობების გრძივი ჭრილი ძველი ფენების ჩვენებით



სურ. 22. მოტიქული კერამიკული ჯამის ძირი, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2 შენობის წინ გათხრილი ტრანშეადან, 2018

მოედნისკენ, შენობის გარე მხარესაც გავრცელდა, სადაც ტრანშეის გათხრის დროს ასევე იქნა ნაპოვნი არტეფაქტები, მათ შორის ჩიტის გამოსახულებიანი კერამიკული ჯამის ძირი, რომელიც XII-XIII სს-ებით თარიღდება (სურ.22). ამ ნაშთების მრავალფეროვნება და გავრცელება ფართო ქრონოლოგიურ საზღვრებზე მიუთითებს.

№7/2 სარდაფის სივრცეში სამუშაოების დაწყებიდან მალევე გამოჩნდა ფლეთილი ქვით ნაშენი ერთ მეტრამდე სიმაღლის კედელი, რომელიც ბიბლიოთეკის ქვეშ, მოედნისკენ მოქცეულ სარდაფის გრძელ სათავსოს გამჭოლად სერავდა შუაში. სავარაუდოდ, აღნიშნული კედელი XX საუკუნის მშენებლობისას უნდა მოეწყობა ფართო მალის შესამცირებლად, იატაკის მყარად მოსაწყობად და ქვეშ მოქცეულ არქეოლოგიურ ნაშთებთან ნაკლები შეხების მიზნით. მიწაში მეტად ჩაღრმავებისას გამოირკვა, რომ კედელი ჭრიდა უფრო ქვემოთ არსებული ადრეული სამშენებლო პერიოდის, მეტ-ნაკლები სიმაღლით, ძირითადად გეგმის დონეზე შემორჩენილ ნანგრევებს.

სარდაფის ამავე სივრცეში გაიხსნა უფრო მცირე ფრაგმენტებად შემორჩენილი შედარებით თხელი (0.6-0.7მ) კედლები, ნაწილი აგურით ნაშენი გარედან რიყის ქვის საპირით და ასევე, ორმხრივად რიყის ქვის საპირიანი შუაში მოქცეული ერთი წყება აგურით. ამ კედლების სიახლოვეს, სარდაფის აღნიშნულ სადგომში ერთმანეთის მიყოლებით გამოვლინდა კვადრატული აგურით ამოშენებული, გეგმით წრიული, სხვადასხვა დიამეტრისა (1.05მ, 0.72მ, 0.62მ) და სიღრმის (1.0მ-2.5მ) სამეურნეო ხაროე-



სურ. 23. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2, სარდაფი, საფეხურიანი ორმო, 2018

ბი და თონე. ერთ-ერთ, ყველაზე მომცრო ზომის ორმოს ახლდა გარედან მიდგმული საკმაოდ განიერი, რკალური მოხაზულობის თარო-საფეხური, რომელიც ჭრეის დასაღებად, თუ ფეხის ჩასადგმელად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (სურ.23). იყო ასევე გაუმართავი, ნაყარ ფენაში ჩატრილი ორმოც.

მიუხედავად დაზიანებისა გამოიკვეთა სარდაფის შიდა კედელზე მიბჯენილი სწორკუთხა სათავსოს ერთ მეტრამდე სიმაღლით შემორჩენილი ორი გრძივი კედელი და სათავსოში ჩასასვლელი აგურის კიბის სამი საფეხური ზედ ხის ფრაგმენტებით. სათავსოს კედლები აღჭურვილი ყოფილა მეტრამდე სიგანის ღრმა ნიშებით. ორივე კედელში შემორჩენილი იყო ზუსტად ერთმანეთის საპირისპიროდ მოწყობილი ერთი წყვილი ნიშის ძირი. ნიშების მომდევნო წყვილს ნაწილობრივ ჭრიდა ზემოხსენებული კედელი, რომლის მეორე მხარეს ძველი სადგომის მხოლოდ დასავლეთის კედელი გრძელდებოდა და შიგ კიდევ ერთი ნიშის ძირი იყო დაცული. სათავსოს საკმაოდ განიერი კედლები (1.1მ) აგურით იყო ნაშენი კირნარევ ხსნარზე, გარე პირზე მსხვილი რიყის ქვის რიგები აგურთან მონაცვლეობით იყო ნახმარი. სათავსოს ინტერიერში, დასავლეთი კედლის სიახლოვეს, ნიშებს შორის გაიხსნა იატაკში ჩაღრმავებული (2,5მ) აგურით ამოშენებული წრიული ხარო (სურ.24).

ეზოს მხარეს მოქცეული უკანა რიგის ოთახის ქვეშ, სარდაფის შუა კედლის მეორე მხარეს, სწორედ ზემოთ აღწერილი კიბეებიანი სათავსოს დასავლეთით, თავდაპირველად გამოჩნდა კედელთან მიდგმული საკვამურისებრი, ნახევარწრიული და



სურ. 24. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2, სარდაფი, ნიშებიანი შენობის ნანგრევები, 2018



სურ. 25. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2, სარდაფი, კერამიკული ქურა, 2018

სწორკუთხა კედლებით შემოშენებული, რთული მოხაზულობის ღრუიანი სტრუქტურა, რომელიც გარედან თბოიზოლაციისთვის კირხსნარის სქელი ფენით იყო შემოლესილი (სურ.25). მიწის დონის დაწვევის შემდეგ გაირკვა, რომ ეს მასიური სტრუქტურა, რომელიც კერამიკის გამოსაწვავ ქურას წარმოადგენდა, მოქცეული იყო აგურის თხელკედლიან (0.4მ), ოვალურ სათავსოში, რომელიც სამხრეთით სწორკუთხა მოხაზულობით სრულდებოდა (სურ.26). კედელს შიდა და გარე მხრიდან ნახევარწრიული და სწორკუთხა, პილასტრისებური შვერილები ახლდა. სადგომის იატაკი აგურით მოგებული და კირით მოლესილი ყოფილა. კედლებშიც ნატეხი აგური და კირი იყო ნახმარი. ქურას დაზიანებული ჰქონდა დასავლეთი მხარე, რომელიც სათავსოს შიგნით მიწის მოხსნისას ჩამოინგრა და ძირში მსხლისებურად გაგანიერებული კამერა გამოჩნდა.

გარდა იმისა, რომ N7/2 შენობის სარდაფის იატაკის ქვეშ შემორჩენილ აღწერილ ნაგებობათა ნაშთებს შორის ქურაც აღმოჩნდა, სარდაფის იატაკის დონის დაწვევისას, განმედიტი სამუშაოების დროს პერმანენტულად ამოდიოდა განვითარებული შუა სა-

უკუნეებიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე პერიოდის, სხვადასხვა ტიპის კერამიკული ჭურჭლის დიდი რაოდენობით ნატეხები, როგორც ქურიან სათავსოში, ასევე მთელ ამ ფართში, ნიშებიანი მოგრძო სათავსოს ჩათვლით და სხვა ფრაგმენტულად მოღწეული კედლებისა და ხარლების სიახლოვესაც¹⁰. შესაბამისად, ეს ფაქტი სადგომების გამოყენების ფართო ქრონოლოგიურ პერიოდზე მიუთითებს. ამავე დროს, ეს საფუძველს ქმნის ვიფიქროთ, რომ აქ განთავსებული იყო მეჭურჭლეთა საცხოვრებელი და სახელოსნო ნაგებობები. მსგავსი ობიექტის (პრაქტიკის) არსებობაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან ხელჩასაჭიდ მონაცემებზე მეტად ღირებულ ინფორმაციას შეიცავს არქეოლოგიური კვლევის შედეგები 1948-1949 წლებში სეიდაბადში (300 არაგველის ბაღის ტერიტორიაზე) გათხრილ ქურებთან და მეჭურჭლეთა საცხოვრებელ-სახელოსნო ნაგებობებთან დაკავშირებით¹¹.

რა დროის უნდა ყოფილიყო N7/2-ის სარდაფის ქვეშ მოქცეული ნაგებობები და თითოეულს რა დანიშნულება ჰქონდა დაზუსტებით თქმა რთულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ვარაუდი შესაძლებელია.

¹⁰ არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიში 10.05.2019; ინახება თბილისის განვითარების ფონდში

¹¹ გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, I, თბ., 1955, გვ.119-174



სურ. 26. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2, სარდაფი, კერამიკული საწარმოს და ქურის ნანგრევები, 2018

რაც შეეხება შედარებით სრულად მოღწეულ მოგრობო, სწორკუთხა სათავსოს, იგი საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. თარიღის დასადგენად, სამწუხაროდ, არც შიდა სივრცის შემკრავი კონსტრუქციის, ან სხვა რაიმე დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტის, თუ ნიშათა დამასრულებელი მოხაზულობის რაგვარობის ნივთიერი კვალი არ შემორჩენილა. თუმცა, განიერი კედლები (1.10მ), აგურის კარგი წყობა კირხსნარზე, ღრმა ნიშების სიმწყობრე და ზუსტად გამოყვანილი კუთხეები მშენებლობის საკმაოდ კარგ ხარისხზე მიუთითებს, რაც სავარაუდოდ, სტაბილური სოციალური გარემოს და კეთილდღეობის გარკვეული დონის მანიშნებელია. ამ ფაქტორების გათვალისწინება მის აგებას XVIII საუკუნემდე პერიოდში, როსტომის მეფობის, ან უფრო ადრეულ პერიოდში გვაფიქრებინებს. ამ მოსაზრებასთან თანხმობაშია განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკული ნაწარმის ნატეხების სიმრავლეც. ქურასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ იგი მსგავსებას ამჟღავნებს სეიდაბადში გათხრილ ქურებთან. ისიც „ვერტიკალურ“ ტიპს განეკუთვნება და კერამიკის გამოსაწვავი კამერის ძირ-

საც მსხლისებური ფორმა აქვს¹².

რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა სარდაფში მრავლად შემორჩენილ ცალკეულ ხაროსა, თუ ორმოს, კონკრეტულად განსაზღვრა ძნელია, თუმცა ზოგადად ვიცით, რომ მათ ფუნქციათა შორის შესაძლოა ყოფილიყო წყლის ჭა, სამაცივრე ჭა, მარცვლეულის ან სხვა პროდუქტის შესანახი სამეურნეო ხარო, გასათბობად გამოყენებული ღრმული – ქურსი, ან კერამიკული თიხის სველ მდგომარეობაში შესანახად მოწყობილი ორმო, ე.წ. „ნოტიო მიწისქვეშეთი“¹³.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გ. ლომთათიძე გვიზიარებს საყურადღებო დაკვირვებას სეიდაბადში, ზედაპირიდან 2მ-ის სიღრმეზე გამოვლენილი, ერთმანეთიდან 1.5მ-ის დაშორებით განთავსებული 1მ დიამეტრის და 3,5მ-ის სიღრმის ორი ძველი, ცილინდრულად გაჭრილი ჭის შესახებ. მსგავსი ნაშთების მიხედვით, როგორც ბაქოში შირვანშაჰთა სასახლის ნანგრევებში და სომხეთში დვინის გათხრებისას მიუკვლევიან, შესაძლებლად მიიჩნევა მათში დაენახა „ნოტიო მიწისქვეშეთი“, სადაც ხდებოდა განლევილი თიხის ბელტების სველად შენახ-

¹² გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, I, თბ., 1955, გვ.133-140

¹³ გ. ლომთათიძე, იქვე, გვ.132

ვა, რათა ძერწვა-გამოწვისთვის მასალა უფრო ვარ-გისი გამხდარიყო. ვფიქრობ, N7/2-ის საძირკვლის გამაგრებისთვის სარდაფის იატაკის დონის დაწვე-სას გამოვლენილ ორმო-ჭებს შორის თიხის ბელტე-ბის შესანახად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნა-ყარ მიწაში ამოჭრილი და ამოუშენებელი ორმო.

როგორც ცნობილია, თბილისში არსებობდა სა-ყინულეების გამართვის ტრადიცია, რაც დაკავში-რებული იყო დიდ მოთხოვნილებასთან ცხელი ზაფხუ-ლის პირობებში პროდუქტებისა და სასმელების შე-ნახვისთვის აუცილებელ ყინულზე. ძველი დროიდან თბილისის სანახებში გამართული იყო სხვადასხვა ტიპის, ტევადი მიწისქვეშა საყინულე ნაგებობები, სადაც გამოცდილი ხალხური წესების შესაბამისად ზამთრის პერიოდში ხდებოდა მოპოვებული თოვლ-ყინულის დაგროვება¹⁴. ზაფხულში კი, ყინული ქა-ლაქში ჩამოჰქონდათ გასაყიდად, სადაც სასახლე-ებსა და დიდ დუქნებში მის შესანახად გამიზნულ ღრმა სარდაფებში გამართულ საყინულე სათავსებ-თან ერთად, საამისოდ, მოქალაქეთა საცხოვრებ-ლის სარდაფებშიც იყო მოწყობილი სამაცივრე ჭე-ბი¹⁵. სავარაუდოდ, ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმ-დებარე ტერიტორიაზე არსებულ გვიანი შუა საუკუ-ნეებისდროინდელ თბილისურ საცხოვრებელ ნაგე-ბობებში მრავლად მიკვლეულ ღრმა, თუმცა უწყლო ჭების ნაწილს საყინულის დანიშნულება უნდა ჰქო-ნოდა. ვფიქრობ, N7/2 შენობის სარდაფის იატაკის ქვეშ შემორჩენილ ღრმანიშებიან, მოგრძო საცხოვ-რებელ ნაგებობაში გამოვლენილი, 3მ-მდე სიღრმის, აგურით ამოშენებული ჭაც საყინულედ უნდა ყოფი-ლიყო გამოყენებული. ზამთარ-ზაფხულის სეზონის ცვლასთან ერთად, არ უნდა იყოს გამორიცხული შე-რეული ფუნქციით ამ ორმოთა გამოყენებაც.

ზოგიერთ ორმოს გათბობის დანიშნულება შეიძ-ლება ჰქონოდა. ვიცით, რომ ტრადიციულ საცხოვ-რებელში, როგორც იყო დარბაზი, ზამთარში გა-სათბობად ბუხრის გარდა შუა ცეცხლს ანთებდნენ და ამისათვის ინტერიერში იატაკზე წვავდნენ შეშას. ბანიან საცხოვრებელში კი, რომელსაც ჭერში და-ტანებული სარკმელი - ერდო არ ჰქონდა და ბოლი გარეთ ვერ გავიდოდა, ხმარობდნენ ნახშირს და ამისთვის იყენებდნენ ქურსს. ი.გრიშაშვილი ქურსს განმარტავს¹⁶, როგორც დაბალი მაგიდის ქვეშ შედ-გმულ ნაკვერჩხლიან მაყალს. ასევე, მას აღწერენ როგორც ხის დიდი ყუთის მსგავს სპეციალურ მოწყო-ბილობას, რომელშიც იდგმოდნენ მაყალი და საბან-

გადაფარებულს უხსდებოდნენ გარშემო¹⁷. თბილი-სელი სომეხი მხატვრის კ. გრიგორიანის აღწერით „შუათახით პატარა თონეს ამოსთხრიდნენ და შიგ გადუებულ ნახშირს ჩასდგამდნენ, მერე იმ ორმოში სახლის წევრები ფეხებს ჩაჰკიდებდნენ, საბანსაც ზედ დაიფენავდნენ და ისრეთ თბებოდნენ“¹⁸. გახუ-რებული ნაღვერდალი მხურვალეობას დიდხანს ინარ-ჩუნებდა, აგურით ამოშენებული ორმოს კედლებიც გახურდებოდა და სადგომი კარგა ხნით შეინარჩუ-ნებდა სითბოს.

№7/3 შენობის წინა მხარეს მოქცეულ ბრტყელ-კამარიან სარდაფში ფუნდამენტის გაძლიერების სა-მუშაოებისთვის იატაკის დონის დაწვევისას საძირ-კვლის არეში აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების შე-დარებით უკეთ შემონახული, განიერკედლებიანი (0.9მ-1.0მ), გეგმით კვადრატს მიახლოებული მცი-რე ზომის (2.9მ X 2.4მ) სათავსი (სურ.27, ნახ.6). ის სარდაფის შიდა სივრცეშია მოქცეული და სამხრე-თით მის გრძივ კედელს ებჯინება. ინტერიერში სა-თავსის მთლიანად აგურით ნაშენ კედლების სიბ-რტყეზე მხოლოდ რამდენიმე მოზრდილი რიყის ქვა და აგურის თევზიფხური წყობის ჩანართით შექმნი-ლი მსუბუქი დეკორაციული აქცენტი იკითხება. კედ-ლების ძლიერ დაზიანებული გარე პირის წყობა ძი-რითადად დიდი ზომის რიყის ქვებისგან შედგება, რომელსაც ნატეხი აგურისა და კერამიკის ნამტკრე-ვებისგან შემდგარი მასა ერთვის.

ორ მეტრამდე სიმაღლით შემორჩენილი ნაგე-ბობის სამ კედელში, გარდა სამხრეთი კედლის გლუ-ვი სიბრტყისა, რომელიც, სავარაუდოდ, ზედ დაშე-ნებული XIX ს-ის სარდაფის კედლის ძირში ამოუ-შენებიათ, სხვადასხვა ზომისა და სიღრმის წყვილ-წყვილი შეისრულთაღოვანი ნიშაა მოწყობილი (სურ.28, 29). ჩრდილოეთ კედელში განთავსებული ორი თანაბარი ზომის (1.05მ), მოზრდილი ნიშიდან აღმოსავლეთით მდებარეს სანახევროდ ფარავს ამ კუთხესთან მიდგმული აგურის მასიური, 1 მეტრი სი-მაღლის ბაქანი (0.85მ), რომლის ნაპირს, სავარა-უდოდ, დაზიანების გამო კიბის მსგავსი საფეხურო-ვანი ფორმა აქვს მიღებული.

დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხესთან ვიწ-რო და მაღალი, მცირე სიღრმის ნიშაა მოწყობი-ლი, ხოლო გვერდით – ფართომასშტაბიანი და ძალი-ან ღრმა, რომლის თალის ნახევარი ამჟამად ჩამონ-გრეულია. ამ ორ ნიშას შორის, მაღლა ასევე ღრმა საჭრაქე ნიშის ძირია მხოლოდ შემორჩენილი. აღ-

¹⁴ ჯ. სონდულაშვილი, თოვლისა და ყინულის შენახვის ხალხური წესები თბილისის სანახებში, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXIII-B, თბ., 1962, გვ.172.

¹⁵ მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი იერსახე XVIII საუკუნეში*, თბ., 1965, გვ.61, 65, 67; რ. თოფჩიშვილი, თ. გვიმრაძე, *ეთნოლოგიური თბილისი, თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა*, თბ., 2017, გვ. 158,159


¹⁶ ი.გრიშაშვილი, *ქალაქური ლექსიკონი*, თბ., გვ.161;

¹⁷ რ. თოფჩიშვილი, თ. გვიმრაძე, *ეთნოლოგიური თბილისი, თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა*, თბ., 2017, გვ.161

¹⁸ კ. გრიგორიანცი, *ძველი თბილისის იშვიათი ამბები*, თბ., 2011, გვ.14



სურ. 27. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, სარდაფი, XVII ს-ის ნაგებობის ნანგრევები, 2018



ნახ. 6. ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/3, სარდაფის ჭრილი XVII ს-ის ნაგებობის ნანგრევით



სურ. 28. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, სარდაფი, XVII ს-ის ნაგებობის ნანგრევები, 2018



სურ.29. ლ.გუდიაშვილის მოედ. №7/3, სარდაფი, XVII ს-ის ნაგებობის ნანგრევი, 2018

მოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხესთან არსებული ვიწრო და მაღალი ნიშის ძირს ამ კუთხესთან მიშენებული, ზემოთ ხსენებული ბაქანი ფარავს, ხოლო მომდევნო ნიშას უჩვეულო მოხაზულობა აქვს და თითქოს შუაზეა გაჭრილი (სურ.30). იგი საპირისპირო კედელში განთავსებული დიდი ნიშის მსგავსად ღრმაა, თუმცა ფართო მალის თალი ზენიტში წყდება და აქ მას წირთხლის სიბრტყე ებჯინება.

ოთხივე მხრიდან შეკრულ, თითქოს სრული მოცულობით მოღწეულ სათავსში ბევრი რამ გაურკვეველია. არ ვიცით როგორ სრულდებოდა სივრცე, თუმცა, საფიქრებელია, შეისრული კამარით ყოფილიყო გადახურული (ნახ.5). არც კარის კვალი შემორჩენილა და ზუსტად არ ვიცით საიდან ხვდებოდნენ ინტერიერში. რადგან ასეთ ვიწრო სათავსში ჭერში დატოვებულ ხვრელთან მიდგმელი კიბით ჩასვლა არცთუ ისე მოხერხებული იქნებოდა, კარის არსებობა ნაგებობის დაზიანებულ სამხრეთ კედელში უნდა ვივარაუდოთ, რომლის თავდაპირველი ადგილმდებარეობა არ ვიცით. უჩვეულოა აგურის ბაქნის ადგილი და გაურკვეველია თავად სათავსის დანიშნულებაც. თუ დავუშვებთ, რომ მას სამეურნეო ფუნქციით, სხვადასხვა ნივთების, თუ სანოვავის შესანახად იყენებდნენ, უფრო გასაგები გახდება ასეთ მცირე ფართში ამდენი ნიშის თავმოყრა. შეიძლება დავუშვათ, რომ კერამიკული ქურის სიახლოვეს მდებარე ეს მრავალნიშაანი სადგომი იქ დამზადებული ნაწარმის დასაწყობე-

ბისთვის ყოფილიყო გამართული და ამავე მიზნით, დამატებითი დასადგმელი ზედაპირების შესაქმნელად გაემართათ მოგვიანებით შიდა სივრცეში საფეხურებიანი ბაქანი. საგულისხმოა, რომ შეისრული ნიშების მიწისგან განმედიასა დაფიქსირდა მოჭიქული და სადაზღვრადიანი კერამიკის ფრაგმენტები¹⁹. რაც შეეხება ნაგებობის თარიღს, აგურის წყობის სიზუსტე და ნიშების მკაფიო შეისრულთალოვანი მოხაზულობა მშენებლობის XVII ს-ით განსაზღვრის საფუძველს ქმნის და მას სავარაუდოდ, როსტომის მეფობის (1633-1658) პერიოდს უკავშირებს.

საყურადღებო აღმოჩნდა სარდაფის საძირკვლის გამაგრებისთვის ნაგებობის გარე მხარეს გაკეთებულ ჭრილში გამოვლენილი მასალა, სადაც აღმოჩნდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების დიდი რაოდენობით მოჭიქული კერამიკა, ორნამენტული არშიით მოჩარჩოებული საფლავის ქვა და ასევე საფლავის ქვის ფრაგმენტი XVIII ს-ის მხედრული წარწერით: „ესე საფ[ლავი] [...] ინას ქალ[ისა]...ვინ წაიკითხოს“²⁰.

№7/3 საცხოვრებელი სახლის ნაკვეთს კიდევ ერთი საყურადღებო სიძველის ნაშთი შემორჩა (სურ.32, ნახ.3). იგი ეზოს სიღრმეში, მიწის საფარს ქვეშ გამოვლინდა, როდესაც დაიწყო ჩამონგრეული დამხმარე მკლავის აღდგენისთვის განმედიითი სამუშაოები. ამ ფლიგელის სარდაფის სართულში შემორჩენილი ნიშებიან-ბუხრებიანი ზურგის კედლიდან

¹⁹ არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიში 23.08..2019; ინახება თბილისის განვითარების ფონდში

²⁰ არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიში 23.08..2019; ინახება თბილისის განვითარების ფონდში. წარწერა წაიკითხა ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძემ.



სურ.30. ლ.გუდიაშვილის მოედ. №7/3, სარდაფი, XVII ს-ის ნაგებობის ნანგრევები, 2018

ათიოდე მეტრის დაშორებით, მიწაში საკმაოდ ღრმად, გამოჩნდა მის პარალელურად მიმართული ძველი კედელი. როგორც გაირკვა, იგი გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობის ერთ-ერთი სადგომის აღმოსავლეთ კედელს წარმოადგენს, რომლის სიგრძეს ზუსტად მონიშნავს ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის ნაწილობრივ გამოვლენილი ფრაგმენტები. ამ სტრუქტურის დანარჩენი, სავარაუდოდ, ძლიერ დაზიანებული ნაწილი დღესაც მიწის საფარს ქვეშ რჩება ეზოს ტერიტორიაზე.

№7/3 სახლის მოედნისკენ მდებარე სარდაფში მიკვლეული სათავსის მსგავსად, აქაც, კვადრატული აგურით ნაშენი ნაგებობა შიგნიდან შეისრულთალოვანი ნიშებით ყოფილა დამუშავებული. აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნახევარი დაზიანებული იყო და ჩამოწოლილ აგურის რიგებში მოქცეული ორი ნიშის წიბოები ფრაგმენტულად იკითხებოდა. მათგან ერთი, ჩანს, ეზოს ქვეშ მოქცეულ სივრცეში გასასვლელს წარმოადგენდა. კედლის უკეთ შემონახულ სამხრეთ ნაწილში არსებული ორი ნიშიდან ნაპირა, გვიან პერიოდში ეზოდან ჩამოსასვლელად მოწყობილი კიბით არის დაზიანებული (სურ.32). საყურადღებოა, რომ კიბის საფეხურები ადრე შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი, დიდი ზომის: – 30სმ X 30სმ X 4სმ – კვადრატული აგურებითაა მოწყობილი, რაც არსებული პრაქტიკის შესაბამისად²¹, ჩანს მახლობლად მდებარე რომე-

ლიმე ძველი ნაგებობიდან უნდა მოეტანათ მეორადი გამოყენებისთვის. სრულად შემორჩენილი მარცხენა, ფართო და დამჭდარი პროპორციის შეისრული თაღით დასრულებული ნიშის მიხედვით ვიგებთ, როგორი ყოფილა დანარჩენი დაზიანებული ნიშების მოხაზულობა. საღ და კიბით ჩატრილ ნიშებს შორის საფეხუროვანი დასრულების მცირე ზომის სატრაქე ნიშაც არის შემორჩენილი.

ჩრდილოეთი კედლის მოკლე შემკლავება გასასვლელი ღიობის წირთხლით სრულდება. ამ კედლის შუაში შედარებით მომცრო, დაზიანებული შეისრულთალოვანი და ამოზნექილძირიანი ნიშაა, რომლის გადაწყვეტაში ყურადღებას იპყრობს ბრტყლად დადებული კვადრატული აგურით ამოყვანილი ზურგი და აგურის „თევზიფხური“ წყობა იატაკთან. მის გვერდით, აღმოსავლეთ კუთხესთან კიდევ ერთი, სატრაქე ნიშაა შემორჩენილი. საპირისპირო, სამხრეთ კედელში არსებული შეისრულთალოვანი ნიშა ამოშენებული იყო (სურ.33). საყურადღებოა, რომ აღნიშნული კედელი მიწის ქვეშ მოქცეულ, ცილინდრულკამაროვან, ვიწრო გვირაბ-გასასვლელს ებმის²² (სიმაღლე 2.4მ, სიგრძე გაიწმინდა 5მ-მდე), რომელიც მომიჯნავე, ახოსპირელის ქ. №4 სახლის უკანა კედლის პარალელურად, აღმოსავლეთით გრძელდება. ეს გვირაბი ერთი შეხედვით საინჟინრო ნაგებობად (კოლექტორად) შეიძლება მიგვეჩნია, თუმცა აღწერილ სათავსთან უშუ-

²¹ ი. გრძელიშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლთა „ქართული აგურის“ დათარიღების ცდა, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. IX, № 9-10, თბ., 1948, გვ. 632.

²² არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიში 2.12.2019; ინახება თბილისის განვითარების ფონდში



სურ. 31. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, ეზოს ნაწილი, XVII ს-ის ნაგებობის ნანგრევები, 2018



სურ. 32. ეზოს ნაწილი, XVII ს-ის სათავსოში ჩასასვლელი გვიან მოწყობილი კიბე, 2018



სურ. 33. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, ეზოს ნაწილი, ჩაშენებული ნიშა სამხრეთ კედელში, 2018



სურ. 34. ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3, ეზოს ნაწილი, გვირაბი სამხრეთით, 2018



სურ.35. ლ.გუდიაშვილის მოედ. №7/3, ეზოს ნაწილი, მიწის ქვეშ მოქცეული სათავსის სფერული გუმბათი, 2018

აღლო კავშირში ის ეზოს ქვეშ მოქცეული განსხვავებული ტიპოლოგიის ძველი ნაგებობის ნაწილად და დანარჩენ გასასვლელებთან ერთად, მასთან დამაკავშირებელ კვანძად უფრო ჩაითვლება (სურ.34).

ირკვევა, რომ აღწერილი შეისრულნიშებიანი გრძელი (დაახლ. 9-10მ) სადგომის მეოთხე კედელი, №7/3 სახლის ფლიგელის მშენებლობამ შეინიშნა. სათავსი ძველი სტრუქტურის მხოლოდ ნაწილია, რომლის გეგმარებაზე ზუსტი წარმოდგენის შექმნა ძნელია, თუმცა შემორჩენილი სამი გასასვლელის არსებობა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით განვითარებული დიდი ნაგებობის, სავარაუდოდ, სავაჭრო რიგის, დახურული ბაზრის შენობის, თუ ფუნდუკის ნაშთების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ეზოს ქვეშ, რაც გარკვეულწილად დაადასტურა ჩამონგრეული კედლის ნაპრალიდან აპარატიტ ბრმად გადაღებულმა სფერული კამარის ანაბეჭდმა²³ (სურ.35).

მოცემული ადგილი ლ. გუდიაშვილის მოედანსა და მოღნიშნის ეკლესიის გალავნის წინ, დასავლეთით არსებულ მოედანს შორისაა მოქცეული, რაც ქალაქის ადრეულ გეგმებზე დაფიქსირებულია და ცხადია, ამ მიკროუბნის გეგმარების ბევრად ძველი ძირებიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ „ქალაქში ვაჭარ-ხელოსანთა მუდმივ შესაკრებელი სავაჭრო ადგილი, როგორც VIII-XI საუკუნეებში უწოდებდნენ, „მოედნები“ იყო. მოედანს XII საუკუნიდან ბაზარი შეერქვა“²⁴. ძველი დროიდან მომდინარე ეს სახელწოდება, ბაზრის მოედანი, ხომ ლ. გუდიაშვილის მოედანს XIX ს-შიც შერჩა²⁵. ამის გათვალისწინებითაც, ლოგიკური ჩანს მსგავსი დანიშნულების ნაგებობის აქ არსებობა. რაც შეეხება შენობის აგე-

ბის სავარაუდო თარიღს, მისი განსაზღვრა სამშენებლო მასალისა და არქიტექტურული ფორმების მიხედვით, ზოგადად, XVII საუკუნით შეგვიძლია.


სამწუხაროდ, მიუხედავად კედლების შთამბეჭდავი სიგანისა, რაც ჩრდილოეთით შემორჩენილი კარის წირთხლის მიხედვით ირკვევა (დაახლ.1.10მ), ეზოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ დატოვებული ეს ნაგებობა მიწის სქელ ფენას ვერ დაუცავს და ჩანს, გვიანდელ შენობათა სარდაფების ინტერიერში მოქცეულ სხვა ძველ სათავსებზე მეტად დაზიანებულია.

ამრიგად, კვლევამ ნათლად დაგვანახა ერთიან სტრუქტურად ეტაპობრივად ჩამოყალიბებული №7/2 და №7/3 შენობების რთული აგებულება. ამას ემატება საძირკვლის გამაგრების მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებიდან რეაბილიტაციის ბოლომდე უწყვეტ რეჟიმში გამოვლენილი სხვადასხვა სამშენებლო ფენები, XVII-XVIII სს-ის სხვადასხვა დანიშნულების ძველ ნაგებობათა ნანგრევები და კერამიკული ნანარმიც. აქ მდგარ სტრუქტურათაგან ფრაგმენტულად მოღწეული მეჭურტლეთა საცხოვრებელ-სახელოსნოების, კერამიკული ქურის, დახურული ბაზრისა, თუ სხვა დანიშნულების შენობათა ნაშთების სიმრავლით წარსულის სრული და მწყობრი სურათის აღდგენა ვერ ხერხდება, თუმცა მათი ერთობლიობა აჩვენებს მოცემული ადგილის მნიშვნელობას, თვალწინ შლის ძველი განაშენიანების ისტორიის აქამდე უცნობ, საინტერესო ფურცლებს, საგრძნობს ხდის წარსულში განვლილი აქტიური ცხოვრების მაჩისცემას და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის აქ მცხოვრებ მოქალაქეთა საქმიანობაზე.

²³ კარის ღიობის დაზიანებული ჩაშენების ნაპრალიდან გადაღებული ფოტოს შესახებ არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის 1.07.2019 ანგარიშშიც არის აღნიშნული, რომ „გაირჩევა გუმბათისებური მოყვანილობა“.

²⁴ დ.გვრიტიშვილი, შ.მესხია, *თბილისის ისტორია*, თბ., 1952, გვ. 127

²⁵ იხ. გვ. 47, ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანბატონის სიტყვა. რომ მოედანი საუკუნეების მანძილზე სავაჭრო სივრცეს წარმოადგენდა.



სურ. 1. ქალაქის გაღმავლის ფრაგმენტი სოლოლაკის ქედის ფერდობზე

ახალი მონაცემები შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის განაშენიანების შესახებ

(ქალაქის გალავანი, შ. დადიანი/ლ. ასათიანის ქ. №34/17, შ. დადიანის ქ. №32)

ქალაქის ძველი გალავანი შ. დადიანის ქუჩის ბოლოს

როგორც უკვე ითქვა, ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბანში რეაბილიტაციის დაწყებას წინ უძღვოდა კონსერვაციის გეგმის დამუშავება 2015 წელს. ამ დროს შემოისაზღვრა საკვლევი ტერიტორია, რომლის პირობითი საზღვარი სამხრეთით და დასავლეთით შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩებზე გატარდა. ფიზიკური სამუშაოების ფართო მასშტაბით გაშლამდე, 2016 წელს, დაიწყო ამ ქუჩების კუთხესთან განთავსებული თბილისური სახლის ქრესტომათიული ნიმუშის, ყველასთვის კარგად ნაცნობი №34/17 ნაგებობის რეაბილიტაცია¹. მოგვიანებით, ფიზიკური სამუშაოები შეეხო შ. დადიანის ქუჩისკენ მის მომიჯნავე №32 საცხოვრებელ სახლსაც. ადგილის გამორჩეული მნიშვნელობიდან გამომდინარე პროცესის მიმართ მომეტებული ინტერესი და მოლოდინი არსებობდა, რადგან წარსულში ამ მონაკვეთით სრულდებოდა ძველი ქალაქის განაშენიანება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ასევე, ცნობილია², რომ სოლოლაკის ქედზე გამავალი შუა საუკუნეების ქალაქის გალავანი, რომელიც დასავლეთ კუთხესთან მდებარე შაჰისტახტთან მკვეთრად იცვლიდა მხარს და ეშვებოდა ქვემოთ ქალაქისკენ, ველიამინოვის³, დღევანდელი შ. დადიანის ქუჩის არეში გამავალ ქალაქის ზღუდეს უერთდებოდა. ქედიდან დაშვებული კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე თვალსაჩინოდ მოჩანს სოლოლაკის ფერდზე (სურ.1), ხოლო შ. დადიანის ქუჩის ხაზი გალავნის მოშლის შემდეგაც, დღემდე ერთგვარ პირობით საზღვრად გვევლინება შუა საუკუნეების

თბილისსა და გალავანს გარეთ, ძველი სამეფო ბაღების ადგილზე XIX ს-ის შუა წლებიდან დაგეგმარებულ და რეგულარულ ქუჩების ქსელზე გაშენებულ სოლოლაკს შორის. შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის განაშენიანების რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული მოლოდინი დიდწილად გამართლდა კიდევ. გარდა იმისა, რომ ნაგებობათა ფუნდამენტის სივრცეში აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი სიძველე, VI-VIII სს-ის ზღუდის ნანგრევი (ნახ.1), ამასთანავე, ორივე შენობის გახსნამ უშუალოდ მათთან დაკავშირებული საყურადღებო ახალი მონაცემები, აქამდე უცნობი სამშენებლო ფენები და დეტალები გამოავლინა, რამაც საშუალება მოგვცა დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ქალაქის მოცემული ნაწილის ისტორიულ განაშენიანებაში მიმდინარე საყურადღებო ცვლილებების სურათი დაგვეჩვენა. ასევე, გაირკვა, რომ XIX ს-მდე მოქმედი გალავნის ადგილმდებარეობა და მისი მიმართება შ. დადიანის ქუჩასთან ჯერ ისევ დასაზუსტებელია.


ქალაქის ზღუდეს ამ ტერიტორიაზე ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის უადრესი, 1735 წლის გეგმაც აჩვენებს (სურ.2). ეს ზღუდე XIX ს-ის დასაწყისში ქალაქს ისევ ჰქონდა შემორჩენილი. იგი აღნიშნულია 1803 წლის ოფიციალურ აღწერაში, კლაპროტის 1807-1808 წლების მოგზაურობის ჩანაწერებში⁴ და საუკუნის დასაწყისში შედგენილი ქალაქის გეგმებზე. 1801 და 1809 წლის გეგმების მიხედვით, გალავანი უწყვეტად იკითხება დასავლეთისა და ჩრდილოეთის მონაკვეთში და მათი ტეხილი კონტური ნახევარწრიული ბურჯებითა და გოდოლებით სავსებით შეესატყვისება ერთმანეთს.

¹ შ.დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის №34/17 ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი დაამუშავა იკომოს საქართველოს სპეციალისტთა ჯგუფმა, მთ. არქიტექტორი მ. ბოჭოიძე, არქიტექტორ-რესტავრატორები ნ.ცინცაბაძე, ე.მახათელაშვილი, ლ.ბოკუჩავა 2017; დადიანის ქ. №32 შენობის რეაბილიტაციის პროექტი დაამუშავა შპს „საინჟინრო აზრი“-ს გუნდმა, მთ. არქიტექტორი მ.ლეკვეიშვილი.


² ვ. ბერიძე, XVIII ს-ის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები I, თბ., 1947, გვ.131; დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 109

³ დღევანდელი შ. დადიანის, XIX ს-ში გენერალ ა. ველიამინოვის ქუჩა, შემდგომში, სხვადასხვა პერიოდებში ლ. დუმბაძის, ბაკ.ფედერაციის, ი. ჭავჭავაძის ქუჩად იწოდებოდა.

⁴ მ. პოლივექტოვი, გ. ნათაძე, ძველი თბილისი, თარგმანი რუსულიდან ი. აღლაძის და ვ. გიორგაძის, ტფ. 1930, გვ. 69



სურ. 2. თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. 1735 წელი. ფრაგმენტი.



ნახ. 1. სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები შ.დადიანი/ლ.ასათიანის ქუჩების კუთხის განაშენიანებაში.

ჩანს, ქალაქის გაღავნის კედელი ძველი უბნების დასავლეთით და ჩრდილოეთით XIX ს-ის I მეოთხედში ჯერ კიდევ მდგარა⁵, თუმცა შემდგომ, დასავლეთით, ჩვენთვის საინტერესო ნაწილში იგი შედარებით ადრე დაუნგრევიათ, ჩრდილოეთით კი, კედელი უფრო მეტ ხანს დარჩენილა. 1828 წლის გეგმაზე შ. დადიანის ქუჩის მონაკვეთში საზღვრის ხაზი სწორია. საგულისხმოა, რომ აქვე, ბაღების ნაცვლად სოლოლაკის ნაწილში ნაჩვენებია რეგულარული გეგმარება მხოლოდ საპროექტო მონახაზს გულისხმობს და არა განაშენიანებას, რადგან ცნობილია, რომ ბარონ ტორნაუს თბილისში ჩამოსვლისას⁶ 1832 წელს სახლები ქუჩის მარცხენა მხარეს დახვედრია, საპირისპირო მხარეს კი, ჯერ ისევ დიდი ვენახი ყოფილა გაშენებული.

წინასწარ ძნელი იყო იმის განსაზღვრა ზუსტად რა ნაწილში დაემთხვეოდა შ. დადიანის ქუჩის ხაზი შუა საუკუნეების თბილისის ზღუდის ხაზს, თუმცა №34/17 შენობის კუთხის ოთახის სიმრგვალე აჩვენდა მოსაზრებას, რომ მის სხეულში გაღავნის ერთ-ერთი გოდოლ-ბურჯი დაგვენახა. ამასთან დაკავშირებით მონაცემების გადამოწმება-შეგება ქალაქის ადრეულ გეგმებზე დაკვირვებით მოისინჯა. XVIII ს-ის 30-იანი წლების თბილისში, ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის მიხედვით კალას სამხრეთ ნაწილში უკვე გამოკვეთილი იყო ლ. ასათიანის⁷ წინამორბედი ქუჩა. იგი ქალაქის გაღავანთან იღებდა სათავეს და მისი შეერთების ადგილი გვერდებიდან ფლანკირებული იყო ორი მცირე ზომის მრგვალი ბურჯით, რაც მოგვიანებით შედგენილ 1800, 1802 და 1809 წლე-

⁵ ნ. ბადრიშვილი, მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი, საიუბილეო კრებული, თბ., 1946, გვ.161

⁶ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, II, თბ., 1960, გვ. 24

⁷ ლ. ასათიანის ქუჩა სხვადასხვა დროს იწოდებოდა კოჭრის, ბაღის, ვ. ბებუთოვის, ფ. ენგელსის ქუჩად.



სურ. 3. ძველი გალავნის კედლის ნანგრევი შ. დადიანი/ლ. ასათიანის ქ. კუთხის №34/17 სახლის ფუნდამენტის არეში, 2016

ბის გეგმაზე იკითხება. ეს ქუჩა ქალაქის ფარგლებს გარეთ დასავლეთით მიმავალ კოჭრის გზას უნდა შეერთდებოდა. ერთ-ერთი არსებული მოსაზრების თანახმად ეს მიჩნეულია ადრე კოჭრის (?) კარის ქალაქის ამ ნაწილში არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ გარემოებად⁸.

ყოველივე ეს ბადებდა ეჭვს მრგვალი ოთახის სხეულში ბურჯი დაგვენახა. ამდენად, საყურადღებო იყო მრგვალი ოთახის ზომების შედარება 2012 წელს ა. პუშკინის ქუჩის კენტრომრიან შენობათა რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესში სავალი ნაწილის ასფალტის საფარს ქვეშ გამოვლენილ ქალაქის ზღუდის ბურჯებთან, სადაც 12-14 მეტრამდე დიამეტრის მძლავრ კოშკებთან ერთად შედარებით მომცრო ზომის, სწორედ მრგვალი ოთახის გაბარიტებთან მიახლოებული, – 7 მეტრი დიამეტრის (შიდა დიამეტრი – 5მ.) კოშკიც იყო გახსნილი⁹. თუმცა ყურადღებას იპყრობდა გალავნის კედელთან დაკავშირებული ყველა ამ კოშკის გეგმა, რომელიც ელიფსური, განში გასული იყო, განსხვავებით საკვლევი შენობის წესიერი წრიული მოხაზულობის გეგმის მრგვალი ოთახისგან.

ეს მოსაზრება სრულად გაბათილდა 2016 წელს, რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ, შ. დადიანის ქ. №34/17 და მომიჯნავე №32 შენობის ფუნდამენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით განხორციელებული პირველი სართულის იატაკის აყრისას, რის შემდეგაც ორივე სახლის ქუჩისპირა ზოლში განლაგებულ ოთახებში, მიწის ფენის ქვეშ გამოვლინდა მძლავრი, 2.8 მეტრამდე სიგანის ძველი ზღუდის კედელი (სურ. 3), რომელიც მთელ სიგრძეზე გასდევს შენობებს და ჩანს, მათ საზღვრებს გარეთაც გრძელდება¹⁰. აქვე, ნათელი გახდა, რომ შენობების ამ ნაწილში სარდაფების არქონა აღნიშნული მნიშვნელოვანი სიძველის არსებობამ განაპირობა. ფუნდამენტის არეში გახსნილი ფლეთილი ქვით ნაშენი ძველი ზღუდე ადრე ფეოდალური ხანით, სავარაუდოდ, VI-VIII სს-ით თარიღდება¹¹. იგი სახლების გარე კედლიდან 0,5მ-დან 1,5მ-მდე დაშორებით ინტერიერში ალმაცერად მიემართება სამხრეთი-ჩრდილოეთი ღერძის მიმართულებით, ქუჩის გასწვრივ. განმედილი კედლის საერთო სიგრძე შენობათა ქვეშ დაახლოებით 35 მეტრი შეადგინა. ცხადია, სახლების აგების დროისთვის აღნიშნული ძველი გალავანი აღარ ფუნქციონირებ-

⁸ თ. კვირკველია, *თბილისის არქიტექტურა*, თბ., 1982, გვ. 39 (რუსულად). ვფიქრობ, სამეფო ბაღების აქ არსებობის და გალავანზე მიბჯენილი, XIX ს-ში ნიშანდობლივ ბაღის ქუჩად წოდებული ლ. ასათიანის ფართო, სწორი მაგისტრალის მასთან მიმართების გათვალისწინებით, რომელიც უკვე ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე იკვეთება, ლოგიკურია კოჭრის დიდ კართან ერთად აქ კოჭრის მცირე კარს ემოქმედა.

⁹ მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, *ახალი არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან*, თბ., 2023, გვ.109-120

¹⁰ მიწის სამუშაოებს ზედამხედველობას უწევდა არქეოლოგი მერაბ ძნელაძე.

¹¹ მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, *იქვე*, გვ. 120-122

და და დაზიანებულ მდგომარეობაში, პირმოსწორებული ნანგრევების სახით მოუქცევიათ შენობების ქვეშ, რამაც სავარაუდოდ, შემდგომი დაზიანებისგან დაცვა კიდევ იგი.

გალავანი, რომელიც შუა საუკუნეებში ფეოდალური ქალაქის სასიმაგრო ნაგებობას, უსაფრთხო ცხოვრებისა და თავდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა, ქვეყნის დედაქალაქს სათანადოდ განვითარებული ჰქონდა. X ს-ის არაბი გეოგრაფი და მოგზაური მუჰამად აბუ'ლ ყასიმ იბნ-ჰუკალი თბილისში ორმაგი ზღუდის არსებობაზე მიუთითებს¹². ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით გეგმაზე აღნიშნული ქალაქის კედელი „...1642-1667 წლებში, სპარსეთის შაჰის აბას II-ის დროს შემოუვლიათ. მაგრამ მისივე ცნობიდან ირკვევა, რომ ქალაქს ამ დრომდეც ჰქონია კედელი, რომელიც XVII საუკ. პირველი ნახევრისათვის უკვე შემუსვრილი ყოფილა“¹³. ქალაქის სახლების ქვა-ტალახით შენებაზე საუბრის პარალელურად ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ზღუდენი ქვითკირისანი არიან“¹⁴. ა. პუშკინის ქუჩის შენობათა რეაბილიტაციისას სხვადასხვა დროს ფრაგმენტულად გამოვლენილი, აგურისა და ქვის კვადრების შერეული წყობით ნაშენი გალავნის კედელიც, რომელიც XIX საუკუნემდე ფუნქციონირებდა და ქალაქის განაშენიანებას დასავლეთი-

დან შემოსაზღვრავდა, – ქვითკირისაა¹⁵. №34/17 და №32 საკვლევი შენობების ფუნდამენტის სივრცეში გამოვლენილმა, ასევე ქვითკირის, თუმცა განსხვავებული წყობითა და მასალით ნაშენმა ძველმა ზღუდემ გარკვეული კითხვები წარმოშვა შ. დადიანის ქუჩის მიდამოებში გვიანობამდე მოქმედი გალავნის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ ძველი ზღუდის ხაზი, რომელზეც ამ მონაკვეთში XVIII ს-ის (ცალკეულ მონაკვეთებში შესაძლოა უფრო ადრეული ფენების შემცველი) შენობები დაუშენებიათ და გალავანი ყოფილ ველიამინოვის ქუჩაზე, რომელიც XIX ს-ის 30-იან წლებამდე იდგა, ერთმანეთს არ ემთხვეოდა, სხვადასხვა ტრაექტორიას გადიოდა და ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობა აქ ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. თბილისის ადრეულ გეგმებზე (1800, 1802, 1809 წლების) ყურადღებას იქცევს ქუჩის ამ მონაკვეთში გალავნის ხაზის ალმაცერი მიმართულება დასავლეთისკენ, რასაც შემდეგ მკვეთრი შემოტევა და სწორხაზოვანი მონაკვეთი მოსდევს. ეს გარემოება განსაკუთრებული სიფრთხილის საფუძველს ქმნის სამომავლოდ შ. დადიანის ქუჩაზე მანქანების სავალ ნაწილში, თუ მის გასწვრივ მდებარე წყვილ, თუ კენტომრიან შენობებზე დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის მიწის სამუშაოების წარმოებისას¹⁶.

შ. დადიანი/ ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის №34/17 საცხოვრებელი სახლი

გემოთ აღნიშნული გარემოებები წარმოდგენას გვიქმნის შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის №34/17 საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობის როლზე ძველი ქალაქის კონფიგურაციაში. დღეს, ამ კუთხით იწყება, თუ მთავრდება ისტორიული ქვემო კალას სამხრეთ-დასავლეთი განაპირა მიკრო-უბნის განაშენიანება და ამ კუთხესთან ლ. ასათიანის ქუჩით ჩახვევისას ერთ-ერთი შთამბეჭდავი გზით ხდება შესვლა შუა საუკუნეების ქალაქში. განაპირა მდებარეობის გამო არქიტექტურული გარემო ლანდშაფტის სურათებით არის გაჯერებული. ერთი მხრივ, მხედველობის არეში ახლო შემოდის ლანდშაფტის ხედები სოლოლაკის ქედის კლდოვანი ფერდით, მეორე მხრივ, ამ კუთხიდან, რომელიც მკაფიოდ მონიშნავს ისტორიული ქალაქის საზღვარს, ქუჩის ორსავე მხარეს მიჭრით განლაგებული, მრავალფეროვანი მხატვრული გა-

დანწყვეტის მქონე, ევროპულფასადებიანი შენობების გარემოცვაში აღმოვჩნდებით.

მრავალმხრივ საყურადღებო შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის №34/17 სახლს თვითმყოფად არქიტექტურულ-მხატვრულ ღირებულებასთან ერთად, გზაჯვარედინთან საინტერესოდ მორგებული სტრუქტურა და მკაფიო ურბანული მნიშვნელობაც გამოარჩევს ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში. ერთმანეთთან ვიწრო დამხმარე მკლავით დაკავშირებული ორი განცალკევებული, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისგან შემდგარი ეს მთლიანობა შ.დადიანის ქუჩისკენ მოკლე მხრით გამოდის და ლ.ასათიანის ქუჩის დამრეცი რელიეფის გასწვრივ გრძივ ღერძზე ვითარდება (სურ.4). ზედა სახლს ქუჩების კუთხესთან ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს. ნაგებობის პლასტიკას იმეორებს, ხაზს უსვამს და მიმზიდველობას მატებს

¹² მ.პოლიევქტოვი, გ.ნათაძე, *ძველი თბილისი*, თარგმანი რუსულიდან ი. აღლაძის და ვ. გიორგაძის, ტფ., 1930, გვ. 1-2; ე.სიხარულიძე, *იბნ-ჰუკალი თბილისის შესახებ*, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგ. 1. თბ., 1976, გვ. 35

¹³ დ.გვრიტიშვილი, შ. მესხია, *თბილისის ისტორია*, თბ., 1952, გვ. 108-109

¹⁴ *ქართლის ცხოვრება*, ტ.IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.338

¹⁵ მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, *თბილისის არქეოლოგია III, ახალი არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან*, თბ., 2023, გვ. 120-122

¹⁶ აქვე უნდა აღინიშნოს სოლოლაკის ფერდზე შემორჩენილი გალავნის ფრაგმენტების დაცვის სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველსაყოფად კონსერვაციის გეგმაში გაკეთებული ჩანაწერის შესახებ, რომ აუცილებელია მას მიენიჭოს ძეგლის სტატუსი, რაც აქამდე არ განხორციელებულა.



სურ. 4. შ.დადიანი/ლ. ასათიანის ქვ.-ის კუთხის სახლი №34/17, 2025


ხის აჭურული ჩუქურთმებით გაფორმებული, ძლიერად შვერილი შეკიდული აივანი. ქვედა საცხოვრებელი ბლოკი ლ. ასათიანის ქუჩისკენ ვიწრო, სადა ფასადით გამოდის და ზედა შენობისგან განსხვავებით, მეორე სართულის რკინის პატარა, სადა აივნით იხსნება. ნაგებობებს შორის მოქცეული პატარა ეზო ქუჩისგან აგურით ნაშენი მაღალი ზღუდით არის გამოყოფილი. შენობებს ეზოსკენ ორივე სართულზე ნაწილობრივ ამოშენებულ-შემინული აივნები შემოსდევს, რომელსაც სხვადასხვა მიმართულებით ამაველი გადაუხურავი კიბის მარშები უკავშირდება. რეაბილიტაციის დაწყებამდე ეზოში ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი მიწაში ვერტიკალურად ჩასმული თხელი რიყის ქვით მოკირწყლული ქვაფენილი.

როგორც ითქვა, ქუჩების შესაყართან **№34/17 სახლის ზედა ნაგებობა** დიდ რკალს შემოწერს, რასაც ხაზს უსვამს ნალესობით გამოყვანილი წვრილ-წვრილპროფილიანი კარნიზი, მსგავსი პროფილის სართულშუა სარტყელი და ქოლგისებური გადახურვა მცირე ნაშვერით. შელესილ და ჩალისფრად შეღებილ ფასადს მსუბუქად ამოღარული, პარალელური ჰორიზონტალური ზოლები შემოსდევს.


აღნიშნულ სიმრგვალეს წრიული გეგმის კუთხის ოთახი ქმნის. ის ორივე ქუჩის მხრიდან მომდევნო

სწორკუთხა ოთახებს შორისაა მოქცეული. წრიულ სადგომს ამ ოთახებთან მომიჯნავე კედლებში შექმნილ მოზრდილ სამკუთხა არეებში საკმაოდ ღრმა, ირეგულარული გეგმის უბეები აქვს (ნახ.2). ცენტრალური ოთახის შიდა სივრცეს რკალზე თანაბრად განაწილებული სამი ღიობის გარდა, აღნიშნულ ნიშებში დატანებული ფანჯრებიც ანათებს. მართკუთხა ოთახებში მაღალი და ღრმა სწორკუთხა ნიშებიც მოწყობილი. ეზოს მხარეს მოქცეულ მოგრძო, ორად გატიხრულ ოთახს წინ აივანი გასდევს. სახლის პირველ სართულზე მოხვედრა ეზოდანაც არის შესაძლებელი და ლ. ასათიანის ქუჩისკენ დატანებული სადარბაზოს კარიდანაც, რომელიც სწორედ აღნიშნულ აივანს უკავშირდება. ორივე სართულს არსებითად ერთგვაროვანი გეგმარება და ღიობთა განლაგება აქვს, თუმცა ამ უკანასკნელთა ფორმა და დამუშავება განსხვავებულია: ქვემო სართულის მართავე, მშვილდათალოვან ფანჯრებს ზედა სართულზე შესრულების სიზუსტით გამორჩეული, პროფილირებული საპირფარეო მორთული ნახევარწრიულთალოვანი ღიობები ცვლის.

როგორც ითქვა, შენობას ხეზე კვეთილი მორთულობით გაფორმებული ნახევარწრიული, დაკიდული აივანი ამშვენებს. ამ აჭურულ მოცულობას ფასადის



ნახ. 2. №34/17 სახლის I სართულის გეგმა



ნახ. 3. №34/17 სახლის ჭრილი.

დიდი ნაწილი უკავია. მაღალი ოსტატობით შესრულებული, წრისა და ჭვრის მოტივების შემცველი აფურული ორნამენტების მსხვილი ფორმები მკაფიოებას სძენს მხატვრულ კომპოზიციას. გრეხილი სვეტები საზეიმო ელფერს ანიჭებს ფასადს. მათი ზომიერი სიმაღლე, სქელ ფიცარში ნაკვეთი რთული მოხაზულობის კილისებურთაღოვანი „ფარდებისა“ და მოაჭირების დამუშავება, რკალური ფორმის, ძელა-

კებამოკრული ყრუ კრონშტეინების სისადავე, გარკვეულ ტექტონიკურობას ანიჭებს აივანს. განსხვავებულია ეზოსკენ გამავალი ოთახების წინ არსებული, დროთა მსვლელობაში ნაწილობრივ შუშაბანდებად გადაკეთებული რიკულებიანი აივნის გადანწყვეტა. აქ ყურადღებას იქცევს საკმაოდ მსხვილი რვანახნაგა სვეტები კაპიტელის და მოაჭირის ნაწილში ფართოდ და აღმაცერად ჩამოკვეთილი კუთხეებით (სურ.5).



სურ. 5. №34/17 სახლის ზედა შენობის I სართულის აივანი ეზოს მხრიდან, ფრაგმენტი, 2015

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციამდე II სართულის ინტერიერში შემორჩენილი იყო მოხატულობა, რომელიც ამ ტიპის დეკორაციული გაფორმების საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენდა (სურ.6). მრგვალი ოთახის პლაფონზე ქვემოდან მაყურებლის თვალით დანახულ პერსპექტივაში, ცის კამარის ფონზე გამოსახული იყო წრეს შემოყოლებული დაბალი ბალუსტრადა შიგ ჩართული პედესტალზე შედგმული ყვავილის თაიგულებიანი ვაზონებით. გვერდითი ოთახის კედელზე ჩამოხეული შპალერის ქვეშაც მოჩანდა მოხატულობის ფრაგმენტები, სადაც იკითხებოდა კანელურებიანი პილასტრი და ჭერთან გაყოლებული ფრიზი ვარდულებიანი კვადრატების მწკრივით. XIX საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ბურჟუაზიულ თბილისში იმატა დეკორატიულობის, უხვი მორთულობისა და ფუფუნებისკენ სწრაფვამ, ფართოდ გაიშალა სასტუმროებისა და სახლების სადარბაზოების მოხატვა. ამ მოხატულობის გამოვლენილი და შესწავლილი ნიმუშები აჩვენებს რომ თბილისელი დამკვეთის და შემსრულებლის გემოვნება სავსებით პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს¹⁷. რაც შეეხება საცხოვ-



სურ. 6. №34/17 სახლის მოხატულობა II სართულზე, ფრაგმენტი, 2015

რებელ ბინებში შემონახულ კედლის მოხატულობას, ამის ნიმუშები შედარებით მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი და ეს ერთ-ერთი მათგანი იყო.

კუთხის სახლის ზემოთ მითითებული სახასიათო ნიშნები – I სართულის მშვილდათალოვანი ღიობები, ნახევარწრიულთალოვანი მოხაზულობის კარფანტრები II სართულზე, აივნის კილიანი თალები, სქელ ფიცარში ნაკვეთი ჭვირული ორნამენტის დახვეწილი ნახატი, ეზოსკენ არსებული აივნის რვანახანაგა სვეტები და ბალიასინები – მიანიშნებდა, რომ საცხოვრებელი სახლის საერთო ხუროთმოძღვრული სახის ჩამოყალიბება XIX ს-ის 60-იან წლებში უნდა დასრულებულიყო¹⁸ (სურ.7). თბილისურ სახლებში შედარებით იშვიათად გამოყენებული შეკიდული აივნის გრეხილი სვეტებიც ამავე პერიოდშია გავრცელებული და ამის ნიმუშს ახლო ტერიტორიულ არეალში ვ.ბერიძისა და პ.ჩაიკოვსკის ქუჩების კუთხის №5 სახლზეც ვხვდებით.

რაც შეეხება სარდაფს, ის მხოლოდ სახლის ეზოს მხარეს არსებულ გრძელ, შუაში გატახრულ მართკუთხა ოთახს ახლავს. იგი ორ ბრტყელჭერიან სადგომს შეიცავს და იქ ჩასვლა აივნის ქვეშ არსებული, მიწაში ჩაღრმავებული დერეფნიდან დამოუკიდებელი კიბეებით არის შესაძლებელი (სურ.8). მიწისქვეშა სივრცის ზერელე დათვალიერებაც საკმარისი იყო, რომ საცხოვრებელ სართულებთან შედარებით მისი ადრეულობა შეგენიშნა. სათავსში იყო განიერი და დაბალთაღიანი ღრმა ნიშა, იატაკი კვადრატული აგურით იყო მოგებული. მარცხენა სადგომში საყურადღებო იყო, სავარაუდოდ, სამეურნეო დანიშნულების მცირე ზომის ორმოს არსებობა.

¹⁷ ც. კილაძე, მ. მეძმარიაშვილი, თ.გერსამია, *თბილისური სადარბაზოები*, თბ., 2008, გვ.17

¹⁸ სახლზე მცირე ანოტაცია ჩართულია წიგნში - *საქართველოს ძველი ქალაქები*, თბილისი, წიგნი გამოსცეს მ.ბულიამ და მ.ჭანჭალიამ, თბ., 2002, გვ. 131



სურ. 7. №34/17 სახლის ფასადი, XX ს-ის დასაწყისი



სურ. 8. №34/17 სახლის ზედა შენობის სარდაფში ჩასასვლელი, 2015

შეუღესავი აგურის კედლებიან ინტერიერს მხატვრულ გამომსახველობას ანიჭებდა კედლის ქვედა მონაკვეთებში რიყის ქვისა და ნახევარაგურების გამოყენებით ოსტატურად შესრულებული „თევზიფხური“ წყობის ჩანარები. ამასთან ერთად, თვალს იზიდავდა განიერ კედლებში მოწყობილი სწორკუთხა ღიობების თავზე კედელში დატანებული ჰორიზონტალური ძელები, ჭერის მძლავრი, ჩამუქებული კოჭები და კედლის სიბრტყეზე განაწილებული მუქ-ყავისფერი კვადრატები, რაც კედელში განივად დატანებული ძელების სიმრავლეს და განლაგებას აჩვენებდა (სურ.9).

ეს ტრადიციული სამშენებლო ხერხები: – შერეული მასალის დეკორაციული წყობით შესრულებული ჩანარები, თუ ხის ძელების სხვადასხვაგვარი გამოყენება, რასაც უპირველესად, ანტისეისმური, კონსტრუქციული დანიშნულება აქვს და ამასთანავე, მხატვრულ დატვირთვასაც ატარებს, თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში ხშირად გვხვდება, თუმცა უმეტესად, XVIII ს-ის ნაგებობებისთვის არის ნიშანდობლივი.

ჩრდილოეთ სადგომში თვალშისაცემი იყო განაპირა კედლის განსხვავებული, რიყის, ფლეთილი ქვისა და აგურის შერეული წყობა და რიგების მონაცვლეობა, რომლის სიბრტყეზე ორი რიგი აგურის ვერტიკალური წყობით გამოყვანილი კონსტრუქციული დანიშნულების, ფართო ნახევარწრიული თაღები იკითხებოდა. ეს კედელი, რომელიც სათავსის გარეთაც გრძელდებოდა და ორი შენობისა და და-



სურ.9. №34/17 სახლის ზედა შენობის სარდაფის ფანჯარა ფიცრის დარაბით, 2015

მაკავშირებელი ფლიგელისგან შემდგარ სახლს ჩრდილოეთიდან კრავდა სარდაფის დონეზე, სავარაუდოდ, ჩვენთვის უცნობი სტრუქტურულიდან შემორჩენილ ფრაგმენტს წარმოადგენდა (სურ.10,11,12). სამწუხაროდ, რეაბილიტაციის პროცესში შენობის გამაგრებისთვის გამოყენებული, ძეგლის ფასეულობების დაცვასთან შეუთავსებელი მეთოდის – კედლების არმირების შედეგად, ამ სარდაფის ინტერიერის თავისებურება და გამომსახველობა დღეს სრულად შენიღბული, დაფარული და დაკარგულია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობისას, სახლის კედლების გაშიშვლების შედეგად გამოვლენილმა არაერთმა დაფარულმა კვალმა არსებითად შეცვალა საწყისი მოცემულობა და შესაძლებელი გახდა სარდაფის თანადროული, ანუ ერთდროულად აგებული მთლიანობის დანახვა. დაკვირვებამ სამუშაოება მოგვცა გამოგვევლინა XIX ს-ის შუა წლების გარეგანი სტილური ნიშნებით შენიღბული XVIII ს-ის საცხოვრებელი. ამ მნიშვნელოვანი სიახლის მიკვლევის პროცესს, სამწუხაროდ, სერიოზული დანაკარგები მოყვა. სამუშაოების დაწყებისას, მშენებლების მიერ შენობის ტექნიკური მდგომარეობის ავარიულად შეფასების გამო გადაწყდა კედლების არმირება და



სურ. 10. №34/17 სახლის ზედა შენობის სარდაფის ღრმა ნიშა და ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი, 2015

ლიობების ლითონის კონსტრუქციებით მოჩარჩოება. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ჯგუფისთვის ამგვარი ჩარევა მეთოდურად მიუღებელი აღმოჩნდა და არ იქნა გაზიარებული, ჩანაფიქრი მაინც დაჩქარებულ ტემპში განხორციელდა¹⁹. ამას ისიც დაემა-

¹⁹ მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით განუწყვეტლივ ხდებოდა თბილისის განვითარების ფონდთან მიმოწერა და პრობლემების განსახილველად ეწყობოდა ძეგლზე ერთობლივი გასვლები, რისი ამსახველი საკმაოდ მოცულობითი წერილობითი დოკუმენტაცია ინახება იკომოს საქართველოს ოფისში და სავარაუდოდ, ფონდშიც.



სურ. 11. №34/17 სახლის ზედა შენობის სარდაფის ჩრდილოეთი კედელი, ფრაგმენტი, 2015



სურ. 13. №34/17 სახლის ზედა შენობის II სართულის კედლის წყობა, 2016



სურ. 12. №34/17 სახლის ზედა შენობის სარდაფის ფიცრის დარაბიანი ფანჯარა გარედან და ჩრდილოეთი კედელი, 2016



სურ. 14. №34/17 სახლის ზედა შენობის II სართულის კედლის წყობა და გადახურვის კოჭები, 2016

ტა, რომ კედლების ნაღესობისგან გათავისუფლება არაკვალიფიციურ მუშახელს მიანდეს და მიუღებელ მეთოდთან ერთად, ძეგლზე უხეში ქმედებებით წარმოებულმა სამუშაოებმა, ფასადებსა და ინტერიერში მთელი ნაღესობის დაჩეხვამ, აგურის წყობის დაზიანებაც გამოიწვია. ასევე, წინასწარი გახსნისა და შესწავლის გარეშე მთლიანად განადგურდა მეორე სართულის ინტერიერში შემონახული მოხატულობა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

ამ დანაკარგების პარალელურად, კედლების გაშიშვლებამ მეტად საგულისხმო სურათი გამოაშკარავა. გამოჩნდა შერეული მასალისა და განსხვავებული წყობის ვარიაციები: – ორ-სამ რიგ აგურთან შეთავსებული ალმაცერად დაწვენილი რიყის ქვის მონაცვლეობა; თევზიფხურად ნაწყობი რიყის ქვისა და აგურის წყობაში ჩართული ფლეთილი ქვის კვადრების მონაცვლეობა; სარდაფის სართულის კედლების წყობის მსგავსად აგურის რიგებისა და ფლეთილი ქვის რიგის მონაცვლეობა (სურ.13); აგურის წყობაში ფლეთილი კვადრების გაბნეულად ჩართვა. ამასთან ერთად, გამოჩნდა მთელ სიმაღლეზე სამ-სამი რიგი აგურისა და ფლეთილი ქვის რიგების მონაცვლეობით ნაშენი ცალკეული კედლები. და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ღიობებით გახსნილ კედლებზე გამოჩნდა ერთმანეთის პარალელურად ჩატანებული ხის ძელების განსაზღვრული სისტემა: კედლების ზემო ნაწილში, ჭერთან მიბჯენით განთავსებული სარტყელი, რომელიც, ჩანს, აძლიერებდა კედლების კავშირს გადახურვის კოჭებთან და დაახლოებით ნახევარმეტ-

რიანი დაშორებით შემოყოლებული მეორე, დღემდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოღწეული სარტყელი, რომელიც ღიობთა სიმაღლეს მონიშნავდა და ერთ დონეზე განთავსების სიზუსტეს უზრუნველყოფდა მშენებლობის პროცესში. ეს ხის სარტყლები ჭერის, კედლების და კარ-ფანჯრის ჩარჩოების ერთმანეთთან კარგად შეკრულ კონსტრუქციას შექმნიდა, რაც შენობის მდგრადობას გააძლიერებდა. ხის ორ სარტყელს შორის არეში კედლები აგურის რიგებში მოქცეული და ერთმანეთისგან აგურითვე გატიხრული ფლეთილი ქვის წყობით იყო ამოყვანილი (სურ.14), ხოლო ქვემოთ, იატაკამდე, – ძირითადად აგური იყო გამოყენებული.

ნაღესობა მოიხსნა განაპირა, ჩრდილოეთი კედლის სისქეში გამართულ სხვენზე ასასვლელი კიბის უჭრედშიც²⁰. როგორც ცნობილია, კედელში კიბის გამართვის პრაქტიკა, რასაც თბილისში გვიანი შუა საუკუნეებიდან ვიცნობთ, XIX საუკუნის I ნახევრის სახლებშიც მყარად იყო დამკვიდრებული, როგორც სართულების დასაკავშირებლად, ასევე ბანზე, ან კარგად მოწყობილ, დამხმარე სამეურნეო ფუნქციის მქონე სხვენზე ასასვლელად, რისი ნიმუშებიც აქვე მახლობლად მდებარე არაერთ სახლში შემორჩა (ბეთლემის აღმ. №8, №16ბ, ასკანის II ჩიხი №5, გომისა და ასკანის ქვ. №5/12, ამჟამად დანგრეულ გ. აბესაძის №23/1, გ. ჭიბლაძის №5 სახლებში და სხვ.). საყურადღებოა, რომ საკვლევ სახლში ბანის კიბის ორივე კედლის აგურის წყობაშიც იყო გამოყენებული ერთმანეთის პარალელურად დატანებული ჰორიზონტალური ძელები (სურ.15,16).

²⁰ В. Цинцадзе, Тбилиси, Тб. 1958, გვ.73.



სურ. 15. №34/17 სახლის ზედა შენობის ბანზე ასასვლელი კიბე, 2016

ნალესობისგან კედლების გაშიშვლებამ, გარდა მათი სტრუქტურული აგებულებისა და შერეული სამშენებლო მასალის გამოვლენისა, თვალსაჩინო გახდა მთელი შენობის ერთდროულად აგება და ის, რომ ნაგებობის საცხოვრებელ სართულებს სარდაფისგან განსხვავებული სახე XIX საუკუნის შუა ხანებში განხორციელებული ჩარევის შედეგად ჰქონდა შეძენილი. გამოიკვეთა, რომ ძველ სახლს სარდაფის სართულის მსგავსად, ზედა ორ სართულზეც სწორკუთხა ღიობები ჰქონდა, რომელთა გადაკეთებამ პირველ სართულზე მშვილდათალოვან, ხოლო მეორეზე – ნახევარწრიულთალოვან კარფანჯრებად, შენობას იმ პერიოდისთვის სახასიათო გარეგნული სტილური ნიშნები მიანიჭა (სურ.17). ცხადი გახდა, რომ აგურის წყობით ღიობთა თაღოვანი მოხაზულობის გამოსაყვანად მომხდარა ქვედა სართულის ხის ძელების ალაგ-ალაგ ჩატრა, რასაც დაურღვევია მათი მთლიანობა. ხსნარისა და აგურის განსხვავებული შეფერილობა მკაფიოდ იკვეთება ეზოსკენ გამავალი თაღოვანი ღიობების ირგვლივაც. აქვე ყურადღებას იპყრობს შენობის ბანური გადახურვის შემორჩენილი კონსტრუქციის ორმაგი შრე ჰორიზონტალურ ხის ძელებს შორის მოქ-



სურ. 16. №34/17 სახლის ზედა შენობის II სართულის ინტერიერი, გადაკეთებული ღიობები, 2016

ცეული მძლავრი კოჭებით და შემავსებელი აგურის წყობით (სურ.18).

XVIII ს-ის საცხოვრებლის ანალოგიური წესით გადაკეთების მეტად საგულისხმო შემთხვევას აქვე, საკვლევ უბანთან ახლოს მდებარე ასკანის ქუჩის №11 სახლის მაგალითზე²¹ გავეცანით, სადაც ნაგებობის აგურის შეუღესავ ფასადზე ღიობთა ცვლილების მსგავსი სურათი ისახება (სურ.19). იქ, გადაკეთებას კიდევ უფრო ნათლად ათვალსაჩინოებს ფასადზე ჩარიგებული თაღოვანი ფანჯრების მწკრივისა და მარჯვენა კუთხესთან შემორჩენილი ძველი, ორსინათლიანი ფანჯრების შედარება, რომელთა მსგავსს ვიცნობთ მიტროპოლიტ საბა ტუსისშვილის ნინონმინდის სასახლიდან²², მუხრან-ბატონის სასახლიდან თბილისში, რომლის გამოსახულება დიმიტრი ერმაკოვის ფოტოს შემორჩა²³ და სხვა ნიმუშებიდან. ასკანის ქუჩის №11 სახლის ფასადზე აშკარად ჩანს, როგორ ჩაუჭრიათ ფანჯრების თავსა და შუაში ჩატანებული ძელები და უფრო ფართო, თაღოვანი ღიობების მოსაწყობად კედლებიც გამოუნგრევიათ. ცვლილებას აგურისა და ხსნარის განსხვავებული შეფერილობაც ააშკარავებს ახალი ფანჯრების ნაპირებში. სახლის ეს მრავალშრიანი, ცხოველ-

²¹ მ. სურამელაშვილი, *XVIII საუკუნის ერთი თბილისური ბანიანი სახლის შესახებ, საქართველოს სიძველენი*, 7-8. თბ., 2005, გვ.326

²² ლ. რჩელიშვილი, მიტროპოლიტ საბა ტუსისშვილის სასახლე სოფელ ნინონმინდაში, *ქართული ხელოვნება* №3, თბ., 1950, გვ.2

²³ თ. გერსამია, *ძველი თბილისი*, თბ., 1984, ტაბ.33



სურ. 17. №34/17 სახლის ზედა შენობის II სართულის ინტერიერი, გადაკეთებული ფანჯრის ღიობი, 2016



სურ. 18. ბეთლემის აღმართი №16^ა. იკომოს საქართველოს ოფისი, ინტერიერი, კედლის წყობა და ხის სარტყლები.



სურ. 19. ასკანის ქ. №11 სახლი, მრავალშრიანი საფასადო კედლის ხედი ქვედა ტერასის სახლის დემონტაჟის შემდეგ, 2024

ხატული საფასადო კედელი მჭიდრო განაშენიანებაში ისე იყო ჩაკარგული, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების დანახვას ყურადღებით დათვალიერება ჭირდებოდა. მას შემდეგ კი, რაც 2024 წლის ზამთარში განაშენიანების ქვედა ტერასაზე მდებარე ასკანის III ჩიხი №4 ძველი სახლის დაშლა განხორციელდა, №11 სახლის წინა კედელი თვალწინ მთელი სისრულით აღიმართა. ხედის ამგვარმა გახსნამ ზედა სართულის ფანჯრის ღიობების ზემოაღნიშნულ გადაკეთებასთან ერთად, ნაგებობის ძირისა და სარდაფის სართულის ჩათვლით, რთული წარსულის სრული რეტროსპექტივის საოცრად შთამბეჭდავი სურათი წარმოაჩინა (სურ.19).

შ. დადიანი/ლ. ასათიანის კუთხის შენობის შემთხვევაშიც ღიობების გადაკეთების ანალოგიური ნაცადი ხერხი გამოუყენებიათ და სასურველი მოდური თაღოვანი მოხაზულობა ხის სარტყლის ჩატრით, გამონგრევით და გამოშენებით მიუღიათ, იმ განსხვავებით, რომ აქ ღიობები ორსინათლიანი არ ყოფილა. №34/17-ის კედელში ჩატანებული ხის ჰორიზონტალური ძელების ადგილმდებარეობით, მათ

შორის არსებულ აგურის კედელში ჩართული ქვის კვადრებით და სწორკუთხა ღიობებით დიდი მსგავსება ჩანს მახლობლად მდებარე ბეთლემის აღმართი №16ბ, XVIII ს-ის კოშკურ საცხოვრებელთან²⁴, რომელსაც გადაკეთება არ შეხებია და შესაბამისად საგულისხმო პარალელი აღმოჩნდა გრაფიკული რეკონსტრუქციის დამუშავებისას (სურ.18).

კვლევის პროცესში ინტერესს იწვევდა №34/17 სახლის კუთვნილების საკითხი. ვისი შეიძლება ყოფილიყო ვახუშტი ბატონიშვილის 1835 წლის თბილისის რუკაზე უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი მაგისტრალური, დღევანდელი ლ. ასათიანის ქუჩისა და ქალაქის გალავნის სიახლოვეს მდებარე ეს ნაგებობა, სავარაუდო მოსაზრება ამის თაობაზე XVIII ს-ის 40-იან წლებში შედგენილ მეტად საყურადღებო საბუთზე დაყრდნობით დაიბადა. ამ საბუთში უცნობი ქართველი მღვდელი თბილისში თავისი სამწყსოს ნაწილს, რომელიც კალას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ყოფილა განთავსებული, ასე აღწერს: – „ქვემო უბანი რაც არის, სულ მთლად ყარა მდივნის სასახლიდამ დაჭერილი ის გალავ-

²⁴ მ.სურამელაშვილი, XVIII საუკუნის კოშკური საცხოვრებელი ბეთლემის კლდისუბანში, *საქართველოს სიძველენი*, 9, თბ., 2005. გვ.161



სურ. 20. №34/17 სახლის ზედა შენობის გადაკეთებული ლიოზები ეზოს მხარეს და ბანიანი გადახურვის კონსტრუქციის ნარჩენი, 2016

ნის გამოტანება...²⁵; მამისა ბერძნიშვილი ჩანანერს განმარტავს: „საბუთი უბნების ჩამოთვლას დასავლეთიდან იწყებს, ე. ი. უბნის იმ მხრიდან, რომელიც ყველაზე ახლოა დღევანდელ ველიამინოვის ქუჩასთან და მაშინდელ ქალაქის გალავანთან. უკიდურესი პუნქტი ამ მხრივ ყარა მდივნის სასახლეა. ეს სასახლე ქალაქის გალავანთან მდგარა“.²⁶

რუკების მონაცემების, აღნიშნული დოკუმენტის და ქალაქის გალავანთან უკიდურესი სიახლოვის გათვალისწინებით, შესაძლებელი ჩანს სახლი №34/17, რომელიც ამავე დროს XVIII ს-ის ნაგებობა აღმოჩნდა, ყარა მდივნის სასახლედ, ან მის ნაწილად მივიჩნიოთ. არ არის გამორიცხული, სასახლე დღევანდელი №32 ნაკვეთისკენაც ყოფილიყო გავრცელებული, თუმცა ისიც აშკარაა, რომ №34/17 სახლის ლ. ასათიანის ქუჩისკენ გამომავალი ქვედა ნაგებობა, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა დამხმარე დანიშნულება ჰქონდა, სა-

ერთო სტრუქტურის განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ორივე შენობა შუაში მოქცეული მცირე, მოკირწყლული ეზოთი, რომელიც აგურის მაღალი კედლით იყო შემოზღუდული (სურ.21,22), თბილისური საცხოვრებლისთვის დამახასიათებელ ფართოდ გავრცელებულ სივრცით-გეგმარებით ტიპს შეესაბამება²⁷.

ნაგებობის ყარა მდივნის სასახლესთან იდენტიფიკაციის მოსაზრება ზედა სახლის მრგვალი ბურჯის მსგავსი გეგმარების მქონე დიდი სადგომის არსებობამაც გაგვიჩინა. ამგვარი გადანყვეტის თვალსაჩინო ნიმუში თბილისში, ისტორიულ ისანში, გალავნის დიდ ბურჯზე დაშენებული დარეჯან დედოფლის XVIII ს-ის 70-იანი წლების სასახლის²⁸ სახით დღესაც არსებობს. გვიანი შუა საუკუნეების ამ ტიპის სასახლეთა ჯგუფს ეკუთვნის ფეოდალთა, მოხელეთა, თუ დანიშნურებულ პირთა სასახლეების გეგმარებაში ჩართული საცხოვრებლად გამოყენებული

²⁵ დოკუმენტები თბილისის ისტორიისთვის (XVII-XVIII სს.), ნ. I, შეადგ. ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილი, თბ., 1962, გვ. 224-225

²⁶ მ. ბერძენიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 28

²⁷ მ. მანია, ეზო, როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, მაცნე, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბ., 1989, გვ. 107-115

²⁸ მ. მანია, ფერისცვალების მონასტრის კომპლექსი „მეტეხის გორაზე“, საქართველოს სიძველენი, 9, თბ., 2006, გვ.136



სურ. 21. №34/17 სახლის ეზოს აგურის ზღუდე რეაბილიტაციამდე, 2013

მრგვალი კოშკების არაერთი სხვა ნიმუშიც, როგორიცაა ჭილაშვილების ციხე-დარბაზის²⁹ მრგვალი კოშკი მილახვრიანთ კარში (დუშეთი), თუშმალიშვილებისა და შინჭიკაშვილების კოშკი მარტყოფში, ორბელიანების კოშკი ვაშლოვანში და სხვ.³⁰ ამ ხუროთმოძღვრული თემის შემოქმედებითი გადამშავების მაგალითები მოგვიანებით, XIX ს-ის თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაშიც იჩენს თავს, სადაც ჰორიზონტალურად გაშლილი სახლების კუთხეს მრგვალი კოშკისებური მოცულობა კრავს. ამის ნიმუშებს ვხვდებით საიათნოვას ქ. №12, ე. ნინოშვილისა და გ. მაზნიაშვილის ქ.-ის კუთხის №1/18, მ. ჭავჭავაძისა და გ. მაზნიაშვილის ქ.-ის კუთხის №12/52 სახლების სახით (სურ.23,24).


რაც შეეხება შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის №34/17 სახლის აგების დროს, მისი სარდაფის XVIII ს-ით დათარიღებისთვის საიმედო საფუძველს იძლეოდა შერეული სამშენებლო მასალა და აქ გამოყენებული ტრადიციული სამშენებლო ხერხები; ამასთან სრულ თანხმობაში ჩანდა საცხოვრებელი სართულების, მათ შორის კუთხის მრგვალი ოთახის მძლავრი კედლები და ღრმა ნიშები, თუმცა ნაგებობის გარეგანი სტილური ნიშნები ამის დაბეჭითებით მტკიცებას ხელს უშლიდა. ნაგებობის კედლების გახსნამ დოკუმენტური მონაცემებით გააქარწყლა ეს შეუსაბამობა და დაადასტურა, რომ აღნიშნული თარიღი მთელ



სურ. 22. №34/17 სახლი ლ. ასათიანის ქ.-ის მხრიდან, 2024

²⁹ ე. პრივალოვა, ჭილაანთ ციხე-დარბაზი დუშეთში. „ცისკარი“, №6, თბ., 1977, გვ.96-108

³⁰ ვ. ბერიძე, XVII-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, 1983, გვ. 187-202



ნახ. 4. ნაზარ ოგანოვის სახლის საარქიტექტო პროექტი, 1882



სურ. 23. საიათნოვას ქ. №12 საცხოვრებელი სახლი, 2020



სურ. 24. ე. ნინოშვილისა და გ. მაზნიაშვილის ქე.-ის კუთხის №1/18 საცხოვრებელი სახლი, 2020

შენობაზე ვრცელდება. რეაბილიტაციის პროცესში ნალესობის ჩამოხსნისას თავდაპირველი სწორკუთხა მოხაზულობის ღიობების გადაკეთების სურათის გამოაშკარავებამ, კედლებში დატანებული ჰორიზონტული ძელების სისტემის არსებობამ, ქვისა და აგურის შერეული წყობის და სხვა საყურადღებო დეტალების გამოვლენამ, ამასთანავე, ბანის მოსაწყობად გამოყენებული მძლავრი კოჭების სისტემამ და კედლის სისქეში გამართულმა ბანზე ასასვლელმა შიდა კიბემ ლოგიკურად წარმოაჩინა მთელი შენობის სიძველე და ის, რომ XIX ს-ის შუა წლებში ჩამოყალიბებული არქიტექტურულ-მხატვრული სახე, ზედა სართულის თაღოვანი ღიობები და ხის აივნების დეკორაციული დამუშავება მხოლოდ გარეგნულ სამოსელს წარმოადგენდა, რომელმაც შენიღბა ჩვენამდე მთელი სისრულით მოღწეული XVIII ს-ის შენობის ხუროთმოძღვრული სხეული.

როგორც ითქვა, შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩის №34/17 სახლი კუთხის შენობასთან ერთად აერთიანებს **ქვედა შენობასაც**, რომელიც ლ. ასათიანის ქუჩის დამრეც რელიეფზეა განთავსებული და ფასადით ამ მხარეს გამოდის. ორსართულიანი

ნაგებობა ეზოს სიღრმისკენ მიმართულ გრძივ ღერძზე განვითარებულ მართკუთხა გეგმაშია ჩანერილი. გარეგანი დათვალიერებისას უცაბედად იქცევს ყურადღებას ფასადზე სართულებს შორის არსებული უჩვეულოდ მაღალი შუბლი, რაც თავდაპირველ ერთსართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენებისას ბანის ფენის შენარჩუნებით შეიძლებოდა აგვეხსნა. აზომვითი ნახაზის საშუალებით დაზუსტდა, რომ I სართულის ჭერსა და II-ის იატაკს შორის არსებული ყრუ მონაკვეთის სიმაღლე 80 სმ-მდეა, რაც სართულშუა გადახურვის კონსტრუქციების სიმაღლის გამოკლების შემდეგ სწორედ თბილისური მიწატკეპნილის სიმაღლეს გაუტოლდება (სურ.22).

აქვე აღსანიშნავია, რომ სართულების მიხედვით სახლის ინტერიერის დამუშავებაც სრულიად განსხვავებულია, რაც ასევე ცხადს ხდიდა მათ სხვადასხვა პერიოდში აგებას. პირველი სართულის ოთახების გადაწყვეტაში ყურადღებას იქცევს ყრუ ზურგის კედელში მოწყობილი ბუხრები და ღრმა, სწორკუთხა ნიშები, მათ შორის, – ტრადიციულად ნიშებს შორის მოქცეული ბუხარი ქუჩისპირა ოთახში, რაც ამ სართულის სიძველეზე მიუთითებს და მისი აგე-

ბა XIX ს-ის შუა წლებამდე შეიძლება ვივარაუდოთ. მისგან განსხვავებით, მეორე სართულის დაშენების თარიღს საუკუნის ბოლოსკენ სწევს შედარებით გათხელებული კედლები, ნიშებს სრულიად მოკლებული გლუვკედლებიანი ინტერიერი და ქუჩისკენ გამომავალი კარის წინ მოწყობილი რკინის სადამოაჯირიანი პატარა, შეკიდული აივანი.

საარქივო დოკუმენტის მოძიებამ დაადასტურა მოსაზრება ორ ეტაპზე განხორციელებული მშენებლობის თაობაზე და ძველ ერთსართულიან სახლზე მეორე სართულის დამატების თარიღიც დააზუსტა. ეს არის ქალაქის V ნაწილში, ველიამინოვისა და ბაღის ქუჩების კუთხეში, მეორე გილდიის ვაჭარ ნაზარ ბეჟანის ძე ოგანოვის კუთვნილ სახლზე **სართულის დაშენების პროექტი³¹ დამტკიცებული თბილისის საქალაქო სამმართველოს (управа) მიერ 1882 წელს** (ნახ.4). გენგეგმაზე სახლი სრულად არის წარმოდგენილი, თუმცა უშუალოდ პროექტი მხოლოდ ქვედა, იმ დროისთვის ერთსართულიან შენობაზე მეორე სართულის დამატებას გულისხმობს. ნახაზის შედარება ნაგებობის დღევანდელ მდგომარეობასთან არსებით თანხვედრას აჩვენებს, თუმცა არქიტექტორს უფრო უხვად მორთული II სართული ჰქონია დაპროექტებული, კანელურებიანი პილასტრებით დანაწევრებული ფასადით, მათ შორის პროფილირებულ ჩარჩოში ჩასმული და სანდრიკებით დასრულებული ფანჯრებით, დეკორაციულმოაჯირიანი რკინის აივნით ქუჩისკენ და მხატვრულად დამუშავებული ელემენტებით გაფორმებული ხის აივნით ეზოსკენ. პროექტში ყურადღებას იქცევს ღიობების დაუნაწევრებელი ალატები ერთიანი შემინვით ორივე სართულზე. ძნელი სათქმელია, განხორციელდა თუ არა ეზოსკენ მოქცეული ხის აივნის პროექტით გათვალისწინებული დეკორაციული ელემენტებით მორთვა. დღეს ის გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, მოგვიანებით ამოშენებული კედლებით დახურულ ფართად არის გადაკეთებული.

პროექტი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არსებულ სიტუაციაზე XIX ს-ის 80-იანი წლებისთვის. გენგეგმაზე აღნიშნულია მომიჯნავე სახლის მფლობელები: ველიამინოვის, (დღევანდელი შ.დადიანის ქ.) №32 ამ დროისთვის კვლავ მელიქოვასი ყოფილა, ხოლო ბაღის ქუჩის (დღევანდელი ლ.ასათიანის) №15-ის მფლობელად გვინიშნავს მითითებული (რაც სავარაუდოდ, XIX ს-ის საქმის წარმოებაში დამკვიდრებულ, ქართული გვარის რუსულ ყაიდაზე შეცვლილ ღვინიაშვილს, თუ ღვინაძეს უნდა აღნიშნავდეს). სართულის დაშენების დროისთვის საპროექტო სახლის ეზოში შესასვლელი ღიობი ზღუდის მარჯვენა კუთხესთან ყოფილა დატანებული. ჭიშკართანვე, მარცხნივ განთავსებული ერთმარში-

ანი კიბე უშუალოდ ზღუდეს ასდევდა და მომრგვალებულკუთხიან ზედა სახლს უკავშირდებოდა. ლ.ასათიანის ქუჩისკენ განთავსებულ დასაშენებელ საპროექტო ნაწილთან დამაკავშირებელი კიბის მარშების მონყობა კი, როგორც დღეს, ეზოს სიღრმეში ყოფილა ჩაფიქრებული.

სამწუხაროდ, საარქივო პროექტები უმეტესწილად არ შეიცავს ასაშენებელი ობიექტის ადგილზე შემონახული ძველი სახლებისა, თუ სარდაფების ზუსტ გრაფიკულ დოკუმენტაციას, რაც უადრესად ღირებული მასალა იქნებოდა კვლევისათვის. ეს პროექტები, ხშირად, მათ არსებობაზეც კი არ მიუთითებს, ამ შემთხვევაში კი, ნახაზი აჩვენებს სარდაფს; მისი გეგმა, ისე როგორც არსებული პირველი სართულისა, სქემატურია და დოკუმენტური სიზუსტით არ გამოირჩევა, თუმცა მაინც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, შემოფარგლავს რა სახლის ზედა, მრგვალოთახიან შენობასთან დაკავშირებული მთელი ქვედა სართულის გარე კონტურს მკვეთრად განსხვავებული, მათ სიძველეზე მეტყველი განიერი კედლებით.

სახლისძირში, მიწის საფარს ქვეშ მოქცეულია ღრმა სარდაფი, რომელიც განსხვავებული ზომის, დიდი და პატარა სადგომისგან შედგება. ეს მიწისქვეშა სტრუქტურა ერთდროული მშენებლობით ჩამოყალიბებულ მთლიანობას არ წარმოადგენს (იხ.ნახ.1). საცხოვრებელი სართულებისგან განსხვავებით სარდაფი ქუჩის გასწვრივ, აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების ღერძზე ვითარდება, შენობის ფარგლებს სცდება და ეზოს ქვეშაც ვრცელდება. რეაბილიტაციამდე სარდაფის კედელი ამ მხარეს (დასავლეთით) სერიოზულად იყო დაზიანებული, ხოლო ინტერიერი ხანგრძლივი მოუვლელობით, სარკმლებიდან შეტანილი მიწით და ნაგვით თითქმის ნახევრამდე იყო ამოვსებული. შიგნით მოხვედრა კიბის ნაცვლად მხოლოდ კამარაში დატანებული ხვრელიდან იყო შესაძლებელი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ეს მეტად საგულისხმო, ისტორიული ღირებულების მქონე ნაგებობა გაჯანსაღდა და მხატვრული სახე დაიბრუნა (სურ.25).

როგორც აღინიშნა, სარდაფი ორი სადგომისგან შედგება. დიდ სათავსოს შეუღლესავი აგურის კარგი წყობით ნაშენი კედლები აქვს. ასევე ოსტატურადაა ნაშენი მთლიანად აგურით გადაყვანილი ცილინდრული კამარა, რომელიც შუაში ერთ საბჯენ თაღს და კიდევში არსებულ კუთხის ნაოთხალ თაღებს ეყრდნობა. კამარის დასავლეთ სეგმენტის შუაში საკმაოდ ფართო, ოთხკუთხა ერდოა დატანებული, რომლის ხვრელის სიმაღლე კამარის სისქის ტოლია და დღევანდელი მიწის დონეზე ამოდის. შესაბამისად, სინათლე და ჰაერი ერდოდან დღესაც

³¹ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №192, ანაწერი 8ა, დოკუმენტი №1143, 1882 წ.



სურ. 25. №34/17 სახლის ქვედა შენობის სარდაფი, სამხრეთი კედელი, 2025

აღწევს ინტერიერში, რადგან სარდაფის ნაწილი ეზოს ქვეშ იჭრება, ხოლო საცხოვრებელი სართულები მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილზეა დაშენებული (სურ.26).

სარდაფის დიდი სათავსოს კედელ-კამარის ერთგვაროვან აგურის წყობაში თვალს იზიდავს შერეული მასალით ნაგები აღმოსავლეთი კედლის ცხოველხატულობა (სურ.27). მის ზედა ნაწილში, აგურის რიგებს შორის, შერეული ზომის ფლეთილი ქვის

ჰორიზონტალური ზოლებია ჩართული; შუა მონაკვეთში, იატაკიდან საკმაოდ მაღლა, აგურის წყობაში გამოყვანილი, ასიმეტრიულად განთავსებული სამი ნახევარწრიულთაღოვანი ნიშაა, რომელთაგან მხოლოდ შუანას აქვს თავისი დანიშნულება შენარჩუნებული, განაპირას მდებარე ნიშები კი, ჩაშენებითაა გაუქმებული და ზედ მიდგმული კამარის საყრდენი ნაოთხალი თალი მათ დიდ ნაწილსაც ფარავს. ნიშებს ქვემოთ კედელს მთელ სიგანეზე გასდევს ჭარბად გამოყენებულ კირხსნარში ჩაძირული ნატეხი აგურითა და რიყის ქვის თევზიფხური წყობით შესრულებული ზოლი, ხოლო კედლის ძირში აგურის წყობას იატაკთან ასრულებს მოზრდილი ფლეთილი ქვის ჩანარჩები. მითითებული თავისებურებები აშკარას ხდის ამ კედლის განსხვავებულ, სტრუქტურას და შედარებით ადრეულობას, რომელზეც შემდეგ მიუდგამთ სარდაფის სადგომის გრძივი კედლები.

თავის მხრივ, ახსნას საჭიროებდა ნახევარწრიულთაღოვანი ნიშებით აღჭურვილი გრძივი კედლების მკვეთრად განსხვავებული სიგანე, რისი გარკვევაც ლ. ასათიანის ქუჩისპირა, სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრში, ნიშებს ზემოთ განთავსებული ოთხი სარკმლის წირთხლებზე დაკვირვებით გახდა შესაძლებელი. სარდაფის ეს კედელი განსაკუთრებული სიგანით (2. 20 მ) გამოირჩევა და მასში განთავსებული პირამიდულ-საფეხუროვანი მოხაზულობით



სურ. 26. №34/17 სახლის ქვედა შენობის სარდაფის ერდო, 2024



სურ. 27. №34/17 სახლის ქვედა შენობის სარდაფის აღმოსავლეთი ნახევარი, 2024



სურ. 28. №34/17 სახლის ზედა შენობის სარდაფის ნიშა. 2016

დასრულებული, კვადრატს მიახლოებული ღიობები გარეთკენ შევიწროებულ გვირაბისმაგვარ ხვრელებს ქმნის (სურ.28). ამ წირთხლების აგურის წყობაზე დაკვირვებისას შესაძლებელია ნაკერის გარჩევა, რაც კედლის ორმაგ შრეზე მიუთითებს და ხსნის მის უჩვეულო ზომას (სურ.29).

საპირისპირო კედელი სტანდარტული სიგანისაა, ნიშები აქაც იატაკთან ახლოს და იგივე ინტერვალით არის განაწილებული, თუმცა მათი მოხაზულობა, ისე, როგორც ქუჩისპირა კედლის ნიშებისა, მეტყველებს განსხვავებულ პერიოდზე (შეადარე სურ.28). საბჭენი თალის დასავლეთით მოწყობილი სწორკუთხა კარით ხუთი საფეხურით უფრო გემოთ განთავსებულ ვიწრო გვერდით სადგომში შეიძლება გასვლა. ამ ვიწრო და ბრტყელჭერიანი სათავსოს აგურით ნაშენ დასავლეთ ნაწილში, რეაბილიტაციის დროს მოწყობილი კიბის მარშიც ეშვება ეზოდან. დიდი სარდაფის მსგავსად აქაც განსხვავებული წყობით ნაგები კედლები ჩანს. აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით ნაშენი აღმოსავლეთის ძველი კედელი აქეთაც გრძელდება და ასეთივე წყობის ჩრდილოეთ კედელთან იკვეთება (სურ.30). სათავსოს შუაში ყურადღებას იქცევს ასიმეტრიულად მდგარი კვადრატული კვეთის დედაბოძი, რომელიც სადგომთა გამყოფ, მთლიანად აგურით ნაშენი კედლისკენაა ჩაწეული და მისი სადა ბუღაურის მარ-



სურ. 29. ქვედა შენობის სარდაფი, ნაკერი სარკმლის წირთხლზე, 2024



სურ. 30. ქვედა შენობის სარდაფის დედაბოძიანი სადგომის ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი, 2016



სურ. 31. №34/17 სახლის ქვედა შენობის სარდაფის დედაბოძიანი სადგომი რეაბილიტაციამდე, 2016



სურ. 32. №34/17 სახლის ქვედა შენობის სარდაფის მცირე კამარბიანი სადგომი, 2024

ჯვენა ბოლო, ისე, როგორც დედაბოძზე დაყრდნობილი თავისი ნაწილი ამ კედელშია მოქცეული (სურ.31).

დედაბოძის უკან, მცირედი დაშორებით, ორდონიანი სივრცე გამოიყოფა. ზედა ნაწილი ურთიერთგადამკვეთ ხის ძელებს შორის მოქცეული თევზიფხურად და ალმაცერად ნაწყობი აგურის ტიხრით არის დახურული და უცნობია რა დანიშნულება ჰქონდა ამ არეს. ქვემოთ კი, ნახევარწრიული მოხაზულობის თაღით გახსნილი და ასეთივე მოხაზულობის აგურის კამარით დასრულებული სივრცეა, რომელსაც სამხრეთით თაღოვანი საჭრაქე ნიშა აქვს დატანებული. ეს მცირე კამერა აღმოსავლეთით იმ ცხოველხატული, ნიშებიანი კედლის გაგრძელებას ებჯინება, რაზეც სარდაფის დიდი სადგომია მიდგმული (სურ.32). ამ ნაწილში ძველი კედლის ორი ამოუშენებელი ნიშა ყვება, რომლებსაც ნაწილობრივ კვეთს კამარა. შიგნით შეხედვისას ირკვევა, რომ ნიშებს ზემოთ, სავარაუდოდ, სავენტილაციო დანიშნულების თანდათან შევიწროებული ხვრელებია მოწყობილი³² (სურ.33).

აღწერილი მოცემულობის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ამ ორნაწილიანი სარდაფის გარე კედლები ზედა სახლის თანადროული, თუ უფრო ადრეული ჩრდილოეთი კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. იგი ძირითადად, აგურის რამდენიმე რიგის და ფლეთილ ქვებს შორის ჩართული რიყის ქვით შედგენილი რიგების მონაცვლეობით არის ნაშენი. სავარაუდოდ, ჩრდილოეთი კედელი ქვედა შენობისკენაც გრძელდებოდა და აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან (ლ. ასათიანის ქუჩისკენ) უვლიდა ნაკვეთს. ჩანს, იგი ძველი დარბაზის საკმაოდ დიდ კვადრატულ გეგმას კრავდა, რომლის თანადროული დასავლეთი (ეზოსკენ მდებარე) კედელი არ შემორჩენილა (იხ. ნახ. 1) ირკვევა, რომ დაზიანებული დარბაზის ტრანსფორმაციისას, მომხდარა ამჟამად არსებული ორსადგომიანი სარდაფის მის შიგნით ჩაშენება, რა დროსაც ქუჩისპირა, სამხრეთით არსებული ოთხსადგომიანი კედლის გაძლიერების მიზნით მასზე შიდა მხრიდან მეორე ფენა მიუშენებიათ და ამას კედლის უზომო გასქელება გამოუწვევია. ამითვე აიხსნება ერთიანი სივრცის ორ სათავსად გამყოფ ახალაშენებულ შუა კედელში გაჩრილი ბულაურისა და დედაბოძის უადგილო მდებარეობაც.

თუ დავუშვებთ მრგვალგეგმიანი ოთახის შემცვე-



სურ. 33. №34/17 სახლის ქვედა შენობის სარდაფის დედაბოძიანი სადგომის სავენტილაციო ხვრელი, 2024

ლი ზედა სახლის ყარა მდივნის სასახლად მოაზრებას, ამავე ნაკვეთზე დარბაზის არსებობა სავსებით ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს. არც ისაა გამორიცხული ნაკვეთს ადრე სხვა კონფიგურაცია ჰქონოდა და ნაგებობათა ნაწილი №32-ის ტერიტორიაზე ყოფილიყო განთავსებული, რადგან, როგორც გვიანი შუა საუკუნეების თბილისური დოკუმენტებიდან³³ ვიტყობთ, მოქალაქეთა კარ-მიდამოები სხვადასხვა ფუნქციისა და სტრუქტურის ნაგებობებს შეიცავდა, როგორიცაა სახლი, დარბაზი, მისი დერეფანი, სათონე, საბძელი, მარანი, სამოახლო სახლი, ოდა, საჭინიბო, ქვეშეთა სარდაფი, ალაყადის კარი, საკუჭნაო, „ოთახი თავის ეივანით“, დუქანი, საყინულე, თუ სხვა, რომელთაგან ორიოდვე კი ვერ მოთავსდებოდა დღეს არსებულ ნაკვეთზე ე. წ. სასახლესა და დარბაზთან ერთად.

რაც შეეხება №34/17 სახლის ორივე ნაგებობის განვითარების ხაზს და მასში დაცული სამშენებლო ფენების ქრონოლოგიას, ის ძირითადად,


³² კედლის კუთხეებთან განთავსებული ნიშების ზედა ნაწილში აგურის წყობით ამოყვანილი, ალმაცერად მიმართული ხვრელებია, რომლებიც, როგორც კამერა აფიქსირებს საკმარისად გრძელია და მინის ზედაპირს აცდებოდა. კედლის სისქეში ჩაყოლებული მსგავსი, სავენტილაციო დანიშნულების, თუმცა განსხვავებული კონსტრუქციის ღიობები ბ. ახოსპირელის III ჩიხის № 9 სახლის XVII ს-ის სარდაფშიც ვნახეთ, სადაც სრულად მინის ქვეშ მოქცეული, არცთუ ისე დიდი მოცულობის შიდა სივრცის აერაციას იქ არსებული ორი ღიობი საკმაოდ კარგად გაართმევდა თავს. განსხვავებული პერიოდის ეს ნიშნები მიუთითებს მინის ქვეშ მოქცეული საცხოვრებელი სადგომების განიავების თემის აქტუალობასა და მისი გადაჭრის გზების არსებობაზე დროის დიდ მონაკვეთში.

³³ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი პირველი, შეადგინეს: ნ.ბერძენიშვილმა და მ.ბერძენიშვილმა, თბ. 1962, გვ. 19-21, 24-25, 29-30, 71, 74-75 და ა.შ.


საცხოვრებელი სახლი, დადიანის ქ. №34/17

გრაფიკული რეკონსტრუქცია


განვითარების ეტაპები



ნახ.5. XVIII ს



ნახ.6. XIX ს-ის პირველი ნახევარი



ნახ.7. XIX ს-ის შუა წლები



ნახ.8. XIX ს-ის მეორე ნახევარი

XVIII-XIX სს-ის ფარგლებში ექცევა. საბუთი, რომელიც იხსენიებს ყარა მდივნის სასახლეს XVIII ს-ის 40-იან წლებშია შედგენილი და პირობითად მრგვალოთახიანი ნაგებობა ამავე პერიოდს შეიძლება მივაკუთვნოთ. სავარაუდოდ, ამ დროის შეიძლება ყოფილიყო მიწის ნაკვეთზე განთავსებული დარბაზიც. როგორც გამოირკვა, თავდაპირველად „სასახლე“ შედარებით დაბალი, სწორკუთხა ღიობებით აღჭურვილი და ბანით დასრულებული ნაგებობა უნდა ყოფილიყო, ხოლო დარბაზს, სავარაუდოდ, ბანზე ამოზიდული გვირგვინი დაასრულებდა (ნახ.5). მისი ინტერიერიდან შემორჩენილი დაბალი და განიერი ნახევარწრიული ნიშები, სარკმელთა პირამიდულსაფეხუროვანი დასრულება მსგავსებას პოვებს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების მიწურულის კოშკების³⁴ და თბილისის სარდაფების ინტერიერის დამუშავებასთან. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, თუ მანამდე დაზიანებული დარბაზის გარსში ორსადგომიანი სარდაფის ჩაშენება, მალევე, XVIII ს-ის მიწურულს, ან ყველაზე გვიან XIX ს-ის დამდეგს უნდა მომხდარიყო. მოწესრიგებული და განათებული განიავებული ინტერიერის მიხედვით დარბაზს შიგნით ჩაშენებულ ორსადგომიან სარდაფს საცხოვრებელი დანიშნულება უნდა შეენარჩუნებინა. მას თავისი თანმხლები დამხმარე სივრცეც ექნებოდა ვიწრო სადგომის, მასში გამართული მცირე, კამარიანი სივრცისა და მის ზემოთ მოწყობილი ანტრესოლის სახით, რაც ერთგვარად ეხმიანება დუქნებთან არსებული ბალახანის თემას. ამასთანავე, ძველ არქიტექტურასთან ორგანულ კავშირზე და ცოცხალ ტრადიციებზე მიუთითებს უფუნქციო დედაბოძის დატოვებაც. ადგილზე არსებულ ძველ ნაგებობათა, ან მათი ნაწილების ახალ მშენებლობაში შენარჩუნებისა, თუ ჩართვის მყარი ტრადიცია, ჩანს, ახალი შენობის ძველ გარსში მოთავსების ხერხსაც იცნობდა, რაც ამ სარდაფის ტრანსფორმაციის ფორმად გვევლინება.

შ. დადიანის ქ. №32, საცხოვრებელი სახლი

შ. დადიანის ქ. №32 საცხოვრებელი სახლი, რომელიც ქუჩის მხრიდან ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს დაბალი ცოკოლის სართულით, ეზოს მხრიდან სრული სიმაღლის სამ სართულს შეიცავს (სურ.34). XIX ს-ის შუა პერიოდში აშენებული ნაგებობა თავდაპირველად მომიჯნავე, კუთხის მრგვალოთახიან №34 სახლს უტოლდებოდა სიმაღლით (სურ.35). XX ს-ის პირველ მეოთხედში, ადრეულ საბჭოთა პერიოდში მასზე მესამე სართული დაუშენებიათ და ჩანს, ამ დროსვე გაუძლიერებიათ შენობის

№34/17 სახლის ქვედა ნაგებობის შემდგომ სამშენებლო ეტაპზე, XIX ს-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო ორნაწილიან სარდაფად ტრანსფორმირებული დარბაზის განაპირა, აღმოსავლეთ ზოლში, მიწისზედა, ერთსართულიანი ბანიანი საცხოვრებლის დაშენება და სარდაფის დანარჩენი ნაწილის ეზოს საფარს ქვეშ დატოვება. ცვლილებები უნდა შეხებოდა ზედა, მრგვალოთახიან შენობასაც, რომელსაც ჯერ ისევ ბანიანი გადახურვის არსებობისას უნდა გაჩენოდა აივნისიანი დამხმარე მკლავი ჩრდილოეთით (ნახ.6). მომდევნო ათწლეულებში მრგვალოთახიან, იმ დროისთვის ჯერ ისევ ბანიან შენობას მომრგვალებულ ფასადზე უნდა დამატებოდა შევიდული აივანი, რომელიც თავიდან უფრო სადა, სავარაუდოდ, დორიულსვეტებიანი და ბალიასინებიანი შეიძლება ყოფილიყო (ნახ.7). თბილისური სახლის ამგვარი თანმიმდევრობით განვითარებული სახეცვლის სურათის დანახვა ძველ პანორამულ ფოტოებზე დაკვირვებით არის შესაძლებელი. ბანიან საცხოვრებელთან ბალიასინებიანი მოაჯირით გაფორმებული აივნის შეთავსების ნიმუშთა შორის ძველ ფოტოსურათს ჩვენ მიერ შესწავლილი გ. აბესაძის ქ. №21 ქუჩისპირა ნაგებობის გამოსახულებაც შემორჩა (იხ. გვ.80, სურ.41). №34/17 შენობის სახეცვლის მხოლოდ შემდგომ ეტაპზე, 1860-იანი წლების ბოლოსკენ უნდა მომხდარიყო შენობისთვის ახალი სტილური ნიშნების მიცემა: ბრტყელი გადახურვის ქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცევა, სწორკუთხა ღიობების თაღოვანი მოხაზულობით შეცვლა, ფასადების შელესვა და აივნის შემკობა გრეხილი სვეტებით, აჟურული მოაჯირებით და კილისებურთაღიანი, მოჩუქურთმებული ფარდებით (ნახ.8). რაც შეეხება ბოლო ცვლილებას, ზუსტად ვიცით, რომ ის ლ. ასათიანის ქუჩისკენ მდგარ ერთსართულიან ბანიან შენობას შეეხებია, რომელზეც 1882 წლის საარქივო პროექტის მიხედვით მეორე სართული დაუშენებიათ.

ბის გრძივი კაპიტალური კედლები. სწორკუთხა მოხაზულობის წაგრძელებული, ორმაგი ანფილადური გეგმის სახლს სამხრეთით, მართი კუთხით დაკავშირებული ვიწრო დამხმარე ფლიგელი ახლავს და ეს L-სებრი მოხაზულობის საერთო სტრუქტურა შუაში იქცევის საკმაოდ ვრცელ ეზოს.

სახლის ძველი ნაწილის მთავარი ფასადი სიდავით გამოირჩევა. კედლის სიბრტყე თანაბარი ინტერვალით დაშორებული მშვილდათაღოვანი მაღალი ფანჯრებით არის დანაწევრებული, რომ-

³⁴ ვ. ბერიძე, *XVII-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება*, ტ. I, 1983, თუშალიშვილების კოშკში (XVIII ს.) გვ.188,, შინჯიკაშვილების კოშკი მარტყოფში, გვ. 200,201, სურ.130, 131



სურ. 34. შ. დადიანის ქ. №32 საცხოვრებელი სახლი, 2016



სურ. 35. შ. დადიანის ქუჩის განაშენიანება (№34/17 და №32 სახლებით) XIX ს-ის 60-70-იან წლებში, ფრაგმენტი დ. ერმაკოვის პანორამიდან




სურ. 36. შ. დადიანის ქ. №32 საცხოვრებელი სახლი ეზოდან, 2016

ლებსაც პატარა კრონშტეინებზე დაყრდნობილი, შეწყვილებული თაროსა და ლილვის პროფილისგან შემდგარი თავსართები ამკობს. ცოკოლის სართულზე ლიობების იგივე რიტმი მეორდება და მიწაში სანახევროდ ჩაძირულ დაბალ, სწორკუთხა ფანჯრის ლიობებს შორის ქვემოთ ჩასასვლელი ორი კარიც არის განთავსებული. სიბრტყის თანა-

ბარ დანაწევრებას დაშენებული ბოლო სართულიც იმეორებს, თუმცა ლიობები სწორკუთხაა და ფანჯრების მწკრივში განაწილებული ორი კარის წინ რკინის სადამოაჯირიანი შეკიდული აივნებია მოწყობილი. ეზოსკენ შენობის სამივე სართული ხის აივნებით ყოფილა გახსნილი, რომლებიც ამჟამად ნაწილობრივ შუშაბანდებითაა დახურული. საყუ-



სურ. 37. შ. დადიანის ქ. №32 სახლის გვერდითი ფასადი, 2016



ნახ. 9. ქეთევან მელიქოვას სახლის პროექტი, 1882 წ.

რადღებოა, რომ სახლის მეორე სართულზე შუშაბანდები აივნის სიგანის შიდა ნახევარში მოუწყიათ და წინ დატოვებულ ვიწრო, ღია სივრცეში ავთენტური დაჩარხული მრგვალი სვეტები და მოცულობითი ბალიასინები შეუნარჩუნებიათ (სურ.36). აივანი სრული სიგანით ჩრდილოეთ კიდეში განთავსებულ სადარბაზოს კართან დამაკავშირებელ გვერდით ნაწილშია დატოვებული, სადაც კიბეების გასწვრივ მოაჭირი ორ იარუსად განლაგებული, მაღალი და შედარებით მომცრო ბალიასინების რიგისგან შედგება, რაც აივნის მომრგვალებულ კუთხესთან ერთად ეზოში შესასვლელს და შენობის გვერდით ფასადს პლასტიკურობას და მიმზიდველობას სძენს (სურ.37).

სახლის მფლობელის ვინაობის გარკვევაში, მშენებლობის რიგითობის დადგენაში და აგების წლების დაზუსტებაში მოძიებული საარქივო მასალა – ტექსტური დოკუმენტი³⁵ და პროექტი³⁶ დაგვეხმარა (ნახ.9). როგორც ირკვევა, 1854 წლის თებერვალში სამშენებლო კომისიას უმსჯელია მოქალაქე ქეთევან მელიქოვას მიერ თბილისის მე-2 ნაწილის

მე-2 კვარტალში, ველიამინოვის ქუჩაზე ასაშენებელი ერთსართულიანი სახლის დამტკიცებული ფასადის თაობაზე და გადაუწყვეტია დაჩქარებული (?) ასლი გადაცემოდა ქ. მელიქოვას აშენების უფლებით³⁷. პროექტი, რომელზეც ამ ტექსტშია საუბარი არქივში ვერ მოიძებნა, ხოლო ის, რომელსაც მივაკვლიეთ, 8 წლის შემდეგ, 1862 წელს შეუდგენია თბილისის მკვიდრ არქიტექტორ გრიგოლ აბესალომოვს³⁸. ნახაზიდან ვიგებთ, რომ ამ დროისთვის სახლის მარცხენა ნახევარი (პირით ფასადისკენ დგომისას) უკვე აშენებული ყოფილა, ხოლო პროექტი ითვალისწინებდა №34-ისკენ არსებულ მონაკვეთში მის გაგრძელებას და ეზოს სამხრეთ კიდეში მართი კუთხით დაკავშირებული დამხმარე მკლავის მიდგმას. პროექტს ზუსტად გაუმეორებია სახლის ამ დროს უკვე აშენებული, შესაძლოა აბესალომოვისვე დაპროექტებული მარცხენა ნახევრის ფასადის გადაწყვეტა, რაც უცვლელად განხორციელებულა და ჩვენამდე სახლს პროექტისეული გადაწყვეტით მოუღწევია. საფიქრებელია, რომ ქეთევან მელიქოვას 1854 წლის პროექტით ჯერ სახლის მარცხენა

³⁵ საისტორიო, ცენტრალური არქივის ფონდი 205, ანაწ.1, საქმე №1128

³⁶ საისტორიო, ცენტრალური არქივის ფონდი 205, ანაწ.1, საქმე №1935

³⁷ აქვე აღნიშნულია, რომ ორიგინალი ფასადი უნდა გადაცემოდა ხელწერილით საქალაქო არქიტექტორ აბესალომოვის თანაშემწეს; გადაუწყვეტიათ მელიქოვას მიერ მისთვის ჩამოჭრილი 4,5 კვადრატული საუენი მიწის თანხა შესაბამისი წესების მიხედვით გაფორმებულიყო და შეტანილიყო საზინაში, პოლიცია ინფორმირებული ყოფილიყო ამ მშენებლობის თაობაზე, ხოლო საქალაქო მიწისმომცემ პოდპორუჩიკ მარტინოვს მიეთითებინა ეს ქ. მელიქოვასთვის გადაცემულ ფასადის ასლი; აქვე აღნიშნულია, რომ ქალაქის არქიტექტორ ივანოვს ბრძანებულებით მითითებოდა გაეტარებინა ხაზები და კომისიისთვის შეეტყობინებინა ფუნდამენტის ჩაყრის დრო, ეს ეუწყებინა თბილისის პოლიცემისტერისთვის, რათა მას არ გაეცა არავითარი განკარგულება, რადგან მელიქოვას პირადად ჰქონდა წარმოდგენილი კომისიაში თანხა. დოკუმენტს ხელს აწერს სამხედრო გუბერნატორი გენერალ ლეიტენანტი გ. ანდრონიკოვი.

³⁸ გ. აბესალომოვის შესახებ იხ. გ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, ტ. II, 1963, გვ.161



სურ. 38. ძველი გალავნის კედელი შ. დადიანის ქ. №32 სახლის ფუნდამენტის სივრცეში, 2016

ნახევარი აეშენებინა და შემდეგ, 1862 წლის პროექტის შესაბამისად შეევესო ღია არე მეზობელ, №34 სახლამდე³⁹. რაც შეეხება ქვედა სართულს, ის პროექტში ჩართულ ჭრილში ნახევარწრიულკამაროვანი გადახურვებით დასრულებული ორმაგი ანფილადის სახით არის გამოსახული. ამგვარი გადაწყვეტა ან არ განხორციელებულა, ან შემდგომ წლებში შეუცვლიათ ბრტყელი ჭერით, რა სახეც ჰქონდა მას რეაბილიტაციამდე.

№34-ისგან განსხვავებით, №32 სახლს თანადროული სარდაფი საერთოდ არა აქვს. ქუჩის მხარეს უსარდაფობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აქაც ძველი გალავნის კედლის არსებობას უნდა განეპირობებინა. ზღუდის კედელი აქაც შენობის ფუნდამენტის სივრცეშია დაცული და მთელ სიგრძეზე გასდევს ქუჩისპირა კედელს თითქმის პარალელურად (სურ.38,39). ეზოს მხარეს მოქცეულ, №34 შენობის მომიჯნავე ოთახში კი, იატაკის აყრის შემდგომ, ფუნდამენტის სივრცეში გვიანი შუა საუკუნეების მცირე სათავსი გამოვლინდა. აგურის შეუღესავკედლებიან, წრიული გეგმის, ღრმა ნიშებით აღჭურვილ ამ სადგომში ჩასვლა წრის გარეთ მოქცეული აგურის



სურ. 39. ძველი გალავნის კედელი შ. დადიანის ქ. №32 სახლის ფუნდამენტის სივრცეში, 2016

³⁹ პროექტის სათაურის ქვემოთ არსებულ წარწერაში იკითხება: „ვამტკიცებ, კავკასიის მეფისნაცვლის (ნამესტნიკის) მოვალეობის შემსრულებელი, გენერალ-ადიუტანტი თავადი ორბელიანი. 31 აგვისტო, 1862 წ.“ ეს გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერაა. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული პლანშეტის მიხედვით 1886 წელს №32 ნაკვეთის მფლობელად კვლავ მელიქოვა ფიქსირდება.




სურ. 40. გვიანი შუა საუკუნეების წრიული სათავსი №32 სახლის ფუნდამენტის სივრცეში, 2016



სურ. 41. გვიანი შუა საუკუნეების წრიული სათავსი №32 სახლის ფუნდამენტის სივრცეში, 2016

საფეხურებიანი კიბით ხორციელდება (სურ.40,41). სათავსი გადახურვის გარეშეა ჩვენამდე მოღწეული, თუმცა სავარაუდოდ, მას სფერული კამარა უნდა ჰქონოდა, რაზეც აგურის წყობით შემონეირილი წრეების რადიუსის თანდათან კლებაც მიუთითებს. ეს კიდევ ერთი საყურადღებო ნიშნია საკვლევ არეალში ფართოდ გავრცელებული, მიწაში ჩაღრმავებული სხვადასხვა დანიშნულების მცირე სადგომებისა, რომელსაც, სავარაუდოდ, მაცივრის ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა (ნახ.10). XIX ს-ის შუა პერიოდში, №32 ნაკვეთის ქეთევან მელიქოვას მფლობელობაში გადასვლისას და ახალი სახლის მშენებლობისას, აქ მდგარი, მრგვალი „სამაცივრე“ სათავ-

სის შემცველი ძველი სტრუქტურა, სავარაუდოდ, ნანგრევებად იქნებოდა ქცეული. ქუჩების კუთხესთან მდგარ №34/17 XVIII ს-ის ნაგებობაზე თავისი სახლის მიშენებისას მელიქოვას ძველი გალავნის კედლისა და მიწაში ჩაღრმავებული წრიული სადგომის იატაკის ქვეშ მოსაქცევად ამ ნანგრევთა ზედაპირის მოსწორება მოუწევდა, რისი კვალიც ზღუდის კედელსაც ატყვია და, წრიული სადგომის თარაზული სიზუსტით, ხელოვნურად მოხსნილ აგურის წყობასაც. ამ სადგომის არსებული მდგომარეობა აჩვენებდა, რომ მასთან წვდომა შენარჩუნებული ჰქონდათ და სავარაუდოდ, სარდაფის დანიშნულებით გამოიყენებოდა. გარდა აღნიშნული სიძველისა, ძი-



ნახ. 10. შ. დადიანის ქ. №32 სახლის ფუნდამენტის სივრცეში დაცული ძველი სათავსის გეგმა და ტრილი



სურ. 42. შ. დადიანი / ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის რეაბილიტირებული სახლები, 2020

რიტადად კვადრატული აგურით ნაშენი სახლის ქვედა სართულის ეზოს მხარეს მოქცეულ ამავე სივრცეში, ნალესობის მოხსნისას ყურადღება მიიპყრო ფლეთილი ქვისა და აგურის შერეული წყობით ნაშენმა ჩრდილოეთ კედელმა, რომელიც განსხვავებული სიგანით ისედაც გამოირჩეოდა და შესაძლოა, ისიც ადრეული სტრუქტურიდან ყოფილიყო შემორჩენილი, რომელიც შემდგომ ქეთევან მელიქოვას სახლში იქნა ჩართული.

ამგვარად, შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქე.-ის კუთხის სახლების რეაბილიტაციის პროცესში ჩატარებულმა კვლევებმა ძველი ქალაქის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ისტორიულ განაშენიანებაში მნიშვნელოვანი ეტაპები, სხვადასხვა საგულისხმო სიახლე და შენობათა მრავალშრიანობა გამოავლინა. ერთი შეხედვით მარტივ, ნათელ მოცემულობაში, სადაც თითქოს არაფერი მოასწავებდა დაფარული სიძველეების არსებობას (სურ.42), საუკუნეთა და ათწლეულების მსვლელობაში მიმდინარე სამშენებლო პროცესების ამსახველი ნაშთების ერთობლიობით შედგენილი რთული სურათი დაიხა-

ტა. მიკვლეული იქნა ადრე შუა საუკუნეების გალავნის კედლის მასშტაბური ნაშთი, გამოიკვეთა თბილისური საცხოვრებლის ტრანსფორმაციის განსხვავებული ფორმები და ყარა მდივნის სასახლედ წოდებული №34/17 შენობის სახით ძველი თბილისის განაშენიანებაში ბოლო ათწლეულებში მიკვლეულ, მთელი სისრულით შემორჩენილ გვიანი შუა საუკუნეების სახლებს (ავლევის შესახვევი №20⁴⁰, გომის ქ. №11 შენობის ქვედა მკლავი⁴¹, ბეთლემის აღმართი №16^ბ და ბეთლემის აღმართი №5⁴²) კიდევ ერთი საყურადღებო ნიმუში, XVIII ს-ის ბანიანი სახლი შეემატა.

ამასთანავე, მთელი სიმწვავეთ გამოჩნდა შუა საუკუნეების თბილისის დიდი ისტორიული ღირებულების მქონე გალავნის კედლის დაცვის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა, რომელიც სოლოლაკის ფერდს დღემდე შემორჩა. ასევე, გამოიკვეთა შ. დადიანის ქუჩის არეში XIX ს-ის 30-იან წლებამდე მდგარი ამავე ზღუდის ადგილმდებარეობის დაზუსტების და განსაკუთრებული სიფრთხილის ზომების მიღების საჭიროება.

⁴⁰ მ. მანია, ავლევის შესახვევის ძველი სახლი და მისი მიკროუბანი, საქართველოს სიძველენი, 14, თბ., 2010, გვ.205-230

⁴¹ მ. სურამელაშვილი, XVIII საუკუნის ერთი თბილისური ბანიანი სახლის შესახებ, საქართველოს სიძველენი, 7-8. თბ., 2005, გვ. 326-336

⁴² მ. სურამელაშვილი, XVIII საუკუნის კოშკური საცხოვრებელი ბეთლემის კლდისუბანში, საქართველოს სიძველენი, 9. თბ., 2006, გვ. 160=167

მცირე შენიშვნა ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელ სახლზე

ლადო გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე უბნის ბოლოდროინდელი რეაბილიტაციის ფარგლებში გამოვლენილი და შესწავლილი სიძველეების ფონზე, გარკვეული შეკითხვები დაისვა თბილისური საცხოვრებლის თვალსაჩინო ნიმუშის, გუდიაშვილის მოედანი №2 სახლის სავარაუდო სამშენებლო ფენებთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ მის გვერდით მდგარ, გ. აბესაძის №23 შენობის¹ სარდაფში არსებული XIX საუკუნემდელი კედლის ფრაგმენტების შესახებ ადრევე იყო ცნობილი², XVIII ს-ის სადგომ-სათავსები აღმოჩნდა მეზობლად მდებარე ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 საცხოვრებელ სახლში. №2 შენობის სამშენებლო ფენების სავარაუდო ქრონოლოგიის წარმოსადგენად გასათვალისწინებელია აგრეთვე მის სარდაფში არსებული, სახლის პერიმეტრიდან გასული მცირე ზომის სადგომი, რომელიც ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე მიუწვდომელი იყო მნახველთათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით, გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელი სახლი ერთდროულ ნაგებობას არ წარმოადგენს. გიორგი ჩუბინაშვილის და ნიკოლოზ სევეროვის შეფასებით, ის სამი ორსართულიანი სახლისაგან შეკრულ არქიტექტურულ კომპოზიციას წარმოადგენს, რომლის ავტორს აკადემიური განათლება კი მიუღია, თუმცა გაუთავისებია მშენებლობის ადგილობრივი ტრადიცია და გამოსულა „მშვენიერი, მაგრამ კლასიციზმის თეორიით მიუღებელი შეხამებანი...“³; მკვლევრები ასევე აღნიშნავენ, რომ მოედნის მხარეს მთავარი ფასადით მიქცეული შენობის მარჯვენა მხარე თავდაპირველად საკომენდანტო სახლი უნდა ყოფილიყო. ვახტანგ ბერიძის მოსაზრებით, ის XIX ს-ის 30-იან წლებს მი-

ეკუთვნება⁴; თბილისის 1958 წლის გზამკვლევაში კი საცხოვრებელი სახლის საბოლოო სახით ჩამოყალიბების თარიღად XIX ს-ის 40-50-იანი წლებია მიჩნეული⁵; იმავე საუკუნეს მიაკუთვნებს მის სარდაფებს მაია მანია⁶.

ზუსტი ცნობები საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ ვიცით, რომ გარკვეულ პერიოდში აქ ჰაუპტვახტი იყო განთავსებული. თბილისის 1850 წლის გეგმაზე ციფრი №42 შეესაბამება შენობის მდებარეობას, ხოლო განმარტებების ნუსხაში ის მითითებულია როგორც აბასაბადის ჰაუპტვახტი⁷. ბოლო დროს მოძიებული საარქივო მასალის მიხედვით, მოედანზე დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი ჰაუპტვახტიც ფუნქციონირებდა, რომელიც ახლანდელი ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 და 4 სახლების ადგილზე მდგარ შენობაში ყოფილა განთავსებული⁸.

ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელი სახლი დგას მოედნის, მიხეილ ლერმონტოვისა და ბორის კუფტინის ქუჩების კუთხეში. ვიწრო ფასადით ის ლერმონტოვის ქუჩისკენაა მიმართული, ზურგით კი კუფტინის ქუჩის მჭიდრო განაშენიანებას ებჯინება⁹. მისი გახსნილი ეზო მოედნიდან დაბალი ზღუდით და ორფრთიანი კარითაა გამიჯნული, რომლის მარცხნივ აფურული გისოსია ჩართული. საცხოვრებელი სახლი განსხვავდება ირგვლივ არსებულ სხვა შენობებისაგან, რომელთა ეზოები მოედნის მიმდებარე ჩიხებსა და ქუჩებისკენაა გახსნილი.

ბოლოდროინდელ რეკონსტრუქციებამდე (1980, 2012-იანი წწ.), კვადრატული აგურით ნაგები საცხოვრებელი სახლის შელესილ და ცისფრად შეღებილ ფასადებს შერჩენილი ჰქონდა თავდაპირველი გა-

¹ ამ ადგილზე არსებული საცხოვრებელი სახლის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

² მ. სურამელაშვილი, გ. აბესაძის ქ. 23/1 საცხოვრებელი სახლი, მხატვრულ-ისტორიული რეზიუმე, თბ. 2007, გვ.6, დოკუმენტი ინახება იკომოს-საქართველოს ოფისში.

³ გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის განვითარების გზები, ტფილისი, 1936 წ. გვ.146.

⁴ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ. ტ. 1, 1960 წ., გვ. 105

⁵ მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 1958, გვ.174.

⁶ მ. მანია, ძველი თბილისის სარდაფები, საქართველოს სიძველენი, №3, თბ., 2003, გვ.154-155.

⁷ *Кавказский Календарь* на 1851 г., Тифл., 1850.

⁸ Дело о составлении сметы на постройку Абас-Абадской гауптвахты, საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი, 205, ანაწერი 1, საქმე 965, 1852 წ.; Дело о постройке Абас-Абадской гауптвахты, საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი, 205, ანაწერი 1, საქმე 1071, 1853-1854 წწ...

⁹ შენობის ზუსტი აღწერა იხ. მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩუნაშვილი, ლ. გუდიაშვილის №2, საცხოვრებელი სახლის ისტორიულ-მხატვრული რეზიუმე, თბ. 2007 წ. დოკუმენტი ინახება იკომოს-საქართველოს ოფისში.



სურ.1. ლ.გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, საერთო ხედი. 2007

ფორმების დეტალები: ნაძერწობაში გამოყვანილი არქივოლტები და სოლისებრი სატყეი ქვები, ხის სვეტებს შორის ჩართული მოხარბებული მოაჯირები, აჟურული ფარდები და მუშარაბები. ფასადებზე წარმოდგენილი იყო კლასიციზტური და ისლამური სამყაროდან მომდინარე სტილიზებული ხუროთმოძღვრული ელემენტების საინტერესო ნაზავი.


შენობას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა საცხოვრებლის მოწყობის ადგილობრივმა სამშენებლო ტრადიციამ, რომლის მთავარი პრინციპია ნაგებობის გახსნილი ხასიათი. ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელ სახლში, რომელიც ქალაქის ერთერთ მთავარ მოედანზე მდებარეობდა, ხილულად იყო გამოფენილი მის ბინადართა ცხოვრება. იგივე შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების ქართული საერო ნაგებობებიდან მომდინარე, ფასადზე გადმოკიდებული აივნების შესახებ¹⁰ (სურ.1).

საცხოვრებელი სახლის მიწაში ღრმად ჩამჯდარ ნახევარსარდაფებში ჩასასვლელი ეზოდანაა მოწყობილი. მარჯვენა მხარის სარდაფის გეგმა ერთმა-

ნეთთან გასასვლელით დაკავშირებულ ორ მოგრძო სწორკუთხედს წარმოადგენს, მისი შეუღესავი აგურის კედლები დანაწევრებულია ერთსაფეხურიანი პილასტრებით, რომლებსაც ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა, კედლებს შემოუყვება თაღოვანი ღრმა ნიშები, მათ ზევით ზოგან სწორკუთხა მოხაზულობის ნიშებია განთავსებული, ზოგან კი მოზრდილი სასინათლო ღიობებია გაჭრილი, რომელთა ქვედა საფეხური ინტერიერისკენ მკვეთრად დახრილი, კამარაზე გამოსახული მართკუთხედები აგურის კონცენტრული წყობითაა გამოყვანილი, რასაც მხატვრული დატვირთვა აქვს

შენობის მარცხენა მხარის სარდაფი გეგმაში კვადრატულია. მისი გადახურვა ეყრდნობა ერთსაფეხურიან პილასტრებზე დაყრდნობილ სამცენტრიან თაღებს. აქაც ორ რეგისტრად დალაგებული თაღოვანი ნიშები და მოზრდილი სარკმლებია. დასავლეთი კედლის ზედა რეგისტრი სარდაფში ჩასვლისთანავე იპყრობს ყურადღებას აგურის (სურ. 8) წყობით შესრულებული დეკორაციული ჩანართი ერთი შე-

¹⁰ ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I, თბ., 2014, გვ. 533, 535.



ნახ.1. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, სარდაფის სართული, გეგმა.



სურ.2. ლ.გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, შენობის მარცხენა ნაწილის სარდაფი, ინტერიერის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. 2015



სურ. 3. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, შენობის მარცხენა ნაწილის სარდაფის ინტერიერი, დასავლეთი კედლის ფრაგმენტი. 2015



სურ. 4. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, შენობის მარცხენა ნაწილის სარდაფის ინტერიერი, სახლის პერიმეტრიდან გასული სადგომის შესასვლელი ღიობი და სარკმელი მის თავზე. 2019

ხედვით, მოზაიკას მოგაგონებთ, სინამდვილეში – ორი სწორკუთხა სარკმლის ღიობის მოგვიანო შევსებას წარმოადგენს. დეკორაციული დანიშნულება უნდა ჰქონდეს ასევე ნახევარი აგურის სისქის მქონე ზოლებს, რომლებიც დაუყვება სარკმლების და პილასტრების კიდეებს (სურ. 2).

მარცხენა მხარის სარდაფის სახლის პერიმეტრიდან გასული, სამხრეთი ფასადის მიმდებარე ტროტუარის ქვეშ მოქცეული კვადრატული გეგმის მქონე მცირე სადგომის კედლები თაღოვანი ნიშებითაა დანაწევრებული, ხოლო გუმბათისებრი ბრტყელი გადახურვა კვადრატულ საფუძველს ეყრდნობა. აქედან წრეზე გადასვლა ხორციელდება თაღოვანი კედლის ნიშების ზემოთ გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებისა და აფრისებრი კონსტრუქციების მეშვეობით (ნახ. 1). სადგომის არქიტექტურული ფორმები მოკლებულია სიზუსტეს, თაღების რიგი, რომელსაც გადახურვა ეყრდნობა, ყველგან თანაბარი რაოდენობის არ არის. სადგომი ნახევარწრიული თაღით უკავშირდება სარდაფის მთავარ სივრცეს. ეს უკა-

ნასკნელი კი თაღოვანი ღიობით ებმის მას, რომლის ზევით განთავსებული სასინათლო ღიობი ნაწილობრივ კვეთს მცირე სადგომის თაღის ზედა ნაწილს (სურ. 4-6).

როგორც ცნობილია, XIX ს-ის მანძილზე თბილისური საცხოვრებლის არქიტექტურა სწრაფად მიმდინარე ცვლილებებს განიცდიდა. ეს ის დროა, როდესაც “ქართული ეროვნული არქიტექტურის ტრადიციები, განდევნილი ახალი ოფიციალური მშენებლობის სფეროებიდან, საქალაქო მშენებლობაში თავს აფარებს მხოლოდ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას, რომელიც დიდ ცხოველუნარიანობას იჩენს”¹¹. ლ. გუდიაშვილის №2 სახლის ცვლილებების თვალის გადავლება თბილისის პანორამების მიხედვითაა შესაძლებელი. დიმიტრი ნიკიტინის 1864 წლის თბილისის პანორამის მიხედვით, სახლის მარცხენა ნაწილის აივანს ბალიასინებიანი მოაჯირი შემოსდევს, ამ დროს ჯერ კიდევ არ ჩანს სვეტებს შორის ჩართული აჟურული ფარდები და მოაჯირები, რასაც შემდეგი პერიოდის ფოტოსურათებზე ვხე-

¹¹ იქვე, გვ. 488.



სურ. 5. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, შენობის მარჯვენა ნაწილის სახლის პერიმეტრიდან გასული სადგომი, საერთო ხედი. 2015



სურ. 6. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, შენობის მარჯვენა ნაწილის სახლის პერიმეტრიდან გასული სადგომი, ინტერიერის ფრაგმენტი. 2015

დავთ. აქვეა აღბეჭდილი შენობის მარჯვენა ნაწილის სვეტებიანი პორტიკის კოლონებს შორის გამართული კიბის საფეხურები.

მოგვიანო ფოტოების მიხედვით, კიბის ადგილი აგურითაა ამოშენებული, ხოლო სვეტებს შორის ლითონის აჟურული ცხაურებია ჩართული, რის შემდეგაც პორტიკმა აივნის ფუნქცია შეიძინა. ამის გამო დაირღვა ნაგებობის მკაცრი სიმეტრია და ოფიციალური ხასიათი (სურ. 7). გარდა ამისა, პირველი სართულის განაპირა სარკმელი შესასვლელ ღიობად გადააკეთეს, საიდანაც სახლის ძირითად ნაწილში და პორტიკ-აივანზე სვდებოდნენ. 1864 და 1870-იანი ფოტოებზე გამოკვეთილია კიდევ ერთი დეტალი – საცხოვრებელი სახლის მეორე (მარცხენა მხარის) შესასვლელთან აღმართული კოლონები, თუმცა რა ეყრდნობა მათ, არ მოჩანს. ისიც აღსანიშნავია, რომ ადრეულ ფოტოებზე სახლის სამივე ნაწილს ბრტყელი სახურავი აქვს, რომელიც მოგვიანებით დახრილი სახურავით შეიცვალა. მოედნიდან გამყოფი ზღუდე აჟურული ჩანართის გარეშეა

წარმოდგენილი.

ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 სახლის ზემოთაღნიშნული ცვლილებები მიუთითებს, რომ XIX ს-ის პირველივე ათეული წლებიდან თბილისის საცხოვრებელ სახლებში მიმდინარეობდა ახალი ფორმების დანერგვა. ამ პერიოდის შენობების შესახებ დღეს ცოტა რამ ვიცით, მაგრამ, როგორც ჩანს, პროცესი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. XIX ს-ის დასაწყისის საცხოვრებელს წარმოადგენდა „გუბერნატორის“ სახლი, რომელზეც თავდაპირველად გ. ჩუბინაშვილმა გაამახვილა ყურადღება¹², ხოლო შემდეგ – ლევან რჩეულიშვილმა შეისწავლა. აღნიშნული ნაგებობის ფასადის ცენტრალური ნაწილი ქვის სვეტებიან პორტიკს ეკავა, ხოლო გვერდითი ფრთები – ხის აივნებს. ამჟამად დანგრეული „გუბერნატორის სახლი“ მდებარეობდა სასამართლოს ქუჩაზე (ახლანდელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა). როგორც ლ. რჩეულიშვილი აღნიშნავს, შენობის ნგრევის პროცესში გაირკვა, რომ პორტიკიანი ნაწილი წინ უსწრებდა ნაგებობის აივ-

¹² გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.



სურ. 7. დ. ნიკიტინი, თბილისის პანორამა, 1864 წ. ფრაგმენტი.

ნებს¹³. ვ. ბერიძის მოსაზრებით, „გუბერნატორის სახლი“ XIX ს-ის 20-იანი წლების შენობა უნდა ყოფილიყო¹⁴. ამ დროს, სავარაუდოდ, ლ. გუდიაშვილის №2 საცხოვრებელი სახლიც უნდა მდგარიყო, მაგრამ არა იმ სახით, როგორიც მან მომდევნო პერიოდის განვითარების შედეგად მიიღო.

1980-იანი წლებში განხორციელდა გუდიაშვილის №2 საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დროსაც შენობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ძველის გახსნის თანხმობები დოკუმენტაცია არ არსებობს. აქედან გამომდინარე, არც ნაგებობის ადრინდელი ფენების შესახებ შეიძლება საუბარი. ასეთი ვითარება დახვდა ავტორთა ჯგუფს 2007 წელს, როდესაც ქალაქის მერიამ გადაწყვიტა გუდიაშვილის საცხოვრებელი სახლის ფასადების რესტავრაცია¹⁵.

ცნობილია, რომ ძველი თბილისის ფარგლებში არსებული ძეგლების უმეტესობა მრავალ სამშენებლო ფენას მოიცავს და რესტავრაციისთვის სწორი მეთოდის შემუშავება ყველა იმ საფეხურის შესრულებას მოითხოვს, რაც ძველად აღრიცხული არქი-

ტექტურის აღდგენისთვისაა აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუშაოები შეიძლება არასწორი მეთოდური გადაწყვეტილების მიხედვით განხორციელდეს, ხოლო გაღრმავებული შესწავლის შესაძლებლობა მომავალი თაობებისთვისაც მიუწვდომელი იქნება.

2012 წელს ისევ დაისვა გუდიაშვილის მოედანი №2 შენობის რეაბილიტაციის საკითხი. ამ დროს კვლავ მოიხსნა ნალესობა ფასადებსა და ინტერიერში, სადაც გამოჩნდა წყობაში ჩასმული ლითონის სარტყლები, რომლებიც მოქლომებით იყო შეკრული. 2012 წელს ამას დაემატა წყობის ზემოდან დადებული ასეთივე გამაგრებები. აღნიშნულმა მოქმედებებმა წინა რეაბილიტაციის უარყოფითი შედეგებიც თვალნათლივ გამოაშკარავე¹⁶.

როგორც აღინიშნა, გუდიაშვილის მოედნის არაერთი ნაგებობა XIX ს-ზე ადრინდელ სამშენებლო ფენებს მოიცავს. მართალია, №2 შენობის მიწისზედა სართულების განხილვა ამ მხრივ გართულებულია, მაგრამ სარდაფებმა ნაკლებად განიცადა ცვლილება ბოლოდროინდელი რეაბილიტაციების დროს.

¹³ ლ. რჩეულიშვილი, „გუბერნატორის“ სახლი თბილისში, *ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები*, თბ., 1994, გვ. 248- 249.

¹⁴ ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, გვ. 87.

¹⁵ იხ. თბილისი, ქვემო კალა, გუდიაშვილი №2 საცხოვრებელი სახლი, ფასადების რესტავრაციის პროექტი, განმარტებითი ბარათი, თბ., 2007 წ., დოკუმენტი დაცულია იკომოს საქართველოს ოფისში.

¹⁶ იხ. ც. ჩაჩხუაშვილი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ყოფილი შენობა, ლ. გუდიაშვილის მოედანი №2, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, უძრავი ძეგლის პასპორტი, 2015 წ., დოკუმენტი დაცულია იკომოს საქართველოს ოფისში.



სურ. 8. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, სარდაფის კედლების ორ რეგისტრად დანაწევრება, ფრაგმენტი. 2015



სურ. 9. ლ. გუდიაშვილის მოედანი, საცხოვრებელი სახლი №2, სარდაფის კედლების ორ რეგისტრად დანაწევრება, ფრაგმენტი. 2019

ახლა ისინი გაწმენდილია და შესაბამისად, უფრო ნათლად შეიძლება არქიტექტურული ფორმების დანახვა. როგორც აღინიშნა, შეუღესავი აგურის კედლები ორ რეგისტრად დალაგებული ნიშებითაა დანაწევრებული, ზოგან კი ნიშების თავზე XIX ს-ის სასინათლო ღიობებია, რომლებიც საკმაოდ „უხერხულად“ ებმის და ნაწილობრივ ჭრის კიდევ ქვედა რეგისტრის თაღოვან ნიშებს, რაც მშენებლობის რიგითობაზე უნდა მიუთითებდეს¹⁷ (სურ.4-9). სავარაუდოა, რომ №2 სახლის ტროტუარის ქვეშ მოქცეული სადგომი XVIII საუკუნეზე გვიანდელი არ არის, იმავე პერიოდის უნდა იყოს სარდაფის ქვედა ნაწილი, რომელსაც XIX ს-ში გადახურვა მოხსნეს და მას ახალი მოცულობა დაადგეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადგილი, სადაც ახლა ლ. გუდიაშვილის №2 სახლი და მის მეზობლად მდებარე შენობები დგას, XIX ს-ზე ადრინდელ სამშენებლო ფენებს მოიცავს, რომლებიც ნაწილობრივ მოგვიანო საცხოვრებელ სახლებში ჩაერთო. სავარაუდოა, მათ შორისაა №2 შენობა, რომლის ოსტატმა რამდენიმე სამშენებლო ნაკვეთზე მდგარი საცხოვრებელი სახლი გააერთიანა და ერთ მთლიანობად აქცია, შენობის ეტაპობრივი ცვლილებები XIX ს-ის პირველ ათეულ წლებშიც გაგრძელდა. ლ. გუდიაშვილის №2 შენობა თბილისური სახლის ქრესტომათიულ ნიმუშს წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობა სცილდება საკვლევი უბნის ფარგლებს.

¹⁷ ნ. ცინცაბაძის ბოლოდროინდელი დაკვირვების მიხედვით, სარდაფის თაღოვანი ნიშებით დანაწევრებული ქვედა ნაწილი XIX ს-ზე ადრინდელია,

გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობათა ფრაგმენტები საკვლევ უბანში

თბილისის თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე მუდამ გამოარჩევდა ურბანულ სახესა და ცხოვრების წესში გამომჟღავნებული თავისთავადობა. მის განსხვავებულ მხარეებზე, ნაირსახეობასა და მრავალფეროვნებაზე, სხვადასხვა დროს ბევრი თქმულა. „ვისთვის ის ეგზოტიკური, თან ზღაპრული, თანაცვე არეულ-დარეული აღმოსავლეთია, ვისთვის „კავკასიის პარიზი“, ვისთვისაც – რუსეთის იმპერიის საგუბერნიო ცენტრთაგანი, ვინ მას სომეხ სოვდაგართა ძლიერ ბუდედ ხედავს, ვინაც – ქართველ დიდებულთა და მგოსანთა სამყოფელად... საქმე ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი და ალბათ ბევრიც სხვა, იყო ერთად, რაღაც ძალით, რომელიღაც, ლათინთა სიტყვისაგან, „ადგილის გენიის“ წყალობით, გამთლიანებული“.¹ მთელი ეს ნაირგვარობა, დღემდე აღბეჭდილი XIX ს-ის თბილისის ურბანულ სახეზე, უწინდელი ფორმების დიდი სიმრავლით გაბნეულ და მართლაც საერთო ხასიათით, თუ სულით გამთლიანებულ ფრაგმენტებად შემორჩა საკვლევ უბანს.

ამ სიძველეთა ერთი ჯგუფი ფიზიკურად, თუ ფუნქციურად დაკავშირებული ორი ან მეტი კომპარტიმენტისგან შედგება, რომელთა ნაწილს უკვე გავეცანით კიდევ, ხოლო ნაწილი ერთეული სათავსების სახით არის გაბნეული. ფრაგმენტულად მოღწეული ამ სიძველეების შესახებ ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები არაერთგვაროვანი და ნაკლებია. ხშირად, სწრაფად მიმდინარე ფიზიკური სამუშაოების პრო-

ცესში ნაშლილი სრული სურათის აღსადგენად არც გრაფიკული მასალა გვაქვს ხელთ და ფოტოებიც მწირი რაოდენობით მოგვეპოვება. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სტრუქტურათა აღწერა და სავარაუდო მოსაზრებების ჩამოყალიბება მათი ფორმების, ფუნქციისა, თუ თარიღის შესახებ, ამდიდრებს ჩვენ საბაზისო ცოდნას და სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს სამომავლო კვლევებისთვის, ძველი თბილისის ურბანული სახის აღდგენისა, თუ განაშენიანების დამახასიათებელი მხარეების გამოკვეთისას.

ძირითადი კვლევებისთვის შერჩეულ მნიშვნელოვან შენობათა შესწავლამ გვაჩვენა, რომ გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაწილები საცხოვრებელი სახლების ერთ ჯგუფში სრულადაა ინტეგრირებული ახალ სტრუქტურასთან და დღემდე პრაქტიკულად გამოიყენება სარდაფის დამხმარე სათავსებად. რიგ შემთხვევებში კი, წინა საუკუნეებიდან შემორჩენილი სტრუქტურები, თუ მათი ფრაგმენტები იმ ადგილზე აგებული სახლების საძირკვლის სივრცეში აღმოჩნდა მოქცეული და მხოლოდ მიწის ფენის მოხსნის შემდეგ გახდა ცნობილი მათი არსებობა. პლატონ იოსელიანის ცნობა – XIX ს-ის შუა წლების თბილისი მთლიანად ნანგრევებზეა აშენებულიო, ლ.გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბანში სრულად დადასტურდა და თითქმის ყველა შენობაში აღმოჩნდა შეფარული თბილისის ძველი ურბანული განაშენიანების მეტად საგულისხმო, უცნობი ნიშნულები.

გ. ჭიბლაძის ქ. №3

გ. ჭიბლაძის მოკლე და ვიწრო ქუჩა² (სურ.1), რომელიც ბ. ახოსპირელის გასასვლელსა და აბოთბილელის ქუჩებს აკავშირებს, ყურადღებას იპყრობს მის ორ მხარეს განაწილებულ მოცულობათა განსხვავებული ზომით: ერთ მხარეს ქუჩის თითქმის მთელ სიგრძეს იკავებს აბოთბილელის ქუჩისკენ მთავარი ფასადით მიმართული, დახურულფორმის

№9 ნაგებობის გვერდითი ფასადი. მის საპირისპიროდ კი, გ. ჭიბლაძის ქუჩაზე განლაგებულია №1, №3 და №5 გახსნილფორმის³ საცხოვრებელი სახლები. XIX ს-ის მიწურულამდე ქუჩის განაშენიანებაში არსებულ წონასწორობას თვალსაჩინოდ ასახავს იმ დროის პანორამული ფოტო (სურ. 2). შემდეგ კი, უხეშ ჩარევას ურბანულ ქსოვილში ცალ მხა-

¹ დ. თუმანიშვილი, საქართველო, ეპოქათა გასაყარი, *გზაჯვარედინზე, წერილები, ნარკვევები*, თბ., 2008, გვ.218

² გ. ჭიბლაძის ქუჩას თბილისის 1898 წლის გეგმის მიხედვით მოლნინის მე-2 შესახვევი ერქვა, ხოლო 1902 წლის გეგმის მიხედვით – ბორისოვის შესახვევი

³ მ. მანია, ეზო,როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, *მაცნე, საქ. ისტ. არქეოლ. ეთნოგრ. და ხელოვ. ისტორიის სერია*, №1, 1989, გვ.107-115



სურ. 1. გ. ჭიბლაძის ქუჩა, ხედი ზემოდან, 2025

რეს მდგარი შენობების დანგრევა, ნაკვეთების გამთლიანება და მათ ადგილზე ზემოხსენებული ერთიანი მოცულობის აშენება მოყოლია, რასაც ეჭვსგარეშეა, საყურადღებო ძველი ნაშთების განადგურება მოყვებოდა. სამწუხაროდ, 2020 წელს გ. ჭიბლაძის ქუჩაზე დაწყებული რეაბილიტაციის პროცესში მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიზეზით (?) თითქმის საძირკვლიანად დაინგრა და თავიდან აშენდა №1, №3 და №5 ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საცხოვრებელი სახლებიც, რამაც, მათ ფუძეში დაცული ძველი სტრუქტურების მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა.

გ. ჭიბლაძის ქ. №3 უდიდესი ფასადის მქონე საცხოვრებელი სახლი ნაკვეთის სიღრმეში მდგარი ძირითადი ნაგებობისა და მარცხნიდან მასთან მართი კუთხით დაკავშირებული, ქუჩამდე გამოგრძელებული ვიწრო ფლიგელისგან შედგებოდა, რომელიც

ამ მხრიდან ეზოსაც შემოსაზღვრავდა (სურ. 3). ძირითადი ნაგებობა დაფუძნებული იყო ცილინდრული კამარით დასრულებულ საკმაოდ გრძელ სარდაფზე. გვიანდელი ტიხრით ორ ნაწილად გაყოფილი სივრცის შელესილ-შეთეთრებულკედლებიანი აღმოსავლეთი ნახევარი ბოლო დრომდე საცხოვრებლად იყო გამოყენებული (სურ. 4). მთელი სათავსის ზურგის ყრუ, გრძივ კედელში ნახევარწრიულთაღოვანი ხუთი ღრმა ნიშა იყო განაწილებული, რომელთა შორის გადაყვანილ საბჯენ თაღებს და განივ კედლებს შემოყოლებულ ნაოთხალ თაღებს ეყრდნობოდა ფართომალისიანი, დაბალი ცილინდრული კამარა (ნახ. 1) დარბაზის შეუღესავ ნაწილში ყურადღებას იქცევდა კამარისა და იატაკის ხალიჩისებური დეკორაციული დამუშავება, რასაც აგურის თევზიფხური წყობით შექმნილი ზოლებით და ერთმანეთში ჩასმული რომბებით შედგენილი ფიგურული ნახატი ქმნიდა (სურ. 5).

სარდაფს ღიობები მხოლოდ წინა გრძივ კედელში ჰქონდა დატანებული საბჯენ თაღებს შორის არსებულ არეში, კამარის ქუსლის ფარგლებში; აქ იყო განთავსებული გარეთკენ შევიწროებულწირთხლებიანი სარკმელი, საიდანაც ხდებოდა სარდაფის განიავება და მზის სინათლის შეღწევა, ამ მხრიდანვე იყო მოწყობილი შესასვლელი კარის ღიობი, რომელსაც გარე მხრიდან მოწყობილი კიბე უკავშირდებოდა; ბინის ინტერიერში მოსახვედრად შიგნითაც ეშვებოდა ფიცრებით გამართული საფეხურები. დასავლეთ კუთხესთან ახლოს, თაღოვან ნიშაში მოქცეული იყო სწორკუთხა კარის ღიობი, საიდანაც აგუ-



სურ. 2. ძველი თბილისის პანორამა, XIX ს-ის ბოლო, ფრაგმენტი გ. ჭიბლაძის ქუჩის ხედი




სურ. 3. გ. ჭიბლაძის ქ. №3 საცხოვრებელი სახლი, ფასადის ფრაგმენტი, 2015



სურ. 4. გ. ჭიბლაძის ქ. №3, სარდაფის საცხოვრებლად გამოყენებული ნაწილი, 2015

რით ნაშენი ექვსი საფეხურით შესაძლებელი იყო დიდ სადგომზე ეზოს მხრიდან მოდგმულ, მიწაში ღრმად ჩამჭდარ, კვადრატს მიახლოებული გეგმის მცირე სათავსში ჩასვლა (ტაბ.2-№4, სურ.6). დარბაზიდან შემოსასვლელი კარის დიობით გახსნილი ჩრდილოეთი კედლის გარდა, სათავსს დანარჩენი



სამი კედელი ნახევარწრიულთაღოვანი წყვილ-წყვილი ნიშით აქვს დამუშავებული. კედლებს იატაკთან ახლოს თარო შემოსდევს, ხოლო შუაში აგურით ამოშენებული მოზრდილი, კვადრატული ჩაღრმავებაა, რომელიც საფეხურების საშუალებით ორ დონეს ქმნის მიწაში. მისი ამონმენდისას შიგ დოქი





ნახ.1. გ.ჭიბლაძის ქ.№3, ორსადგომიანი სარდაფის გეგმა

ტაბულა 1.



№ 1



№ 1





№ 2





ტაბულა 2.



№ 3




№ 4




№ 5



№ 6



1. ლ. გუდიაშვილის მოედანი № 6/1
2. ბ. აბესაძის ქ. №21
3. უ. ღაღიანის ქ. №32
4. ბ. ჯიბლაძის ქ. №3
5. პ. ახოსპირელის გასასვლელი №3/7
6. ლ. გუდიაშვილის მოედანი № 2





სურ. 5. სარდაფის კამარა, ფრაგმენტი, 2020



სურ. 6. გ. ჭიბლაძის ქ. №3, სარდაფის მცირე სათავსის ხედი დაზიანებული კამარიდან, 2020



სურ. 7. გ. ჭიბლაძის ქ. №3, კიბე სარდაფის მცირე სათავსში, 2020

და პატინით დაფარული მონეტა⁴ აღმოჩნდა. მცირე ოთახს ბრტყელთალოვანი კამარა ასრულებდა, რომელიც შუაში ჩამონგრეული იყო (სურ. 7). შესაძლოა, კამარაში ერდო ყოფილიყო დატანებული და მისი კვალი დაზიანებას წაეშალა.

სადგომის გასამაგრებელი კონსტრუქციისთვის თხრილის ამოჭრისას, მცირე სათავსის აღმოსავლეთი კედლის სიახლოვეს, დღეს არსებული მიწის დონიდან 30 სმ-ის სიღრმეზე, გვერდი-გვერდ ჩადგმული ორი თონე გამოვლინდა, რამაც დამატებითი ყოფითი შტრიხი შესძინა ამ ორსადგომიანი ძველი საცხოვრებლის კარ-მიდამოს სურათს.

რა დროის უნდა ყოფილიყო ძველი სახლი და რა ცვლილებებით მოაღწია ჩვენამდე ამის პასუხი ნაგებობაზე დაკვირვებით შეიძლებოდა. დიდ სადგომში მოხვედრისას ყურადღებას იქცევდა ინტერიერის უჩვეულო, დაბალი და განში გაბჯენილი პროპორცია, რასაც ფართომალიანი კამარისა და საბჯენი თაღების იატაკთან ახლოსვე დაწყებული მორკალვა იწვევდა. ნაგებობის ნგრევის პროცესში გამოვლენილმა საყურადღებო სურათმა დაგვანახა, რომ ნიშებიანი გრძივი კედლისა და საბჯენი თაღების აგურის წყობას ერთმანეთთან ბმა არ ჰქონდა და ეს უკანასკნელი მოგვიანებით ჩანდა მიშენებული სწორ კედელზე (სურ. 8). ნახევარწრიულთალოვანი ნიშების არსებობის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კამარიან სივრცედ გადაკეთებამდე ნაგებობა XVIII საუკუნის ბრტყელჭერიან, ბანიან სახლს წარმოადგენდა, რომლის გადახურვის კონსტრუქციის დაზიანება, შესაძლოა, ალა-მაჰმად ხანის 1795 წლის დამანგრეველ შემოსევას მოჰყოლოდა და ამის შემდგომ მალევე, საუკუნის მიწურულს მომხდარიყო გადახურვის აღდგენა აგურის დეკორაციული წყობით შესრულებული კამაროვანი კონსტრუქციით. ამავე დროს უნდა იყოს შესრულებული მსგავსი წყობით მოგებული აგურის იატაკიც (სურ.9), რომლის ქვეშ, შურფმა თავდაპირველი, მიწატკეპნილი იატაკის ფენა გამოავლინა⁵. ნაგებობის აღდგენის დროის განსაზღვრის ხელმოსაჭიდ და და-



სურ. 8. გ. ჭიბლაძის ქ. №3, სარდაფის დიდი სადგომის ზურგის კედელი, 2020

⁴ თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით განხორციელებული არქეოლოგიური მეთვალყურეობის 2020 და 2021 წლების ანგარიშები; არქეოლოგები თ. ბუნურაძე და ლ. ჩოლოგაური.

⁵ საპროექტო შენობის ასაგებად შპს „იკორთა 2007“-ის მიერ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტში (ავტორი გ. ხურცილავა, ბ. ჯუგაშვილი), განმარტებულია არსებული იატაკის დაშლის აუცილებლობა: „პროექტით გათვალისწინებული ბურღვით ნატენი ხიმიწებების მოწყობა, რომლებზეც უნდა დაეყრდნოს საცხოვრებელი ნაგებობა, ხორციელდება ხელოვნური ფუძის მოედანზე, რომლის მოწყობასაც ხელს უშლის არსებული აგურის იატაკი, რის გამოც იატაკი ექვემდებარება გადაწყობას“.



სურ. 9. გ. ჭიბლაძის ქ. №3, სარდაფის იატაკი, ფრაგმენტი, 2020

საყრდენ ელემენტს წარმოადგენს კამარისა და იატაკის ხალიჩისებური დეკორაციული წყობა, რომლის ნიმუშები ისანში - მეტეხის ქუჩისა და შესახვევის კუთხის №18, ხოლო საკვლევ უბანში: - ბ. ახოსპირელის III ჩიხი №17/1⁶ და შ. დადიანის ქ. №20 სახლების სარდაფებში გვხვდება. მათი აგებაც, ძირითადად, სწორედ ამ პერიოდს, XVIII საუკუნის მიწურულს და XIX ს-ის დამდეგს უკავშირდება.

როგორც ირკვევა, თბილისის რთული წარსულის პირობებში ჩამოყალიბდა დაზიანებული, თუ დანგრეული სახლების სწრაფად აღდგენის პრაქტიკა. ნაგებობათა განახლება პრაგმატული, პრაქტიკული და ეკონომიკური მოსაზრებებით, ძირითადად, ძველი საძირკვლების გამოყენებით ხორციელდებოდა. ამ პროცესში, წინა საუკუნეთა მსგავსად, XIX ს-ის მანძილზეც მაქსიმალურად ხდებოდა მიწის ნაკვეთების, შენობათა კონფიგურაციის და ძველი სტრუქტურის ფრაგმენტების შენარჩუნება ახალ, თუ განახლებულ შენობებში, რაც განაპირობებდა ქუჩათა ქსელის უმეტესწილად ხელშეუხებლად დატოვებას. ჩანს, იმ ფონზე, როცა ქალაქი არსებითად მხოლოდ გა-

რეგან სახეს იცვლიდა და ფეხს უწყობდა დროის მოთხოვნებსა და მოდას, გეგმარების სტაბილურობის და ამავე დროს, თითქმის ყოველ ნაგებობაში გამოვლენილი მრავალშრიანობის ერთ-ერთი მიზეზიც ძველ ძირზე ახლის დაფუძნება იყო.

გ. ჭიბლაძის ქ. №3 სახლის სარდაფის მთლიანობამ, რაც მას რეაბილიტაციამდე ჰქონდა შენარჩუნებული, საშუალება მოგვცა ყურადღება გაგვემახვილებინა ძველი სახლის გეგმარების თავისებურებაზე, რამაც საკვლევ უბანში სხვაგანაც იჩინა თავი. ეს ეხება მართკუთხა გრძელი საცხოვრებელი დარბაზისა და მის კიდეში, ან განაპირა ნაწილზე გარედან მოდგმული და მასთან კიბით დაკავშირებული მცირე სადგომის ერთიანობას. არქიტექტურული ფორმებისა და ინტერიერის დამუშავების განსხვავებულობის მიუხედავად, საერთო გეგმარება, სათავსების პროპორციული თანაფარდობა და იატაკის დონეთა მკვეთრი სხვაობა ზედმინწევით მსგავსებას ამჟღავნებს აბესაძის ქ. №21 სახლის ძველ სარდაფთან, რაც საცხოვრებლის უცნობი გეგმარებითი ტიპის შესაძლო არსებობას გვაფიქრებინებს.

⁶ მ. მანია, ძველი თბილისის სარდაფები, საქართველოს სიძველენი, 3, თბ., 2003, გვ. 152



სურ. 1 გ. ჯიბლაძის ქ. №5, კედელში ჩართული აივნის სვეტები, სახლის ნგრევა 2020

გ. ჯიბლაძის ქ. №5

გ. ჯიბლაძის ქ. № 5 საცხოვრებელი სახლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძველი ფენების შემცველი ნაგებობა იყო საკვლევ უბანში, რომელიც, სამწუხაროდ, საძირკვლიანად ისე განადგურდა, რომ მისი შესწავლის საშუალება არ მოგვეცა. მჭიდრო განაშენიანებაში ჩართული, სრულიად განსხვავებული სტრუქტურის ეს ძეგლი¹ ორი ეზოსკენ გამავალ, ორსართულიან, ანფილადური გეგმის საცხოვრებელ სახლებს აერთიანებდა. ქუჩის მხარეს არსებული ეზოსკენ ძირითადი ნაგებობა ამოშენებულ-შემინული აივნებით უხეშად სახეცვლილი ფასადით და მასთან მარცხნიდან მართი კუთხით დაკავშირებული ვიწრო ფლიგელით გამოდიოდა. მიუხედავად გადაკეთებისა ფასადზე შენარჩუნებული იყო გვიანდელ შუაბანდში ჩართული ხის მრგვალი, მძლავრი სვეტები (სურ.1). შიდა ეზოში გასვლა ხდებოდა შენობის მარჯვენა კუთხეში განთავსებული, მეორე სართულის ქვეშ მოქცეული, ფიცარნაგით მოგებული გვირაბი-დერეფნით, რომელსაც ცალი მხრიდან მეზობელი სახლის გვერდითი კედელი ესაზღვრებოდა (სურ. 2). შიდა ეზოს მხარეს სახლის მეორე სართულზე დატოვებულ ღია აივანსაც მრგვალი სვეტები ჰქონდა, თუმცა უფრო წვრილი, შედარებით მოგვიანო პერიოდისა (სურ. 3).

XIX ს-ის შუა წლებში სახლის გარეგან სახეზე წარმოდგენას გვიქმნის საარქივო პანორამული ფოტო, სადაც ყურადღებას იქცევს ბანით დასრულებული, საკმაოდ მასშტაბური მოცულობა ორივე სართულის მთელ სიგრძეზე აივნებით გახსნილი ფასადით და მასზე მარცხენა კიდედთან მიდგმული კიბით (სურ.4). როგორც ჩანს, გ. ჯიბლაძის №3 სახლის მსგავსი ფლიგელი აქ, თავდაპირველად მხოლოდ სარდაფის სართულში უნდა ყოფილიყო. ნაგებობის ტრადიციული სახე, „დორიულსვეტებიანი“ აივანი და ბანი, მხატვრული დამუშავების საერთო სისადავე, მოკლებული უცხო ფორმათა სიტრელეს, უტყუარად მიაჩნებოდა მის აგებაზე XIX ს-ის I ნახევარში².

სახლი ამასთანავე, შეიცავდა უფრო ადრეულ, XVII-XVIII სს-ის მიჯნის სარდაფს, სადაც მოხვედრა შესაძლებელი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში. მართკუთხა გეგმის სარდაფის სათავსის შეუღესავი აგურის კედლები აღჭურვილი იყო შეისრული მოხაზულობის ნიშებითა და ასეთივე კარის ღიობით (სურ. 5, 6). ბრტყელჭერიანი გადახურვა მოწყობილი იყო მომრგვალებულნახნაგოვან მძლავრ კოჭებზე. ნიშებს შორის განაწილებულ კვადრატულ,

¹ შენობას სტატუსი 2006 წელს ჰქონდა მინიჭებული.

² ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, ტ. I, 1960, გვ.107



სურ. 2. გ. ჭიბლაძის ქ. №5, ორი ეზოს დამაკავშირებელი გვირაბი-დერეფანი, 2015



სურ. 3. გ. ჭიბლაძის ქ. №5, მეორე სართულის აივნის სვეტები შიდა ეზოს მხარეს, 2020



სურ. 4. გ. ჭიბლაძის ქ. №5, სარდაფის უკანა კედელი ჩაშენებული ნიშებით, 2015



სურ. 5. გ. ჭიბლაძის ქ. №5, ძველი თბილისის პანორამა, ფრაგმენტი, XIX ს-ის ბოლო



სურ. 6. გ. ჭიბლაძის ქ. №5, სარდაფის კარის ღიობი, 2015



სურ. 7. გ. ჭიბლაძის ქ. №5, ხის სარტყლები სარდაფის კედლის წყობაში. 2020

გარეთკენ შევიწროებულ სარკმლის ღიობებს და კედლებს ასრულებდა ხის სარტყელი (სურ. 7). კვადრატული აგურის რეგულარულ წყობაში ალაგ-ალაგ იკითხებოდა გაბნეული ფლეთილი ქვები, ან ალმაცერად დალაგებული რიყის ქვითა და ნახევარაგურებით შედგენილი წყობის ჩანართები (სურ. 8). ნი-

შები, ისე, როგორც ზოგი სარკმელი ჩაშენებული იყო ე.წ. რუსული აგურის წყობით, რის გამოც მათ სიღრმეზე და კედლის სიგანეზე წარმოდგენის შექმნა მხოლოდ შესასვლელი კარის საკმაოდ ფართო წირთხლების მიხედვით შეიძლებოდა. სარდაფის სადგომის გვერდითი, დასავლეთი კედლის დაუნა-



სურ. 8. ხის სარტყლები კედლის წყობაში, 2020

წევრებელ გლუვ სიბრტყეზე მოჩანდა ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბის მოსაწყობად გამოყენებული, დიაგონალურ საზღვ თანაბარი ინტერვალით განაწილებული დიდრონი კოჭის თავები. სარდაფის დასავლეთით არსებულ სადგომთან დამაკავშირებელი გვიან მოწყობილი სწორკუთხა კარის ღიობი და კედლის კიბესთან მისასვლელიც ჩაშენებული და გაუქმებული იყო.

სარდაფის კედლებში განთავსებული ნიშებისა და სარკმლების სიმრავლე, რაც უზრუნველყოფდა საოჯახო ინვენტარის მოხერხებულ განთავსებას და სივრცის კარგ განათება-განიავებას, გვაფიქრებინებს, რომ სარდაფს თავის დროზე საცხოვრებელი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ჭერის მოწყობის სისტემა და კოჭების დამუშავების ხასიათი, რაც მსგავსებას ამჟღავნებდა ბეთლების აღმართი №16³ შენობის ინტერიერის დამუშავებასთან, ისე როგორც მსხვილი ძელების გამოყენებით მოწყობილი კედლის კიბის საფეხურები, აჩენდა ვარაუდს, რომ მას თანადროული ზედა სართულიც ახლდა. სამწუხაროდ, ნაგებობის სრულად დანგრევის გამო, დღეისათვის დაკარგულია შესაძლებლობა მეტი დაგვეჩინა და გავვეგო გვიანი შუა საუკუნეების საცხოვრებლის შერწყმაზე

XIX ს-ის I ნახ.-ში ჩამოყალიბებული ადრეული პერიოდის თბილისურ სახლთან და შემდგომი განვითარების მეტად საგულისხმო პროცესზე. რაც შეეხება ნაგებობის მარცხენა კიდედან მიდგმულ მკლავს, რის მსგავს გეგმარებასაც ვხედავთ გვერდით, გ. ჭიბლაძის №3 სარდაფის გრძელი, მართკუთხა სადგომისა და მისი თანმხლები, მიწაში უფრო ჩაღრმავებული მცირე კვადრატული სათავსის სახით, დიდი ალბათობით, №5 სახლის ქვეშ განთავსებულ გრძელ სარდაფსაც გარედან მიდგმული ასეთივე მცირე სადგომი უნდა ჰქონოდა. ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ 2015 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს მოსახლემ აღნიშნა სარდაფის არსებობა ამ ნაწილში, რომლის ნახვაც ვერ მოხერხდებოდა. ამგვარად, მკაფიო სტრუქტურული მსგავსება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აბესაძის ქ. №21 სახლის ქვეშ დაცულ XVII საუკუნის ორსადგომიან სარდაფთან და მის მსგავს - გ. ჭიბლაძის ქ. №3 XVIII საუკუნის სარდაფთან ერთად, გ. ჭიბლაძის ქ. №5, XVII-XVIII სს-ის მიწის სარდაფიც, შესაძლოა ძველი საცხოვრებლის ამ ტიპის გეგმარებითი ჯგუფის კიდეც ერთ ნიმუშს წარმოადგენდა.

³ მ. სურამელაშვილი. XVIII ს-ის კოშკური საცხოვრებელი ბეთლების კლდისუბანში, *საქართველოს სიძველენი*, N9, თბ., 2006, გვ. 160-168

ბ. ახოსპირელის გასასვლელი / გ. ჭიბლაძის ქვ. №3/7


ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე განაშენიანებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ბ. ახოსპირელის გასასვლელისა და გ. ჭიბლაძის ქუჩების კუთხეში 1900-იან წლებში აშენებულ №3/7 საცხოვრებელ სახლს, თბილისური მოდერნის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს, რომელსაც არაერთი ავტორი ეხება¹. ლათინური L-სებრი გეგმის სამსართულიან ნაგებობას ფანჯრებით განათებული საკმაოდ მაღალი ნახევარსარდაფის სართულიც აქვს, რომელიც განაშენიანების შიგნით მოქცეული ეზოს გარდა, ფასადის წინ არსებული კურდონერის ტიპის ეზო-ბაღისკენაც გამოდის, რომელსაც ჩრდილოეთიდან მომიჯნავე №8 სახლის ყრუ გვერდითი კედელი ფარგლავს. ნაგებობას და ნაკვეთს, სადაც ის არის განთავსებული თავისთავადობას სძენს გამორჩეული მხატვრული დამუშავება, როგორიცაა ფოთლოვანი ელემენტებით გაფორმებული წინა ეზოს რკინის მესერი, ნაძერწი საფასა-

დო მორთულობა, უხვად დეკორირებული სადარბაზო თავისი კარით, მოზაიკური იატაკით, ოვალურ მრუდს აყოლებული კიბე ყვავილებისა და ფოთლების მოტივებით შემკული რკინის მოდერნული მოაჭირით, ვესტიბულის პლაფონის მოხატულობა ფსევდო-კლასიციტური და ამპირის ელემენტების ნაზავით და სხვები კიბე შიდა ეზოში (სურ. 1). შენობას დამატებითი მიმზიდველობა და ისტორიული მნიშვნელობა შესძინა საძირკვლის გამაგრებისა და რეაბილიტაციის პროცესში სარდაფის სართულში გამოვლენილმა ძველი სტრუქტურის ფრაგმენტებმა.

თბილისის ფოტო პანორამებზე ამ შენობის ადგილის გამოსახულების თვალის გადავინებისას, XIX ს-ის მიწურულისთვის, უკვე მთლიანად განახლებული განაშენიანების გარემოცვაში ყურადღებას იპყრობს დაბალი, დაზიანებული ბანიანი მოცულობა, რომელიც ერთგვარად მიანიშნებს ნაგებობის ძი-




სურ. 1. ბ. ახოსპირელის გასასვლ. №3/7, სადარბაზო, ინტერიერის ფრაგმენტი, 2024




სურ. 2. თბილისის ხედი ბოტანიკური ბაღის კარიდან, ფრაგმენტი 1870-იანი წლების პანორამიდან

¹ ც. კილაძე, მ. მეძმარიაშვილი, თ. გერსამია, *თბილისური სადარბაზოები*, თბ., 2008, ტაბ. 1-5; ანოტ. გვ.160; *საფასადო ქანდაკება თბილისში*, მოამზადეს მ.ლილუაშვილმა, ნ. ჭანიშვილმა, დ. ხოშტარიამ, შესავალი ტექსტი დ. ხოშტარიასი, თბ., 2008, ტაბ. 76; *საქართველოს ძველი ქალაქები თბილისი*, წიგნი გამოსცეს მ.ბულიამ და მ. ჯანჭალიამ, თბ., 2002, ტაბ. გვ.76; M. Mania, *Architectural Walks of Old Tbilisi*, Tb., 2008, გვ.51



ნახ. 1. ბ. ახოსპირელის გასასვლ. №3/7, შენობის გეგმა ძველ ნაგებობათა ნანგრევების ჩვენებით



ნახ. 2. ბ. ახოსპირელის გასასვლ. №3/7, შენობის ჭრილი ძველ ნაგებობათა ნანგრევების ჩვენებით



სურ. 3. ეზოს მხარეს მოქცეული სარდაფის სადგომში გამოვლენილი ნანგრევები, 2020

რის ფენებში დაცული სიძველის ნაშთების არსებობაზე (სურ.2). მართლაც, გამოირკვა, რომ ბანიანმა სახლმა სარკოფაგივით დაიცვა თავის წიაღში შემორჩენილი გაცილებით ადრეული სტრუქტურის ფრაგმენტები. ჩანს, №3/7 ახალი ნაგებობის მშენებლობისას ბანიანი სახლი მთლიანად განადგურდა, უფრო ღრმად ჩამარხული ძველი სტრუქტურის ნანგრევები საძირკვლის კედლების ზედ დაშენებამ გადაჭრა და დააზიანა, თუმცა ამავე დროს, შენობის ქვეშ მოქცეული გადარჩენილი ნაწილები ატმოსფერული ზემოქმედებით განადგურებას გადაურჩა (ნახ.1). ძველი სტრუქტურის ნაშთების სამშენებლო მასალა ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც ამ ადგილზე დროის ხანგრძლივ მონაკვეთში მიმდინარე ცხოვრებაზე მოწმობს.

№3/7 სახლის მთელ პერიმეტრზე არსებულ, სამი მხრიდან ფანჯრებით განათებულ ნახევარსარდაფში იატაკის დონის დანევისას მიწის ფენის ქვეშ, ამ დიდი სივრცის სხვადასხვა მონაკვეთში მეტად საყურადღებო მასალა გამოვლინდა: გეგმის მეტნაკლები სისრულით, ორ მეტრამდე და მეტი სიმაღ-

ლის კედლებით შემონახული სამი სადგომი, ორი თონე, აგურისა და აგურთან შერეული რიყის ქვის წყობით ნაშენი კედლების მნიშვნელოვანი ფრაგმენტები და სადაზღაპირიანი, თუ მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის დიდი რაოდენობით ნამტვრევები. ამოსული მასალის დახვეწილი ფორმები, უმეტეს ნაკეთობათა მაღალი ხარისხი, ფრინველთა გამოსახულებების, თუ ორნამენტის ნახატის ოსტატური შესრულება და ფერადოვნება აჩვენებს მათ სიახლოვეს განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკასთან. მათ შორის არის ვინმე „ბეგასთვის“ მიძღვნილი მხედრულწარწერიანი თასის ძირი (წინასწარი დათარიღებით XVIII ს), არის ასევე საღი თასი, ჭამი და სამარილის ფრაგმენტი არაბული წარწერით².

ორ რიგად განლაგებული სარდაფის სადგომებიდან ეზოსკენ მოქცეულ სივრცეში მიწის მოხსნის შემდგომ აღმოჩნდა, რომ დღევანდელი ნაგებობის კაპიტალური შუა კედლის ჩრდილოეთი მონაკვეთი რიყის ქვით ნაშენ ძველ მძლავრ კონგლომერატს ეფუძნებოდა და მის საძირკველად იყო გამოყენებული ამ ნაწილში (სურ. 3). აქვე, სარდაფის ჩრდი-

² ბ. ახოსპირელის გასასვ. №3/7 სახლის სარდაფში აღმოჩენილი კერამიკული მასალის შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებულია არქეოლოგების თ. ბუნურაშისა და ლ. ჩოლოგაურის 2020 წლის ანგარიშებში.



სურ. 4. სარდაფში გამოვლენილი ქურის ნანგრევები, 2020

ლოეთ კედლის კუთხესთან, საძირკველი ჭრიდა აგურიითა და კირხსნარით ნაშენ მოგრძო ნაგებობას, რომლის მხოლოდ ორი კედლის ფრაგმენტი ექცეოდა შიდა სივრცეში (სურ. 4). შემორჩენილი ნანგრევების მიხედვით გეგმაზე და ზუსტ ზომებზე წარმოდგენის შექმნა რთული იყო, თუმცა სავარაუდოდ, ნაგებობა დიდი არ უნდა ყოფილიყო. მთელი ამ სტრუქტურის მონიტალაო ფერი ცეცხლის ზემოქმედებაზე მეტყველებდა, უშუალოდ ცენტრალურ ნაწილში კი, სადაც ჩამონგრეული ღრმული მოჩანდა, კედლის ზედაპირზე შემოღესილი ხსნარის ფენა დამწვარი და გაშავებული იყო. გამოვლენილი ნაგებობის სიახლოვეს მოხსნილ მიწაში დიდი რაოდენობით მოტიქული და სადაზედაპირიანი კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები აღმოჩნდა, მათ შორის ერთი საღად შემონახული თასიც იყო, რომელიც XI-XII საუკუნეებით თარიღდება (სურ. 5). სამწუხაროდ, სახლის გამაგრების ტექნიკურმა გადანწყვტამ ნანგრევების აღება გამოიწვია. ის ფიზიკურად აღარ არსებობს, თუმცა ვფიქრობ, ნაგებობა ყველა ნიშნით კერამიკულ ქურას წარმოადგენდა.

შ. მესხიას განმარტებით „მეკეცის სამუშაოდ და ნაწარმის გამოსანვავად განკუთვნილი ნაგებობა, XVII ს-დან „ქურად“ და „ქარხანად“ წოდებული, როგორც ადრინდელი წერილობითი წყაროებიდან ირკვევა „სახმილად“ იწოდებოდა³.“ ძნელია ზუსტად



სურ. 5. მოტიქული კერამიკული ჭამი ბ. ახოსპირელის გასასვლ. №3/7 სარდაფიდან.

განისაზღვროს რა დროის იყო №3/7-ის სარდაფში გამოვლენილი სავარაუდო ქურა, თუ სახმილი, რადგან მის ირგვლივ მიწის განმენდისას ამოსული კერამიკული ნაწარმის ნამტვრევები, ისე როგორც მთელ შენობაში, ფართო ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავდა განვითარებული შუა საუკუნეებიდან გვიანი ხანის ჩათვლით.

ამათან ერთად, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქვე ახლოს, გუდიაშვილის მოედნისა და ახოსპირელის ქუჩის კუთხის სარდაფში კიდევ ერთი, უკეთესად შემონახული კერამიკული ქურა გაიხსნა, მოცემულ მიკროუბანში, ასე მიჭრით ორი ქურის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს; ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ „XVII-XVIII საუკუნეების თბილისში გარკვეული დარგის ხელოსნებს, ვაჭრებს და სხვა სპეციალობების წარმომადგენლებს ეჭირათ ქალაქის გარკვეული ნაწილი – უბანი, ქუჩა, მცირე ბაზარი, დიდი ბაზრის რიგი და სხვა“⁴; აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ №7/2 ქურიანი შენობის გვერდით, №7/3-ის ეზოს ტერიტორიაზე ნაწილობრივ გახსნილი და დიდიწილად მიწის საფარს ქვეშ მოქცეული დიდი ნაგებობის გეგმარების თავისებურებასა და ნაპრალიდან გადაღებული გუმბათური გადახურვის კადრზე დაყრდნობითაც ჩამოგვიყალიბდა მოსაზრება აქ დახურული ბაზრის არსებობა გვევარაუდა. ეს მონაცემები წარსულში საკვლევი უბნის მოსახ-

³ შ. მესხია, *საისტორიო ძიებანი*, ტ. I, თბ., 1982, გვ. 77

⁴ ბ. თარგამაძე, *ქართველთა თვითგნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*, დისერტაცია, თბ., 2019, გვ. 124 (კუცია 1964: 15)



სურ. 7. ახოსპირელის გასასვლ. №3/7, ეზოსკენ განთავსებულ სარდაფში გამოვლენილი სწორკუთხა სადგომი, ხედი ზემოდან, 2022

ლეობის საქმიანობის წამყვანი მიმართულებების განსაზღვრაში გვეხმარება, რაც ვაჭრობა, მეღვინეობა და კერამიკის წარმოება უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ მიმდებარე უბანში სხვადასხვა მისამართზე მრავლად გამოვლენილი ქვევრები და თონეები ადგილობრივი მეკეცეების ნაწარმი ყოფილიყო.

ბ. ახოსპირელის გასასვლელი №3/7 სახლის სარდაფის ასევე ეზოსკენ მოქცეული სივრცის მეორე ბოლოში გაიხსნა სხვადასხვა ზომის რიყის ქვის, მათ შორის ნარჩევი თხელი ფილებისა და კირხსნარის ჭარბი გამოყენებით ნაშენი, შედარებით უკეთ შემონახული სქელკედლებიანი მართკუთხა სადგომი სრული გარშემოწერილობით და ორ მეტრამდე სიმაღლით (სურ. 6, 7). ოთახის ჩრდილოეთ კედელში იატაკიდან საკმაოდ მაღლა შემორჩენილია ღრმა ნიშის ძირი. კარის ღიობი, სავარაუდოდ, სათავსის დასავლეთი კედლის ბოლოში უნდა ყოფილიყო. ამავე კედელს გარედან მოდგმული ჰქონია დიდი, წრიული გეგმის სათავსი, რომლის ნახევარი სახლის სარდაფის კედელს გადაუჭრია.

№3/7 სახლის აღნიშნული სარდაფის ტიხრით გამოყოფილ, გ. ჭიბლაძის ქუჩისკენ განთავსებულ სამხრეთ ნაწილში, მიწის სიღრმეში გამოვლინდა შედარებით უფრო მასშტაბური მართკუთხა გეგმის სათავ-

სი, რომლის მსხვილი რიყის ქვით ნაშენი სამხრეთი კედლის შუაში კარის ღიობის წირთხლებია შემორჩენილი (სურ. 8). სრული სიმაღლით მოღწეული დასავლეთი კედლის ძირი (დაახლ. 0.8 მ-მდე) თხელი, ფლეთილი ქვის ფილებისა და აგურის შერეული წყობით არის ამოყვანილი კირხსნარზე. ზემოთ მას აგრძელებს მცირედ ნაშვერ აგურის თაროზე დაყრდნობილი ვერტიკალურად დადებული აგურების წყობით აყვანილი კედელი, რომელიც გადადის ქუსლამდე შემორჩენილ ცილინდრულ კამარაში. ყურადღებას იქცევს საპირისპირო კედლის დამუშავება, სადაც აღწერილი კედლის მსგავსად ქვის ფილებით ნაშენ ძირს ოდნავ შვერილი თაროს ზემოთ აგრძელებს დიდრონი ფლეთილი კვადრების ერთი რიგი, რომელსაც კუთხესთან მოსდევს ვერტიკალურად დაყენებული აგურებით, ხოლო მოშორებით შერეული მასალით ნაშენ კედლის სიბრტყეზე აგურის ჰორიზონტალური წყობით გამოსახული ცრუ, დეკორაციული საბჯენი თაღები. აღწერილი ძველი სათავსების მსგავსება გაბარიტებში, კედლების მასალასა და ტექნოლოგიაში მჭიდვანდება. ეს სათავსები ერთიანი სტრუქტურის ნაწილებად შეიძლება მოვიხაზოთ, რომლის შემადგენლობაში ახალი სარდაფის კედლით გადაჭრილი, წრიული გეგმის მცირე სადგომიც ყოფილა გაერთიანებული. ამ სტრუქტურისთვის დამახასიათებელი ყო-



სურ. 8. ახოსპირელის გასასვლ. №3/7, ეზოსკენ განთავსებულ სარდაფის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილი სწორკუთხა სადგომი, 2022

ფილა კირის დუღაბის ჭარბად გამოყენება, რაც ირიბად მიანიშნებს შედარებით უზრუნველყოფილ სოციალურ ვითარებაზე და მშენებლობის სავარაუდო, ზოგად თარიღად გვიან ფეოდალურ ხანამდე პერიოდს გვაფიქრებინებს. ამ მოსაზრებას აქ მოპოვებული, გვიან შუა საუკუნეებამდე პერიოდის შესანიშნავი მოტიქული კერამიკული ჭურჭლის ნიმუშების დიდი რაოდენობაც ამყარებს.

გარდა ამ ორი სათავისისა, სახლის მთავარი ფასადისკენ, ბ. ახოსპირელის გასასვლელისკენ მდებარე დიდ სარდაფში მიწის მოხსნისას იატაკის ქვეშ აღმოჩნდა შუა კედელზე მიდგმული 2 მ დიამეტრის და 1.35 მ სიმაღლით შემორჩენილი წრიული გეგმის მცირე სათავსი, რომელსაც დამხმარე, სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა⁵ (ტაბ. 2). მისი ნახევარი, დამასრულებელი სფერული კამარის რკალის სანყის რიგებამდე, სავარაუდოდ, სახლის მშენებლობის დროს უნდა იყოს მონგრეული (სურ. 9, 10). ძველი აგურითა და კირხსნარით ნაშენ წრიულ კედელს სამ-სამი რიგი აგურით დაშორებული რიყის ქვის ორი სარტყელი შემოსდევს ქვემოთ, რაც შეუღესავი აგურის წყობის ფონზე სამკაულივით იკითხება. აგურით მოგებული იატაკში მოწყობილია

ამ მცირე ფართისთვის საკმაოდ მოზრდილი (1.15 მ), აღმოსავლეთით კედელზე მიბჯენილი, ოვალური მოხაზულობის აგურით ამოშენებული ორმო. მისი სიღრმე 1.55 მ-ს შეადგენს, მეტად ამოწმენდა უსაფრთხოებიდან გამომდინარე აღარ მოხდა.

სად იყო მრგვალი სათავისის კარი ზუსტად განსაზღვრა ძნელია; სავარაუდოდ, ის ჩამონგრეულ ნაწილში მოყვა. სათავსოს კედელში ორი ნიშაა დატანებული: ერთია საფეხუროვანი დასრულების სატრაქე ნიშა, ხოლო მეორე, – ორმოს კიდესთან განთავსებული გაურკვეველი დანიშნულების მაღალი და ვიწრო (1.12 მ X 0.36 მ), შეისრულთაღოვანი ნიშაა. გამჭოლი იყო ამ ნიშის ზურგი, თუ ყრუ, დღეს ამის გარკვევა რთულია, თუმცა მისი სივინროვე და მოუხერხებელი მდებარეობა გამორიცხავს შესასვლელ ღიობად მიჩნევას. რა დანიშნულებით იყო გამოყენებული სათავსი და ამასთანავე ნიშა, უცნობია. თუ გავითვალისწინებთ, რომ აქვე მიკვლეული ნანგრევი ცეცხლის კვალით კერამიკული ქურა შეიძლება ყოფილიყო და სქელკედლებიანი სწორკუთხა სათავსები მეჭურჭლეთა სახელოსნო-საცხოვრებლები, აქაც, ლ. გუდიაშვილის მოედნის №7/2-ის სარდაფში გამოვლენილი ორმოების მსგავსად, მრგვალი სადგომი

⁵ სათავსი გამოვლინდა 2020 წლის იანვარში, არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის ანგარიში.



სურ. 9. ქუჩისკენ განთავსებულ სარდაფში გამოვლენილი წრიული სათავსი კონსერვაციამდე, 2020



სურ. 10. წრიული სათავსი კონსერვაციის შემდეგ, 2022

მი თავისი გით შესაძლოა „ნოტიო მიწისქვეშეთს“ წარმოადგენდა⁶. ორმოზე დამიზნებულ ნიშს ციცაბო ძირი უჩანს და თუ ის თავის დროზე კედელში მოწყობილი ხვრელით დაკავშირებული იყო გარეთ არსებულ თიხის საზელ სამუშაო მოედანთან, მისი საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მოზელილი ბეტონის ჩამოსრილობა უშუალოდ ორმოში.

გახსნის დროს აქაც აღმოჩნდა მოჭიქული და სადა კერამიკის ნამტვრევები. სამშენებლო მასალით მრგვალი სათავსი ეზოს მხარეს მოქცეულ ნაგებობათა ნანგრევებისგან განსხვავებით, ძირითადად აგურით არის ნაშენი; როგორც პროპორციით, ასევე მოხაზულობით განსხვავებულია მისი ნიშებიც, –

საფეხუროვანი დასრულების სატრაქე ნიშა და ხაზის სიმკვეთრეს მოკლებული, თუმცა მაინც შეისრული თაღით დასრულებული ანონილი ნიში. ეს ნიშნები მრგვალი სათავსის აგების თარიღს XVIII საუკუნის დამდეგისკენ სწევს.

ბ. ახოსპირელის გასასვლელისა და გ. ჯიბლაძის ქუჩების კუთხის №3/7 სახლის სარდაფის ქვეშ, მიწის სამუშაოების შედეგად გამოვლენილ ნაგებობათა არქეოლოგიურ ნანგრევებს ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები, მოექცა მიწის გადახურვის ქვეშ და საპრეზერვაციოდ მომზადდა⁷.

⁶ იხ. წიგნის თავი „ლ. გუდიაშვილის მოედანი №7/2 და №7/3 შენობები“, შენიშვნა 10

⁷ კონსერვაციის პროექტის ავტორი არქიტექტორი ნ. ცინცაბაძე (უმცროსი).

აბო თბილელის ქ. №2


აბო თბილელისა და გია აბესაძის ქუჩების კუთხესთან მდგარი №2 XIX ს-ის მიწურულის ნაგებობა, რომელიც ქუჩების შერწყმის კვანძს სამწახნაგოვანი ფასადით კრავდა, დაფუძნებული იყო რამდენიმე ნაწილიან ძველ სარდაფზე (სურ. 1). მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო, რეაბილიტაციის დაწყები-

სას მიღებული გადაწყვეტილების თანახმად¹ ახალი აგურით აშენებული ეს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაინგრა და თავიდან აშენდა. საცხოვრებელი სართულების ნგრევასას სარდაფიც ნაწილობრივ დაიშალა. ჩემ ხელთ არსებული მწირი ფოტო და გრაფიკული მასალის გამო მიწისქვეშა სტრუქ-




სურ. 1. აბო თბილელის ქ. №2 საცხოვრებელი სახლი დანგრევამდე, 2020

¹ რეაბილიტაციის პროექტი დამუშავებულია „ARTSTUDIO PROJECT“-ის მიერ, 2019 წელს. პროექტის ავტორი არქიტექტორ-რესტავრატორი გ. ციციშვილი



ნახ. 1. აბო თბილელის ქ. №2, საცხოვრებელი სახლის გეგმა სარდაფის სადგომის ჩვენებით



ნახ. 2. აბო თბილელის ქ. №2, საცხოვრებელი სახლის ჭრილი სარდაფის სადგომის ჩვენებით



სურ. 2. აბო თბილელის ქ. №2, სარდაფის სადგომის აღმოსავლეთი კედელი, 2020



სურ. 3. სარდაფის ჩრდილოეთი კედელი აღმოსავლეთ კუთხესთან, 2020



სურ. 4. აბო თბილელის ქ. №2, სარდაფის სადგომის კამარაში არსებული ლიობი, 2020



სურ. 5. აბო თბილელის ქ. №2, სარდაფის სადგომში ჩასასვლელი გვიან გამართული კიბე, 2020

ტურას სრულად მიმოხილვა ვერ მოხერხდება, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი მონაკვეთები შეისრული კამარით ყოფილა გადახურული. მიწის ფენის მოხსნისას კირხსნარზე აგურით ნაშენ კედლის ფრაგმენტთან ერთად თონეც გამოვლინდა.

შევჩერდები სახლის ერთ მეტად საყურადღებო, მიწაში ღრმად ჩამჭდარ სარდაფის სადგომზე, რომელსაც რეაბილიტაციამდე გავცანი. ეს ნაგებობა დღეისთვის შენარჩუნებულია და სახლის სადარბაზოს ქვეშ არის განთავსებული (ნახ. 1, 2. სურ. 2). აღმოსავლეთ-დასავლეთის გრძივ ღერძზე დაგეგმარებული, შეუღესავი აგურით ნაშენი ეს მართკუთხა სათავსი ნათელი სტრუქტურით და ჩამოყალიბებული მხატვრული კომპოზიციით გამოირჩევა. სივრცე ორ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი შეისრული კამარით სრულდება. სათავსოს განივ კედლებში შეისრული მოხაზულობის ორ-ორი ნიშაა მოწყობილი; თითო ნიშა, ან დიობი უნდა ყოფილიყო განთავსებული პილასტრებით დანაწევრებული გრძივი კედლების ყოველ სეგმენტშიც, თუმცა გადაკეთებებისა და დაზიანების გამო ეს სქემა უხეშად იყო დარღვეული.

თავდაპირველი გადანყვება შენარჩუნებული ჰქონდა მხოლოდ აღმოსავლეთ კედელს (სურ. 4). ჩრდილოეთ კედელზე პილასტრსა და აღმოსავლეთ კუთხეს შორის მოქცეულ მონაკვეთში კედლის ნაკერები მაღალი დიობის არსებობაზე მიუთითებდა, საიდანაც უნინ, როგორც ჩანს, სათავსოს მომიჯნავე სივრცეში გადიოდნენ (სურ. 5). საპირისპირო მხარეს, სხვა სარდაფთა მსგავსად², კამარაში ჩატრილი იყო ზედა სართულთან დამაკავშირებელი სწორკუთხა დიობი (სურ. 6), რომელსაც სავარაუდოდ, მისადგმელ კიბეს ადგამდნენ. სამხრეთი კედლის შუა სეგმენტში მოქცეულ ნიშას ზედ მიშენებული, ახალი აგურით ნაშენი მძლავრი ბოძი ფარავდა, ერთ-ერთი იმ ნაშენ ბოძთაგან, რომელიც XIX ს-ის მიწურულს უნდა მოეწყოთ სარდაფის სართულის მთელ ფართობი ახალი სახლის დამატებითი საყრდენების დანიშნულებით; ამავე მხარეს, დასავლეთ კუთხესთან განთავსებულ ნიშაზე კი, ბოლო პერიოდში ჩანგრეული კამარიდან ამ სადგომის ინტერიერში მოსახვედრად მოწყობილი თლილი ქვის საფეხურებიანი კიბე იყო მიდგმული (სურ.7).

ნაგებობის შეუღესავი აგურის კედლების ოსტატური წყობა, კამარისა და ნიშების შეისრული მოხაზულობა, ხაზების სიზუსტე და შიდა სივრცეში ამ ელემენტების თანაბარი განაწილება XVII ს-ის არქიტექტურასთან კავშირს ამჟღავნებს. როგორც წესი, ნაგებობათა მიწაში ღრმად ჩაძირვას ხანგრძლივი დროის მანძილი განაპირობებს, თუმცა კონკრეტულად ამ სადგომის უსარკმლობა იმაზე მოწმობს, რომ ის იმთავითვე სარდაფის სართულად იყო ჩაფიქრებული. ეს ლოგიკურად გამოიყურება იმის გამოც, რომ არცთუ ვრცელი ინტერიერი საკმაოდ ბევრი საჭრაქე ნიშით არის აღჭურვილი (სურ. 8). ვინაშ და მაღალი, ორსაფეხუროვანი დასრულების სწორკუთხა საჭრაქე ნიშები ერთ ხაზზე, იატაკიდან დაახლოებით ადამიანის თავის დონეზე შემოსდევს ყველა კედელს; აღმოსავლეთით და დასავლეთით ისინი დიდ ნიშებს შორისაა ჩასმული, ხოლო გრძივ კედლებზე – პილასტრებზეა განთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ სადგომი იმთავითვე მიწის ქვეშ უნდა ყოფილიყო მოქცეული, ინტერიერის მოწესრიგებული სტრუქტურა, ზომა, პროპორცია, სიმეტრიულობა, კარგად გააზრებული განათების სისტემა, – ჩამოყალიბებული მხატვრული კომპოზიციის არსებობაზე და სივრცის საზოგადო დანიშნულებაზე მიუთითებს.

შეუღესავი აგურის კედლების ფონზე განაწილებული დიდი და პატარა ნიშების მონაცვლეობის მწყობრ განაწილებას დასავლეთი კედლის ზედა ნაწილის უცნაური, გვიანი ჩარევის შედეგად ჩამოყალიბებული გადანყვება არღვევს. აქ, ორ შეისრულ-

² იხ. გ. აბესაძის ქ. №21 და ბ. ახოსპირელის III ჩ. №9 სარდაფები.



სურ. 6. აბო თბილელის ქ. №2, სარდაფის სადგომის დასავლეთი კედლის გადაწყვეტა, 2020



სურ. 7. სარდაფის სადგომის დასავლეთი კედლის ზედა რეგისტრის განსხვავებული წყობა, 2020

თაღოვან ნიშას შორის, კედლის წინ დადგმულ ხის ოთხკუთხა ბოძზე გადებულია კამარის საყრდენ ნაოთხალ თაღზე მიბჯენილი ძელი, რომელიც მონიშნავს ზედა მონაკვეთში, კამარის არეში კედლის მოხსნით (მონგრევით) შექმნილი შედრმავეებული უბის იატაკის დონეს (სურ. 9). ანტრესოლის ტიპის ამ სივრცის მარჯვენა ნახევარი დაბზარულ-დეფორმირებული და ხსნარით გადალესილი აგურის ტიხრებით იყო დახურული. ამ ბრტყელჭერიანი სივრცის მარცხენა, ღია ნაწილის სიღრმეში მოჩანდა რიყის ქვისა და ნახევარაგურების თევზიფხური წყობით ნაშენი ზურგის კედელი (სურ. 10). შედარებით მოგვიანო, XVIII ს-სთვის დამახასიათებელი ხელოსნური მშენებლობის კვალდაჩნეული, შერეული მასალით ამოყვანილი ზურგის კედლის უხეში ფაქტურა და ფერადოვნება მკაფიოდ გამოირჩევა მთელი სადგომის აგურის ოსტატური წყობით ნაშენი ერთგვაროვანი კედლების ფონზე და აშკარად აჩვენებს განსხვავებას სამშენებლო პერიოდებს შორის.

როგორც ჩანს, დასავლეთი კედლის ზედა რეგისტრში, კამარის გაგრძელებაზე მოწყობილი ეს სივრცე ძველი ნაგებობის მოდერნიზაციის პროცესში იქნა მოწყობილი. ამ პერიოდის ჩარევა, სავარაუდოდ, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა, თუმცა სადგომის მიღმა ვითარების თვალის მიდევნების საშუალება არც ამ მხარეს – დასავლეთით და

არც ჩრდილოეთით – ამოშენებული ღიობისკენ, დღეს აღარ არსებობს. სავარაუდოდ, ეს სადგომი XVII ს-ის კარგად გამართულ-მოწყობილ დუქანს³ წარმოადგენდა, ხოლო ანტრესოლის ბრტყელჭერიანი დაბალი სივრცე, – მომდევნო პერიოდში გამართული, გვიანი შუა საუკუნეების დოკუმენტებიდან ცნობილი ბალახანა უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ამ სახელით დუქნის ზედა სართულში მოწყობილ, მასთან კიბით დაკავშირებულ საცხოვრებელ-საც იხსენიებდნენ, ორ სართულიანი დუქნის შემოთა – ბალახანა დუქანსაც და დამხმარე სათავსო-

საც⁴, რომელიც დავით ჩუბინაშვილის განმარტებით⁵ „რაგინდა რას შესანახვად“ იყო ხოლმე გამოყენებული. აღწერილი სივრცის ბოლო დროინდელი მდგომარეობისთვის ეს უკანასკნელი დანიშნულება უფრო შესაფერისად გამოიყურება, თუმცა არც ისაა გამორიცხული ტიხრები გვიან ამოშენებინათ და თავიდან, ანტრესოლის ერთიანი სივრცე სხვა დანიშნულებით, მაგ. მედუქნის საძინებლად (?) ყოფილიყო გამოყენებული, სადაც ასვლა მისადგმელი ხის კიბით იქნებოდა შესაძლებელი.

³ „დუქანი, უკუსაჯდომელი, გინა სახლი სასაქმო“, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.IV, თბ., 1965, გვ.232; „დუქანი (სპარ.), ს. ხულა, ქულა, ქულბაგი, სავაჯრო, ან სამუშაო სახლი“, დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, სვეტი 484

⁴ მ.ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ.66.; ნ.ბადრიაშვილი, თბილისი, თბ., 1957 (რუს.ენაზე), გვ.178

⁵ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, სვეტი 93

აბო თბილელის ქ. №6

აბო თბილელის ქ. №6 შენობა მეზონინიანი საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია თბილისში. ნაგებობის რთული სტრუქტურა ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სამშენებლო პერიოდის ნაწილების ერთობლიობით. გალავანში ჩართული ლითონის აჟურული მესერიტ შემოფარგლული არასწორი გეომეტრიული მოხაზულობის მიწის ნაკვეთის სიღრმეში განთავსებულია XIX ს-ის შუა წლების ორსართულიანი, ორმაგი ანფილადური გეგ-

მის, ეზოსკენ აივანებითა და მეზონინით გახსნილი ძირითადი საცხოვრებელი ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთით წინა და უკანა ეზოში განთავსებული ფლიგელები უკავშირდება. საპირისპირო მხრიდან კი, ეზოს შემოსაზღვრავს და აბო თბილელის ქუჩის მოსახვევს მიყვება სახლის დასავლეთ კუთხესთან მიდგმული XX ს-ის დამდეგის, მკაფიო ინდივიდუალურობით გამორჩეული მოდერნის სტილის სადარბაზო დიდი მრგვალი ფანჯრით, კარით და კიბის ატ-



სურ. 1. ფრაგმენტი თბილისის 1870-იანი წლების პანორამიდან. დ. ერმაკოვი



სურ.2. ფრაგმენტი XX ს-ის 10-იანი წლების პანორამიდან

რიბუტებით¹. თბილისის 1870-იანი წლების პანორამულ ფოტოზე ყურადღებას იქცევს ეზოს ნაშენი ღობე და ხის ჭიშკარი, რომელიც, ჩანს, მოდერნული სადარბაზოს მიშენების დროს მოუშლიათ და დაბალ ზღუდვზე გამართული ლითონის აჭურული მესერით შეუცვლიათ (სურ. 1, 2).

არქეოლოგიურ ანგარიშებში დაფიქსირებულია სახლის რეაბილიტაციის პროცესში მიწის სამუშაოების კვალდაკვალ გახსნილი არაერთი საყურადღებო სიძველე გაბნეული შენობისა და ეზოს სხვადასხვა მონაკვეთის მიწისქვეშა ფენებში, როგორიცაა უკანა ეზოში გამოვლენილი კოლექტორი, თონე და ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაზიანებული სახით მოღწეული სივრცე ქვევრებით, რაც მარნის არსებობაზე მიუთითებდა; განსაკუთრებით საყურადღებო ჩანდა წინა ეზოში, საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთით მიწაში ღრმად ჩამჯდარი, არა-



სურ.3. XVII-XVIII სს-ის მიჯნის სარდაფის ნანგრევები, ნიშები და სასინათლო ლიობი, 2020

ერთი გადაკეთებით მოღწეული შეისრულნიშებიან-კამარიანი, სავარაუდოდ, XVII-XVIII სს-ის მიჯნის სარდაფის სადგომი, რომლის დაზიანებული კამარა და კედლის ნიშები ახალი აგურის ჩაშენებებითა და ტიხრებით იყო შემავრებული (სურ. 3, 4). მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო ამ სათავეს გადარჩენა ვერ მოხერხდა².

გარდა ამისა, ძირითადი საცხოვრებელი სახლის მთელი სტრუქტურაც შედარებით ძველ, სავარაუდოდ, XVIII-XIX სს-ის მიჯნის დიდ სარდაფზეა დაფუძნებული (ნახ. 1, 2). შეუღესავი აგურის, თვალსაჩინოდ განიერკედლებიან (1 მ-მდე და მეტი), ვრცელ და ბრტყელთაღოვანი კამარით გადახურულ ინტერიერს დაბალი და განიერი ფანჯრის ლიობები აქვს დატანებული წინა კედელში (სურ. 5). ზედა სართულების ორმაგი ანფილადის მსგავსად, სარდაფი ორ პარალელურ სივრცეს შეიცავს, რომელიც განსხვავებუ-




სურ.4. XVII-XVIII სს-ის მიჯნის სარდაფის ნანგრევები, 2020



სურ.5. აბო თბილელის ქ. №6, დიდი სარდაფის ფანჯრის ლიობები, 2024

¹ საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, წიგნი გამოსცეს მ.ბულიამ და მ. ჯანჭალიამ, თბ., 2002, გვ.129

² მიწისქვეშა სტრუქტურების გამოვლენისა და მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ აღნიშნულია არქეოლოგების თ. ბუნურაძისა და ლ. ჩოლოგაურის 2020-2022 წლის სხვადასხვა თვეების ანგარიშებში, რომლებიც ინახება თბილისის განვითარების ფონდში.



ნახ. 1. აბო თბილელის ქ. №6, სარდაფის გეგმა



ნახ. 2. აბო თბილელის ქ. №6, საცხოვრებელი სახლის გრილი



სურ. 6. აბო თბილელის ქ. №6, დიდი სარდაფის ბრტყელთაღიანი სივრცე, 2024



სურ. 7. აბო თბილელის ქ. №6, დიდი სარდაფის არმირებული თაღის ნაწილი, 2024

ლი მოხაზულობის კამარით სრულდება (სურ. 6). რეაბილიტაციამდე არსებული მდგომარეობის ამსახველ მწირ ფოტო და გრაფიკულ მასალაში ყურადღებას იპყრობს კამაროვან სივრცეში განაწილებული ბოძები, რაც რეაბილიტაციის პროექტის არქიტექ-

ტორთა მოსაზრებით კამარის გამაგრებისთვის გამოყენებული ხის საყრდენებია, ხოლო მკვლევართა მოსაზრებით³ ხის სვეტები, რომელიც ამჟღავნებდა ამ სივრცის მსგავსებას „ერდოიან სახლთან“. სამწუხაროდ, ძველი საცხოვრებლის გეგმარებისა და ინ-

³ რეაბილიტაციის პროექტი დამუშავებულია „ARTSTUDIO PROJECT“-ის მიერ, 2019 წელს. ხელოვნებათმცოდნეები ლ. ანდრონიკაშვილი და თ. ღვინერია; არქიტექტორები გ. სულაბერიძე, გ. ციციშვილი და სხვები.



სურ. 8. აბო თბილელის ქ. №6, ღრმა სარდაფის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, 2024

ტერიერის დამუშავების დამახასიათებელი ელემენტები და ნიშნები ფიზიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის პროცესში დაკარგულია და აღარ იკითხება. სარდაფის კედლების ზედა ნაწილები და კამარები აღდგენილია და ღიობებთან ერთად არმირებულია (სურ. 7). ეს აძწევებს თავდაპირველი გადაწყვეტის იმ საყურადღებო ნიუანსების დაზუსტებას, რასაც ემყარებოდა გამოთქმული მოსაზრებები.

მეტად საინტერესოა აგურის წყობის შემთხვევითი დუღაბის მინერალურ-პეტროგრაფიული ანალიზის⁴ შედეგი: ირკვევა, რომ სარდაფში, რომელიც აგების დროით უსწრებს საცხოვრებელ სახლს და მეზონინში, რომელიც სახლთან ერთად შემდგომ ეტაპზეა აშენებული, დუღაბად გამოყენებულია გაჯი, რაც კიდევ ერთი მაგალითია ამ ტექნოლოგიის ფართო გავრცელებისა და სამშენებლო ტრადიციების სიმყარისა თბილისში.

აღნიშნული დიდი სარდაფის გარდა, აბო თბილელის ქ. №6 საცხოვრებელი სახლი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე, მიწაში ღრმად



სურ. 9. აბო თბილელის ქ. №6, ღრმა სარდაფის სადგომის ნიშის თალი, 2024

ჩამჯდარ და ნაწილობრივ სახლის ფარგლებს გარეთ მოქცეულ კიდევ ერთ სათავსს შეიცავს. შიგნით ჩასასვლელად სამხრეთ კედელში დატანებულია კიბის გრძელი მარში, რომელიც ბოლოს რამდენიმე საფეხურით უხვევს და ეშვება ინტერიერში. კიბის განათებისთვის აღმოსავლეთ კედელში თაღოვანი საჭრაქე ნიშაა მოწყობილი. სხვა სარდაფთა მსგავსად, საშუალო ზომის ამ მოგრძო სადგომის (2.85მ X 3.50მ) ძველი (კვადრატული) აგურის ოსტატური წყობით ნაშენი კედლებიც შეუღესავია. სარდაფის სივრცეს აზიდული ცილინდრული კამარა ხურავს. სათავსის ყოველ კედელში ერთ მეტრამდე სიგანის, ორ-ორი საკმაოდ ღრმა (დაახლ. 0.5 მ) ნიშაა განაწილებული, რომლებსაც ნახევარწრეზე დაბალი, აგურების მარაოსებური წყობის დიდი სიზუსტით გადაყვანილი თალი ასრულებს (სურ. 8, 9). ინტერიერის გასანათებლად აღმოსავლეთ კედელში, კამარის ქუსლთან ახლოს დატანებულია შიგნითკენ გაფართოებულწირთხლებიანი სარკმელი. მიწაში ღრმა მდებარეობა სადგომის სიძველეზე მიუთითებს, თუმცა შეისრული ფორმების არარსებობა მისი თარიღის ქვედა ზღვრად XVIII საუკუნეს გვაფიქრებინებს. ამ მოსაზრებას გარკვეულად ამყარებს ნიშების დამახასიათებელი თაღოვანი მოხაზულობის მკაფიო მსგავსება შედარებით მყარად დათარიღებულ შ. დადიანი/ ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის შენობის სარდაფის ნიშის მოხაზულობასთან (იხ. გვ.151, სურ.28). საცხოვრებელ ბლოკთან ფუნქციურად დაკავშირებულ, მიწაში ძლიერ ჩაღრმავებულ ამ გრილ და ბნელ, ნიშებით აღჭურვილ სადგომს დამხმარე, სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

⁴ აბო თბილელის ქ. №6 ნაგებობის ტექნოლოგიის ვიზუალური და ლაბორატორიული კვლევა შესრულებულია გეოლოგ მანანა კავსაძის მიერ და ერთვის პროექტს, გვ.119, 122

ბ. ახოსპირელის ქ. №7

ბ. ახოსპირელის ქუჩა №7 სახლი წარმოადგენს მართი კუთხით დაკავშირებული ორი მკლავისგან შემდგარ ორსართულიან ნაგებობას ანფილადურად განლაგებული ოთახებით, რომელსაც თითქმის მთლიანად უკავია ირეგულარული მოხაზულობის მიწის ნაკვეთი და შუაში იქცევს ეზოს, საიტკენაც იგი ამჟამად ნაწილობრივ შემინული, ხოლო თავდაპირველად ღია ხის აივნებით იხსნებოდა (სურ.1). ეზოს ჩრდილოეთიდან აგურის მაღალი ზღუდე შემოფარგლავს, ხოლო ქუჩისკენ შებმული აქვს თბილისურ ჭიშკრებს შორის ერთ-ერთი თავისთავადობით გამორჩეული, ლითონის ნაჭედი ფოთლოვანი ელემენტებით გაფორმებული ჭიშკარი¹. ორ ძირითად სამშენებლო ეტაპზე ჩამოყალიბებული ეს ძველი ნათლად აჩვენებს XIX ს-ის ტრადიციულ თბილისურ საცხოვრებელთან ახალი დროის მხატვრული ამოცანების შერწყმის საინტერესო პროცესს, რაც საბოლოოდ 1915 წელს ჩამოყალიბებულ კომპოზიციაში – სადარბაზოს კიბის უჭრედის მხატვრულ-გეგმარებით გადანაცვლებაში და ჭიშკრის დეკორაციული დამუშავების გვიან მოდერნულ ელემენტებში ასახულა.



სურ. 1. ბ. ახოსპირელის ქ. №7, 2025



სურ. 2. ბ. ახოსპირელის ქ. №7, ეზოს საფარს ქვეშ მოქცეული აგურის კედელი შეისრული თაღით, 2019

¹ ჭიშკრის ფოტო შეტანილია კრებულში - *საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი*, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მ.ბულიამ და მ.ჭანჭალიამ, თბ., 2002, გვ. 83



სურ. 3. ბ. ახოსპირელის ქ. №7, ეზოს ზღუდის ქვეშ არსებული ძველი კედელი, 2019




სურ. 4. ბ. ახოსპირელის ქ. №7, სახლის სარდაფში გამოვლენილი ნიშებიანი კედელი, 2019



სურ. 5. ბ. ახოსპირელის ქ. №7, ნიშებიანი კედელი რესტავრაციის შემდეგ, 2024

2019 წელს მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესში, საკანალიზაციო ჭის მოწყობისთვის გათხრილმა ტრანშეამ მიწის სიღრმეში გამოავლინა ეზოს ჩრდილოეთიდან შემომფარგლავი ზღუდის პარალელურად მდგომი, კვადრატული აგურით (22 X 22 სმ) ნაშენი მაღალი კედლის ფრაგმენტი მასშტაბური ზომის (სიგანე 1.67 მ) შეისრული თაღით (სურ.2). ამ თაღის მკვეთრად გამოხატულ შეწვევრილ ზედა ნაწილში, 70 სმ სიღრმეში მოჩანდა აგურით ამოყვანილი ზურგი. საკმაოდ დეფორმირებული, დიდი ხნის მანძილზე ჩამარხული კედლისა და მიწით შევსებული თაღის ძირამდე გახსნა-გაშიშვლება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

ბოლოს არსებულ მდგომარეობაში თაღის სიმაღლემ 1. 60 მ შეადგინა, თუმცა ვერ მოხერხდა თაღის შიდა სიბრტყეში მოსალოდნელი ღიობის არსებობის დადასტურება. ამ შეისრულთაღიანი, სავარაუდოდ XVII ს-ის კედლიდან 2 მეტრის დაშორებით გამოჩნდა ასევე დაზიანებული, პარალელურად განთავსებული ყრუ კედელი, რომელიც ორისამი რიგი აგურის, თითო რიგი რიყის ქვის და ნაწვენილად ნაწყობი ნახევარაგურების უსისტემო რიგებისგან შედგებოდა (სურ.3). თითქოს ნაჩქარევად ამოყვანილი, ამორფული კედლის წყობის მიხედვით შეიძლება გვევარაუდა, რომ იგი უფრო მოგვიანებით, XVIII ს-ში უნდა აეშენებინათ. ეს ნაშთები



სურ. 6. ბ. ახოსპირელის ქ. №7, სახლის სარდაფში გამოვლენილი თონე, 2024

დაფიქსირების შემდეგ წესისამებრ შეიფუთა და კვლავ მიწის ქვეშ მოექცა.

შუა ეზოში მდებარე დიდ შეისრულ თაღთან ერთად, რომელიც სავარაუდოდ, ძველი ნაგებობის ექსტერიერს წარმოგვიდგენდა და შესაძლოა მოზრდილი ნაგებობის, ქარვასლის² (?) პორტალიც ყოფილიყო, თავად სახლის სარდაფის ჩრდილოეთ, ეზოს

მოსაზღვრე ნაწილში გამოვლენილმა კედლის ფრაგმენტმა ძველი ნაგებობიდან შემორჩენილ, სიღრმეში განთავსებული ერთი სათავსის ინტერიერის დამუშავებაზე შეგვიქმნა წარმოდგენა³ (სურ.4). ძირითადად აგურით ნაშენ კედელში ორი მოზრდილი შეისრულთაღოვანი ნიშა და მათ შორის ჩასმული ორფერდა დასრულების მცირე სატრაქე ნიშაა განაწილებული. კედლის სიბრტყეს გამომსახველობას მატებს ზედა არეში და ნიშების ზურგის წყობაში ჩართული სხვადასხვა ზომის რიყის ქვები და მასთან ერთად, ერთ-ერთი ნიშის ძირში შემორჩენილი აგურის ნაძვური წყობით გამოყვანილი თაღო. სათავსის აღმოსავლეთი კედელიც ნიშებით ყოფილა დამუშავებული, ხოლო შიდა სივრცე – კამარით დასრულებული, რაზეც აღმოსავლეთ კედლის კუთხესთან შემორჩენილი საბჯენი თაღის ქუსლის რკალი მიუთითებს. ამასთანავე, ბ. ახოსპირელის ქუჩა №7 სახლსა და ეზოში შემორჩენილი დაფარული სამშენებლო ფენების საერთო სურათს ასრულებს და სახლის ისტორიას აცოცხლებს შენობის ქუჩისპირა ნაწილის სარდაფის იატაკის ქვეშ გამოვლენილი თონე (სურ.6).

² „ქარვასლა (უხმ.)სხვათა ენაა, ქართულად ფუნდუკი ჰქვია“ - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ.213;

³ თუ ნაგებობა ქარვასლას წარმოადგენდა, სათავსის ფრაგმენტი შესაძლებელია სასტუმრო ოთახს, სავაჭრო დუქანს, ან სახელოსნოს ეკუთვნოდა.

ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7

ერთმანეთზე ზურგის კედლებით მიბჯენილ №7 და №9 გრძელ, ორსართულიან საცხოვრებელ სახლს ბ. ახოსპირელის III ჩიხის ორი განშტოება უვლის გარს და შენობებს კუნძულივით გამოყოფს მიმდებარე განაშენიანებიდან. XIX ს-ის 80-იანი წლების შემდგომ, სავარაუდოდ, ათეული წლის სხვაობით

აშენებული ორივე ნაგებობა უსტატუსოა, თუმცა აშკარაა, რომ საერთო გეგმარება შუა საუკუნეების ურბანული ქსელის თავისებურებას უწევს ანგარიშს, ხოლო სახლების სარდაფის სართულში შემონახული XVII და XVIII საუკუნის სადგომები ძველი ქსოვილის საყურადღებო ნაწილებს ინახავს (სურ. 1).



სურ. 1. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7 და №9 საცხოვრებელი სახლები, ხედი ზემოდან, 2024



სურ. 2. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7 საცხოვრებელი სახლი, ფასადები, 2015



სურ. 3. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, 2025

№7 სახლი ბ. ახოსპირელის ჩიხების განაშენიანებაში მკვეთრად გამოირჩევა „ევროპული“ ფასადებით, რომლის დეკორს გარკვეული სიმშრალე, გეომეტრიული სიზუსტე და სწორხაზოვნება ახასიათებს, რაც დღევანდელი მძიმე ფიზიკური მდგომარეობით გამოწვეული დეფორმაციების მიუხედავად მაინც თვალშისაცემია (სურ. 2, 3). გრძელი, მართკუთხა (5.5 მ X 20.5 მ) ნაგებობა ძველი, კვადრატული აგურით არის აშენებული. ქუჩის გასწვრივ ანფილადურად განლაგებულ ოთახებს თანაბარი ინტერვალით განაწილებული სწორკუთხა ფანჯრების მწკრივი ანათებს, დამხმარე სათავსები და კორიდორი კი, უკანაა მოქცეული და ყრუ ზურგის კედელს გასდევს. სახლის თავისებურებას წარმოადგენს ამავე ზოლის შუა ნაწილში ჩართული, შიგნით შემოწეული მოკლე ხის აივანიც, რომლის წინ შექმნილი ვიწრო ეზო-ჭა მეზობელი ნაგებობის ზურგის კედლით არის დახურული (სურ. 4). გეგმარების თავისებურება და დახშული მცირე აივნის გაჩენა, ჩანს, №7 და №9 სახლების მშენებლობის რიგითობით არის გამოწვეული¹. ოთახებში შემორჩენილი შიდა



სურ. 4. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, შიდა აივანი და №9 სახლის ზურგის კედელი, 2015



სურ. 5. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, II სართულის ინტერიერის ფრაგმენტი, 2015

სივრცის მხატვრული დამუშავების ელემენტები: ნალესობით გამოყვანილი პროფილირებული მაღალი კარნიზები, ხის პანელებით დაფარული ღიობების წირთხლები და დარაბები, კედლების პროფილირებული ხით მოჩარჩოება, ოთახების კედლებისა და ჭერის მსხვილნახატიანი ფოთლოვანი მოტივებისგან შემდგარი ფერადოვანი მოხატულობა თა-

¹ ამასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხილეთ გვ. 223-ზე, სადაც ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9 სახლთან დაკავშირებულ პროექტებზეა საუბარი.



სურ. 6. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, სარდაფის ძველ სადგომში შესასვლელი, 2015



სურ. 7. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, სარდაფის კამაროვანი გადახურვა, 2015



სურ. 8. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, სარდაფის ნიშებიანი ჩრდილოეთი კედელი




სურ. 9. ორსაფეხურიანი საყრდენი თაღის ნანგრევი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, 2015

ვის დროისთვის მდიდრულ და მოდურ ინტერიერს შექმნიდა (სურ. 5).

ეს საკმაოდ მასშტაბური საცხოვრებელი სახლი ძველ ძირზეა დაშენებული, რაც საფასადო ნალესობისგან გაშიშვლებული კედლის წყობის ვიზუალური დათვალიერებითაც ჩანს. მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო სარდაფის სართულის სრულად გაცნობა შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა მოხერხდა შუა ნაწილში მოქცეული ერთი მძიმედ დაზიანებული და მეტად საყურადღებო ძველი სათავსის დათვალიერება. სრულიად აშკარაა, რომ სახლის მშენებლობისას აქ მდგარი ძველი სტრუქტურიდან მხოლოდ ნაწილი ყოფილა შემორჩენილი და ის ახალი კედლების გარსში მოუქცევიათ. მიწაში ღრმად ჩამჭდარ ამ სივრცეში მოხვედრა მცირე ეზოდან არის შესაძლებელი, რომელიც სახლს ასრულებს ჩიხის სიღრმეში.

ეზოდან, ზემოხსენებული შიდა აივნის ქვეშ მოქცეული დერეფნის გავლით ციცაბო, მაღალ საფეხურებიან კიბეზე შეიძლება მოხვედრა, რომელიც ღრმად ეშვება სახლის ქვეშ არსებულ სარდაფში. აქ, სხვა ბრტყელჭერიანი სადგომებისგან განსხვავებით, შუა ნაწილში განთავსებულია კვადრატს მიახლოებული, ძველი სათავსის სივრცე. ამჟამად მოქმედი შესასვლელი კარი სამხრეთ კედელში აგურით გადაყვანილ ფართო თაღშია ჩასმული (სურ. 6). შიდა სივრცის ცენტრალური ნაწილი ცილინ-



სურ. 10. ფრაგმენტი თბილისის 1802 წლის გეგმიდან

დრული კამარით სრულდება, რომლის კუთხის მონაკვეთებში აგურის ფიგურული წყობა ისახება (სურ. 7). სათავსის მთლიანობა დარღვეულია, სადგომის ნაწილი ჩამონგრეულია და ინტერიერი ამ მასით სანახევროდ არის ამოვსებული განსხვავებული წყობით შესრულებული კედლის მონაკვეთები ნაწილობრივ შეცემენტებული სიბრტყეებით საერთო სურათის აღქმას ართულებს. სამხრეთი კედლის გვიანი შეკეთებები და ნალესობის სქელი ფენა აძნელებს ამ მხარეს რაიმეს გარკვევას, შედარებით უკეთ ჩიხის გასწვრივ, ჩრდილოეთით მოქცეული კედელია შენარჩუნებული. აგურის მჭიდრო წყობით ნაშენ, ალაგ-ალაგ შეთეთრებით და ნალესობით დაფარულ მის სიბრტყეში არაზუსტი კვერცხისებური მოხაზულობის თაღოვანი, წყვილი ღრმა ნიშაა მოწყობილი, რომელთაგან დასავლეთი ნიშის თავზე კიდევ ერთი მცირე ზომის თაღოვანი შეღრმავება, თახჩა, თუ დახშული სარკმელია განთავსებული (სურ.8). ამავე კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან, დაზიანებული ორსაფეხურიანი საბჯენი თაღი იკითხება რომელსაც ზედაპირმორღვეული, თითქოს კონქისებურად მორკალული კედლის ზედაპირი მოსდევს, რაც ერთი შეხედვით ჩამონგრევით მიღებულ შემთხვევით, ილუზორულ ფორმას გავს, თუმცა აგურის რიგებზე დაკვირვება მაინც აჩენს ამგვარ ეჭვს (სურ.9).



სურ. 11. ძველი კედელი ბ. ახოსპირელის III ჩიხში, 2025

როგორც ცნობილია, ბ. ახოსპირელის III ჩიხის მიდამოებში დაუდგენელი და დაუზუსტებელია² თბილისის ადრეულ გეგმებზე მითითებული ვახტანგ V-ს (შაჰნავაზი) დროს აგებული წმინდა გიორგის ერთ-ერთი ეკლესიის (ზოგიერთი ცნობით კოშკი და დამიანეს საყდრის) ადგილმდებარეობა. თბილისის 1802 წლის გეგმაზე დატანილი (სურ.10) ამ ბოლო ჩიხის ორი განტოტება ზედმიწევნით წააგავს ამჟამინდელი ბ. ახოსპირელის III ჩიხის ორ განტოტებას შორის მოქცეული №7 და №9 ნაკვეთების კონფიგურაციას და ბუნებრივია, ეჭვის საბაბს იძლევა მათ შორის დატანილი ეკლესიის კვალის ძიებისა. მიუხედავად დაზიანებებით გამოწვეული არქიტექ-

ტურული ფორმების ბუნდოვანებისა, სარდაფის აღმოსავლეთი დამხრობა და ამავე კუთხესთან ორსაფეხუროვანი საბჯენი თალის ფრაგმენტი, მისი განმენდისა და შემდგომი შესწავლისთვის სიფრთხილით განგვანყობს. მასთან ერთად გამოსაკვლევია სახლის დამასრულებელი მცირე ეზოს მომიჯნავედ, ამავე ხაზის გაგრძელებაზე შემორჩენილი რიყის ქვისა და აგურის თევზიფხური რიგების მონაცვლეობითი, დამახასიათებელი წყობით ნაშენი, სავარაუდოდ, XVIII ს-ის კედლის უკან არსებული სივრცის რაგვარობა, რომელიც შესაძლოა, ძველი ბანიანი სადგომის ნაწილებს შეიცავდეს. (სურ.11).

² ნ. ზაზანაშვილი, ბეგლარ ახოსპირელის ქუჩისა და ერთი ტაძრის ლოკალიზაციის საკითხისათვის ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე, *საქართველოს სიძველენი*, № 12, თბ., 2008, გვ. 247-253.

ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9

როგორც ზემოთ ითქვა, ბ. ახოსპირელის III ჩიხი, რომელიც ლ. გუდიაშვილის მოედნიდან იღებს სათავეს, განაშენიანების სიღრმეში ორად იყოფა და გარს უვლის ერთმანეთზე ზურგის კედლებით მიბჯენილ №7 და №9, გამოცალკევებულად მდგომ გრძელ, ორსართულიან საცხოვრებელ სახლს (სურ.1).

XIX ს-ის მიწურულის სოლიდური მასშტაბის №9 სახლის¹ მეტად საგულისხმო ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს სარდაფის სადგომი, რომლის არსებობა სამეცნიერო წრეებისთვის კარგა ხანია ცნობილია². ეს ძველი სადგომი, საკვლევი უბნის ერთ-ერთ უადრეს, სავარაუდოდ, XVI-XVII სს-ის მიჯნის საცხოვრებლის ნაწილს წარმოადგენს (ნახ.1,2). მის კართან მოხვედრა მთავარი ფასადის წინ, ეზოს შუაში მოწყობილი ასახდელი ლუკიდან სახლის დერეფნის ქვეშ განთავსებული დაბალჭერიანი, ვიწრო სათავესი გავლით არის შესაძლებელი. მიწაში ღრმად ჩამჭდარ მართკუთხა გეგმის სადგომში გვიან მოწყობილი ხუთსაფეხურიანი კიბე ეშვება დაბალი ღიობის ზღურბლიდან. შიდა სივრცე გამოკვეთილად შეწვერილი შეისრული კამარით სრულდება (სურ. 2). ყურადღებას იქცევს კირხსნართა და ძველი აგურით ნაშენი კედლების კარგი წყობა, რომელსაც მცირე დეფორმაციებიც ატყვია. ინტერიერი სხვა-

დასხვა ზომისა და მოხაზულობის ნიშებით არის დამუშავებული, რომლებიც ასიმეტრიულად ნაწილდება კედლებზე (სურ.3). სიბრტყის გარკვეულ მონაკვეთებს შერჩენილი აქვს სხვადასხვა ტონალობის ჩალისფერი, სქელი და პირმოპრიალებული გაჯის ნალესობა, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავს კამარის აგურის წყობასაც.

კარის საპირისპიროდ, ჩრდილოეთი კედლის ქვედა ნაწილში მთელი სიგანე უკავია დაბალ და გაბჯენილ, წვერში შეტეხილი, მუზარადისებრი მოხაზულობის დეკორაციული და კონსტრუქციული დანიშნულების კედლის თაღს. იგი ხრეშნარევი ცემენტით არის ამოშენებული, რაც მის სიღრმეზე წარმოდგენის შექმნას შეუძლებელს ხდის. ამ კუთხესთანვე, დასავლეთი კედლის პირმოლესილ სიბრტყეზე უფრო ძველი კედლის ფრაგმენტი იკითხება, რომლის წყობა აგურის რიგებს შორის ჩართული დიდრონი რიყის ქვის სამი, თუ ოთხი ჰორიზონტალური რიგისგან შედგება და იქვე, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან წყდება (სურ.4).


ამავე, დასავლეთი გრძივი კედლის ზედა ზოლში, კამარის ქუსლთან დატანებულია სამსაფეხროვანი დასრულების მართკუთხა, მომცრო ზომის (43სმ X 92სმ) ორი ღრმა ნიშა ამოშენებული ზურგით და




სურ. 1. სურ. 2. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9 საცხოვრებელი სახლი, ფასადი, 2015

¹ უფრო ვრცლად ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9 საცხოვრებელი სახლის შესახებ იხ. თავში - საარქივო პროექტები არეალის ზოგიერთი ნაგებობის შესახებ.

² მ. მანია, ძველი თბილისის სარდაფები, *საქართველოს სიძველენი*, 3, თბ., 2003, გვ.152



ნახ. 1. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, სახლის გეგმა ძველი სარდაფის ჩვენებით.



ნახ. 1. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, ძველი სარდაფის გეგმა



სურ. 2. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, სახლის ძველი სარდაფი, 1999



სურ. 3. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, ღრმა ნიშა სარდაფის აღმოსავლეთ კედელში, 2015



სურ. 4. ძველი კედლის ჩანართი სარდაფის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, 1999

დახრილი ძირით, რაც გამორიცხავს მათ სატრაქედ გამოყენებას, თუ სასინათლო დანიშნულებას. ნიშების ზურგის გაგრძელებაზე კედლის წყობაში დატოვებული ზემოთ მიმართული ვერტიკალური ხვრელი ცხადს ხდის მათ სავენტილაციო ფუნქციას (სურ. 5). რამდენადაც კამარის არეში განთავსება გაართულებდა სასინათლო დიობისთვის წირთხლების მოწყობას, იმდენადვე რაციონალურადაა შერჩეული ამგვარი, მიწის ზედაპირთან ახლო მდებარეობა საჰაერო დიობისთვის და მიუთითებს მათი გამართვის პრაქტიკასა და გამოცდილებაზე.

საპირისპირო, გრძივ აღმოსავლეთ კედელში გამოყენებითი დანიშნულების საკმაოდ ღრმა და ფართო შეისრულთაღოვანი ორი ნიშაა შიგნით, ზურგის ზედა არეში დატანებული სატრაქე ნიშებით, რომელთაგან ერთს ორსაფეხუროვანი დასრულება აქვს, ხოლო მეორეს სწორხაზოვანი, მორკალული ზურგით (სურ. 6).

ამავე კედლის ჩრდილოეთ კუთხესთან კი, კამარაში მოწყობილია ზედა სართულთან დამაკავშირებელი პარალელურ წირთხლებიანი დიდი სწორკუთხა დიობი მის ძირში აგურის წყობით გა-



სურ. 5. სავენტილაციო ღიობები სარდაფის დასავლეთ კედელში, 2015



სურ. 6. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, ღრმა ნიშა სატრაქე ნიშათი, 2015



სურ. 7. ღიობი კიბის საფეხურებით კამარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, 2015

მოყვანილი კიბის სამი საფეხურით³ (სურ. 7). როგორც ჩანს, ეს კიბე ზედა სართულის საცხოვრებლის ტრანსფორმაციის დროს გაუქმდებიათ კედლის ჩაშენებით.

ოსტატური წყობით ნაშენი, თავისი დროის სავენტილაციო სისტემით აღჭურვილი, ნაწილობრივ შელესილკედლებიანი ეს კომპაქტური მიწისქვეშა სადგომი, სხვადასხვა დანიშნულების თახჩებისა, თუ წალოების გასამართად მოხერხებული ღრმა, ფართო ნიშებითა და საჭრაქეებით, ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბით კამარის არეში, შიდა სივრცის საერთო დამუშავებით, აშკარად საცხოვრებელ ფუნქციას უფრო პასუხობს, ვიდრე სამეურნეო, ან დამხმარე დანიშნულების ნაგებობისას. სავარაუდოდ, შეწვერილი შეისრული კამარით დასრულებული, მიწაში ღრმად ჩამჯდარი ეს სარდაფი, უფრო ძველი ნაგებობის კედლის წყობის ფრაგმენტით ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, თბილისური ცხელი ზაფხულისგან თავის დასაღწევად მიწაში ჩაღრმავებული, ერთ-ერთი ადრეული საცხოვრებელი სარდაფის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

* * *

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ ტერიტორიაზე გაბნეული ნაგებობები, თუ მათი ფრაგმენტები, ძირითადად, შეესატყვისება სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილ ამა, თუ იმ პერიოდის საერთო არქიტექტურის ნიმუშებისთვის დამახასიათებელი სამშენებლო მასალის, კედლის წყობის და სტილური ფორმების დადგენილ ნორმებს, თუმცა, ასევე თავს იჩენს სიახლეები და თავისებურებებანი. გარკვეული კანონზომიერება იკვეთება საკვლევ უბანში გამოვლენილი გვიანი შუა საუკუნეების ცალკეულ ნაგებობათა გეგმარების ურთიერთმსგავსებაში, რაც, შესაძლოა, დროის დიდ მონაკვეთში გავრცელებული ძველი საცხოვრებლის ერთი უცნობი ტიპოლოგიის არსებობაზე მოწმობდეს. ესაა ორსადგომიანი საცხოვრებლის ტიპი, რომელიც დიდი, მართკუთხა გეგმის გრძელი სამყოფი დარბაზისა და მის განაპირა ნაწილზე გარედან მოდგმული, მიწაში მეტად ჩაღრმავებული და დარბაზთან კიბით დაკავშირებული მცირე დამხმარე ოთახისგან შედგება. შედარებით სრულად საცხოვრებლის ეს ტიპი აბესადის ქ. №21 სახლის XVII ს-ის და გ. ჯიბლადის ქ. №3 XVIII საუკუნის სარდაფებში შემორჩა.

თუ მხედველობაში მივიღებთ თბილისური დოკუმენტების მონაცემებს, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის მოქალაქეთა სამოსახლოების შესახებ, ეს ორსადგომიანი საცხოვრებელიც მხოლოდ ფრაგ-

მენტი შეიძლება ყოფილიყო თბილისური კარმიდამოსი, რომელიც, ცხადია მფლობელის სოციალურ-ქონებრივი მდგომარეობის შესაბამისად, უმეტესად შედგებოდა სახლის, დარბაზის, მისი დერეფნის, სათონის, საბძლის, მარნის, საკუჭნაოსგან და გარდა ამისა, შეიძლება ჰქონოდა ქვეშეთა სარდაფი, ალაყაფის კარი, „ოთახი თავისი ეივით“, დუქანი, საყინულე, სამოახლო სახლი, ოდა, საჭინიბო და სხვა ნაწილები, თუ ნაგებობები.

განცალკევებით დგას აბო თბილელის ქ. №6 სახლის სარდაფი, რომელიც უფრო გავრცობილ, დიდ საცხოვრებელთან მიბმულ, შედარებით მოზრდილ მიწისქვეშა დამხმარე-სამეურნეო სათავსს შეიცავს; ზოგად ხაზებში აქაც მეორდება ამ ტიპის საერთო გეგმარება, თუმცა აქ მის შედარებით გვიან, XVIII-XIX სს-ის მიჯნის ნიმუშთან უნდა გვქონდეს საქმე. მოგვიანებით, ეს ძველი საცხოვრებლები XIX საუკუნეში ზედ დაშენებული სახლების ქვეშ შემალულა და სავარაუდოდ, მათი გეგმარების განვითარებაც განუსაზღვრავს: – გრძელი დარბაზის ზემოთ გამართული საცხოვრებელი სივრცე ანფილადურად განლაგებულ ოთახებად დაუტიხრავთ, ხოლო გარედან მიდგმული მცირე მიწაშენი საცხოვრებელ ბლოკთან მართი კუთხით დაკავშირებულ დამხმარე ფლიგელად ჩამოყალიბებულა, რასაც მოხმობილ მაგალითებზეც ვხედავთ.

³ იხ. პარალელები საკვლევ უბანში: აბო თბილელის ქ. №2, გ. აბესადის ქ. №21.

მითითებულ ნიმუშებთან ერთად, საკვლევ უბანში კიდევ არაერთი, მეტ-ნაკლები დაცულობით მოღწეული მცირე ზომის, წრიული, კვადრატული, ან კვადრატთან მიახლოებული გეგმის სათავსის ნიმუშია შემორჩენილი, რომელთა დანიშნულების ზუსტად განსაზღვრა მეტად რთულია, რადგან მათი უშუალო პარალელუბის მიკვლევა ვერც საქართველოს სხვა ისტორიულ ქალაქებში მოხერხდა და ვერც ახლო აღმოსავლეთის, თუ ირანის ურბანულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ინტერნეტრესურსებში ძიებისას. ჩვენი ნიმუშების შესწავლისას, კონკრეტული გარემოებებისა და მონაცემების შეჭერებით გამოიკვეთა მათი მრავალფუნქციური ხასიათი დამხმარე-სამეურნეოდან, საყინულედ და სანიტარულ კვანძად გამოყენების ჩათვლით. გარდა აბესადის ქ. №21 და გ. ჯიბლადის ქ. №3 სარდაფების თანმხლები მიწაში ღრმად ჩამჭდარი მცირე სათავსებისა, კიდევ ორმა მსგავსმა ნიმუშმა მოაღწია დიდი სტრუქტურის შემადგენელი სრულფასოვანი ნაწილის სახით (ლ. გუდიაშვილის მოედ. №6 / ბ. ახოსპირელის I ჩ. №1, ლ. გუდიაშვილის მოედ. №2 (მარცხენა შენობასთან); მცირე სათავსების მეორე ჯგუფი კი, ფრაგმენტულად მოღწეულ არქეოლოგიურ ნანგრევებს წარმოადგენს (შ. დადიანის ქ. №32, ბ. ახოსპირელის ქ. №4, ბ. ახოსპირელის გასასვლელი №3/გ. ჯიბლადის ქ. №7), რომელთაგან ზოგი შესაძლოა, გემოაღნიშნული ტიპის საცხოვრებლის, ან სხვა დანიშნულების სტრუქტურათა ნაწილი იყო (იხ.ტაბულა 1, 2)

გარდა ორსადგომიანი სარდაფებისა და განცალკევებით გაბნეული მცირე ზომის სათავსებისა, საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება XVII ს-ის თითო სადგომიანი მეტად საყურადღებო სარდაფები, რომლებსაც ამავე თავში შევხებით: ესაა ამ პერიოდის ერთ-ერთი ადრეული ხანის სარდაფი ბ. ახოსპირელის III ჩ. №9, რომელიც თავისი სავენტილაციო სისტემით და ღრმა, ფართო ნიშებით საცხოვრებელი სივრცის ნიშნებს ამჟღავნებს და ასევე, აბო თბილელის ქ. №2 სარდაფი, რომლის ინტერიერის მოწყობა დიდი ნიშების სიმეტრიული განაწილებით კედლებში, საჭრაქე ნიშების სიმრავლით და გვიან დამატებული ბალახანით, მოწესრიგებული კომერციული ფართის შთაბეჭდილებას ტოვებს.

არქიტექტურის აღნიშნულ ნიმუშებთან ერთად საკვლევ უბანში შემორჩენილ გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობებში ყურადღებას იქცევს ცალკეული თემების თავისებური დამუშავებაც. საყურადღებო გადაწყვეტას ვხვდებით XVII ს-ის სარდაფების კამარის არეში დატანებული სწორკუთხა ღიობის სახით, რომელიც ზედა სართულთან დასაკავშირებლად გამოიყენებოდა; ზოგჯერ მას აგურის წყობით კამარის არეშივე გამოშენებული საფეხურებიც ახლავს, რასაც, ჩანს, ქვემოდან მისადგმელი კიბე ედგმებოდა (აბო თბილელის №2 და ბ. ახოსპირელის III ჩიხი 9 სარდაფები), ხოლო ზოგჯერ ამ ღიობს ნაშენი კიბის ბაქანი აქვს ქვემოდან მიდგმული (გ. აბესადის ქ.

№21). შესაძლოა ეს ღიობები მიწისქვეშა ძველ საცხოვრებლებზე ზედა სართულების დაშენების შემდგომ იყოს მოწყობილი, იმ პირობებში როცა მათი თავდაპირველი ფუნქციაც არ კარგავდა აქტუალობას და გარკვეულ გარემოებებში სარდაფები უფრო უსაფრთხო იყო საცხოვრებლად, თუმცა ვერც მათ სარდაფების თანადროულობას გამოვრიცხავთ. ასევე, ყურადღება მიიპყრო ნიშების ძირის ამობურცულმა ზედაპირმა გ. აბესადის ქ. №21-ის ძველ სარდაფში და ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3-ის ეზოს საფარს ქვეშ გამოვლენილი ნაგებობის ნანგრევში. ორივე შემთხვევაში ნიშის ამოზნექილი ზედაპირი XVII ს-ის ნაგებობაში შეგვხვდა და მათ მოსაწყობად განსხვავებული ხერხები, ხან ვერტიკალურად დაყენებული აგურების მწკრივი, ხანაც ბრტყლად დადებული აგურებია გამოყენებული. ნივთების დასადებად განკუთვნილი თაროსთვის უჩვეულო ეს ზედაპირები არაპრაქტიკულად გამოიყურება, თუმცა ამგვარი გადაწყვეტის შემთხვევითობა გამორიცხულია, მიზეზის ახსნა კი, რთულია.

ამგვარად, არცთუ ისე დიდ საკვლევ ტერიტორიაზე მდებარე XIX ს-ის სახლების ძირში მეტ-ნაკლები სისრულით შემონახული გვიანი შუა საუკუნეების ძველი საცხოვრებლის აღნიშნული ტიპის ნიმუშების, ცალკეული სარდაფების, (როგორსაც, გარდა აღწერილისა, ვხვდებით მ. ლერმონტოვის #1 და 3 სახლების ძირში და ეზოებში, ახოსპირელის I და II ჩიხებს შორის მოქცეული #7/8 სახლის ქვეშ, შ. დადიანის ქ. №22 და აშუამად დანგრეული სახლის სარდაფის ერთ ნაწილში) სხვადასხვა დანიშნულების მცირე სადგომების (რომლის მსგავსი შეგვხვდა ასევე, ბ.ახოსპირელის ქ. №5 სახლის ეზოს საფარს ქვეშ), ცხოველხატული წყობით ნაშენი კედლის ფრაგმენტების სიმრავლე და მათი მთლიანობა ძველი ქალაქის თვალისთვის დაფარული ურბანული ქსოვილის დიდ, მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს დააცოცხლებს ი.გრიშაშვილის შეფასებას: „თბილისის ვიწრო ქუჩებს არაერთი მოგზაური უნახავს, მაგრამ შინ დაბრუნების დროს, თითქმის ყველას მეტი მოგონება და შთაბეჭდილება რჩება იმ ბნელ ქუჩებიდან, სადაც ქიმომტკრეული სახლის იაქათადი ირიბადაა გაწოლილი“⁴. ნაშთების იმ ნაწილმა, რომელიც რეზილიტაციის პროცესში გამოვლინდა, სამეცნიერო წრეებისთვის მანამდე ცნობილ სიძველეებთან ერთად შეავსო ქვემო კალის მოცემულ მონაკვეთზე შემორჩენილი შუა საუკუნეების განაშენიანების ზოგადი კონტურები. შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობის ზემოთ განხილული ფრაგმენტები, რომლებიც მხოლოდ მცირე ნაწილია საკვლევ უბანში შემორჩენილი სიძველეებისა, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ თბილისის ისტორიულ ნაწილში ყოველი ნაგებობის ხელის ხლებისას გარდაუვალია უცნობი ძეგლების აღმოჩენის მოლოდინი, აუცილებელია ამისთვის მზადყოფნა, ხოლო დანაკარგების თავიდან ასაცილებლად დიდი სიფრთხილეა საჭირო.

⁴ ი. გრიშაშვილი, *ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა*, თბ., 2008, გვ. 8

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო
ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები საკვლევ
უბნის ზოგიერთი შენობის შესახებ

ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №205, ანაწერი 1, დოკუმენტი №1239, 1854 წ.

(პროექტზე წარმოდგენილი ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17 საცხოვრებელი სახლის ნაწილი დღეისთვის აღარ არსებობს)



სურ. 1. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17 სახლი ზემოდან, 2024

ბ. ახოსპირელის III ჩიხის მარცხენა განშტოება, რომელიც სამხრეთით, ლ. ასათიანის ქუჩის მიმართულებით გრძელდება, №1/17 ორსართულიან საცხოვრებელ სახლთან სრულდება. დღეისთვის ყურადღებას იქცევს ამ ციცაბოქანობიანი კრამიტის სახურავით დასრულებული, ჩამოჭრილგვერდიანი შენობის უჩვეულო სილუეტი (სურ.1). იგი წარმოადგენს ძეგ-

ლის სტატუსის მქონე ნაგებობის ნაწილს, რომელიც 2002 წლის ძლიერ მიწისძვრას გადაურჩა¹. მიუხედავად ნაკლული მოცულობისა, XIX ს-ის შუა წლების სახლს გამოკვეთილი მხატვრული ღირებულება აქვს, რასაც, ასევე, მნიშვნელობას მატებს მის ქვეშ დაცული ძველი სარდაფის² არსებობა.

კვადრატული აგურით ნაშენი სახლის მუქვარ-

¹ 2008 წელს განხორციელდა მოსახლეობისგან დაცლილი საცხოვრებელი სახლის ავარიული შუა და მარცხენა ნაწილების დემონტაჟი, რის შემდეგ ეს ადგილი მანქანების სადგომად არის გადაქცეული.

² მ. მანია, ძველი თბილისის სარდაფები, *საქართველოს სიძველენი*, 3, თბ., 2003, გვ.152



სურ. 2. №1/17 სახლის ღიობის თავსართი, 2015

დისფერი ცარცის ხსნარით დაფარულ, შეუღესავ ფასადებს გამომსახველობას მატებს სწორკუთხა ღიობების დამასრულებელი სწორხაზოვანი და არქივოლტის ტიპის თაღოვანი, სადა თავსართები, რომლებიც კედლის სიბრტყეს არ არღვევს, თუმცა ოსტატური წყობის წყალობით მაინც მკაფიოდ იკითხება (სურ. 2). ნაგებობის მეორე სართულს თავდაპირველი მრგვალსვეტებიანი ორმხრივი აივანი შემოსდევს, რომელსაც მხოლოდ ხის კრონშტეინებზე შეკიდული ჩრდილოეთი მხარის კიდურა ნაწილი აქვს გვიანი შეფიცვრით დახურული (სურ.3). მონგრეული გვერდიდან მთლად ღიად დარჩენილი პირველი სართულის დერეფანი ქუჩის მხრიდან სადარბაზოს მხატვრულად დამუშავებული ხის ორფრთიანი კარი აქვს შემორჩენილი.

სახლი შედარებით ძველ, სავარაუდოდ XVIII ს-ის მიწურულის სარდაფზეა დაშენებული, სადაც ჩასვლა პირველი სართულის უკანა ოთახის იატაკში მოწყობილი ღიობიდან არის შესაძლებელი. აგურის საფეხურებიანი კიბე მრუდე ხაზით ეშვება შეუღესავი აგურის სქელკედლებიან, მართკუთხა გეგმის სათავსში, რომელიც თევზიფხური წყობით გადაყვანილი ცილინდრული კამარით სრულდება (სურ.4,5,6). სარდაფს თაღოვანი მოხაზულობის ნიშები და ასეთივე მოხაზულობის ამოქოლილი სარკმელი აქვს,



სურ. 3. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17, საცხოვრებელი სახლის აივანი, 2015




სურ. 4. №1/17 სახლის სარდაფის კიბე, 2015



სურ. 5. №1/17 სახლის სარდაფი, 2015



სურ. 6. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17, სარდაფი, 2015




ნახ. 1. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17, ტექ.ბიუროს ნახაზი, სარდაფის სართული, 1960-იანი წლები

რომლებიც კედლებში ასიმეტრიულად ნაწილდება. სარდაფის კედლების აგურის წყობა, რომელსაც ზოგან ქვედა რიგებში რიყის ქვა ერევა, ოსტატურია, თუმცა არქიტექტურული ფორმები უსწორმასწოროა და დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა. სარდაფის კედლებს სხვადასხვა ადგილებში ცემენტით შეკეთების კვალი ატყვია. სადგომის ერთ ბოლოში კამარას ნაოთხალი თალი ასრულებს, ხოლო საპირისპირო განივი კედელი თითქმის კამარამდე ჩაბეტონებულია და ნაოთხალი თალი არ შერჩენია (სურ.7). ტექ. ბიუროს ნახაზის მიხედვით სარდაფი წინა ოთახის ქვეშაჲ უნდა ყოფილიყო, თუმცა იქ ჩასვლა შესაძლებელი არ აღმოჩნდა (ნახ.1). აღსანიშნავია, რომ სახლის პირველი სართულის კედლები მეორე სართულთან შედარებით გაცილებით განიერია, რაც მათი აშენების განსხვავებულ დროზე უნდა მიუთითებდეს და შესაძლოა, სარდაფის თანადროული საცხოვრებელიდან იყოს შემორჩენილი, რომელსაც ტრანსფორმაცია განუცდია და ახალ ნაგებობაში ჩაურთავთ.


საისტორიო ცენტრალურ არქივში მოიძებნა პროექტი, რომელმაც საშუალება მოგვცა აღგვედგინა ბ.ახოსპირელის III ჩიხი №1/17 საცხოვრებელი სახლის ამჟამად დაზიანებული საერთო სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი და დაგვეზუსტებინა მისი შემადგენელი ნაწილების აგების თარიღი და თანმიმდევრობა (ნახ. 2). როგორც ირკვევა, 1854 წელს

სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ რეუტს დაუმტკიცებია დღემდე მოღწეულ, ნგრევას გადარჩენილ ორსართულიან სახლზე, ერთსართულიანი, სარდაფიანი ფლიგელის მიშენების პროექტი³. დოკუმენტი წარმოგვიდგენს დღეს მდგარ, იმ დროისთვის უკვე არსებულ სახლს, რომელიც ჩინოვნიკ სოლომონ ვართანოვის ცოლის, კეკელა ვართანოვას საკუთრება ყოფილა. როგორც ირკვევა, მის გარეგან სახეს დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. პროექტში ჩართული პირველი სართულის გეგმის მიხედვით სახლი იდენტური ორი ოთახისგან შედგებოდა, რომლებიც ეზოსკენ, აღმოსავლეთით, სამ-სამი ღიობით ყოფილა გახსნილი, ხოლო საპირისპირო, დასავლეთი ყრუ კედელი დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ნიშებს შორის მოქცეული ბუხრებით ჰქონია დამუშავებული. სართულების დამაკავშირებელი კიბე იმ დროისთვის ფართოდ გავრცელებული წესისამებრ სახლის განაპირა კედელში ყოფილა მოქცეული. ირკვევა, რომ სახლის მეორე სართულს ორმხრივი აივანი უვლიდა, რომელსაც დღემდე აქვს შერჩენილი მრგვალი სვეტები, თუმცა მოაჭირად თავდაპირველი ბალიასინების მწკრივის ნაცვლად ამჟამად ფიცრის დაფები გამოყენებული. სახლი დაბალი, სწორხაზოვანი პარაპეტით ყოფილა დასრულებული, რომლის უკან ნახაზზე გადახურვა არ იკითხება. არსებული სახლის

³ პროექტში ჩართული გენგეგმიდან ვიგებთ, რომ საპროექტო სახლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა თავად თუმანოვის, ხოლო დასავლეთიდან მელიქოვას ქვრივის ნაგებობები. აღნიშნულ ნაკვეთებზე იგივე მფლობელები ჩანან 1862 წლის პროექტზეც, რომელიც შ. დადიანის (ყოფილი ველიამინოვის) ქუჩაზე №32 სახლის აშენებისთვის შეუდგენიათ ქეთევან მელიქოვასთვის.



ნახ. 2. კეკელა ვართანოვას სახლის მიწეუბნის პროექტი, 1854



სურ. 7. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17, ფრაგმენტი XX ს-ის შუა წლების პანორამიდან

შესახებ პროექტში მეტი დეტალები არ არის მოცემული, თუმცა, საფიქრებელია, გადახურვა ბანიანი ყოფილიყო და კედელში ჩართულ კიბეს გაგრძელება ზემოთ, ბანისკენაც ჰქონოდა. კიბის ამოსასვლელი ჭიხურის კვალი უნდა იყოს უჩვეულო შვერილი, რომელიც ბანის მოშლის შემდეგ მოწყობილ დღევანდელ ციცაბო გადახურვასაც აქვს შერჩენილი.

პროექტით გათვალისწინებული ყოფილა სახლსა და ფლიგელს შორის მოქცეული ეზოს შემოსაზღვრა ნაშენი ზღუდით, რომლის შუაში მოწყობილი ფართო ჭიშკარი ფლანკირებული იქნებოდა ნაგებობებთან დამაკავშირებელი დამოუკიდებელი შესასვლელებით. გრაფიკულ გამოსახულებაში ყურადღებას იპყრობს ფლიგელის მკაცრი, კლასიციზტური სისადავე, რაც ერთი შეხედვით მას სახლზე უფრო აღრეულ ნაგებობად წარმოაჩენს. პროექტი წარმოგვიდგენს პროფილირებული კარნიზით და შუაში ამალგებული ორქანობა ნაწილის მქონე პარაპეტით დასრულებულ ნაგებობას, რომელსაც ფასადებზე თანაბარი ინტერვალით განაწილებული,


სანდრიკებით დასრულებული სწორკუთხა ფანჯრები აქვს: ჩიხისკენ გამომავალ მთავარ, ჩრდილოეთ ფასადზე – სამი, ხოლო გვერდით, აღმოსავლეთ ფასადზე – ხუთი. პროექტის სათაურში მითითებული ფლიგელის სარდაფი ნახაზზე მცირე სარკმლებიან, ცოკოლის სართულად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორი სახე ჰქონდა ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17 საცხოვრებელ სახლს პროექტის განხორციელების შემდეგ არ ვიცით, რადგან 2002 წლის მიწისძვრით დაზიანებამდე მისი ფოტო ვერ მოვიპოვეთ, თუმცა დაკარგულ მთლიანობაზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვიქმნის შორი პანორამიდან ამოღებული კადრი (სურ.7). ამჟამად, უხეშად მოგლეჯილგვერდიანი სახლი და მისი ფლიგელის ნაადგილეზე მანქანების სადგომად ქცეული ნაკვეთი ასე მოუვლელად არ შეიძლება კიდევ დიდხანს დარჩეს ძველი ქალაქის ტერიტორიაზე. ვიმედოვნებთ, პროექტის მოძიება დაესმარება არსებული სავალალო მდგომარეობის გამოსწორების პროცესის დაჩქარებას.

ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9


საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №205, ანაწერი 1, დოკუმენტი №1239, 1854 წ.

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №192, ანაწერი 8ა, დოკუმენტი №769, 1881 წ.



ნახ. 1. კონო ბუტულოვის სახლის პროექტი, 1881

გემოთ აღინიშნა, რომ ბ. ახოსპირელის III ჩიხის სამხრეთისკენ გაგრძელებული მარცხენა განშტოება ერთმანეთის საპირისპირო მხარეს მდგომ №1/17 და №9 საცხოვრებელ სახლებს შორის გადის და აქვე სრულდება. საერთო კომპოზიციის, აივნის ელემენტებისა და ინტერიერის დამუშავების მიხედვით ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9 საცხოვრებელი სახლის ფორმირება, სავარაუდოდ, XIX ს-ის მიწურულით შეიძლება განგვესაზღვრა, თუმცა ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული პროექტის მიკვლევამ ზუსტი თარიღის 1881 წლით განსაზღვრის საშუალება მოგვცა¹ (ნახ.1). ამავე დროს, მეზობელი №1/17 სახლის 1854 წლის პროექტზე დატანილი გენგეგმისა (ნახ.2) და უშუალოდ №9 სახლის პროექტის შეჯერებამ ამ საარქივო დოკუმენტებს შორის დროის მოცემულ მონაკვეთში ნაგებობის განვითარების სურათი გამოკვეთა; პროექტმა ასევე საშუალება მოგვცა სავარაუდო ახსნა მოუძებნოთ ბ. ახოსპირელის III ჩიხის ორ განშტოებას შორის მოქცეულ და მიმდებარე განაშენიანებიდან კუნძულებით გამოყოფილ №7 და №9, ერთმანეთზე ზურგის კედლებით მიბჯენილ გრძელ ორსართულიან სახლებს შორის არსებული უჩვეულო, დახშული აივნის წარმოშობას.



ნახ. 2. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, გენგეგმა, ამონარიდი პროექტიდან: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №205, ანაწერი 1, დოკუმენტი №1239, 1854 წ.

¹ უმეტეს საარქივო პროექტთა მსგავსად, აქ ჩართულ ჭრილშიც არ არის მინიშნება სახლის ქვეშ მოქცეული ერთ-ერთი უადრესი და მეტად საყურადღებო სარდაფის არსებობაზე და მხოლოდ საძირკვლის სივრცეა აღნიშნული.



სურ. 1. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, სახლის საერთო ხედი, 2015

როგორც ირკვევა, XIX ს-ის შუა წლებისთვის ბ. ახოსპირელის III ჩიხის №9 ეზო და შიგნით განთავსებული, დღეს არსებულის მსგავსი მოხაზულობის გრძელი ნაგებობა, მოსახვევისკენ მიმართული ნახნაგოვანი გვერდით, მოცემულ მინის ნაკვეთზე უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა და ის ამირანოვს (ამირანაშვილს ?) ეკუთვნოდა. 30 წლის შემდეგ კი, 1881 წელს, ამ ადგილზე, თბილისის მაშინდელ მე-5 ბაზრის უბანში, მოლნინისა და ყრუ (Глухой) შესახვევის² შეერთების ადგილას, ორსართულიანი ქვის სახლის და სამზარეულოების დაშენების პროექტი დაუმტკიცებიათ ვაჭარ კონო ბუტულოვისთვის. დოკუმენტში ჩართულ გენგეგმაზე მომიჯნავე, №7 ნაკვეთის მფლობელად მითითებულია ამირაგოვი, სავარაუდოდ, იგივე ამირანოვი, რომელსაც, ჩანს ნაკვეთისა და სახლის მხოლოდ ნახევარი გაუყიდა და საკუთრების გაყოფის შემდგომ უკვე ძველი სტრუქტურიდან შემორჩენილი აივანი სხვა მეპატრონის ხელში არსებული სახლის სიმალლეში გავრცობის შედეგად ვიწრო და გამოუსადეგარ გადქცეულა.

აღნიშნული დოკუმენტებით დგინდება, რომ №9 სახლიც, სხვა მრავალ ნიმუშთან მსგავსად, თავდაპირველად ერთსართულიანი ყოფილა. ახალი მეპატრონისთვის 1881 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით ძნელია დეტალებში დაზუსტება რა ცვლილება შეუტა-



სურ. 2. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, სახლის II სართულის ამოშენებული კუთხე, 2015

² ამ დროისთვის მოლნინის შესახვევის ბოლო მონაკვეთს მრავალთაგან ერთ-ერთი „გლუხი პერეულოკი“ რქმევია.



სურ. 3. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, სახლის გადახურვა დასავლეთ ნაწილში, 2015



სურ. 4. ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9, სახლის გამოსახულება 1940-იანი წლების პანორამიდან

ნიათ უკვე არსებულ ქვედა სართულში. ირკვევა, რომ მტკიცე ტრადიციისამებრ ანფილადურად განლაგებული ორივე სართულის ოთახების წინ გათვალისწინებული ყოფილა ხის აივნის მოწყობა მის ფარგლებშივე მოქცეული ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბის მარშით. ეზოს დასავლეთ კიდეში განთავსებულ, დამოუკიდებლად მდგარ დამხმარე, სამეურნეო ნაგებობაზეც დაგეგმილი ყოფილა სართულის დაშენება და სამზარეულოების გამართვა, რაც აივნის საშუალებით დაუკავშირდებოდა სახლის საცხოვრებელ ოთახებს. ეს ჩანაფიქრი ნახაზთან ერთად პროექტის დასახელებაშიც არის აღნიშნული. პროექტში ყურადღებას იქცევს წითელი მელნით შეტანილი შესწორება, რომლის მიხედვით ჩიხისკენ მოქცეული კიდეურა სამკუთხა ოთახის განაპირა კედელი დაუნახნაგებიან, რითაც მისი ფართიც გაზრდილა და შენობა ჩიხის მოსახვევსაც უკეთ მორგებია.

ჩანს, არ განხორციელებულა პროექტით ჩაფიქრებული ეზოს შემომფარგლავი ნაშენი მაღალი ზღუდე ფართო ჭიშკრით. დღეისათვის, ეზოს შემოფარ-

გლავს ნაშენ ბოძებს შორის ჩართული ხის მესერი. ამჟამად არსებული მასშტაბური ორსართულიანი სახლის საერთო გადაწყვეტა არსებითად იდენტურია საპროექტო ნაგებობისა, თუ არ ჩავთვლით აივანს, რომელიც ამჟამად ქვედა სართულში მთლიანად ამოშენებულია (სურ. 1). ამასვე გამოუწვევია აივნის ფარგლებში მოქცეული კიბის მოშლა და მეორე სართულთან დასაკავშირებლად მისი გარედან მიდგმა. ზედა სართულის აივანი ამჟამად ნაწილობრივ შუშბანდით არის დახურული, აღმოსავლეთით კი, მისი მომრგვალებული კუთხე სახეცვლილია ბოლო ხანს ამოშენებული აგურის კედლით შექმნილი ხისტი ნახნაგით (სურ. 2). ღია აივნის ეს კუთხე და საპირისპირო, დასავლეთ მხარეს არსებული გადახურვის ქანობის მარაოსებური ასიმეტრიული პროფილი შენობის თავისებურ სილუეტს შეადგენდა და მიმზიდველობას სძენდა სახლს (სურ. 3). ნაგებობის აივნის პლასტიკასა და თავდაპირველი სახის გამომსახველობაზე წარმოდგენას გვიქმნის კადრი 1940-იანი წლების პანორამული ფოტოდან (სურ.4).

ბ. ახოსპირელის ქ. №4

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №205, ანაწერი 1, დოკუმენტი №1017, 1852 წ.

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №205, ანაწერი 1, დოკუმენტი №1750, 1859 წ.

ლ. გუდიაშვილის მოედნის სამხრეთით, განაშენიანებიდან ქუჩების ურბანული ქსელით გამოყოფილ სამკუთხა „კუნძულს“ მოღნისის ეკლესიისკენ ასრულებს ტრაპეციული მიწის ნაკვეთი. მას სამი მხრიდან თითქმის სრულად ავსებს ბ. ახოსპირელის ქ. №4 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც შუაში იქცევს ქუჩიდან ზღუდით გამოყოფილ მცირე ეზოს.

თვალსაჩინო მდებარეობით და უჩვეულო კონფიგურაციით გამორჩეული სახლი უადრეს, სავარაუდოდ, XIX ს-ის 60-იანი წლების ფოტოპანორამაზე მწყობრი პროპორციით, ორივე სართულზე განლაგებული დორიული სვეტებით, ბალიასინებიანი მოაჭირით გაფორმებული დახვეწილი აივნით გახსნილი ფასადით და მის უკან, არქივოლტებიანი ღიობების მწკრივით იქცევს ყურადღებას (სურ. 1, 2). აქ-



სურ. 1. ქვემო კალა და მოღნისის ტაძარი, 1860-იანი წლები, დ. ერმაკოვი

ვე იკითხება კრამიტის ქანობიან სახურავს ქვეშ შეფარული მანსარდის სართული თავისი ღიობებით მთავარ და გვერდით ფასადებზე და ამასთანავე, ნაშენი ზღუდით შემოფარგლული გახსნილი ეზო. შენობის არქიტექტურაში იკითხება 1840-იან წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბებული თბილისური საცხოვრებელი სახლის გარეგანი სახე, რომელშიც გვიანკლასიციკური ელემენტები ორგანულადაა შერწყმული ადგილობრივ ტრადიციულ ფორმებთან¹.

სახლს არსებობის მანძილზე არაერთი ცლილება განუცდია ფასადების დამუშავების კუთხით. ბოლო ხანს შენობის აივნებიანი გრძელი ფასადის ნაწილობრივი ამოშენება და შეუსაბამო ალათებიანი შუშაბანდით დახურვა მის საერთო სახეზე განსაკუთრებით უხეშად აისახა (სურ. 3). დღეისთვის, ნაგებობა ურბანული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ერთ-ერთ წარმატებულ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს², მან დაიბრუნა მხატვრული ღირებულება და დეფორმაციის მიუხედავად, მოხერხდა მოდერნის



სურ. 2. თბილისის პანორამა სოლოლაკის ქედიდან, ფრაგმენტი, დ. ერმაკოვი

¹ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, ტ. I, 1960, გვ.92

² რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი შეასრულა იკომოს-საქართველომ; პროექტის მთავარი არქიტექტორი მ. ბოჭორიძე, არქიტექტორ-რესტავრატორები ლ. ბოკუჩავა, ე. მახათელაშვილი, ???/ ფიზიკური სამუშაოები განახორციელა სამშენებლო კომპანია „IN-SI“-მ.



სურ. 3. ბ. ახოსპირელის ქ. №4, საცხოვრებელი სახლი რეაბილიტაციამდე, 2015

სტილის ნიშნების მქონე ფლიგელის დაუშლელად შენარჩუნებაც (სურ.4).


კვლევის პროცესში საისტორიო ცენტრალურ არქივში შესაძლებელი გახდა ორი პროექტის მოძიება: 1852 წლის, რომელსაც, სავარაუდოდ, არქიტექტორი ზბორჟევსკი უნდა აწერდეს ხელს და 1859 წლისა არქიტექტორ აბესალომოვის ხელმოწერით, თუმცა ამ დოკუმენტებმა ძველთან დაკავშირებით გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა. პირველი პროექტის სახელწოდებიდან ვიტყობთ, რომ მოდინის ქუჩასა და შესახვევს შორის მოქცეულ ამ ტრაპეციულ ნაკვეთზე მდგარა მარია ბეგთაბეგოვას სახლი, რომელზეც გათვალისწინებული ყოფილა ქვის³ მეორე სართულის დაშენება (ნახ.1). თბილისის გუბერნიის სამშენებლო კომისიას წარმოდგენილი პროექტის განხილვის შემდეგ დაუდასტურებია სამშენებლო ხელოვნების წესებთან მისი შესაბამისობა, არსებული შენობის მდგრადობა და ამის გათვალისწინებით იგი სავსებით მისაღებად უცვნიან.

პროექტში მოცემული გენგეგმისა და დასაშენებელი მეორე სართულის გეგმის შეჯერებით ირკვევა, რომ არსებულ ძველ სახლსაც ნაკვეთის მთელი სიგანე ჰქონია დაკავებული ეზოს სიღრმეში, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ახლოს განთავსებული ყოფილა ცალკე მდგომი დამხმარე სათავსი.



სურ. 4. ბ. ახოსპირელის ქ. №4, საცხოვრებელი სახლი რეაბილიტაციის შემდეგ, 2024

³ საარქივო პროექტებში ხშირი მითითება ქვის ნაგებობის აშენების თაობაზე, როგორც წესი გულისხმობს აგურის ნაგებობის აშენებას.



ნახ. 1. მარია ბეგთაბეგოვას სახლზე მეორე სართულის დაშენების პროექტი, 1852

პროექტი დასაშენებელ მეორე სართულზე ანფილადურად განლაგებული ოთახების რიგისა და მოშორებით მდგარი დამხმარე სათავსის გარდა აჩვენებს ეზოს სამხრეთ-დასავლეთიდან შემომსაზღვრელ, ნიშებითა და შიგ მოქცეული კიბის გრძელი მარშით აღჭურვილ განიერ კედელს. ყველაფერს ერთმანეთთან აკავშირებს დორიულსვეტებიანი ორმხრივი აივანი, რომელიც აღმოსავლეთით გადაკიდულია მოლნინის შესახვევისკენ. ამგვარად, პროექტში გარდა ფართოდ გავრცელებული ტრადიციული ანფილადური გეგმისა⁴, ფასადის დამუშავებაშიც მკაფიოდ ყოფილა გამოხატული ადგილობრივი სპეციფიკა. გადახურული აივანი დაკიდული ნაწილით და ხის „დორიული“ სვეტებით, რაც უკვე XIX ს-ის 30-იანი წლებიდან ჩნდება თბილისურ სახლებში, საპროექტო ნაგებობის არსებით ელემენტად ყოფილა გააზრებული⁵. საყურადღებოა, ასევე, შესახვევის


მხრიდან სახლის გვერდითი ფასადის გაფორმებაში ჩაფიქრებული სამნაწილიანი „პალადიოს ფანჯრების“ გამოყენება. ამავე მხრიდან ყოფილა დაგეგმილი ზღუდეში ჩართული ჭიშკრის გამართვა.

როგორც ირკვევა, ამგვარ დეტალებში გააზრებული პროექტი არ განხორციელებულა და შვიდი წლის შემდეგ ახალი პროექტი შეუდგენია თბილისელი მოქალაქის შვილს, თბილისის მკვიდრ არქიტექტორ გრიგოლ აბესალომოს⁶ (ნახ. 2). სახელწოდებიდან ირკვევა, რომ მოლნინის მოედანთან მდებარე ამ ნაკვეთზე გათვალისწინებული ყოფილა ვანქის ტაძრის პროტოიერის მეუღლე კნიაგინია ბეგთაბეგოვას ორსართულიანი სახლის აშენება. რას უნდა გამოენვია პროექტის თავიდან შედგენისა და დამტკიცების საჭიროება ზუსტად განსაზღვრა ძნელია, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე სართულის თავიდან აგების საჭიროება ძველი სახ-

⁴ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, ტ. I, 1960, გვ.68-69; ლ. რჩელიშვილი, საბა ტუსისშვილისეული სახლი სოფ. ნინოწმინდაში, ქართული ხელოვნება, ტ.3, გვ.243

⁵ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, ტ. I, 1960, გვ.88-90

⁶ აბესალომოს შესახებ იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, ტ. II, 1963, გვ.161



ნახ. 2. კნიაგინია ბეგთაბეგოვას ორსართულიანი სახლის პროექტი, 1859

ლის მდგრადობასთან დაკავშირებულ სირთულეებს უნდა გამოეწვია. არქიტექტორს გამარტივებულად გამოუხაზავს ობიექტი და გარკვეული ცვლილებებიც შეუტანია: – ქუჩაზე გადაკიდული აივანი მოუშლია და თავიდან ფასადის ცენტრში ჩაფიქრებული მეორე სართულის კიბე აღმოსავლეთ კუთხეში გადაუტანია; ასევე, არსებითად შეუცვლია გვერდითი ფასადის მხატვრული დამუშავების სტილი და კედლის კუთხეებს აყოლებულ გიგანტურ პილასტრისებრ შვერილებს შორის გოთიკისა და ისლამური მოტივებით შედგენილი დანვრილმანებულ ალათებიანი მაღალი ფანჯრები განუთავსებია. თუმცა ფასადის აბესალომოვსეულ შემოქმედებით ნააზრევს მფლობელისა და ადგილობრივი მშენებელი ოსტატების ხელში ცვლილება განუცდია და ის საბოლოო შედეგი დამდგარა, რაც საარქივო ფოტოზე იკითხება (სურ. 5). სავარაუდოდ 1910-იან წლებში, როდესაც სახლის ფლიგელის სამხრეთ ფასადს მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტა შეუძენია, სახლის აღმოსავლეთ გვერდით ფასადზე განთავსებულ ფანჯარებსაც შესაბამისი ცვლილება შეხებია.



სურ. 5. №4 სახლის გვერდითი ფასადის ფრაგმენტი დ.ერმაკოვის პანორამიდან



სურ. 6. ბ. ახოსპირელის ქ. №4, რეაბილიტაციის პროცესში გათხრილ ტრანშეაში გამოვლენილი მცირე სათავსი ამოშენებული ორმოთი, 2019

კიდევ უფრო მნიშვნელოვან სხვაობას ვხედავთ ბ. ახოსპირელის ქ. №4 სახლის დღეისთვის არსებულსა და პროექტისეულ მოცულობას შორის, სადაც არ ფიგურირებს ნახევარსარდაფი. არქივში დაცულ XIX ს-ის სხვა მრავალ პროექტთა მსგავსად, ამ ფანჯრებიანი, დაბალჭერიანი ცოკოლის სართულის არსებობა არც ამ პროექტებშია ნაჩვენები და ჭრილებში მხოლოდ საძირკვლის დაბალი სივრცეა მინიშნებული. დღეს არსებული სახლის ეს ნაწილი, რომლის კედლის წყობის სიძველის შეფასება ნალესობის გამო ვერ ხერხდება, შესაძლოა შეიცავდეს 1852 წლის პროექტში მითითებული ძველი სახლის, ან მისი სარდაფის ნაწილებს, რაც 1859 წლის შემდგომ აშენებული ორსართულიანი სახლის ძირში შეინარჩუნეს.

რეაბილიტაციის პროცესში სახლისა და ეზოს



სურ. 7. ბ. ახოსპირელის ქ. №4, ეზოში გამოვლენილი მცირე სათავსი ამოშენებული ორმოთი, 2019

ფარგლებში საყურადღებო სამშენებლო ფენები გაიხსნა, რამაც აჩვენა, რომ მარია ბეგთაბეგოვას ძველი სახლი კიდევ უფრო ძველ საცხოვრისზე ყოფილა დაფუძნებული. საძირკვლების გამაგრებისთვის ცოკოლის სართულში მიწის მოხსნისას შენობის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა ნიადაგში ჩადგმული, ერთად თავმოყრილი სხვადასხვა ზომის შვიდი ქვევრი, რამაც აშკარა გახადა ადრე აქ არსებული სარდაფის მარნის ფუნქცია. გარდა ამისა, ეზოში, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობისთვის სახლის გასწვრივ გათხრილმა ტრანშეამ მიწის სიღრმეში გადაჭრა ნაშენი სტრუქტურის ნანგრევები. განმენდის შედეგად გამოვლინდა მოლესილ და აგურით მოგებული იატაკში ჩაღრმავებული აგურით ამოშენებული მრგვალი ორმო, რომელიც ამოვსებული იყო ქვით, მიწით, მოჭიქული და სადაზღვეპირიანი კერამიკის ნამტვრევებით⁷. ეს ორმო ასევე მრგვალ, თუ ოვალურ სათავსში ყოფილა მოქცეული, რომლის ჩამონგრეული კედლებიდან ჩანს, რომ ის, სავარაუდოდ, სფერული კამარით უნდა ყოფილიყო დასრულებული (სურ. 6, 7). ბ. ახოსპირელის ქ. №4 სახლის ეზოში მიკვლეული ეს ნანგრევი კიდევ ერთი ნიმუშია გეგმით კვადრატული, ხანაც მრგვალი, მცირე ზომის მრავალფუნქციური სათავსებისა, რომლებიც თან ახლავს საკვლევ უბანში გამოვლენილ გარკვეული ტიპოლოგიის ძველ საცხოვრებლებს.

⁷ არქეოლოგ თ. ბუნურაძისა და ნ. ცქვიტინიძის ანგარიში 2.12.2019; ინახება თბილისის განვითარების ფონდში.

შ. დადიანისა და მ. ლერმონტოვის ქვ.-ის კუთხის №20/6 საცხოვრებელი სახლი

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №205, ანაწერი 1, დოკუმენტი №411, 1846



სურ. 1. შ. დადიანისა და მ. ლერმონტოვის ქვ.-ის კუთხის №20/6 საცხოვრებელი სახლი, 2015

შ. დადიანისა და მ. ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთასთან მდგარი №20/6 საცხოვრებელი სახლი პირობითად შემოსაზღვრული საკვლევი უბნის საზღვრებშია მოქცეული (სურ.1). ნაგებობას ძეგლის სტატუსი არა აქვს მინიჭებული და არც რეაბილიტაცია შეხება, თუმცა მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას და ჩვენ ხელთ არსებულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული წინასწარული მოსაზრებების ჩამოყალიბება.

რთული აგებულების ორსართულიანი სახლი სხვადასხვა სამშენებლო ეტაპზე აშენებული ნაწილებისგან შედგება. გრძელი მთავარი ფასადით შ. დადიანის

ნის ქუჩისპირას მდგარი ნაგებობა ვიწრო გვერდითი ფასადით მ. ლერმონტოვის ქუჩისკენ გადის და აქედანვე შედის ვიწრო გასასვლელი ნაგებობის უკანა კედლის გასწვრივ. ზოგადი ვიზუალური შეფასებით შენობის ძირითადი მასები XIX ს-ის შუა წლებით შეიძლება დავათარილოთ, ხოლო ძირი, რომელსაც ის ეფუძნება, უფრო ძველ, XVIII-XIX სს-ის მიჯნის სარდაფს შეიცავს. სამწუხაროდ, ჩვენ ამ სარდაფის მხოლოდ ერთ, დუქანი „რაჭა“ სტუმრებისთვის განკუთვნილ სივრცეს გავეცანით; ობიექტის დანარჩენ, დამხმარე ნაწილში მოხვედრა კი, ვერ მოხერხდა. ბოლოსკენ ოდნავ გაფართოებულ, შეუღესავი აგურის



სურ. 2. №20/6 სახლის სარდაფში არსებული დუქანი „რაჭა“-ს ინტერიერი, 2015



სურ. 3. №20/6 სახლის სარდაფში არსებული დუქანი „რაჭა“, ინტერიერის ფრაგმენტი, 2024



სურ. 4. №20/6 სახლის უკანა კედელი, 2015



სურ. 5. №20/6 სახლის უკანა კედელზე განთავსებული შეისრულთაღოვანი ნიშები, 2024




სურ. 6. №20/6 სახლის უკანა კედელზე აგურის წყობაში ჩატანებული ხის ძელები. 2025

კედლებიან გრძელ დარბაზში კიბის საფეხურები პირდაპირ მ. ლერმონტოვის ქუჩიდან ეშვება. მას თევზიფხური წყობით გადაყვანილი ცილინდრულკამაროვანი გადახურვა ასრულებს (სურ. 2). კამარის ამგვარი წყობა ძველი თბილისის სხვა უბნებთან ერთად, მოცემულ საკვლევ უბანშიც შეგვხვდა ბ. ახოს-პირელის III ჩიხის №1/17 და გ. ჭიბლაძის ქ. №3 სახლების სარდაფებში. ჩვენთვის ცნობილი ყველა ნიმუში სწორედ XVIII-XIX სს-ის მიჯნის ფარგლებში უნდა იყოს აგებული. სარდაფის საკმაოდ მასშტაბურ

სივრცეს სეგმენტებად ყოფს მძლავრი საბჯენი თაღები და პილასტრები; სარდაფის კედელ-კამარის ოსტატური წყობის გამომსახველობას დიდწილად აქვეითებდა მუქშინდისფერი ზეთისსაღებავის პრიალა ზედაპირი, რომლის მოხსნის შემდეგაც ვერ მოხდა აგურის თბილი ტონალობის აღდგენა (სურ. 3).

განსხვავებული პერიოდის ნაწილების არსებობა გარდა სარდაფისა, ნაგებობის მიწისზედა სართულებზეც შეინიშნება. ეს ვიზუალურად მჟღავნდება მ. ლერმონტოვის ქუჩისკენ მიმართულ გვერდით



ნახ. 1. გალუსტ ვართანოვის საცაგრო დუქნის პროექტი

ფასადზე არათანაბარი ზომის ფანჯრებისა და სართულების განსხვავებული დონეების არსებობაში და აქვე, სწორხაზოვანი პარაპეტით გამოყოფილ, განსხვავებული სიმაღლის შუა ნაწილში. შ. დადიანის ქუჩისკენ მიმართული მთავარი ფასადის დამუშავება ერთგვაროვანია, თუმცა სახლის გეგმარებითი სტრუქტურა ორი ეზოს ირგვლივ არის კონცენტრირებული. დადიანის ქუჩიდან შენობის შუა ნაწილში დატანებული გვირაბი თბილისური ეზოების შედარებით იშვიათ, ჩაკეტილი ტიპის ვიწრო და გრძელ ეზოს¹ უკავშირდება, რომელიც სახლის მ. ლერმონტოვის ქუჩისკენ მოქცეულ ნახევარს იკრებს ირგვლივ, ხოლო შ. დადიანის ქუჩისკენ გაგრძელებულ დანარჩენ ნაწილს თავისი ღია ეზო ახლავს, რომელთან დაკავშირებაც ნაგებობის უკან შემავალი გასასვლელის საშუალებით შეიძლება.

გარდა ამგვარად დანაწევრებული გეგმარებითი სტრუქტურისა, განსაკუთრებით თვალშისაცემია შენობის დახურულეზოიანი ნაწილის უკანა კედლის დამუშავება, სადაც გაჭით (თუ კირნარევი ხსნარით) შეღესილი კედლის მეორე სართულს სიბრტყიდან ოდნავ ჩანეულ სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული შეისრულთალოვანი, მაღალი ნიშების მწკრივი გასდევს და ამასთანავე აგურის ნყოფაში ჩატანებული ხის ჰორიზონტალური სარტყლების წყება იკითხება. ნიშების მწკრივს უხეშად არღვევს მათ შორის ჩასმული, გვიან გაჭრილი ორი მაღალი ფანჯარა. საყურადღებოა ისიც, რომ თავად ამ ნიშების სიბრტყეზე იკითხება ჩაშენებული ფანჯრის ღიობების კონტური. გარე კედლის ეს უჩვეულო დამუშავება მ. ლერმონტოვის ქუჩიდანვე ექცევა მხედველობის არე-

ში. მისი დანახვისთანავე ჩნდება ეჭვი, რომ დახვეწილი პროპორციის შეისრულნიშებიანი კომპოზიცია თავდაპირველად ინტერიერის კუთვნილება უნდა ყოფილიყო (სურ.4,5,6). საცხოვრებელი სახლის სივრცით-გეგმარებით სტრუქტურასა და ფასადების დამუშავებაში გამოვლენილი თავისებურებები ხანგრძლივად მიმდინარე მნიშვნელოვან სახეცვლილებებსა და დანაკარგებზე მიუთითებს, რაც ბოლოს დაუგვირგვინებია გვერდით მდგარი, 1988 წელს აშენებული საბავშვო ბაღის (№200, მ. ლერმონტოვის ქ. №4) მასშტაბური ნაგებობისთვის ტერიტორიის მოსუფთავებას.

თავმოყრილი საარქივო მასალის გაანალიზებით მოცემულ ადგილზე მშენებლობის განვითარების ზოგადი სურათი იხატება, თუმცა, ცხადია სამომავლოდ ნაგებობის გახსნა, საჭირო შურფებისა და ზონდაჟების გაკეთება ბევრ საყურადღებო დეტალს მოფენს ნათელს. საისტორიო ცენტრალურ არქივში მოძიებული 1846 წლის პროექტი ასახავს ამ ადგილზე, მაშინდელი თბილისის 2 ნაწილის 2 კვარტალში, შ. დადიანის, ყოფილი ველიამინოვის ქუჩისა და მ. ლერმონტოვის, – დიდი მრუდის კუთხეში არსებულ ნაკვეთზე განთავსებული მოქალაქე გალუსტ ვართანოვის კუთვნილი ნაგებობების, ორმხრივი ეზოსა და ბაღის განლაგებას (ნახ. 1). მართკუთხა ნაკვეთი დიდი მრუდის (მ. ლერმონტოვის) ქუჩისკენ ყოფილა წაგრძელებული და მის შუა, ქუჩისპირა ნაწილში მდგარ სახლს მარცხნიდან მიდგმული ვიწრო, გრძელი ფლიგელით, – ორივე მხარეს ჰქონია ეზოები. მათგან მარჯვენა, ქუჩათა გადაკვეთისკენ არსებული მცირე ეზოს კუთხეში ყო-

¹ მ. მანია, ეზო, როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, მაცნე, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბ., 1989, გვ. 107-115.



სურ. 7. თბილისი 1860-იანი წლების დასაწყისში, დ. ნიკიტინის ფოტო, ფრაგმენტი


ფილა ჩაფიქრებული სავაჭრო დუქნის აშენება, რომელსაც მიწატკეპნილი ბანი, დიდი მრუდის მხრიდან ორ ვიწრო შესასვლელს შორის მოქცეული ფართო, დარაბებიანი კარი და გვერდით კედლებში დატანებული წყვილ-წყვილი სწორკუთხა თახჩა უნდა ჰქონოდა. ნაკვეთის უკანა ნაწილში, სახლის კუთხეებთან, აქეთ-იქით, შედარებით მომცრო ზომის, სავარაუდოდ დამხმარე ნაგებობები მდგარა, რომელთა შორის ბაღი ყოფილა მოქცეული.

არსებულ სიტუაციას საარქივო პროექტი მხოლოდ გენგვეგმის სახით წარმოგვიდგენს, თუმცა ამ ვითარების შედარებისას დიმიტრი ნიკიტინის მიერ,

დაახლოებით 20 წლის შემდგომ გადაღებულ თბილისის ერთ-ერთ უადრეს, 1860-იანი წლების დასაწყისის პანორამასთან, შესაძლებელი ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებების დანახვა (სურ. 7). დიდი მრუდისა და ველიამინოვის ქუჩების გადაკვეთასთან მართლაც ვხედავთ გვეგმით მართკუთხა ბანიან სახლს, რომელსაც ნაკვეთის სიღრმეში, მის კუთხეებთან არსებული მცირე მოცულობები ახლავს: – ველიამინოვისკენ ბანიანი, ხოლო შიდა კუთხისკენ ქანობიანი გადახურვით დასრულებული. სამი სართულით წამომართული შ. დადიანის ქ. №18 ნაგებობის ფონზე აშკარად ჩანს, რომ №20/6 ძველ სარ-




სურ. 8. ველიამინოვის ქუჩა და ქალაქის მთავარი ნაწილის პანორამა, ფრაგმენტი, 1860-იანი წლები, დ. ერმაკოვი



ნახ. 2. №20/6 სახლის ტექ.ბიუროს ანაზომი, სარდაფის სართულის გეგმა, 1957

დაფზე დაფუძნებული სახლი ამ დროისთვის ბელეტაჟის ტიპის ნაგებობა უნდა ყოფილიყო. პროექტისგან განსხვავებით, აშკარა სიახლეს წარმოადგენს მის გვერდით, დიდი მრუდისკენ, მართკუთხა გეგმის მასშტაბური ორსართულიანი ბანიანი ნაგებობის არსებობა, რომელსაც ირგვლივ ქანობიან სახურავიანი ღია აივნები შემოსდევს. ახალ შენობას სარდაფიანი სახლიდან მცირედი დაშორებით, ვართანოვის ნაკვეთზე მითითებული ცარიელი ეზო და სავარაუდოდ, პროექტზე აღნიშნული, მეზობლად მდებარე კაპიტან გიორგი ყორღანოვის ნაკვეთის ადგილიც დაუკავებია. ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვის მიერ ცოტა მოგვიანებით გადაღებული პანორამა (სურ.8), რომელიც ველიამინოვის ქუჩასა და ქალაქის მთავარ ნაწილს წარმოგვიდგენს, დიდი მრუდის კუთხესთან კვლავაც დაბალ, ბანიან მოცულობას აჩვენებს, რომლის შიდა ნაწილზე უკვე დაშენებულია ცალფერდა სახურავიანი მეორე სართული და მასზე მიბჯენილია დ. ნიკიტინის ფოტოდან ცნობილი ვრცელბანიანი, ამ დროისთვის უკვე ქანობიანი გადახურვით დასრულებული დიდი სახლი.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია, ასევე, ტექ.ბიუროს ანაზომები, რომელიც 1957 წელს არის შესრულებული (ნახ.2). კედლების სიგანე მიანიშნებს. რომ ქუჩების გადაკვეთისკენ მოქცეული შენობის ნაწილის სარდაფი უფრო ძველი უნდა იყოს და ის არა მხოლოდ საცხოვრებელი სართულების ქვეშ, არამედ სახლის უკან შემავალი გასასვლელის



ნახ. 3. №20/6 სახლის ტექ.ბიუროს ანაზომი, პირველი სართულის გეგმა, 1957


ქვეშაც ვრცელდება. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ იგივე კონფიგურაცია იკითხება პირველი სართულის გეგმაზეც, რომელზეც სახლის უკან შემავალი გასასვლელის არეში, შენობის ამ ნაწილის თავსა და ბოლოში არსებული ოთახები გადახაზულია და ცვლილების თარიღითაა დამოწმებული (ნახ.3). ძნელია დანამდვილებით თქმა, ეს აღნიშვნა გამოზიდული ოთახების ამ დროს მონგრევამ ხომ არ გამოიწვია, თუმცა ის უტყუარად მიუთითებს საერთო მოცულობის დანაკარგებზე.

შ. დადიანისა და მ. ლერმონტოვის ქუჩების კუთხის საცხოვრებელი სახლის ტრანსფორმაციის პროცესის სრულად აღდგენა ძნელია. ამას კიდევ უფრო ართულებს გვერდით მდგარი დიდი სახლის (მ. ლერმონტოვის ქ. №4) საძირკვლიანად დანგრევა. თუმცა, მოცემული მასალის შეჯერებით აშკარა ხდება, რომ №20/6 სახლის რთული გეგმარების მიზეზი საარქივო პროექტზე ნაჩვენები, ჭადრაკულად განლაგებული მოცულობებისა და ეზოების თანდათანობით გამთლიანება და ასევე, სართულების რიგრიგობით დამატება გამხდარა. ჩანს, მშენებლობის ერთ-ერთ ეტაპზე განხორციელებულა ძველსარდაფიანი სახლისა და გვერდით აგებული, სავარაუდოდ, ქარვასლის ტიპის ნაგებობის შერწყმაც, რა დროსაც მომხდარა მაშინდელი ინტერიერის შეისრულნიშებიანი კომპოზიციით გაფორმება რომელიც დღეს სახლის უკანა ფასადზეა მოქცეული და იპყრობს საყოველთაო ყურადღებას.

აბო თბილელის ქ.№3

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №201, ანაწერი №1, დოკუმენტი № 2744, 1872 წელი.
პროექტზე წარმოდგენილი შენობა აღარ არსებობს.

ცნობილია, რომ საარქივო დოკუმენტებში შემონახული არქიტექტურული პროექტის განხილვის დროს გასათვალისწინებელია სხვადასხვა ფაქტორები. მაგალითად, შესაძლებელია შენობა იმთავითვე პროექტიდან გადახვევით ააგეს ან საერთოდ არ განხორციელდა, საცხოვრებელი სახლი აღარ არსებობს ან იმდენადაა შეცვლილი გვიანდელი დანამატებით, რომ რთულია მისი პროექტთან დაკავშირება.



სურ. 1. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №201, ანაწერი №1, დოკუმენტი №2744, საცხოვრებელი სახლის პროექტი

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, 1872 წლის 4 იანვარს თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა თბილისის საგუბერნიო სამმართველოს სამშენებლო განყოფილებაში განხილული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის საპატიო მოქალაქის არტემ ბაისაგალოვის (Байсагалов) კუთვნილ მიწებზე მდებარე შენობაზე ფლიგელის მიშენებას, ქალაქის I ნაწილის 6-ე უბანში, აბას-

აბადის მოედანზე. რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტს ახლავს სახლის მფლობელის – „პატომსტვენის პაჩოტნის მოქალაქე არტემ ბაისაგალოვის“ მიერ ქართულ ენაზე შესრულებული და ხელმოწერით დადასტურებული მინაწერი, რომ შენობა პროექტის მიხედვით აშენდება, არქიტექტორის გვარი გაკრული ხელითაა შესრულებული და არ იკითხება (სურ.1).

დოკუმენტი მოიცავს არტემ ბაისაგალოვის სახლის და მის მეზობლად მდებარე შენობების განლა-



სურ. 2. აბო თბილელის ქ. საცხოვრებელი სახლი №3, შიდა ეზო, 2007



სურ. 3. ლ.გუდიაშვილის მოედანი, აღმოსავლეთი მხარე, ისრით მინიშნებულია ახალი საცხოვრებელი სახლი. 2005



სურ. 4. შუა საუკუნეების სადგომი აბო თბილელის №3 საცხოვრებელი სახლის ნაადგილეზე. 2020


გების გენგეგმას, რომლის მიხედვით, ნაგებობები, სადაც აღნიშული საცხოვრებელი სახლები იდგა, მდებარეობდა აბას-აბადის მოედანსა და დიდ მრუდე ქუჩას (Большая кривая улица) შორის მოქცეულ მონაკვეთზე. გენგეგმაზე წარმოდგენილი შენობების მიხედვით კი ირკვევა, რომ სახლი უნდა მდგარიყო შიდა ეზოში. ეზოს საერთო სარგებლობის მქონე ნაწილი დიდი მრუდე ქუჩისკენ იხსნებოდა, რომელიც დღევანდელი აბო თბილელის ქუჩაა. გენგეგმაზე ისიც გარკვევითაა წარმოდგენილი, რომ აბას-აბადის მოედნის მხარეს შენობა მხოლოდ სადარბაზო შესასვლელის ვიწრო ფასადით გადიოდა.

პროექტში ჩართულია ერთსართულიანი შენობის გეგმა, ფასადი და ერთ-ერთი სადგომის ჭრილი, სადაც ნაჩვენებია სარდაფი დეტალიზაციის გარეშეა მოცემული. გეგმის მიხედვით, ნაგებობა წარმოადგენდა ერთმან ანფილადს, რომელიც სამი მხრიდან უვლიდა შიდა ეზოს, საითაც ის სვეტებიანი აივნით იხსნებოდა; ნაგებობის ყველა ოთახს აივნიდან ჰქონდა შესასვლელი; ამავე მხარეს გამოდი-


ოდა მშვილდათაღიანი ფართო ღიობები. შენობის ბურგის კედელზე, რომელიც კედლის ნიშებით და ბუხრებითაა დანაწევრებული, ღიობები არ ჩანს. პროექტზე ცალკეა გამოტანილი სახლის სადარბაზოს ნახაზი. ეს არის პარაპეტით დასრულებული სწორკუთხა ღიობი ორფრთიანი კარით. სადარბაზოს ფასადი ნალესობაში გამოყვანილი რუსტებით და გეომეტრიული მოხაზულობის დეტალებით უნდა ყოფილიყო გაფორმებული.

პროექტზე წარმოდგენილ შენობას ჩვენამდე არ მოუღწევია. 2007 წლის ინვენტარიზაციის დროს შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, აბო თბილელის №3-ის შიდა ეზოში მდგარი „სახლი ეზოს სამი მხრიდან შემოსაზღვრავს და ჭვირული დეკორატიული ელემენტებით შემკული აივნებით იხსნება მის სივრცეში. აივნების სისტემა მხოლოდ შენობის მეორე სართულზეა შემორჩენილი. I სართულის მონაკვეთი კედლით არის შეცვლილი ან შემინულია“¹ (სურ.2). 2015 წლის ინვენტარიზაციის დროს შედგენილ ბარათში კი აღნიშნულია, რომ ავარიული მდგო-

¹ ნ. ნაცვლიშვილი, აბო თბილელის ქ. №3/გუდიაშვილის მოედანი №8 შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, 2007 წ. დოკუმენტი ინახება თბილისის განვითარების ფონდში.



ნახ. 1. შუა საუკუნეების სადგომი აბო თბილელის №3 საცხოვრებელი სახლის ადგილზე



ნახ. 2. შუა საუკუნეების სადგომი აბო თბილელის №3 საცხოვრებელი სახლის ადგილზე



სურ. 5. ახალი შენობა აბო თბილელის №3 საცხოვრებელი სახლის ადგილზე. 2025

მარეობის გამო, 2008 წელს განხორციელდა აბო თბილელის №3 შენობის დემონტაჟი, რის შემდეგ ამ ადგილზე წარმოიქმნა ცარიელი ადგილი². როგორც ჩანს, კიდევ უფრო ადრე მოიშალა ბაისაგალოვის სახლის მოედანზე გამოტანილი სადარბაზო, რომლის ადგილზე ახლა სხვა შენობა დგას (სურ.3).

2020 წელს, დანგრეული შენობის ადგილზე დაიწყო სამშენებლო მოედნის მომზადება ახალი სახლის ასაგებად, რაც მიწის სამუშაოების თანმხლებ არქეოლოგიურ ზედამხედველობასაც ითვალისწი-


ნებდა. აბო თბილელის №3 შენობის ნაადგილეზე გაიწმინდა მიწის ფენით დაფარული გვიანი შუა საუკუნეების სათავსი, თაღოვანი ნიშებით დანაწევრებული კედლებით და ნაწილობრივ შერჩენილი კამარით (სურ.4). ძველი ნაგებობის აღმოჩენილი ფრაგმენტები გრაფიკული სახით დაფიქსირდა და დამუშავდა „არტესტუდო პროექტის“ სახელოსნოში და ჩაერთო არქეოლოგიურ ანგარიშში³. მოგვიანებით ამ ადგილზე ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა (სურ.5).

² ე. ტყეშუაშვილი, აბო თბილელის ქუჩა- ლ. გუდიაშვილის მოედანი, №3/8, 2015 წ., სააღრიცხვო ბარათი ინახება იკომოს საქართველოს ეროვნული კავშირის ოფისში.

³ თ. ბუნურაძე, ანგარიში, 29.06.2020, დოკუმენტი ინახება თბილისის განვითარების ფონდში.

ცარიელი ადგილი ბ.ახოსპირელის II ჩიხის ბოლოს

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 192, ანაწერი № 8ა, დოკუმენტი № 3783, 1893 წ.
პროექტზე წარმოდგენილი შენობა აღარ არსებობს



სურ.1. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №192, ანაწერი №8ა, დოკუმენტი №3783

1893 წლის საარქივო დოკუმენტზე წარმოდგენილია არსებულ ორსართულიან სახლზე დაშენების პროექტი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ თბილისის 5-ე უბანში, მოლნინის შესახვევში, ეკატერინე ტერ – პოლოსოვას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. საპროექტო დოკუმენტაციაში ჩართული გენ-გეგმის მიხედვით, საცხოვრებელი სახლი სამი მხრიდან სხვა შენობებით იყო გარშემორტყმული და მხოლოდ მოლნინის შესახვევისკენ (დღევანდელი ბეგლარ ახოსპირელის ჩიხი) იხსნებოდა სვეტებიანი ღია აივნით, რომელიც ეზოს პერიმეტრს მიუყვებოდა. ბურგის მხრიდან შენობა სხვა ნაგებობაზე იყო მიდგმული (სურ.1).

ლადო გუდიაშვილის მოედნის დასავლეთით განვითარებული ჩიხებიდან, I და II სწორად ვი-



სურ.2. ცარიელი ადგილი ბ.ახოსპირელის ჩიხის ბოლოს. 2015



სურ.3. ბ. ახოსპირელის ჩიხები და მიმდებარე ქუჩები. 2025

თარდება ხოლო მესამე გამრუდებულია (სურ.2). პროექტზე წარმოდგენილი მდებარეობა ყველაზე მეტად II ჩიხისას შეესაბამება, რომელიც შალვა დადიანის ქ. №24-26 საცხოვრებელი სახლების ეზომდე გრძელდება. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ახოსპირელის II ჩიხის კენტნომრიანი შენობების ბოლოს იქმნება ცარიელი ადგილი, რომელიც ლითონის ბადითაა შედობილი და ნაწი-

ლობრივ გვიანდელი მინაშენებითაა შევსებული, რომლებიც ახოსპირელის III ჩიხი, №5 შენობის ბურგის კედელზეა მიდგმული (სურ.3). ცარიელი ადგილი არასაკმარისია ეზოიანი სახლის გასამართად, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკატერინე ტერ-პოლოსოვას ყოფილი მიწის ნაკვეთის ნაწილს ახლა შეიძლება სხვა საცხოვრებელი სახლები იკავებდეს.


აბო თბილელის ქუჩა №2

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №192, ანაწერი №8ა, დოკუმენტი №5246, 1898 წ.

პროექტზე წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლი იდგა გია აბესაძის და აბო თბილელის ქუჩების გადაკვეთაზე.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, 1898 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სამმართველოში დაამტკიცეს, თბილისის 2-ე გილდიის ვაჭრის ბაგრატ ნიკოლოზის ძე შაქიევის ორსართულიანი სახლის პროექტი (სურ.1). შენობა უნდა აგებულიყო ქალაქის V უბანში, კათოლიკეთა და დიდი მრუდე ქუჩების გადაკვეთაზე, რაც დღევანდელ გია აბესაძის და აბო თბილელის ქუჩებს ემთხვევა.

რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტს ახლავს სახლის მფლობელის წერილობითი დაპირება, რომ მშენებლობის დროს არ მოხდება პროექტიდან გადახვევა. ქართულად შესრულებული ხელმოწერით დადსტურებულ ამ განცხადებაში სრულად იკითხება სახლის მფლობელის სახელი და გვარი – ბაგრატ შაქიევი. პროექტს ახლავს ნახაზების ავტორის და ადგილობრივი ინჟინრის (местный инженер) ხელმოწერა, რომელსაც სამხედრო ჩინი ჰქონია (подпоручик).



სურ.1. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №192, ანაწერი №8ა , დოკუმენტი №5246, 1898 წ.



სურ. 2. ლ. გუდიაშვილის მოედანი, აბო თბილელის ქ. №2 სახცოვრებელი სახლის დემონტაჟი.

პროექტი მოიცავს გენგეგმას, სამი სართულის გეგმას (სარდაფის ჩათვლით) და ერთ ჭრილს. გენგეგმაზე გამოსახულია ორი ქუჩის გადაკვეთაზე მდგარი შენობა და აბას-აბადის მოედნის (დღევანდელი გუდიაშვილის მოედანი) ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. შაქიევის სახლის სარდაფის სართულის ასიმეტრიული გეგმა მიანიშნებს, რომ პროექტი ამ ადგილზე არსებულ უფრო ძველ ნაგებობას უწევს ანგარიშს, რომელიც ნახაზებზე არ ფიქსირდება. საცხოვრებელი სახლის მიწისზედა ნაწილის მთავარი ფასადი სამწახნაგად გამოდის ორი ქუჩის შეერთების ადგილზე. აბას-აბადის მოედნის მხარეს გამომავალი პირველი და მეორე სართულების ოთახების განლაგება ორმაგ ანფილადს წარმოადგენს, სახლისადმი პერპენდიკულარულად მიმართული

ფრთა კი ეზოს სიღრმეში ვითარდება. სხვა დეტალებთან ერთად, პროექტის ჭრილზე საყურადღებოა შენობის სარდაფის სართულის ერთი სექცია, სადაც სრულდება სახლის ბოლო სართულიდან დაწყებული სარდაფამდე ჩამომავალი მილი რომელიც, წარწერის მიხედვით (В городскую канаву), ქალაქის საინალვრე-საკანალიზაციო არხს უერთდებოდა.

პროექტიდან მცირე გადახვევებით აგებულმა საცხოვრებელმა სახლმა, გარკვეული დანაკარგებით ბოლო დრომდე მოაღწია, მაგრამ ნაგებობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, ავარიულობის გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება შენობის დემონტაჟის და თავიდან აგების შესახებ, რაც განხორციელდა 2020-2022 წწ-ში (პროექტის ავტორი – გია ციციშვილი) (სურ. 2).

ბ.ახოსპირელის III ჩიხი / ბ.ახოსპირელის II ჩიხი, საცხოვრებელი სახლი №3/4

საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 192, ანაწერი № 8ა , დოკუმენტი № 4593, 1895 წ.

პროექტზე წარმოდგენილი შენობა აღარ არსებობს

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, 1895 წელს თბილისის საქალაქო სამმართველოში დაამტკიცეს თბილისის საპატიო მოქალაქის გრიგოლ შახბუდაგოვის (Шахбудагов) ერთსართულიანი (ნახევარსარდაფით) სახლის პროექტი. შენობა უნდა აგებულიყო თბილისში, 5-ე, უბანში, ორ ჩიხს შორის (между глухими переулками). სახლის მფლობელის ხელმოწერით დადსტურებულია, რომ მშენებლობის დროს არ მოხდება პროექტიდან გადახვევა (სურ.1). პროექტში ჩართული გენგეგმის მიხედვით, შახბუდაგოვის სახლის აღმოსავლეთით მდგარა ხოჭავას საცხოვრებელი სახლი, რომელიც მთავარი ფასადით მოედნის მხარეს იყო მიმართული, საპროექტო სახლის დასავლეთით კი რაიმე ნაგებობა არ არის მონიშნული. შენობა მოქცეულია ორ ჩიხს შორის, მათგან ერთ-ერთი სწორხაზოვნად ვითარდება, მეორე კი გარკვეულ მონაკვეთში მრუდ-

დება. ეს უნდა იყოს ახლანდელ ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხსა და II ჩიხს შორის მოქცეული ადგილი, სადაც ახლა 2006 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი №3/4 დგას.

გარდა გენგემისა, პროექტი მოიცავს სახლის გეგმას, ფასადს და ჭრილს. შენობის Γ-ს მოხაზულობის გეგმა ერთმაგ ანფილადს წარმოადგენს, მიწისზედა სართულის და ნახევარსარდაფის გეგმები ერთმანეთის იდენტურია. ამ უკანასკნელის ფანჯრები საკმაოდ ამოწეულია მიწის დონიდან, რაც, ალბათ, კარგ განათებას უზრუნველყოფდა. პირველ სართულს ეზოს მხრიდან ერთიანი აივანი შემოუყვება, ხოლო ერთ-ერთი ჩიხის მხარეს მიმართული მთავარი ფასადის კიდურა ნაწილები პარაპეტით დასრულებული რიზალიტებითაა ხაზგასმული. პროექტის ჭრილში ნაჩვენებია სახლიდან მოშორებით ამოთხრილი საკანალიზაციო ჭა, რომელიც მილით უკავშირდება სარდაფის სართულს.

**საქართველოს ისტორიული ქალაქების
ურბანული მემკვიდრეობის ზოგადი მიმოხილვა**

(ახალციხე, სიღნაღი, გორი)

სურ.2. ახალციხის ძველი და ახალი ნაწილი მდინარე ფოცხოვის ნაპირებზე.



ახალციხე



სურ. 1. ახალციხის ციხე და რაბათი, საერთო ხედი. 2023

მდინარე ფოცხოვის ხეობაში მდებარე ქალაქი ახალციხე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონული ცენტრია. მნიშვნელოვანი ქალაქის სახით ის შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა¹. XIV-XVI სს-ში ახალციხე საქართველოს განაპირა ისტორიული მხარის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც ქართული ფეოდალური საგვარეულოდან წარმომდგარი ჯაყელები განაგებდნენ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე შეფენილი ძველი ახალციხის რელიეფი კლდოვანი ზედაპირით და სიმაღლის დონეთა მკვეთრი ცვალებადობით ხასიათდება, რომელსაც გვირგვინივით ადგას ზღუდეშემოვლებული ციხე. ვახტანგ ბერიძის ადრე გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მისი ბირთვი, XIV-XVI სს-ის უნდა იყოს², 2012 წლის მეთოდური დარღვევებით ჩატარებული რეკონსტრუქციის გამო მკვლევრის მიერ გამოთქმუ-

ლი ამ ვარაუდის დადასტურება და ციხის სამშენებლო ფენების გარკვევა ახლა გართულებულია³.

მდინარის მარჯვენა ნაპირის ვაკეზე გაშლილი XIX ს-ის განაშენიანებიდან მკვეთრად გამოირჩევა შემადლებულ ადგილზე მდებარე მარდის უბანი, საიდანაც ქალაქის ორივე ნაწილი მოჩანს. XVI ს-ის დასასრულის საისტორიო წყაროს მიხედვით, აქ ზემო და ქვემო მარდის დასახლება ყოფილა⁴. აქედან ხელისგულივით იშლება მარცხენა სანაპიროს ამფითეატრივით გაშლილი ძველი ახალციხის ხედი, რომლის წინა პლანზე ციხე და ციტადელი მოჩანს. ახალციხის 1855 წლის რუკაზე მარდა აღნიშნულია როგორც ქალაქის გარეუბანი, ხოლო 1873 წლის რუკაზე ის უკვე ახალციხის მარჯვენა სანაპიროს განაშენიანების ნაწილია (სურ.1-3) სავარაუდოა, რომ ისევე როგორც მდინარის სხვადასხვა ნაპირებზე

¹ ახალციხის ურბანული განვითარების შესახებ იხ., ნ.ნაცვლიშვილი, ახალციხე, წიგნში: *საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება, 1801-1918 წლებში, დავით ხოშტარიას საერთო რედაქციით*, თბ., 2019, გვ. 231-365

² ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები*, თბ., 1955, გვ. 21.

³ იხ., მ. სურამელაშვილი, ისტორიული არქიტექტურის მეთამორფოზა, *rcchd.icomos.org.ge, Heritage Conservation Regional Network Journal, №2, 2013*.

⁴ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ.48-49;



სურ.3. ახალციხე და მიდამოები, 1873 წლის გეგმის ფრაგმენტი, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №201, ანაწერი №1, დოკ. №4086

მდებარე ნარიყალას და ისნის ციხეები თბილისში, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მარდა ჩართული იყო ახალციხის დაცვის ერთიან სისტემაში.

XVII-XVIII სს-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწების დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიის ჩილდირის ვილაიეთის (ახალციხის საფაშოს) საზღვრებში მოექცა, სადაც შედიოდა საქართველოს ისტორიული მხარეები: სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ტაო და აჭარის ნაწილი⁵. ახალციხის საფაშოს მართვა ოსმალებმა ისევ ჯაყელებს მიატოვეს. მათი რეზიდენცია მდებარეობდა ახალციხის ციხის ციტადელში, ხოლო ქვედაციხის ტერიტორიაზე სახლობდნენ დიდმოხელეები და მდიდარი ვაჭრები, აქვე უნდა ყოფილიყო ციხის დამცველთა გარნიზონი. რიგით მოსახლეებს და ვაჭარ-ხელოსნებს ზღუდის მიღმა მდებარე ტერიტორია ეკავა. საქმიანი ცენტრები განლაგებული იყო ქალაქის გამაგრებული ნაწილის კარიბჭეების სიახლოვეს.

მოგზაურთა მიერ აღწერილი ხანიდანვეა შემჩნე-

ული ახალციხის მრავალეთნიკური მოსახლეობა. ეთნიკურმა და რელიგიურმა ფაქტორმა ახალციხის ძველი სამოსახლო უბნების ჩამოყალიბებაზე იქონია გავლენა, რადგან მოსახლეობა ძირითადად საკუთარი აღმსარებლობის სამლოცველოების მიდამოებში ჯგუფდებოდა. 1672 წელს ჟან შარდენი აღნიშნავდა, რომ ახალციხეში ცხოვრობენ თურქები, ქართველები, სომხები, ბერძნები და ებრაელები⁶. აღსანიშნავია, რომ ეს მრავალფეროვნება დღემდე შემოინახა ქალაქმა⁷.

XVIII-XIX სს-ში კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერია რუსეთის იმპერია. 1828 წლის მწვავე შეირაღებულმა დაპირისპირებამ, რომელსაც რუსი გენერალი ივანე პასკევიჩი ხელმძღვანელობდა, ახალციხის მოსახლეობის ნაწილი შეიწირა, დიდი ზიანი მიაღწა ქალაქს. 1829 წელს აჰმედ ბეგ ხიმშიაშვილმა შემოუტია ახალციხეს აჭარიდან⁸. როგორც თვითმხილველი გვიამბობს, „აჭარელი სელიმ ფაშის შვილი აჰმედ ბეგი მოვიდა ახალციხე-

⁵ საქართველოს ისტორიული ატლასი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2016, გვ. 46, 47, 49, 54, XVII-XVIII, XIX, XX.

⁶ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 272

⁷ ს. სალაძე, ძველი, ჭრელი ახალციხე, 2021

⁸ ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 236, სქ., 24.



სურ.4. ახალციხე, ხარისტირაშვილის ქ., ძველი აბანო, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. 2023

გე, რომ ციხე უნდა აეღო...“⁹. აჰმედ ბეგმა ციხე ვერ ჩაიგდო ხელში, მაგრამ ქალაქი ისევ გაიძარცვა, დაინგრა სავაჭრო შენობები, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ახალციხის ციხეს, ციტადელს, მოხელეთა საცხოვრებლებს და სასახლეებს. ქალაქში ომამდე აღრიცხული 4 500 საცხოვრებელი სახლიდან, მხოლოდ 1151 სახლი შემორჩა¹⁰. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან კი ერთ დროს მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარე ახალციხე, „...რუსულ საბაჟოებში ჩაკეტილი აღმოჩნდა. იგი აღარ მდებარეობდა სავაჭრო გზებზე“¹¹. ქალაქი თანდათან დატოვა არამკვიდრმა მოსახლეობამ¹². ყოველივე ამან გამოიწვია საქალაქო ცხოვრების დაცემა, ადრე არსებული სავაჭრო და სამოსახლო ადგილების მოშლა და ურბანული ქსოვილის რღვევა.

ძველი ახალციხის მთავარ საქმიან ცენტრს და

ბაზრის ადგილს წარმოადგენდა ციხის მთავარი კარიბჭის მიმდებარე ტერიტორია ახალციხის ციხის ჩრდილო-დასავლეთით. ბაზრობის ტერიტორიაზე იყო განლაგებული XVIII სს-ის ისლამური აბანო, ციხისგარეთა მეჩეთი, ქარვასლა, დუქნები, სახელოსნოები¹³. აღნიშნული ნაგებობებიდან მხოლოდ დიდი აბანოს სახელით ცნობილი შენობაა შემონახული (ხარისტირაშვილის ქ. №6)¹⁴, რომელიც შუა საუკუნეების პერიოდის ახალციხის სავაჭრო ცენტრის ერთადერთი შემორჩენილი, ძლიერ დაზიანებული და უფუნქციო ნაგებობაა. როდის და ვის მიერაა აგებული შენობა საისტორიო წყაროებით არ დგინდება. სავარაუდოა, რომ აბანო ააგეს XVIII ს-ის შუა ხანებში, ჰაჯი აჰმედ ფაშის მმართველობის პერიოდში. აბანოს ცალ-ცალკე სივრცეები გააჩნდა ქალებისა და მამაკაცებისთვის, თავისივე დამოუკი-

⁹ ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე (იოანე ხოჭაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ., თბ., 2015, გვ. 250.

¹⁰ შ. ლომსაძე, საცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე), ახალციხე, 2011, გვ.453.

¹¹ იქვე, გვ.467.

¹² მათ შორის იყვნენ მუსლიმური აღმსარებლობის მოქალაქეები. 1850 წლის მონაცემებით, ახალციხეში სულ 18 მუსლიმია აღრიცხული. იხ., *Кавказский Календарь 1851* (на 1852 г.), Тифл., 1851, გვ. 283.

¹³ ახალციხური ქრონიკები, გვ. 250.

¹⁴ ელექტრონული გამოცემა : საქართველოს ისლამური აბანოების კვლევა-დოკუმენტირება სამცხის და კახეთის რეგიონებში, 2023. <https://openarchive.icomos.org.ge>.



სურ.5. ახალციხის ციხე და მიმდებარე განაშენიანება, XIX-ის 70-იან წლებში, ელიფსით მონიშნულია ციხისძირის აბანო.

დებელი შესასვლელებით. აბანოს ცალკეული სათავსები გუმბათებით და ცილინდრული კამარებითაა გადახურული. შენობაში შემორჩენილია კერამიკული წყალსადენის ფრაგმენტები, რომელიც ორ ფენად დალაგებული გათლილი ქვის ფილების ქვევით იყო გაყვანილი. შენობის აღმოსავლეთი ფასადი განსაკუთრებითაა გაფორმებული, რისთვისაც, გამოყენებულია ამ მიდამოებში ადრე არსებული ეკლესიებიდან ჩამოსხნილი თლილი კვადრები, სარკმლის მოჩუქურთმებული ფრაგმენტები, რომელთა თარიღი XIII-XIV საუკუნეებზე გვიანდელი არ არის.

ახალციხის მეორე ბაზრობა იმართებოდა ახლანდელი ციხისძირის ქუჩის მიდამოებში, ციხის მეორე კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიაზე, ებრაელების უბან დარამალაში (დარამაჰლა)¹⁵. ციხისძირის ქუჩა ექვთიმე ათონელის მაგისტრალის მოპირდაპირე მხარეს იკავებს, სადაც სახლების ნუმერაცია მიმდევრობითაა დალაგებული. აქაც XVII-XVIII სს-ის ისლამური აბანო იდგა, რომლის გუმბათები ქალაქის მეორე ნაპირიდან მოჩანდა, მის ზევით, მთის ფერდზე ტერასულად დალაგებული ბანიანი საცხოვრებელი სახლები იყო შეფენილი. აბანოს გადარჩენილი ფრაგ-

მენტები ახლა ციხისძირის ქუჩაზე მდგარი სახლების (№№5,6) სარდაფსა და პირველ სართულზე ვრცელდება (სურ.4,5). აბანოს გეგმა, შენობის დიდი ზომა და ახალციხის ციხის ერთ-ერთ კარიბჭესთან სიახლოვე მიუთითებს, რომ ახალციხის ციხის ძირს მდებარე აბანო საზოგადოებრივი (საყოველთაო) მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. შენობაში არ ჩანს ერთმანეთისაგან იზოლირებული განყოფილებები ქალთა და მამაკაცებისათვის. ისევე როგორც ახალციხის დიდი აბანო, ქალაქის ციხის ძირის აბანოს შენობაც XVII-XVIII საუკუნეებზე გვიანდელი არ არის. ისლამური აბანოების ხუროთმოძღვრული თემა სამცხეში ქვეყნის გარედანაა შემოტანილი, მაგრამ მშენებლობაში ადგილობრივი ოსტატები მონაწილეობდნენ. როგორც ახალციხის დიდი აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე, აქაც სავაჭრო ადგილები და ბაზარი უნდა ყოფილიყო. თვითნასწავლი მხატვრის შალომ კობოშვილის (1876-1941) ერთ-ერთ ფერწერულ ტილოზე, სახელწოდებით „ებრაელთა ბაზარი ახალციხეში“, გამოსახულია ბრტყლად გადახურული დუქნები, რომლებსაც ხის მორეზზე დაწყობილი ძლიერად შვერილი სახურავები აქვს¹⁶.

¹⁵ გ. ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, გვ. 166, 188. საინტერესოა, რომ დარამაჰლა ეწოდება უდიდების დასახლებას, რომელიც მდებარეობს აზერბაიჯანში, დაბა ნიჭში (ქაბალის რ-ნი), <https://enacademic.com/dic.nsf/enwiki/11817379/>

¹⁶ ფერწერული ტილო დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშაის სახელობის მუზეუმში.



სურ.6. ახალციხე, ე.ათონელის ქ. №16, საცხოვრებელი სახლი, ფასადი. 2023

* * *

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ახალციხეში ქალაქის ორივე ნაპირზე მიმდინარეობდა მშენებლობა. რეგულარული გეგმარების მქონე მარჯვენა სანაპიროზე თანდათან ჩამოყალიბდა ახალი საქმიანი ცენტრები. ახალციხის ამგვარი განვითარება ძველი თბილისის გარეთუბანისკენ ზრდას წააგავს, თუმცა განსხვავება საკმაოდ დიდია. თბილისი შედარებით ადრე განთავისუფლდა შუა საუკუნეების დამცავი ზღუდეებისაგან და უკან მოიტოვა ძველი ციხეები. ახალციხის ციხემ კი ხანგრძლივად შეინარჩუნა არა მარტო ქალაქის ურბანული დომინანტის და საქალაქო ცხოვრების განმსაზღვრელის როლი, არამედ სათავდაცვო ნაგებობის პირდაპირი ფუნქცია¹⁷, რაც კარგად გამოჩნდა 1828-1829 წწ-ების საომარი მოქმედებების დროს. გარდა ამისა, თბილისი სატახტო ქალაქი იყო და მისი საცხოვრებელი უბნების ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა სამეფო რეზიდენციის მდებარეობის ცვლილებამ, რაც ქალაქის ფუნქციური ცენტრების გადანაწილებას იწვევდა¹⁸.

1870-იანი წლების დასაწყისიდან ახალციხის და ზოგადად, რეგიონის არქიტექტურულ სახეზე ზრუნვა პროფესიულად განსწავლულ არქიტექტორებს დაევალა, რომლებსაც სპეციალურად შემუშავებული წესებით არჩევდნენ. კანდიდატს უნდა წარმოედგინა ცნობები მისი სოციალური წარმომავლობის, განათლების, შესრულებული სამუშაოების შესახებ და სხვა¹⁹. 1870-იანი წლებიდან ახალციხეში ჩნდება არქიტექტურული პროექტებით აგებული საცხოვრებელი სახლები, რომელსაც თბილისის საგუბერნიო სამმართველო ამტკიცებდა²⁰. ამ პერიოდის ზოგიერთი შენობა ახლაც შემორჩენილია. მათ შორისაა ე.ათონელის ქ. №16, წარწერის მიხედვით 1871 წლით დათარიღებული ორსართულიანი სახლი ძველ ახალციხეში (მანანა ივითხანაშვილის საკუთრება). ნაგებობა მდებარეობს მოედანზე, სადაც არაერთი ქუჩა იყრის თავს. შენობას ჰქონდა ქუჩის მხარეს გახსნილი ღია აივანი, სადაც გისოსებაკრული ფანჯრის და კარის ღიობები გამოდიოდა. ახლა აივანი შემინულია, ხოლო პირველი სართულზე გვიანდელი ჩაშენებებია დამატებული.

¹⁷ ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება*, გვ. 21.

¹⁸ ვ. ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, თბ., 2014, გვ. 397.

¹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი, 201, ანაწერი 1, საქმე № 276, 1869 წ.

²⁰ Дело Тифлиского губернского правления об утверждении проектов в частях проектов в Ахалцихском уезде 1877, საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 204, ანაწერი 1, საქმე № 346.



სურ.7. ახალციხე, ე.ათონელის ქ. №16, საცხოვრებელი სახლი, სადარბაზო. 2023

ფლეთილი და თლილი ქვით ნაგები შენობის კარის და ფანჯრის ღიობების წირთხლები დახრილია და ინტერიერიდან გარეთ ფართოვდება. სართულები ერთმანეთს უკავშირდება ხის შიდა კიბით, პირველი სართული ძირითადად სამეურნეო და სავაჭ-



სურ.9. ახალციხე, გოგებაშვილის ქ. №22, საცხოვრებელი სახლი, ფასადი. 2023




სურ.8. ახალციხე, გოგებაშვილის ქ. №22, საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარი. 2023

რო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებულად საყურადღებოა საცხოვრებელი სახლის ქუჩიდან შესასვლელის გაფორმება. ეს არის თლილი ქვის თაღოვან საპირეში მოქცეული ორ ნაწილად გაყოფილი კომპოზიცია. ქვევით სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული მასიური ხის ორფრთიანი კარია ჩასმული. თაღოვანი ზედა ნაწილის გლუვი ზედაპირიდან მცირედ ამოზიდული კვადრატული მოყვანილობის სიბრტყის ცენტრი წრიულ ღიობს უკავია, რომლის თავზე მოთავსებულია ნაკანრით შესრულებული თარიღი 1871 და ებრაული ანბანის სამი ასონიშანი. კვადრატის ქვედა მორკალულ კუთხეებში ვარდულებია ჩართული, შესასვლელის ხის კარი ლითონის ორი ზოლით და მოქლომებითაა გაფორმებული (სურ. 6-8). 1870-იანი წლებში უნდა იყოს აგებული აგრეთვე ნაწილობრივ შემონახული ერთსართულიანი სახლი გოგებაშვილის ქუჩაზე (№22), რომელიც წმ. მარინეს ეკლესიის გალავანის ქვევით მდებარეობს (სურ.9). 1877 წლითაა დათარიღებული საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული პროექტი, რომლის მიხედვით, ქალაქის ახალ ნაწილში გათვალისწინებული ყოფილა ახალციხის მოქალაქის



სურ.10. ი.მასისურადის მინერალური წყლების ქარხნის პროექტი, ფასადი, 1877 წ.,საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №204, ანაწერი №1, დოკ. №346.



სურ.11. ი.მასისურადის მინერალური წყლების ქარხნის პროექტი, გეგმა, 1877 წ.,საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №204, ანაწერი №1, დოკ. №346.



სურ.12. ახალციხე, ა. ყაზბეგის ქ. №26, საცხოვრებელი სახლის ეზოს ფასადი. 2023



სურ.13. ახალციხე, ა. ყაზბეგის ქ. №26, საცხოვრებელი სახლი, დედბოძი სარდაფში. 2023



სურ.14. ახალციხე, ყაზბეგის ქ. №26, საცხოვრებელი სახლი, ერთერთი ოთახის ჭერის გაფორმება. 2023



სურ.15. ახალციხე, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე ჩიხი, დარბაზი, ინტერიერი. 2023



სურ.16. ახალციხე, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე ჩიხი, დარბაზის არასრულად შემონახული გვირგვინი. 2023



სურ.17. დაწნეხილი მიწის ბლოკებით ნაგები სახლი ხარისტირიშვილის ქუჩაზე.



სურ.18. დაწნეხილი მიწის ბლოკებით ნაგები სახლი ხარისტირიშვილის ქუჩაზე.

ივანე მაისურაძის მინერალური წყლების ქარხნის აგება. პროექტის მიხედვით, ამავე შენობის ფარგლებში იყო განთავსებული მეპატრონის ოჯახის საცხოვრებელი ფრთა²¹ (სურ.10,11).

ახალციხის ბანიანი სახლების უმეტესობა ახლა დახრილსახურავიან ნაგებობადაა გადაკეთებული. ალექსანდრე ყაზბეგის ქ. №26 საცხოვრებელი სახლის (ალექსი ხითარიშვილის საკუთრება) ბანზე, მობინადრის გადმოცემით, 70 სმ. სიმაღლის მიწის დატკეპნილი ფენა ყოფილა დადებული. ამ შენობას აქვს სარდაფი, სადაც განთავსებულია ვიწრო სივრცეში აღმართული დედაბოძი. ამავე საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ოთახის ჭერი გაფორმებულია თხელ ფიცარზე შესრულებული დეკორაციული შემკულობით, რომლის განმეორებადი დეკორატიული მოტივები მისი შემსრულებლის ისლამურ სამყაროსთან კავშირს გვაფიქრებინებს (სურ.12-14).

ახალციხეში არ შემორჩენილა მუსლიმი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ძირეულადაა გადაკეთებული და ახლა ძნელად საცნობია. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში არსებულ ასეთ შენობას, რომელსაც მოსახლეობა „თათრის სახლს“ უწოდებდა, აღწერს გიორგი ბოჭორიძე²². აღმოსავლური ყაიდის ელემენტები ყოფილა შემორჩენილი ქალაქის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში. ადგილობრივი მცხოვრებლის გადმოცემით, ის 2021 წელს ჩატარებული რემონტის დროს დაუფარავთ.

რაც შეეხება ახალციხის ძველ საცხოვრებელ სახლებს, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ახალციხის-

თვის მნიშვნელოვანი იყო დარბაზის არქიტექტურული თემა, რომელიც აქ გვიანობამდე შემორჩა. 1930-იანი წლების მონაცემებით, გალავნის შიგნით არსებული დარბაზებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყირქესალიშვილის, სააკაძის და ლიჩელის დარბაზები²³. გიორგი ბოჭორიძის მიხედვით, მნიშვნელოვანი ყოფილა აგრეთვე მღებრიშვილის დარბაზი²⁴. ვინაიდან დარბაზი რეგიონული მასშტაბითაც პოპულარულობით სარგებლობდა, XIX ს-ში ერზრუმიდან ახალციხეში დასახლებულ სომხებსაც დარბაზული საცხოვრებელი სახლები უშენებიათ. მათი სახლები ვიწრო ფასადით გამოდიოდა ქუჩის მხარეს, სადაც კედლის ყრუ სიბრტყეს მხოლოდ გისოსებიანი ფანჯრები არღვევდა. საკუთრივ დარბაზი სამოსახლოს სიღრმეში ყოფილა განთავსებული, მისი გვირგვინი ქუჩიდან არ მოჩანდა. ნაკვეთის სიღრმეში განთავსებულ დარბაზის ირგვლივ კი სხვა სათავსები ჯგუფდებოდა²⁵.

დაახლოებით ასეთი გეგმარება აქვს წმ. მარინეს ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე ვიწრო ჩიხის მჭიდრო განაშენიანებაში ჩართულ, ფლეთილი ქვით და ხის მასალით ნაგებ ერთსართულიან კომლექსს, რომელიც დარბაზსაც მოიცავს (ციცო თათენაშვილის საკუთრება). ჩიხის მხარეს ის შელესილი ფასადით გამოდის, სადაც სწორკუთხა მოყვანილობის ორი ფანჯრის ღიობია განთავსებული. ნაგებობას გვერდიდან აკრავს ბაღი, საიდანაც ჯერ შუშაბანდში, ხოლო შემდეგ დერეფანში შეიძლება მოხვედრა, რომლის ორივე მხარეს თითო ოთახია განლაგებული,

²¹ Проект на постройку каменного двух-этажного дома для завода минеральных вод на внов отведенной городской земле Ив. Маисурадзе, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივის ცენტრალური არქივი, ფონდი 204, ანაწერი 1, საქმე №346.

²² გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ.188.

²³ ყირქესალიშვილის დარბაზი თბილისის ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმშია გადატანილი.

²⁴ გ.ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ.166.

²⁵ Л.Сумбадзе, архитектура грузинского народного жилища дарбазы, Тб,1984, გვ.225, ნახ.138; ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 243,244.

ხოლო ბოლოში – დარბაზი.

კვადრატული გეგმის მქონე (6მ. x 6მ.) დარბაზი დასრულებულია რვანახნაგა საფუძველზე დაყრდნობილი არასრული სიმაღლით შემონახული გვირგვინით, კვადრატული მოხაზულობიდან გვირგვინის რვანახნაგა საფუძველზე გადასვლა კუთხეებში დამატებული ჰორიზონტალური საყრდენებით ხორციელდება. ინტერიერის ქვედა ნაწილი გალესილი და შეღებილია, ხოლო ხის გარანდული ძელებისაგან შედგენილი გვირგვინი სპილოსძვლისფერი ზეთის საღებავითაა დაფერილი. დარბაზს გააჩნია სარდაფი, სადაც იატაკში გაჭრილი ღიობით შეიძლება მოხვედრა. შენობის თარიღი XIX-XX სს-ის მიჯნაზე ადრეულ პერიოდს არ გვაფიქრებინებს. გარდა მოკრძალებული ზომებისა, თათენაშვილების დარბაზი მდებარეობითაც განსხვავდება ახალციხის ცნობილი დარბაზებიდან. ის არ წარმოადგენს დახრილ რელიეფზე მდებარე, ზურგით მიწაში შეჭრილ ნაგებობას, რაც ძირეულად ცვლის არქიტექტურას (სურ.15,16). გარდა დარბაზებისა, ახალციხეში იყო დაწნეხილი მიწის ბლოკებით ნაგები და კირით შეთეთრებული სახლები,

რომელთაგან ერთ-ერთი დღემდეა შემონახული ხარისტირაშვილის ქუჩაზე (სურ.17,18).

იმავე მასალით ნაგები სახლი აღირიცხა ყაზბეგის ქუჩაზე (№46) 2011 წელს ჩატარებული დაფარვითი ინვენტარიზაციის დროს²⁶.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გვიან შუა საუკუნეებში ახალციხე მოწყვეტილი იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან, მაგრამ მისი ურბანული განვითარების ზოგადი ხაზი ძირეულად არ განსხვავდება საქართველოს ფეოდალური პერიოდის ქალაქებისაგან. ამასთან ერთად, ახალციხე ქვეყნის განაპირა მხარის ცენტრს წარმოადგენდა, რაც მხატვრული ტენდენციების და სამშენებლო ხერხების გარედან შემოტანას უწყობდა ხელს. საცხოვრებელ არქიტექტურაზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა დროს აქ მოსულმა, არაერთგვაროვანი კულტურის მატარებელმა მოსახლეობამ, რამაც ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციასთან ერთად, განსაზღვრა ახალციხის დღემდე დამახასიათებელი მრავალფეროვნება, განსაკუთრებული სპეციფიკა და ურბანული სახე.

²⁶ იხ., <https://memkvidreoba.gov.ge> .საქართველოს კულტურის სამინისტროს 2011 წელს შედგენილი სააღიფხვო ბარათი №19838, ბარათის შემდგენლები: გ.პატაშური, გ.მისრიაშვილი, ზ.გიორგაძე.



სურ.3. სიღნაღი, მაღაროს კარი, . 2023

სიღნაღი



სურ.1. სიღნაღი, ხედი ალაზნის ველზე. 2023

გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბორცვიანი კალთის დამრეც ფერდზე გაშენებულ ქალაქ სიღნაღიდან თვალუწვდენელი პანორამა იშლება ალაზნის ველზე, რომელსაც უწყვეტად გასდევს კავკასიონის ქედი, აქედანვე მოჩანს ნაირფერი ხალიჩასავით გაფენილი ლანდშაფტი დასახლებებით და სამეურნეო ნაკვეთებით. ეს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ძველი კამბეჩოვანის მხარეა, სადაც უძველესი დროიდან „...იხლართებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული ინტერესები“¹. ადრეულ პერიოდში მის პოლიტიკურ ცენტრს ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი წარმოადგენდა, რომელიც აქ გამავალ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალურ გზებს აკონტროლებდა. მოგვიანებით კამბეჩოვანის ცენტრმა მხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქიზიყში გადაინაცვლა (ახლანდელი სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები). არსებობს მოსაზრება, რომ ქიზიყი გეოგრაფიული პუნქტის და-

სახელება იყო, რომელიც შემდეგ მხარეზე გადავიდა, ხოლო მის ცენტრს სიღნაღი შეერქვა.

ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ (1744-1798) აქ ვრცელი ციხე-გალავანი ააგო, სადაც ლეკთა თავდასხმების დროს იხიზნებოდა მოსახლეობა. ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვებით, მან „...ზღუდე მოავლო მაღალთა გორათა ზედა ფრიად ვრცლად, რომელ დაეტევის სრულად ქისიყი დედა-წულითურთ...“². სიღნაღი თურქული სიტყვაა და თავშესაფარს, სახიზნოს ნიშნავს, რაც პირდაპირ მიუთითებს ნაგებობის სათავდაცვო ფუნქციაზე. მკვლევართა მოსაზრებით, სიღნაღის ციხის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა იმ სოფლების მოსახლეობა, რომელიც საშიშროების დროს აფარებდა თავს გალავანს. მათ წინასწარ ჰქონდათ შერჩეული ზღუდეში შესასვლელი კარი და კოშკი. XIX ს-ის დასაწყისის გეგმაზე ამ სოფლების სახელებიცაა აღნიშნული³. საისტორიო წყაროების მიხედვით, სიღნაღის ციხე-გალავნის მშენებლობა XVIII ს-ის მეორე ნახევარშივე დასრულდა⁴, მაგრამ მას XIX ს-ის დასაწყის-

¹ დ. მუსხელიშვილი, *ქიზიყის ძველი ისტორია*, თბ., 1997, გვ., 3.

² ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 542, სქ., 5.

³ პ. ზაქარაია, *კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები*, თბ., 1962, გვ. 66; ვ. ბერიძე, *XVI – XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება*, ტ., I, თბ., 1983, გვ. 83.

⁴ იქვე, გვ. 62.



სურ.2. სიღნაღი, მალაროს კარი, 1960-1970-იანი წწ.



სურ.4. სიღნაღი, ბეჟანიშვილის და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთა.

შიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა⁵. ამ ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობის ფუნქციიდან გამომდინარე, გალავნის შიდა ტერიტორია დაუსახლებელი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ქალაქ სიღნაღის ზრდა თავიდანვე იმგვარად წარიმართა, რომ სამოსახლოები ძირითადად მის გარეთ განვითარდა⁶. XIX ს-ის დასაწყისის გეგმაზე შენობათა უმეტესობა გალავნის სამხრეთითაა განლაგებული⁷ (სურ.1-3).

ხევებით დაღარულ რთულ რელიეფზე მორგებული 40 ჰექტარი ფართობის მომცველი გალავანი, რომელიც დღემდე განაპირობებს სიღნაღის ურბანულ სახეს. ძირითადად რიყის ქვითა და აგურის მცირე ჩანარებითაა ნაგები. მის კედლებში ჩართულია 23 კოშკი და ამდენივე კონტრფორსი⁸. ციხე-გალავნის სიახლოვეს ქალაქის წარმოშობისათვის ხელსაყრელი პირობები XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე შეიქმნა, როდესაც აქ არსებული სოფლური დასახლება თანდათან ქართლ-კახეთის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრად გადაიქცა⁹. XVIII ს-ის დასასრულიდან დაწყებული არაერთი მოგზაურის თუ სხვადასხვა ხასიათის ოფიციალურ პუბლიკაციებში უკვე იძებნება ცნობები სიღნაღის შესახებ¹⁰. თუ XVIII ს-ის ბოლოს სიღნაღში მხოლოდ 500-მდე სული ცხოვრობდა¹¹, 1836 წლისთვის

⁵ ქართლის ცხოვრება ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ., 541, სქ., 5.

⁶ პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

⁷ ვ. ბერიძე, XVI – XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ., I, გვ. 85.

⁸ პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრ., გვ. 66; ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85

⁹ შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. 2., თბ., 1983, გვ., 251.

¹⁰ სიღნაღის შესახებ იხ: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 542, სქ., 5; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, 1962, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ., 259; *Обозрение российских владений за Кавказом*, Санктпетербург, 1836 г. Часть I., გვ. 350-352; Платон Иоселиани. *Города существовавшие и существующие в Грузии*, Тфл., 1850, გვ., 62.

¹¹ ა. თაბუაშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 2020, გვ. 213.



სურ.5. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქუჩა. 2023



სურ.6. სიღნაღი, ქუჩის ხედი ძველი ქვაფენილით და ტერასით. 2023

მოსახლეობის რაოდენობა 3200 სულს გაუტოლდა¹².

ქართველებთან ერთად, მოქალაქეების დიდ ნაწილს სხვადასხვა მხრიდან მოსული სომხები წარმოადგენდნენ. მათ აქ იზიდავდა ვაჭრობისთვის ხელსაყრელი პირობები და ხალხმრავლობა, რაც ციხე-გალავნის აგებას მოჰყვა. როგორც 1852 წლის გაზეთი კავკაზი იუწყება, სიღნაღის იმდროინდელ ბინადარ სომხებს მალე შეუთვისებიათ ქართული ენა და ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები. პუბლიკაციის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ სიღნაღელი სომხები იმდენად „გაქართველდნენ“ (ოგრუзинились), რომ ძნელი ყოფილა განსხვავების მოძებნა ქალაქის მკვიდრ ქართველებსა და სომხებს შორის¹³.

1836 წლის მონაცემების მიხედვით, სიღნაღში მზადდებოდა და იყიდებოდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები და პროდუქტები, მოხსენიებულია ვენახები და ბოსტნები, რაც ჯერ კიდევ სოფლური ტიპის დასახლებაზე მიანიშნებს. გარდა ად-

გილობრივი ნაწარმისა სიღნაღში ვაჭრობდნენ თბილისის ბაზრობებზე შეძენილი სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით¹⁴. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თვითონ უცხოელი ვაჭრები სიღნაღით არ იყვნენ დაინტერესებული, ან ქალაქში არ იყო სათანადო პირობები მათი საქონლის საიმედოდ დასაბინავებლად. სიღნაღში არ ჩანს დიდი ქარვასლები თუ საბაზრო მოედნები, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქალაქებისთვის¹⁵. სიღნაღი თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ვაჭარ-ხელოსანთა ქალაქი, სადაც სავაჭრო სივრცეს დუქნების რიგი ქმნიდა, რომლებსაც ხშირად სახელოსნოს და საცხოვრებლის ფუნქცია ჰქონდა შეთავსებული. 1850-იან წლების დასაწყისში სიღნაღში ყოფილა 792 ქვის და 500 ხის სახლი; 10 ქუჩა, 2 პატარა მოედანი და მხოლოდ 1 ქარვასლა¹⁶.

საქართველოს არაერთი ქალაქისაგან განსხვავებით, სიღნაღი არ არის გაშლილი მდინარის ნა-

¹² Обзорение ..., გვ. 350.

¹³ И. Белкин, очерки Сигнаха, *Кавказ*, № 58, 1852, გვ. 215-216

¹⁴ Обзорение ..., გვ. 350-352.

¹⁵ დ. გვრიტიშვილი, მ. მესხია, *თბილისის ისტორია*, თბ., 1952, გვ.130.

¹⁶ *Кавказский Календарь*, на 1852 год, Тифл., 1851, გვ. 381.



სურ.7. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქუჩა რეკონსტრუქციამდე

პირებზე, მისი ურბანული სტრუქტურის განმსაზღვრელია არაერთგვაროვანი რელიეფი. ქალაქის ქუჩები მკვეთრად დამრეც ფერდზე ვითარდება, რომლის ორივე მხარეს მიჭრით ჩარიგებულია ორ-სამ სართულიანი სახლები. ქუჩისპირა განაშენიანებაში ადგილ-ადგილ შემორჩენილია რიყის ქვით და აგურით ოსტატურად ნაგები სხვადასხვა სიმაღლის ტერასები და ზღუდეები. გარდა გალავნისა, ქალაქის პანორამაში დომინირებს წმ. გიორგის ეკლესია და გალავნის ბურჯზე დაშენებული სამრეკლო. არათანაბარი რელიეფის გამო ზოგიერთი შენობის სართულიანობის განსაზღვრა, ერთი შეხედვით, რთულდება, რადგან ქუჩაზე მდგარი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი მეორე მხრიდან შეიძლება სამსართულიანი აღმოჩნდეს (სურ.4,6).

სიღნაღში არ შემორჩენილა დაარსების დროინდელი, ანუ XVIII ს-ის დასასრულის და XIX დასაწყისის შენობები. როგორც ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, „ის ცხოველხატული სიღნაღი, დიდად თავისებური საცხოვრებელი სახლებით, რომლებიც ქართული საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო

ფურცელს შეადგენს, მთლიანად XIX საუკუნეშია შექმნილი, მის შუა ათეულ წლებში და უფრო გვიანაც“¹⁷. მანამდე სიღნაღს სოფლური დასახლების სახე უნდა ჰქონოდა, სადაც ისეთივე შენობები იდგა, როგორც კახეთის სოფლებში. XX ს-ის შუა წლების ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით, კახეთის სოფლებში შენდებოდა როგორც ქვის, ასევე ფიცრული, ჩალური და წნული სახლები¹⁸. მათგან მხოლოდ ქვის სახლები ითვლებოდა „საშვილიშვილოდ“. შენობის გადასახურად ხშირად მოიხმარდნენ ჩალას¹⁹. ამავე მასალით ყოფილა დახურული ზოგიერთი სავაჭრო და სამეურნეო ნაგებობა. ჩალით დახურული ქვითკირის დუქნები და სამღებრო მოხსენიებულია მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილის (1743-1837) 1836 წელს შედგენილ ანდერძში²⁰. აღსანიშნავია აგრეთვე სიღნაღიდან 2-3 კილომეტრის მოშორებით მდებარე მისივე სასახლე, რომლის მიხედვით შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა XVIII-XIX სს-ის მიჯნის საცხოვრებელზე კახეთში.

იოანე ბოდბელის მიერ აგებული ორსართულიანი საეპისკოპოსო სასახლე, სახეცვლილი სახით,

¹⁷ ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85

¹⁸ ცოცხალი ისტორიები, ჯ. რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 2015, გვ.22-32; 47-56.

¹⁹ იქვე, გვ.90,117.

²⁰ „ნასომხარში თორმეტი დუქანი გამიკეთებია, ქვითკირის და ზევიდამ ჩალით არის დახურული, ერთი სამღებრო ქვითკირის კარქი, ზევიდამ ჩალით არის დახურული, მარანი გამიკეთებია ქვითკირის“. იხ., საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, ანაწერი 1, საქმე №5647, 1836, გვ. 122.



სურ.8. ბოლბის მონასტერი, საეპისკოპოსო სასახლე რეკონსტრუქციამდე, დ.ერმაკოვის ფოტო, XIX-ის დასასრული



სურ.9. ბოლბის მონასტერი, საეპისკოპოსო სასახლე, საჯინიბო გახსნის შემდეგ. 2004



სურ.10. სიღნაღი, თამარ მეფის ქ. №22, ეზო. 2023

ახლა ბოდბის მონასტრის არქიტექტურულ კომპლექსშია ჩართული²¹. საარქივო ფოტოები და დღემდე შემონახული წერილობითი მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ორსართულიანი ნაგებობის თავდაპირველი სახე. სასახლე ანფილადური გეგმარებისაა, შენობის პირველი სართული ნაგებია რიყის ქვით, შიდა კედლებისთვის გამოყენებულია რიყის ქვა და კვადრატული აგური, გვიანი შუა საუკუნეების საერო ნაგებობის მსგავსად, კედლები ორ რეგისტრად დალაგებული კედლის ნიშებით და სარკმლებითაა დანაწევრებული, რომელსაც შუაში კედლის სისქეში ჩაყოლებული ხის ძელი გაუყვება. რეგისტრებად დაყოფილ ერთ-ერთ ბრტყელჭერიან ოთახში, რომელსაც თავად იოანე ბოდბელი „ყიზილბაშურს“ უწოდებს, ზედა რიგის კედლის თალები შეისრული მოყვანილობისაა. სასახლის აივნის მეორე სართულის მძიმე და ტლანქი სვეტები რუსეთის გზით შემოსული ევროპული არქიტექტურის გავლენაზე მიანიშნებს. XIX ს-ის თვითმხილველის შეფასებით, იოანე ბოდბელის „ფრიად კეთილშვენიერი“ სასახლე არის „...რუსთა და ყიზილბაშთა გვარისა ერთად“²² (სურ.8,9). ყველაფერი კი დაფუძნებულია ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციაზე, რომელიც არაერთ საუკუნეს ითვლის. ეს ვლინდება სამშენებლო მასალის შერჩევასა და ხელობაში. ისიც აშკარაა, რომ მშენებლობაში ადგილობრივი ოსტატები იღებდნენ მონაწილეობას. შენობის ერთიან ბლოკში მოქცეულია საჯინიბო, რომლის სტრუქტურა არაერთგზის მეორდება სიღნაღის სხვადასხვა პერიოდის საცხოვრებელ სახლებში. ეს არის ნაგრძელებული სათავსი ბრტყელი ჭერით, რომლის კედლებს თაღოვანი თახჩები გაუყვება, სადაც ცხენის საკვებს ათავსებდნენ. მის ქვევით, კედლის წყობაში ჩაყოლებულ ხის ძელზე კი საბელისთვის გან-



სურ.11. სიღნაღი, თამარ მეფის ქ. №22, საჯინიბო. 2023

კუთვნილი ლითონის რგოლები მაგრდებოდა. ზოგადი შეფასებით, იოანე ბოდბელის სასახლეში ერთდროულად ვლინდება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოსთვის დამახასიათებელი აღმოსავლური და ახლად შემოსული ევროპული არქიტექტურის ნიშნები.

სიღნაღის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში (ბარათაშვილის ქ. №16) შემონახულია XVIII-XIX სს-ის მიჯნის ასეთივე საჯინიბო, რომელიც ახლა XIX ს-ის შუა წლებში აგებული შენობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (სურ.12-14) მჭიდრო განაშენიანებაში ჩართული სწორკუთხა გეგმარების მქონე, ძველი აგურით ნაგები საცხოვრებელი სახლი ეზოდან სამსართულიანია, ხოლო ქუჩიდან ორსართულიანი. ქუჩის მხარეს არსებულ აივანზე ნაგებობა შეუღესავი აგურის ფასადით გამოდის. მისი კედელი ჰორიზონტულ სარტყელზე დაყრდნობილი ორი ტიპპანაიანი სარკმლით და მათ შორის მოთავსებული კარის ღიობითაა დანაწევრებული, რომლის თავზე აგურის წყობაში გამოყვანილი „საჭეკი“ ქვებია წარმოდგენილი. ევროპული არქიტექტურული დეტალებით შექმნილი აღნიშნული კომპოზიცია, უპირისპირდება ეზოს სიღრმეში განვითარებული ფრთის ფასადს, სადაც ხალხური არქიტექტურის ელემენტებს ვხედავთ.

ეზოს მხარეს ნაგებობა ორი სრული სართულით და მიწაში ზურგით შეჭრილი სარდაფითაა წარმოდგენილი. სარდაფის საფასადო მხარეს აშკარად გამოირჩევა ყოფილი საჯინიბოს კედელი, რომელიც მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. სათავსში მოხვედრა ეზოდანვეა შესაძლებელი. ინტერიერში მისი კედლები, ისევე როგორც იოანე ბოდბელის სასახლეში, დანაწევრებულია თაღოვანი ნიშების რიგით, რომლის ძირი ჰორიზონტული ხის ძელითაა მონიშ-

²¹ იოანე ბოდბელის სასახლის შესახებ იხ.: „აღწერა, წმიდის მოციქულთა სწორისა ნინა ქართველთა განმანათლებლის სობოროს ეკლესიისა და მას შინა მდებარე ნივთთა“, საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 489, საქმე № 5110, გვ. 42-54; ც. ჩაჩხუნაშვილი, მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილის სასახლე ბოდბეში, *საქართველოს სიძველენი*, №6, თბ., 2004, გვ. 216-230.

²² *ქართლის ცხოვრება* ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი ..., გვ.542, სქ. 4.



სურ.12. სიღნაღი, ბარათაშვილის №16 საცხოვრებელი სახლი, ქუჩისპირა ფასადი 2023



სურ.13. სიღნაღი, ბარათაშვილის №16 საცხოვრებელი სახლი, ეზოს ფასადი. 2023



სურ.14. სიღნაღი, ბარათაშვილის №16 საცხოვრებელი სახლი, XVIII-XIX სს-ის მიჯნის საჩინბო. 2023

ნული, სათავსის იატაკი რიყის ქვითაა მოკირწყლული. ეზოს ფასადის მეორე და მესამე სართულს მთელ სიგრძეზე გაუყვება მოაჯირიანი აივანი. მეორე სართულზე აგურის სწორკუთხა სვეტებია ჩართული, ხოლო მესამე სართულის მთლიანად შემინულ აივანზე დორიული კაპიტელებით დასრულებული ხის მრგვალი სვეტები გამოირჩევა, რომლის მსგავსი არქიტექტურული ელემენტი, ვახტანგ ბერიძის სიტყვებით, „თავისებური ხის დორიკა“²³, თბილისის საცხოვრებელი სახლებშიც საკმაოდ მრავლად გვხვდება.

ძველი საჩინბოს შემცველია აგრეთვე თამარ

მეფის ქ. №22 XIX ს-ის მეორე ნახევარში აგებული ორსართულიანი სახლი სარდაფით, სადაც როგორც ეზოდან ასევე ქუჩიდან შეიძლებოდა მოხვედრა (სურ.10,11). შედარებით გვიანდელ, XIX ს-ის ბოლო პერიოდს მიეკუთვნება ილო მოსაშვილის №1 საცხოვრებელი სახლის საჩინბო, რომელიც ორ ქუჩაზე ტერასულად განვითარებული შენობის ეზოს მხარეს არსებულ ნაწილში ექცევა. სახლი, სავარაუდოდ, სიღნაღის მდიდარ მოქალაქეს ეკუთვნოდა. ნაგებობის მთავარი ფასადი ცოტნე დადიანის ქუჩისკენ არის მიმართული (ც. დადიანის ქ. №1), სადაც პირველ სართულზე დუქნები იყო მოწყობილი, ხოლო

²³ ვ. ბერიძე *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები*, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 90.



სურ.15. სიღნაღი, ვ. გორგასლის ქ. №11 სახლის ღვინის სარდაფი, საერთო ხედი. 2023



სურ.16. სიღნაღი, ვ. გორგასლის ქ. №11 სახლის ღვინის სარდაფი, შიდა კიბე. 2023

მეორე სართულის ორმაგ ანფილადად დალაგებული ოთახები მთლიანად საცხოვრებლად გამოიყენებოდა. აქ მოხვედრა შეიძლებოდა როგორც ქუჩიდან, ასევე ეზოდანაც²⁴.

სიღნაღში თავიდანვე უნდა ყოფილიყო ღვინის ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაგებობები, რომელთა სიმრავლე ახლაც შესამჩნევია ქალაქში. შესაძლოა, ისინი ცალკე ნაგებობებს წარმოადგენდა, ან საჯინიბოების მსგავსად, საცხოვრებლის ფარგლებშივე იყო მოქცეული. ამ ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო XIX ს-ის საცხოვრებელი სახლების ბურგით მიწაში შეჭრილი ბრტყელკამარიანი პირველი სართულები და სარდაფები. ერთ-ერთი მათგანია ვახტანგ გორგასლის ქ. №11 ერთსართულიანი შენობა, რომელიც გალავნის შიდა ტერიტორიაზე მდებარეობს (სურ. 15,16). აგურით ნაგები სარდაფის შიდა სივრცე ერთსაფეხურიან პილასტრებზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. სათავსის ბოლო მონაკვეთში ქვევრებია ჩაფლული, აქვეა ბუხარი და ორ კედელს შორის მოქცეული ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბის მარში, რომლის გასანათებლად კედელში ნიშაა გამოღებული. სარდაფის გრძივი კედლე-

²⁴ შენობის დადიანის ქუჩისკენ არსებულ ფასადს 1980-იან წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია-ადაპტაცია. ამ პერიოდს მიეკუთვნება ფასადის მიმართ პერპენდიკულარულად მიმართული ფრთის მიშენება, რომელიც კეტავს ქუჩის პერსპექტივს.



სურ.17. სიღნაღი, ც.დადიანის და ვ.სარაჭიშვილის კუთხის სახლის სარდაფი. 2023

ბი დანაწევრებულია კედლის თაღებით, რომლებიც ხალიჩისებური წყობით შესრულებული ბრტყელი კამარის ფარგლებში იჭრება. თავის მხრივ, კამარაც რამდენიმე აბზაცადაა დაყოფილი. სარდაფის ზემოთ აღწერილი მრავალსახა არქიტექტურული დეტალი ერთ მთლიან სურათს ქმნის.

გარდა აღნიშნული სარდაფისა საინტერესოა ცოტნე დადიანის და ვ.სარაჭიშვილის ქუჩების კუთხეში მდებარე ორსართულიანი სახლის სარდაფი, რომელიც სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. სათავსი მოიცავს კონქით გადახურულ აფსიდს. საყურადღებოა ასევე, ოთარ ჭილაძის და სარაჭიშვილის ქუჩების კუთხეში, №3/5 საცხოვრებელი სახლის სარდაფი (ნახ.1,2,3).


XIX ს-ის 70-იანი წლებიდან სიღნაღში უკვე შენდებოდა პროფესიულად განსწავლული არქიტექტორების მიერ დაპროექტებული საცხოვრებელი სახლები, რომელსაც თბილისის საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილებაში ამტკიცებდნენ. ევროპულ არქიტექტურაში ამ დროს გაბატონებული იყო ეკლექტიზმი, რაც გარკვეული სახით სიღნაღშიც თვალსაჩინოა. მართალია, საცხოვრებელ სახ-

ლებში მოჩანს ეკლექტური არქიტექტურის გავლენა, მაგრამ აქ მან თავისებური სახე მიიღო, რაც ადგილობრივმა სამშენებლო ხელოვნებამ და ქალაქის განსაკუთრებულმა რელიეფმა განაპირობა. ქუჩის მხარეს ევროპული არქიტექტურული დეტალებით ზომიერად გაფორმებული და ადგილობრივ ნიჟარებზე გარდაქმნილი ფასადები იმდენად დაშორებულია პირველწყაროსაგან, რომ მას „...ევროპულ ეკლექტიზმსაც ვერ დაარქმევ“²⁵. ისევე როგორც თბილისში, XIX ს-ის შუა ხანებიდან ამას კარგად აუღეს ალღო საქართველოში მოღვაწე არქიტექტორებმა სიღნაღსა და თელავში²⁶.


მათ მიერ შესრულებული ერთერთი პროექტია მიხეილ და ალექსანდრე გედევანოვების სახლი. პროექტის ავტორია თელავის და სიღნაღის არქიტექტორი პოსტნიკოვი (1879 წ.), რომელიც ითვალისწინებდა არსებულ ნაგებობაზე ერთი სართულის მიშენებას (სარდაფით). ასეთი პროექტები ხშირია სიღნაღში. მათი მიხედვით, გათვალისწინებულია მიშენება ან დაშენება, რაც შენობაში ძველი ფრაგმენტების არსებობაზე მიაწინებს. თუმცა, განსხვავება ძველსა და ახალს შორის შეიძლება მხოლოდ

²⁵ დ. თუმანიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები უძველესი დროიდან XX სს-ის ბოლომდე, თბ., 2022, გვ. 284.


²⁶ საარქივო მონაცემების მიხედვით, 1870-1880-იან წლებში სიღნაღში აგებული საცხოვრებელი სახლების და სავაჭრო ფუნქციის მქონე შენობების ავტორები არიან თელავისა და სიღნაღის არქიტექტორები პოსტნიკოვი და პროკოფიევი. იხ., საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №204, ანაწერი 1, დოკუმენტები №№ 367, 385, 559, 671




ნახ.1. სიღნაღი, ვ. გორგასლის ქ. 11, ღვინის სარდაფი, გვგმა, ტბილი, დეტალები.



ნახ.2. სიღნაღი, ც.დადიანის და ვ. სარაჯიშვილი ქუჩების შესაყარი, ღვინის სარდაფი, გვგმა, ტბილი.



ნახ.3. სიღნაღი, თ. ჭილაძის ქ. №3, ღვინის სარდაფი, გვგმა, ტბილი, დეტალები.



სურ.18. 1879 წლის პროექტი, ავტორი თელავისა და სიღნაღის არქიტექტორი პოსტნიკოვი, დოკუმენტი ინახება საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში.



სურ.19. ირ. ევდოშვილის ქ. №13. 2023

რამდენიმე ათეულ წელს მოითვლიდეს. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ზემოთ განხილული დღემდე რეალურად არსებული სარდაფები. საარქივო დოკუმენტების მიხედვით, შენდებოდა როგორც ქუჩის მხარეს ვიწრო ფასადით გამოშვებული ერთსართულიანი სავაჭროები, საცხოვრებელი სახლები, რომელთა პირველი სართულები დუქნებს ეკავა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორ-სამ სართულიანი, მოზრდილი საცხოვრებელი სახლები, რომელთა ეზოს მხარე ალაზნის ველისაკენაა მიმართული. მაგალითად, ასეთია იროდიონ ევდოშვილის ქუჩაზე, გვერდიგვერდ მდგარი №№13,15 საცხოვრებელი სახლები (სურ.19). ეს შენობები ქალაქის ელიტარული ფენის საცხოვრებელს წარმოადგენდა, რომელთა კუთვნილი კომერციული შენობები, შესაძლოა, სახლისაგან მოშორებით მდებარეობდა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ციხე-გალავნის აგებაში სიღნაღში ხელი შეუწყო მის ქალაქად ჩამოყალიბებას. ამ დროს საქართველოში ფეხს იკიდებდა იქამდე ნაკლებად განმსაზღვრელი ეკონომიკუ-



სურ.20. სიღნაღი, საერთო ხედი, XX ს-ის შუა წლები.

რი ტიპის ურთიერთობები, როდესაც „სახელმწიფომ ირანი-ოსმალეთის გარემოცვის შედეგად შექმნილი ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლა და განვითარების ახალ გზაზე დადგომა შეძლო“²⁷. სიღნაღი არ წარმოადგენს ტიპიურ შუა საუკუნეების ქალაქს, მიუხედავად იმისა, რომ მის გარეგნულ სახეს დიდწილად შუა საუკუნეების გალავანი განსაზღვრავს. აქ არც მეფეთა და წარჩინებულ პირთა სასახლეები და შესაბამისად, არც დიდი ქარვასლები თუ საბაზრო მოედნები ყოფილა, რომლებიც „შემკრებ“ ფუნქციას ასრულებდა შუა საუკუნეების ქალაქებში. სიღ-

ნაღის ურბანულ სტრუქტურაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მდებარეობამ და რელიეფმა. XVIII-XIX სს-ის მიჯნის შენობები სიღნაღში სრულად არ შემონახულა, მაგრამ ამ პერიოდის ძველი ფრაგმენტები შემოინახა სარდაფებმა. პროფესიულად განსწავლული არქიტექტორების მიერ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან აგებული შენობებში, ამ დროის საყოველთაო მოთხოვნებთან ერთად, მოჩანს ადგილობრივი სპეციფიკა, რაც ქალაქის ინდივიდუალობას განსაზღვრავს.

²⁷ ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 257.

გორი



სურ. 1. ქალაქი გორი და მდინარე მტკვარი, ფრაგმენტი XIX ს-ის მინურულის პანორამიდან, დ. ერმაკოვი

გორი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ქალაქია, რომელსაც შიდა ქართლისა და აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში გამორჩეული როლი ჰქონდა. იგი მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ქალაქის ძველი ნაწილი განუყოფლად არის დაკავშირებული ციხესთან, რომელიც ვრცელ ველზე განცალკევებით ამოზიდულ, თავნაკვეთილ დიდ გორას აგვირგვინებს. ამჟამად დასავლეთით გადანაცვლებული მდინარე ლიახვისა და მეჭუდის შესართავი ადრე მის ძირში იყო ლოკალიზებული და ციხისთვის ადგილის შერჩევა ამანაც განაპირობა; მდინარეთა „ხერთვისებში“ ციხეთა შენების ადრე შუა საუკუნეებიდან დამკვიდრებული ტრადიცია, გარდა მიუდგომლობისა, ხეობების გაყოლებით გამავალი გზების კონტროლთანაც იყო დაკავშირებული¹. ქართლის შუაგულში გადიოდა დიდი საქარავნო გზა, რომელიც და-

სავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა; მას კვეთდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი გზებიც და ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებთან ერთად, სწორედ ამან განსაზღვრა გორის ციხისა და ქალაქის აქ დაფუძნება (სურ.1). გორის ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და არქეოლოგიური მასალა ელინისტური ხანის ქალაქური ტიპის დასახლებების არსებობაზე მიუთითებს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ქალაქის აღმოცენების შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს; წყაროთა ნაწილი გორის ციხეს პირველად ერეკლე კეისართან დაკავშირებით (VII ს) ახსენებს, ნაწილი კი, ციხის აღორძინებას და ქალაქის დაარსებას დავით აღმაშენებელს (XII ს) მიაწერს, რის თანახმადაც გორის დაწინაურება XI-XII სს-ში ქვეყნის საერთო აღმავლობის და შიდა ქართლში ქალაქური ცხოვრების აყვავების ხანას ემთხვევა.

¹ დ. ბერძენიშვილი, *ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, ნარკვევები*, თბ.2006, გვ.120



სურ. 2. გორის ციხე, 2012, მ. სურამელაშვილის ფოტო

შუა საუკუნეებში გორი საშუალო ზომის, განვითარებულ სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრით. არსებობს სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელის ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ გორში სომხების დასახლების თაობაზე, რასაც ისტორიკოსი ჯონდო გვასალია ქალაქის პოტენციალის ნიშნად მიიჩნევს ვაჭრობის კუთხით და განმარტავს: – „ფეოდალურ საქართველოში სიტყვა „სომეხი“ გაიგივებული იყო ვაჭართან და სომხების გორში დასახლება სწორედ ვაჭრების დასახლებას ნიშნავდა“².

წარსულში გორის ციხის ხელში ჩაგდება მთელი შიდა ქართლის კონტროლს ნიშნავდა (სურ.2). ეს გარემოება თბილისის მსგავსად, გორის ციხეს და მასთან ერთად ქალაქს ხშირად აქცევდა მტრის სამიზნედ. თავდასხმების დროს ციხეს ქალაქის მაცხოვრებელთა გარდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობაც აფარებდა თავს. მრავალი ცნობა აცოცხლებს ქალაქის დრამატულ ისტორიას, როგორ იძარცვე-

ბოდა, ინვებოდა, ინგრეოდა და ისევ და ისევ აღდგებოდა: XIII ს-ის დასასრულს გორი მონღოლთა დახმარებით ოსებმა დაიკავეს და მათი განდევნისას იგი დაიწვა; XIII-XIV სს-თა მიჯნაზე თემურლენგის შემოსევებმა მთელ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად გორიც გააპარტახა; მალევე, ალექსანდრე I-ის (1412-1442) მიერ მთელ ქვეყანაში გაშლილი აღდგენითი სამუშაოები გორსაც უნდა შეხებოდა, რაც მეფის მიერ სამგზის წყალობის სიგელით დაჯილდოებულ გორის მოურავ ავთანდილ ზევდგინისძის გამგებლობისას უნდა მომხდარიყო³. გორსა და მის მიდამოებს ამილახორი, ძველი გვარით ზევდგინისძე, თანამდებობით მეფის კარის მეჭინბეთუხუცესი განაგებდა, ეს თანამდებობა მათ შთამომავლობით გადაეცემოდათ⁴. „ზევდგინიძეები ამილახორის ხელს ქართლის კარზე XV ს. პირველ ნახევარში ღებულობენ. XIII-XIV სს. სამართლის ძეგლების მიხედვით ამილახორი ამირსპასალარის ხელქვეითი მოხელეა და მეჭურჭლეთუხუცესის ტოლი...

² ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ.139

³ ე.მამისტვალიშვილი, გორის ისტორია (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ. 124

⁴ გ. ბუხნიკაშვილი, გორი, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1941, გვ.7

ამილახორთა მნიშვნელობას ზრდიდა ისიც, რომ XV ს-ის დასაწყისიდან ისინი ფლობდნენ გორის მოურავის ხელს⁵, თავად „გორის მნიშვნელობა ქართლის სამეფოში იმითაც იზრდებოდა, რომ გორში იყო მეორე სადროშოს ცენტრი“⁶.

1470-იან წლებში ვენეციელი ვაჭარი, დიპლომატი იოსაფატ ბარბარო აღმოსავლეთ საქართველოში თბილისთან ერთად ქალაქად მხოლოდ გორს იხსენიებს; ამავე პერიოდში გორში მყოფი, ასევე ვენეციელი დიპლომატი და მოგზაური ამბროჯო კონტარინი თავის ნაწერებში ქალაქის კარგ მდებარეობაზე საუბრობს. 1536 წელს ირანელების მიერ თბილისის დაკავების შემდეგ გორი ქართლის დედაქალაქის როლს ასრულებდა. თუმცა მოგვიანებით, 1628 წელს კათოლიკე ბერებს ქალაქი ოსმალთა და ყიზილბაშთა ხანგრძლივად მიმდინარე თავდასხმების შედეგად ნანგრევებად ქცეული დახვედრიათ⁷.

XVII ს-ის 30-იანი წლებიდან, ირანის შაჰის სეფი I-ის მიერ ქართლში მისი ერთგული ხოსრო მირზას, შემდგომში როსტომის სახელით ცნობილი მეფის (1633-1658) ტახტზე აყვანამ საქალაქო ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა და გორის ამ პერიოდის აღორძინება-დანაწესებაც სწორედ მის სახელს უკავშირდება. მსგავსად თბილისის სამეფო რეზიდენციისა, რომელიც როსტომმა ანჩისხატსა და სიონს შორის აიშენა, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მან გორშიც „...ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგის, წალკოტ-სავარდითა, დიდი; ავაზიანი წელიანი დიდდინი, შვენიერი“⁸. შემდგომში გორი და სასახლეც განაახლა და შემოდგომა-გაზაფხულს აქვე ატარებდა ვახტანგ VI; სამწუხაროდ, თანამედროვეთა შეფასებით შესანიშნავ ამ სასახლეებს, არც თბილისში და არც გორში, ჩვენამდე არ მოუღწევია. სამეფო ოჯახის გორში ცხოვრების ეპიზოდების შესახებ მათიანის ცნობა იუწყება, რომ 1756 წელს „დედოფალი საქართველოსი ანახანუმ ნაბრძანდა გორს, ...აღაშენა სახლნი გორის ციხესა შინა და დადგა მის შინა ერთი ზაფხული“⁹. მოგვიანებით გორში სასახლე აიშენა ერეკლე II-მაც. აქ სასახლე ჰქონია ქსნის ერისთავს და ქართლის სხვა დიდებულებს, თუმცა არც მათ მოუღწევია ჩვენამდე. ოსმალთა-ყიზილბაშობის შედეგად შემცირებულ ქალაქს მნიშვნელობა არ დაუკარგავს. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან

გიულდენშტედტის ცნობით ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსი გორში მჯდარა¹⁰. 1770 წელს, როცა ტოტლებენმა ერეკლე II-ს უღალატა და ბორჯომის ხეობიდან დაბრუნებულმა ოთხი ციხე დაიკავა, მეფემ არ დაუშვა მას გორის ციხეც აედო. 1772 წ. ქალაქის დაცვის გასაძლიერებლად¹¹ მას ირგვლივ 5 ადგილი სიგანისა და 4 ადგილი სიღრმის თხრილის გათხრა უბრძანებია, 1774 წლიდან კი, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია.

ამგვარად, გორი თბილისის შემდეგ საუკუნეების მანძილზე რჩებოდა ქართლის რიგით მეორე მნიშვნელოვან ქალაქად. „როდესაც ქართველები თბილისს ჰკარგავდნენ, როგორც წესი, მათ გორში გადაჰქონდათ მმართველობის ცენტრი და აქ აწყობდნენ და აქედან ახორციელებდნენ მტრის განდევნას შემდეგ“¹². პერიოდულად, დამპყრობთა დამანგრეველი შემოსევების, ხან კი, ფეოდალური ანარქიის შედეგად, გორი იმდენად კნინდებოდა, რომ დაბად მოიხსენიებდნენ, თუმცა მალევე ხდებოდა მისი აღდგენა-განახლება, რასაც ძირითადად სამეფო ხელისუფლება ედგა სათავეში.

დამოუკიდებელი სამეფოს ბოლო პერიოდისთვის, 1770 წელს გორში 500 კომლს უცხოვრია. მოგვიანებით, საქალაქო ცხოვრების საერთო კრიზისის პერიოდში, მოსახლეობის აყრისა და გადინების პროცესის შესაჩერებლად ერეკლე II-ს 1784 წელს ბრძანებაც გამოუცია, რომ სხვაგან გახიზნულ გორისა და თბილისის მოქალაქეებს მამული სამეფოდ ჩამოერთმევათ და სხვებს მიეყიდებათ¹³, თუმცა ამას შედეგი ვერ გამოუღია და 1794 წლისთვის აქ 227 კომლილა დარჩენილა.

აგებულებით, გორი ნამდვილ ფეოდალურ ქალაქს წარმოადგენდა ძლიერი ციხით, უსწორმასწორო ნაკვეთებს შორის გამავალ ქუჩათა ირეგულარული ქსელით და მკაფიოდ გამოკვეთილი სავაჭრო რიგით. აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქალაქგვემარებისა და ურბანული განაშენიანების მაფორმირებელ გეოგრაფიულ ფაქტორთა წამყვანი როლი: ველზე ამოზიდულმა გორამ განსაზღვრა ზედ დაშენებული ციხის დომინანტურობა და ჩამოაყალიბა ქალაქის ძველი ნაწილის კონცენტრული გეგმარება, სადაც მთის ძირს შემოსალტული მთავარი ქუჩები წრეს შემოწერენ. აღნიშნულ სურათს ლაკონური ფრაზით გამოხატავს ვახუშტი ბატონიშვილი:

⁵ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ.96, 139

⁶ ე.მამისტვალიშვილი, გორის ისტორია (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ.125

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 367, 13

⁸ პაპუნა ორბელიანი, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, სანკტპეტერბურღს, 1854, გვ. 470

⁹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 207

¹⁰ ე.მამისტვალიშვილი, გორის ისტორია (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ. 24

¹¹ დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ.10

¹² ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.IV, თბ., 1996, გვ. 459

– „არს გორასა ზედა ციხე დიდი... ამის გარმოხვეული ლიხვიდან ლიხვამდე ქალაქი“¹³. გალავნით შემოფარგლული ტერიტორიის გარეთ ჩრდილო-აღმოსავლეთით, თბილისის მსგავსად, აქაც მდებარეობდა გარეთუბანი. ძირითადად, ამ მხარეს იყო მოქცეული გორის ცნობილი ბაღ-ბოსტნები და ვენახებიც.

ფრანგი მოგზაური და იუველირი ჟან შარდენი, რომელმაც გორი 1672 წელს მოინახულა, აღნიშნავს, რომ აქ, მოხერხებულ ადგილზე აშენებული მაგარი ციხის ძირში „...გაშენებული ქალაქი პატარაა, სახლები, ისევე როგორც დახურული ბაზრები, ალიზისაგან არის ნაშენი. მცხოვრებლები ვაჭრობას მისდევენ და საკმაოდ შეძლებულნიც არიან. აქ ბლომად და იაფად შეიძლება იშოვო ყველაფერი, რაც არსებობისთვის არის აუცილებელი“¹⁴. ამ ცნობაში ჩანს, რომ მე-17 ს-ში ქალაქში ალიზით ნაშენი ბაზრები ყოფილა. ქულბაქებისა და დუქნების მრავლად არსებობას გორში საბუთებიც ადასტურებს.

XVIII ს-ის I მესამედის გორს აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ქალაქისა და მის მცხოვრებთა დასახასიათებლად საქებარ სიტყვებს არ იშურებს: „და არს შენობა უმეტეს ქვიტკირისა, ეკლესიანი კეთილშეუნიერნი... არს ადგილი ჰავითა შვენიერ, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წაღკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი; სანადირო მოუკლებელი... ხილნი და საზრდელნი მრავალნი გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველი და სომეხნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, შვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი“¹⁵.

საუკუნის შემდეგ ქალაქზე აღტაცებით საუბრობს გორელი ავტორი ავთანდილ თუმანიშვილიც. 1816 წელს გამოქვეყნებულ თავის თხზულებაში იგი აღნიშნავს სამოთხისებურ ბუნებას, სუფთა წყაროებს, თევზებით უხვ მდინარეებს, ბაღ-ვენახებს და ყვავილნარებს, აქაური პურის სითეთრეს, ღვინის სიჭანსაღეს, ადგილობრივი, თუ შემოტანილი საქონლის სიუხვეს და მასთან თანხმობაში ქალაქის დახვეწილ სილამაზეს. საუბრობს ციხეზე, სადაც ითვლება 35 მთავარი კოშკი და მცხოვრებთა 410 სახლი. აღნიშნავს ქალაქის მრგვალი ამფითეატრის მსგავს სახეს, სწორ და ხალვათ ქუჩებს, მაგარ და ლამაზ სახლებს საჭირო რაოდენობის ოთახებით. ვრცელ მოედნებს, უზარმაზარ და შესანიშნავად მორთულ

ეკლესიებს; ქალაქში დარჩენილ რამდენიმე სახლს, რომელსაც აქამდე სრულად შემორჩა თავისი ძველი დიდებულება. ახსენებს აბრეშუმისა და ქალაქის მატერიის, ოქროსა და ვერცხლის ნივთების, იარაღის, რკინის, სპილენძისა და სხვა მეტალების გამოჭედვის, ხატვის, ძერწვის და არაერთ სხვა სახელოსნოს; აღნიშნავს, რომ ქალაქის მცხოვრებნი ავრცელებენ თავის საქონელს რუსეთში, თურქეთსა და სპარსეთში, ხოლო იქიდან ჩამოტანილი საქონლით ამდიდრებენ ქალაქს¹⁶.

რუსეთის აკადემიის წევრს, გერმანელ აღმოსავლეთმცოდნე ი.კლაპროტს გორი ამავე ხანებში, 1808 წელს უნახავს, თუმცა ევროპელის თვალს ქვემო ქალაქი უწესრიგოდ მოჩვენებია, სადაც ძველი შენობების აღდგენა არ ხდება და სახლების უმრავლესობა მიწურია, როგორც თბილისში. გორში ის 300 სახლს ითვლის. ახსენებს ბაზარს, რომელიც ასამდე საწვრილმანო დუქნისგან შედგება და განთავსებულია ციხის ფერდობის ძირში გამავალი ნახევარწრიული ქუჩის ორივე მხარეს¹⁷; იგივე სურათს აჩვენებდა 1802 წლის აღწერა, რომელიც გორში ამავე ქუჩაზე (ახლანდელ კასტელისა და მარჯანიშვილისა) საკმაოდ დიდ 140 დუქანს უთითებს, 50 ხელოსნების და 90 ვაჭრების, რომელთა მთლიანობა შეადგენდა ბაზარს¹⁸. ანუ მსგავსად თბილისისა, სადაც ახლანდელი კოტე აფხაზის ქუჩა წარმოადგენდა „შუა ბაზარს“, გორშიც ქუჩა დუქნების რიგით ასრულებდა ბაზრის ფუნქციას.

გორის მოსახლეობას დიდმოხელეთა და მმართველი ელიტის გარდა, ძირითადად ქართველი და სომეხი ვაჭარ-ხელოსნები შეადგენდნენ. მათი კონფესიების შესაბამისად გორში მართლმადიდებლურ-თან ერთად იყო სომხური ეკლესიებიც. როგორც ცნობილია, 1631 წელს აქ სამისიონერო მოღვაწეობისთვის ჩამოვიდნენ თეათინელი ბერები არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩი¹⁹, რომლებსაც ჯერ თეიმურაზ I, ხოლო შემდეგ როსტომ მეფე უწევდნენ მფარველობას. მოგვიანებით, გორში დამკვიდრდნენ მისიონერი კაპუცინები, რომლებიც ჟან შარდენის თქმით, თავს მკურნალებს უნოდებდნენ და ხალხში პოპულარობით სარგებლობდნენ. ვახტანგ V-ს (შახნავაზ-ხანს) მათთვის სახლი მიუცია და სარწმუნოების აღიარების თავისუფლება მიუნიჭებია²⁰. მათი მოღვაწეობის საფუძველზე მიუღია გორის მოსახლეობის ნაწილს კათოლიკობა,

¹³ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, იქვე, გვ.367, 7

¹⁴ შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ.295-296


¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 367

¹⁶ Авт. Туманишвили, Описание груз. Города Гори, СПб. 1816, гв. 171

¹⁷ ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I ტომი, თბ., 1983, გვ. 72;

¹⁸ ე. მამისტვალიშვილი, გორის ისტორია (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ. 138

¹⁹ მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შვედელი გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში, ტომი პირველი, თბ., 1987., გვ. 330



სურ. 3. გორის ციხე, ქრისტეფორე დე კასტელის ნახატი, XVII ს-ის I ნახ.

რასაც უკავშირდება გორში კათოლიკური ეკლესიის დაფუძნება.

ქალაქის არქიტექტურული სახის წარმოდგენისთვის აღწერებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია გორის ციხისა და ფერდს შეფენილი განაშენიანების პირველი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც შაჰისთვის გასაგზავნად როსტომ მეფის დავალებით გორში მყოფ კათოლიკე მისიონერ ქრისტეფორე დე კასტელს დაუხატავს. სურათი მრავალ გოდოლ-ბურჯებიან, მაღალკედლებიან მძლავრ ციხეს წარმოგვიდგენს, რომლის ქვემოთ, ფერდობზე სახლები და ეკლესიებია გაფანტული (სურ. 3). შარდენისა და ტურნეფორის თანმხლებ მხატვართა ამავე ხანის და ცოტა მოგვიანებით შესრულებული თბილისის ჩანახატების მსგავსად, ქანობიან და ბრტყელ-სახურავიან ნაგებობებს შორის გორშიც მრავლად ჩანს შენობები სფერულკამაროვანი დასრულებით, რაც გვირგვინიან დარბაზებს უნდა გამოსახავდეს. განაშენიანება უფრო ხალვათია, სიმჭიდროვე არ იგრძნობა და ნაგებობებს შორის ნარგავები ჩანს, რაც პასუხობს მრავალრიცხოვან ცნობებს გორის ბაღებზე. ფერდობზე დიდი გუმბათიანი ეკლესიაც

მოჩანს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

რთულ წარსულში გორმა, თბილისის მსგავსად, დიდი დანაკარგები განიცადა, თუმცა შუა საუკუნეების მშენებლობის ხილული, თუ დაფარული ნაწილები მანაც შემოინახა. უპირველესად, ეს ქალაქის შუაგულში ამოზიდული ციხეა, რომლის კედლები აცოცხლებს მის ბოზოქარ თავგადასავალს. „სამეფო ოჯახის სასახლეები, თუ სახლები, რომელთა აშენება XVII და XVIII საუკუნეებში იხსენიება, ციხის ფარგლებში უნდა ყოფილიყო“²¹ თუმცა ისინი დროს ვერ გადაურჩა. ქვემო ქალაქში ფლეთილი ქვისა და აგურის შერეული წყობით ნაშენი, ფართო შეისრულ-თაღოვანი შესასვლელით და სფერული გუმბათით დასრულებული გვიანი შუა საუკუნეების „ერეკლეს აბანო“ გამოირჩევა (რუსთაველის ქ. №41). რკალზე განაწილებულია ძველის ადგილზე XIX ს-ში განახლებული გორის ეკლესიები. თვალისგან დაფარული სიძველეები კი, თბილისის მსგავსად, აქაც, XIX ს-ის II ნახევრისა და XIX-XX სს-ის მიჯნაზე აშენებული საცხოვრებელი სახლებისგან შემდგარ განაშენიანებაში სარდაფებშია შემორჩენილი, რაც გორის მნიშვნელოვან არქიტექტურულ-მხატვრულ ფა-

²⁰ მ. პოლიევქტოვი, გ. ნათაძე, *ძველი თბილისი*, ტფ. 1930, გვ.19

²¹ ვ. ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია*, პირველი ტომი, თბ., 2014, გვ.401



სურ. 4. ქ. გორის 1860 წლის გეგმის ასლი, გადატანილი 1910 წელს კალკაზე, ფრაგმენტი

სეულობას და პრაქტიკულად გამოუყენებელ პოტენციალს წარმოადგენს.


ციხესთან კონცენტრირებული ქალაქი თავიდანვე სამი მხრიდან შემოეწო გორას და დასავლეთით, ლიახვს გაღმა არ გადასულა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1801 წელს, როცა გორი სამაზრო ცენტრად იქცა, აქ სამხედრო ნაწილიც დაბანაკდა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას. მალევე, 1802 წელს პოლკოვნიკ დრენიაკინის მიერ შესრულდა ინსტრუმენტულად გადაღებული (1824 წელს შესწორებული) გეგმა, რომელიც აჩვენებს ქალაქის ძველი ბირთვის კონცენტრულ გეგმარებას და ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფერდობის ძირში მკაფიოდ გამოკვეთილ სავაჭრო რიგის ქუჩას, რომელსაც ორმხრივად მიყვება ნაგებობათა უწყვეტი ზოლი. განაშენიანება ვრცელდება სავაჭრო რიგიდან ციხის ფერდობისკენ და გარეთ – ველისკენ. ამ მხარეს რკალს სხვადასხვა ინტერვალით განაწილებული ეკლესი-

ებიც შემოსდევს. ნაწყვეტებად იკითხება გარე რკალური და გადამკვეთი რადიალური ქუჩები. ლიახვის ტოტებზე ჩრდილოეთით მონიშნულია წისქვილები. დღეისთვის გადმოქართულებულ და პირობითი ნიშნებით შევსებულ გეგმაზე, ქალაქის ჭიშკრებიცაა აღნიშნული: მუხრანის, იმერეთის და თურქეთისა.

გორის ერთ-ერთი უძველესი განაშენიანების ადგილი „ლიახვისკენ ციხის ძირზე“ ყოფილა ვარდისუბანი. განაშენიანება ციხის ქვემოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე დღემდე, ციხის უბნად და ციხისძირად იწოდება, მოშორებით რუსთუბანია; ყოფილა ასევე, ხარების საყდრის უბანი და სუფრაჯიანთ უბანი, დამპალა – ქალაქის გაღავნის გარეთ და სულუხი – გორის ციხის მახლობლად. ერთ უბანს ნაწალკოტარი რქმევია.

1860 წელს კავკასიის მეფისნაცვლის, დიდ თავად მიხეილ ნიკოლოზის ძის დამტკიცებული გეგმა²² აჩვენებს მაზრისდროინდელ გორში, ისტორი-

²² ამ გეგმის 1910 წლის ასლზე (ინახება საქ. ეროვნ. არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 48, ანაწ. 1, №3518) ბაზრის ქუჩის ერთიანი რკალის პარალელურად სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკლე, მცირედ ტეხილი ტაძრის ქუჩაა აღნიშნული და მის მიმართ პერპენდიკულარული რამდენიმე სწორხაზოვანი გრძელი ქუჩა, მათ შორის - სამეფო; ციხის აღმოსავლეთით, მოშორებით არტილერიის პლაცია, რომელსაც ჩრდილოეთით აგრძელებს სემინარიის ქუჩა. ქალაქის ირგვლივ სამ მხარეს ბაღებია. შორს ჩრდილო-აღმოსავლეთით - მსროლელთა პოლკი და ყაზარმაა მითითებული.



ნახ. 1. გორის მცხოვრებ ზაქარია ფოფხაძის ორსართულიანი სახლის პროექტი მიწის სახურავით. 1881. არქიტექტორი ფონ ჰეიდერ ბოროვსკი

ული ბირთვის გარეთ, ჩრდილოეთ-სამხრეთი მიმართულების გრძივ ღერძზე ქალაქის ახალ დაგეგმარებას ქუჩათა რეგულარული ქსელით²³ (სურ.4), სადაც ადრევე უნდა ყოფილიყო მეჩხერი განაშენიანება ვრცელი კარ-მიდამოებით. 1802 წლის ქალაქის გეგმის შედგენის შემდეგ, 1830 წელს გორის მაზრის უფროსი ილიაშენკოვი ხელმძღვანელობას მოახსენებდა, გორის გეგმა დამტკიცებული არ არის და მშენებლობა ძველებურად მიმდინარეობს: – „ასე რომ გორში აშენებენ დარბაზებს, ქვითკირისა და ალიზის სახლებს, მიწურიან და ბანიან ბინებს. ქალაქს არა აქვს დადგენილი ადგილი საძოვრებისათვის, ქალაქი თავდება თუ არა, ბაღები იწყება, იქვეა გაშარავებული ადგილები, რომლებიც სხვა-

დასხვა მფლობელს ეკუთვნის“²⁴-ო. საგულისხმოა, რომ საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ პროექტებს შორის 1881 წელს შედგენილი ბანიანი სახლის პროექტიც²⁵ მოიძებნა, რაც მსგავსად თბილისისა, ამ ტიპის გადახურვის მყარ ტრადიციამე მოწმობს გორისთვისაც (ნახ. 1). საარქივო ფოტოების მიხედვით თუ ვიზუალებით, გორის საცხოვრებელ უბნებში ქანობიანი სახურავების სიჭარბე ამ დროს უკვე აშკარაა, თუმცა შედარებით მომცრო, ერთსართულიანი დუქნები და სახელოსნოები, რომლებიც დღეისთვის, სამწუხაროდ, მთლიანად გამქრალი და უკვალოდ დაკარგულია, უპირატესად ბანიანი ყოფილა და მათი მკვეთრად შვერილი, გადახურვები, რომელიც მთელი ტროტუარის სიგანეს იკავებდა,

²³ გორის ურბანული განვითარება საბჭოთა პერიოდში გაცდა ძველი განაშენიანების ძირითად საზღვრებს და ამ მიმართულებითაც წარიშრთა, რასაც თავიდან ბიძგი მისცა სტალინის სახლის ირგვლივ საკრალური სივრცის შექმნის იდეამ. იხ. ი. გივიაშვილი, ქალაქ გორის საბჭოთა ტოპოგრაფია, ხელოვნება და სოციო-კულტურული სივრცე, 2024, №4 (14), გვ. 177-202.

²⁴ დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ.23;

²⁵ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 204, ანან 1, №529, 8. ფოფხაძის სახლის პროექტი



სურ. 5. გორის ქუჩა ეტლებისა და ურმების სახელოსნოებით, XIX ს. II ნახ.



სურ. 6. გორის ძველი ქუჩა, XIX ს-ის II ნახ.



სურ. 7. გორი, ციხის ქუჩა და ციხე, დ. ერმაკოვის ფოტო

ქუჩის გაყოლებით განლაგებულ ამ ნაგებობებს მზისა და წვიმისგან იცავდა და ერთგვარ „ქუჩის ინტერიერს“ ქმნიდა ვაჭარ-ხელოსნებსა და მოქალაქეთა შორის გაცხოველებული საქმიანი ურთიერთობისთვის (სურ.5,6,7,8). როგორც ძველი ფოტოებიდან ჩანს, არც გორის კარმიდამოებისთვის ყოფილა უცხო ზღუდეების შემოვლება (სურ.9).

XIX ს-ის, მაზრისდროინდელმა განაშენიანებამ გორის ძველი ნაწილიც შეცვალა და რეგულარულ, ფართო ქუჩებს მორგებული ახალი ნაწილიც

(სურ.10,11) მიწაში ჩაღრმავებული ნაგებობები ახალ, ძირითადად ორსართულიან შენობებში მოაქცია. არქივში დაცულ გორის სახლების პროექტებს შორის ყურადღებას იქცევს 1870-1880-იან წლებში შედგენილი პროექტების სიმრავლე, რომლებიც არქიტექტორ თეოდორ ფონ ჰაიდერ-ბოროვსკის მიერაა ხელმოწერილი. დიდი პროფესიული გამოცდილების მქონე არქიტექტორი და ინჟინერი 1871 წლიდან შედგომია გორისა და დუშეთის მაზრების საქალაქო არქიტექტორის მოვალეობის შესრულებას და



სურ. 8. გორი. ციხის შესახვევი ციხის ახლოს, დ. ერმაკოვის ფოტო

ნაყოფიერი შემოქმედებით ღრმა კვალი დაუტყვია ორივე ქალაქისთვის²⁶. მის ნამუშევრებს შორის უბრალო მოქალაქეთა მოკრძალებულ სახლებთან ერთად არის წარჩინებულ პირთა, თავად-აზნაურებისა და ვაჭრების შედარებით მასშტაბური სახლების (ნახ.2), მაღაზიების, სასტუმროს, ასევე საჯინიბოს პროექტები. სიძველისადმი პატივისცემით აღბეჭდილი პროექტებით აშენებულ მის სახლებში, სავარაუდოდ, მოხდებოდა ძველი სარდაფების ჩართვა, თუმცა მათ იდენტიფიკაციას სპეციალური კვლევის ჩატარება სჭირდება.

ისტორიის მძიმე პერიოდებს გადარჩენილი გორის ძველი უბნების განაშენიანების ნაწილი სახლებით, დუქნებით, თუ ქარვასლებით და შუასაუკუნეობრივი ქალაქისთვის დამახასიათებელი განწყობით, რამაც XX ს-მდე მოაღწია, სამწუხაროდ, მხოლოდ ფოტოებს შემორჩა (სურ.12,13). ასი წლის წინ, 1920 წელს მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ შენობებთან ერთად 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე



სურ. 9. ძველი გორის სახლები ზღუდე შემოვლებული ეზოებით

²⁶ არქიტექტორ თეოდორ ფონ ჰაიდერ-ბოროვსკის შემოქმედების შესახებ გორსა და დუშეთში იხილეთ: მ. მანია, *დუშეთი, ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა*, თბ., 2016, გვ.159-175



სურ. 10. გორის საერთო ხედი, XIX ს-ის II ნახ.




სურ. 12. გორი. ქალაქის საერთო ხედი ციხიდან. XIX ს-ის II ნახ., დ. ერმაკოვის ფოტო



სურ. 11. გორის საერთო ხედი XIX ს-ის II ნახ.



სურ. 13. ძველი გორის ერთ-ერთი კუთხე



ნახ. 2. გვარდიის როტმისტრ თავად რევაზ ერისთავის სახლის პროექტი, 1878, არქიტექტორი ფონ ჰეიდერ ბოროვსკი



სურ. 14. გორი, ა.წერეთლის ქ. №4 სახლის სარდაფი, 2022



სურ. 15. შ. ჩიტაძის ქ. №13 სახლის სარდაფი, 2022

იმსხვერპლა და ათასობით ოჯახი დააზარალა. ჩანს, კლიმატურ პირობებთან ერთად, რაც ზამთარში თბილი და ზაფხულში გრილი საცხოვრებლის საჭიროებას ითხოვდა, თაობათა მესხიერებაში ჩაბეჭდილი წარსულის მსგავსი მძიმე გამოცდილება კარნახობდა გორის და თბილისის მოსახლეობას, სხვა სამშენებლო, თუ ტექნოლოგიურ მეთოდებთან ერთად, დაეცვა მყარი ტრადიცია და ანტისეისმური უსაფრთხოების გათვალისწინებით უპირატესობა მიწაში ღრმად ჩამჭდარი, დაბალი სართულიანობის საცხოვრებლისთვის მიენიჭებინა. ამიტომაც, მიუხედავად აღნიშნული კატაკლიზმებისა, გორის ძველ ნაწილ-

ში XIX ს-ის II ნახ. და XIX-XX სს-ის მიჯნაზე აშენებული სახლების ქვედა სართულებში, თანადროულ სარდაფებთან ერთად გვიანი შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობის ნიმუშებიც შემოინახა. მათი შედარება თბილისის ძველ სარდაფებთან მრავალმხრივ მსგავსებას ამჟღავნებს, როგორც ტრადიციული სამშენებლო მასალისა და ტექნოლოგიის, ასევე არქიტექტურული ფორმების მხრივ. აქაც, ძველი სადგომების კედლები, ძირითადად, აგურით არის ნაშენი და შეუღესავია; გვხვდება „თევზიფხური“ წყობით შესრულებული აგურის, ან რიყის ქვის რიგები, აგურის წყობით გატხრული ფლეთილი ქვის ჰორიზონტალური ჩანართები, აგურით „მოჩარჩოებული“ ქვის კვადრები და სხვა. საშენ მასალათა ურთიერთშეთანხმების მთელი ეს მრავალსახეობა მორთულობის როლსაც ასრულებს და ცხოველხატულობას სძენს შენობათა კედლებს.

სადგომების ინტერიერის დამუშავებისას გამოყენებული არქიტექტურული ფორმები, კამარის, ნიშებისა და ბუხრების მოხაზულობებიც მოგვაგონებს ძველთბილისურ სარდაფებს, თუმცა ყურადღებას იპყრობს გარკვეული ლოკალური თავისებურებანიც. პირველ რიგში, თვალშისაცემია გორის სარდაფების მსხვილი მასშტაბი და ხალვათი სივრცეები. წყაროებშიც საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ გორში ქართლის ფეოდალთა საცხოვრებლების გარდა, ქალა-



სურ. 16. გორი, სიმონ I-ის ქ. №17 ძველი სახლის კარის ღიობი, 2022

ქის ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენის წარმომადგენლებსაც დიდი სახლები და დარბაზები ჰქონიათ²⁷. შეინიშნება ასევე, ტიპოლოგიური და ინტერიერის დამუშავების ცალკეული თავისებურებები. ხშირია ერთი სივრცის სხვადასხვა მოხაზულობის ნიშებითა და თახჩებით დამუშავება: ნახევარწრიულთაღოვანთან ერთად სწორკუთხა, კვერცხისებური, თუ შეტეხილი მოხაზულობის ნიშების ერთდროული გამოყენება; ასევე, შეინიშნება არცთუ განიერი, მაღალი ნიშების სიჭარბე თართი გამოყოფილი შეისრული დასრულებით. აშკარაა, შეისრული მოხაზულობის მეტი პოპულარობა, რაც ჩანს, როსტომისეული ალორძინების ხანის უფრო ღრმა კვალსა და გავლენაზე უნდა მიუთითებდეს ქალაქის შემდგომდროინდელ განვითარებაში, რაც თბილისისგან განსხვავებით ამ ფორმათა გვიანობამდე გამოყენებაში ასახულა (სურ.14,15).

გორში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნიმუშები, რომელთა შორის გამორჩეულია ციხის ძირში, სამხრეთი ფერდობის განაშენიანების ზედა ზოლში მდებარე, **სიმონ I-ის ქუჩის №17**, მანსარდით დასრულებულ ახალ ორსართულიან საცხოვრებელ სახლში ჩართული ძველი ნაგებობა²⁸ (სურ.16,17,18), მას სახლის მარჯვენა მხარე უკავია და ქუჩისპირა წინა კედლით და ფერდისკენ მიმართული გვერდითი ფასადით გამოდის გარეთ. ამ კედლების კირის დუღაბით შეკავშირებული აგურის ორი რიგისა და პირმოსწო-



სურ. 17. გორი, სიმონ I-ის ქ. №17 ძველი სახლის ინტერიერის ზედა დონე, ფრაგმენტი, 2022

²⁷ ე. მამისტვალიშვილი, *გორის ისტორია (1801 წლამდე)*, თბ., 1994, გვ.141

²⁸ ზოგი სიით ნაგებობა ბახტრიონის ქ. №13/17 მისამართით არის რეგისტრირებული.



სურ. 18. გორი, სიმონ I-ის ქ. №17 ძველი სახლის საფასადო კედელი, 2022

რებული ფლეთილი ქვის რიგების მონაცვლეობით შედგენილი წყობა ქუჩიდანვე იქცევეს ყურადღებას. ინტერიერში მოხვედრა სახლის ახალი ნაწილის კოლის სივრციდან არის შესაძლებელი, სადაც მოქცეულია აღნიშნულის მსგავსი წყობის გვერდითი კედელი და მასში დატანებული ძველი ნაგებობის მხატვრულად გაფორმებული, მსუბუქად შეტეხილთაღოვანი მოხაზულობის კარი, რომელიც აგურით შესრულებულ ჩანეულ სწორკუთხა სიბრტყეშია ჩასმული. მას ზემოთ აგურის ორი მწკრივისგან შემდგარი ხერხულა კარნიში ასრულებს. კარი ახალგამართული ხის კიბის ბაქანს უკავშირდება, საიდანაც ფიცარნაგით ორსართულად გაყოფილი ძველი სადგომის შეისრულკამაროვანი სივრცის სხვადასხვა დონეზე შეიძლება მოხვედრა: რუხი ბაზალტის, პროფილირებულ კრონშტეინებზე დაყრდნობილი ბრტყელი ჭერით დასრულებულ ქვედა ნაწილში ყვება შეისრულთაღოვანი ნიშებით დამუშავებული კედლები, ხოლო ზედა დონეზე მოქცეულია შეისრულკამაროვანი სივრცე ორი საბჯენი თალით და კუთხის ნაოთხალი თაღებით, რომლებიც თავდაპირველად ზემოხსენებულ კრონშტეინებს ეყრდნობოდა. სივრცეს ანათებს ქუჩისკენ მიმართულ განივ კედელში დატანებული მცირედ გაგანიერებულწირთხლებიანი, წყვილი სწორკუთხა სარკმელი, რომელთა ძირი ახალმოწყობილი იატაკის ხაზს ემთხვევა. ღვინისფერი აგურით ნაშენი კედლის წყობის სწორხაზოვნება და შეისრული კამა-

რის მოხაზულობის სიზუსტე მაღალ ოსტატობას ავლენს, რაც შერეული მასალით ნაგები გარე კედლების წყობასაც ეტყობა.

კამარიანი სადგომის სიღრმითა განივი კედლის შუა ნაწილი გვიანი გამონგრევით ფართო ღიობადაა გადაკეთებული, საიდანაც ერთი საფეხურით აწეულ გრძელ, დაბალჭერიან ოთახთან ხდება დაკავშირება. მისი გაჯით შელესილი განიერი კედლები სხვადასხვა ზომის, კვადრატს მიახლოებული ღიობებით და ნიშებითაა დამუშავებული. ნალესობა ნიღბავს კედლის სიბრტყეზე ფრაგმენტულად გამოზიდული სარტყლების, თუ შეღრმავებების წარმოშობის მიზეზს. თვალშისაცემია კედლების ძლიერი გასქელება კამარიანი სადგომის მოსაზღვრე ნაწილშიც, სადაც დაბალთაღიანი პატარა ბუხარიცაა მოქცეული. მფლობელის მიერ საცხოვრებლად ადაპტაციისას ორივე სადგომი სახეცვლილია, თუმცა ჩანს, რომ არქიტექტურული ფორმებითა და პროპორციებით განსხვავებული სადგომები სხვადასხვა დროისაა. ირანული არქიტექტურის გავლენით დალდასმული, ორ სართულად გადაკეთებული შეისრულკამარიანი სადგომის თავდაპირველი აზიდული სივრცე კავშირს ამჟღავნებს გორის ურბანული მემკვიდრეობის როსტომისეულ პერიოდთან, რასაც გორის ციხის 1633 წლის აღდგენის დროინდელი კარიბჭის კომპოზიციასთან სადგომის კარის მსგავსებაც ადასტურებს²⁹. მეორე სივრცე კი, კედლების ნალესობით დაფარული წყობისა

²⁹ ამავე პერიოდით ათარიღებს ბახტრიონის ქ. №13/17 კამარიან სადგომს ვ. შანიძე სტატიამ „გორის განაშენიანების ისტორიისათვის“, *საქართველოს სიძველენი*, 12, თბ., 2008, გვ.285



სურ. 19. გორი, სიმონ I-ის ქ. №31, სარდაფი, ინტერიერი. 2025

და სხვა დაუზუსტებელი დეტალების მიუხედავად, დამჭდარი პროპორციებით და კვადრატს მიახლოებული ღიობებისა, თუ ნიშების ფორმებით შექმნილი ინტერიერის ხასიათით, აქ შეფარულ XVIII ს-ის მიწურულის ბანური დასრულების მქონე საცხოვრებლის, ან მისი ფრაგმენტების ჩართვას გვაფიქრებინებს. ამ სათავსოს გვერდით, დღეს ეზოდ ქცეულ ფართში, მინისძვრის შედეგად სახურავჩაქცეული, ბუხრებიანი და ნიშებიანი კედლებია აღმართული. სავარაუდოდ, აქ XIX ს-ის შუა ხანის ნაგებობა უნდა მდგარიყო და ეს, საცხოვრისის მომდევნო სამშენებლო პერიოდზე და მის უწყვეტ გამოყენებაზე მიუთითებს.

გორის ურბანული მემკვიდრეობის ჩვენამდე მოღწეულ კიდევ ერთ ადრეულ, როსტომამდელი მშენებლობის, ან მისი მეფობის დროინდელ მეტად საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს **ძველი მარანი³⁰, რომელიც სიმონ I-ის წრიული ქუჩის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს** (სურ.19). იგი გორის ციხის ფერდობის ძირში აგებული, გვიანი გადაკეთებებით სახეცვლილი №31 შუშაბანდიანი, ორსართულიანი სახლის ქვეშ არის მოქცეული და შიგნით შესვლა ეზოს გავლით, რიყის ქვით მოკირწყლული დერეფნიდან

არის შესაძლებელი. ყურადღებას იქცევს შეისრულთალოვანი კარის ღიობი, რომელიც ამავე ქუჩის №17 ძველი სახლის კარის მსგავსად, სწორკუთხა ჩანეულ სიბრტყეშია ჩასმული (სურ.20 ა,ბ,გ). სარდაფის კამარა და კედლები აგურის ოსტატური წყობით არის ნაშენი, თუმცა არასათანადო პირობებისა და ხანდაზმულობისგან ზედაპირი შელახულია, ალაგ-ალაგ გამომარილებით ამოთეთრებულია, ან ჩაშავებული. შეისრულ კამარასა და საბჯენი თაღს, რომელიც შიდა სივრცეს ორ ნაწილად ყოფს, განსხვავებული, მუზარადისებრი მოხაზულობა გამოარჩევს. გრძივი კედლები ყოველ ნაწილში წყვილ-წყვილი, შეისრულთალოვანი ნიშით არის დამუშავებული, რომელთაც ზურგი ფლეთილი და რიყის ქვის შერეული წყობით აქვს ამოყვანილი. ასეთივე წყობით არის ნაშენი აგურის ნაოთხალი საბჯენი თაღით მოსაზღვრული განაპირა დასავლეთი კედელი თავისი წყვილი, შეისრულთალოვანი მაღალი ნიშით და მათ შორის, მაღლა განთავსებული მომცრო სწორკუთხა თახჩით. დასავლეთი კედლის ზედა მონაკვეთში, ქვის წყობაში ჩატანებული ხის ძელიც იკითხება. სარდაფის ჩრდილოეთ კედლის დასავ-

³⁰ ძეგლთა ნუსხაში 2008 წელს ძველი მისამართით - 25 თებერვლის ქ. #31 - შეტანილია სახლი ორი მარნით; სარდაფის მარნის ფუნქცია დადგენილია იატაკის ქვეშ ჩაფლული ქვევრების არსებობით (ამას ამოწმებს მესაკეთრე თ. გუდიაშვილიც) ადგილობრივ მაცხოვრებელთა ცნობით, სახლის გარეთ მოქცეულ მარნის დაზიანებულ ნაწილთან დაკავშირებული ყოფილა ციხისკენ გამავალი გვირაბი, რომელიც ამჟამად შეუღწევადია.



სურ.20. სიმონ I-ის №31, ა) სარდაფის კარი; ბ) ნიშა და სარკმელი ჩრდილოეთ კედელზე;
გ) დასავლეთი კედელი; 2025



სურ. 21. გორი, სიმონ I-ის ქ. №31-ის მიდამოებში მდგარი ძველი სახლი, XIX-XX სს-ის მიჯნა



სურ. 22. გორი, სიმონ I-ის ქ. №31



სურ. 23. გორი, ხერხეულიძის ქ. №12, მარნის ინტერიერი, 2022

ლეთ ნახევარში ორი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია მოწყობილი, რომელთაც შიგნითკენ გაფართოებული წირთხლები და მკვეთრად დაქანებული ძირი აქვს. შიდა სივრცის დამე გასანათებლად, ნიშებს შორის მონაკვეთებში განაწილებულია კვადრატს მიახლოებული მოხაზულობის, ორსაფეხუროვანი დასრულების მქონე მცირე ზომის სატრაქე ნიშები. კამარის საბჯენი თაღის გვერდით კი, სამხრეთი კედლის ზედა ნაწილში, კამარის ქუსლთან, სავენტილაციო ღიობია დატანებული. სარდაფის შემოსასვლელთან მდებარე განივი აღმოსავლეთი კედელი ცემენტით შელესილ გვიანდელ ჩაშენებას წარმოადგენს, რომელიც აქ გადაყვანილ კამარის საბჯენ თაღთან მოუწყიათ და ამგვარად გაუტიხრავთ სახლის ფარგლებს გარეთ მოქცეული გრძელი სარდაფის აღმოსავლეთი მონაკვეთი. დამოუკიდებელი შესასვლელის მქონე სარდაფის ეს ნაწილი ამჟამად დაზიანებულია და ჩამონგრევის გამო შიგნით შესვლა ვერ ხერხდება.

ძველმა ფოტოებმა შემოინახა სიმონ I-ის №31 სახლის მიდამოებში მდგარი, XIX ს-ის 60-70-იანი წლებისთვის დამახასიათებელი დახვეწილი ჭვირული მოაჯირებითა და კილისებურთაღებიანი აივნით გახსნილი გრძელი სახლის გამოსახულება (სურ.21). მას შელესილ საფასადო კედელზე ერთიანი სარტყლით გაერთიანებული არქივოლტებით გაფორმებული თაღოვანი კარ-სარკმლები ჰქონია, ქვედა სართულში კი, შეუღესავად ყოფილა დატოვებული



სურ. 24. გორი, ხერხეულიძის ქ. №12, მარნის ინტერიერი, 2022



სურ. 25. სამეფო ქ. №68 საცხოვრებელი სახლის შემინული აივანი ამოშენებამდე

თანაბარი ზომის, ნარჩევი რიყის ქვის ოსტატურად ნაშენი გვერდითი კედელი. გორის ციხის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებს მრავალ შემორჩა აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით ნაშენი ძველი განაშენიანების ფრაგმენტები, თუმცა, მდებარეობიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეისთვის აქ მდგარი ძველ სარდაფიანი სახლი, ძველ ფოტოზე გამოსახული საცხოვრებლის ნაწილებს შეიძლება შეიცავდეს (სურ. 22), მით უფრო, რომ მის დასავლეთ კიდეზე ნაწილში დღესაც შემონახულია რიყის ქვით ნაშენი სარდაფი.

როგორც ზემოთ ითქვა, გორის ისტორიული განაშენიანება სარდაფებზეა დაფუძნებული. მათ არქიტექტურაში თავისებურებებთან ერთად შეინიშნება რიგი სპეციფიკური მომენტები, რაც მიწისძვრის შემდგომი ნაჩქარევი აღდგენითი პროცესის დიდ მასშტაბებს უნდა უკავშირდებოდეს. გორის ძველი სარდაფების უმეტესობას, რომლებიც ძლიერი მიწისძვრის დროს დაზიანებული სახლების ქვეშ გადარჩენილა, ჩანს, თავდაპირველი გადახურვა მცირე შემთხვევებში შერჩა. ამას გვაფიქრებინებს სარდაფის კედლების ოსტატურ წყობასთან შეუთავსებელი ჭერის მასალა, რაც ხშირ შემთხვევაში ინტერიერში მოხვედრისთანავე იქცევა ყურადღებას³¹. დაბალი



სურ. 26. სამეფო ქ. №68, სახლის გვერდითი ფასადი და ეზოში შესასვლელი, 2022

ხარისხის, თხელი ფიცრებისა და სუსტი ხის კოჭებისგან შეკრული ახალი სართულშუა გადახურვების მასალათა ფაქტურული და ფერადოვანი კონტრასტი, მიწისძვრის შემდგომი სწრაფი აღდგენითი პროცესის შედეგია. ჭერისა და კედლების ამგვარი შეუთავსებლობა **ხერხეულიძის ქ. №12** პატარა, ერთსართულიანი სახლის ბრტყელჭერიან სარდაფთან შედარებისას უფრო თვალშისაცემი ხდება (სურ.23). ინტერიერში, სადაც კირხსნარში ჩაძირული რიყის ქვის სწორხაზოვანი, თუ ნაძვური წყობის მონაცვლეობით ნაშენ კედლებში ხის სარტყელია ჩატანებული, შეისრული მოხაზულობის ნიშებია მოწყობილი და შიდა სივრცეს მცირედ გაგანიერებულწირთხლებიანი განივი, მართკუთხა სარკმლები ანათებს, ამას ბუნებრივად ეხამება გადახურვის ვეებერთელა, ცულით დამუშავების კვალდაჩნეული და არათანაბრად კუთხე-მომრგვალებული მორები, რომელთა შორის ზედა სართულის იატაკის ასევე სქელი ფიცრები მოჩანს. აღწერილი მასალის სიძველის მეტყველება, რასაც მოცემენტებულ იატაკში ჩართული ნატეხი ფილები და რიყის ქვებზე დატანილი ლაქიც ვერ აბათილებს, სარდაფის XVIII ს-ის მიწურულით დათარიღებას ხელს ვერ უშლის (სურ. 24). სხვა მრავალ შემთხვევაში კი, სადაც სარდაფის სივრცეები სახლის საცხოვ-

³¹ ასეთი სურათია წერეთლის №4, წერეთლის №24, ჩიტაძის №20, ჩიტაძის №13 და სხვა მისამართებზე.



სურ. 27. სამეფო ქ. №68 საცხოვრებელი სახლის სარდაფი, 2022

რებელ სართულზე აშკარად უწინდელი ჩანს, სადაც ინტერიერი ასეთივე ნიშებით არის დამუშავებული, შეუღესავი კედლის სიბრტყეები აგურისა და რიყის ქვის მრავალფეროვანი შეთანხმებით მხატვრულ სახეს იძენს და სინათლეს მსგავსი განივი სარკმლებიდან იღვრება, თვალშისაცემია შეუსაბამობა კედლებსა და ჭერს შორის (იხ. სურ.14).

ერთიან ხუროთმოძღვრულ სხეულში სხვადასხვა სამშენებლო პერიოდის სადგომთა შეთავსების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს **სამეფო ქ. №68** დიდი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მაზრისდროინდელი გორის განაშენიანების თვალსაჩინო ნაგებობაა. იგი ერთ-ერთ სწორხაზოვანად დაპროექტებულ და ადრევე გაშენებულ სამეფო ქუჩაზე მდებარეობს, სადაც გორის წარჩინებული მოქალაქეები ცხოვრობდნენ. სახლის თავდაპირველი მხატვრული დამუშავების დანაკარგების მიუხედავად, მისი XIX ს-ის არაუგვიანეს 70-იანი წლებით დათარიღების საფუძველს ქმნის საერთო პროპორცია, გადახურვის მთლიანად შენარჩუნებული მკვეთრი ნაშვერი ხის პროფილირებული კრონშტეინებით, ეზოსკენ, გვერდით ფასადზე არსებული ფანჯრების დამასრულებელი სადგამებიანი პროფილირებული თაროები, ჭვირულმოაჭირიანი და მრგვალსვეტებიანი აივანი, რომლის გამომსახველობაზე წარმოდგენას გვიქმნის ბოლოდროინდელ

ამოშენებამდე გადაღებული ფოტო (სურ.25,26).

რაც შეეხება ქვედა სართულს აქ ყურადღებას იპყრობს შენობის ხუროთმოძღვრულ სხეულში შენიაღებული ძველი, საკმაოდ გრძელი კამაროვანი სარდაფი, რომელიც გიგანტური მილივით დევს სახლის ეზოს მხარეს მოქცეულ ნაწილში ისე, რომ სართულშია გადახურვამდე და გვერდით კედლებამდე დატოვებული დაბალი სივრცე თითქოს სარკოფაგში აქცევს მას. ამ დაბალი სივრცის შეღესილ-შეღებილი კედლები თავის მხრივ აშკარად აჩვენებს, რომ ამჟამად არსებული სახლის დაშენებამდე, გარდამავალ ეტაპზე აგებული სახლის იატაკი უშუალოდ ყოფილა დაყრდნობილი სარდაფის კამარაზე და ეს დაბალი სივრცე, სახლის საცხოვრებელი ოთახების ინტერიერში ყოფილა მოქცეული. სავარაუდოდ, შექმნილ ტექნიკურ სირთულეებს უნდა მოყოლოდა კიდევ ერთი ცვლილება და სამეფო ქ.№68 სახლის არქიტექტორის მიერ ძველი სარდაფის ამგვარი ექსპონირება მის მიერ დაპროექტებულ სახლში.

რაც შეეხება თავად სარდაფს, მისი შეუღესავი აგურის კედლებიანი ხალვათი ინტერიერი საბჭუნთაღებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით სრულდება (სურ.27). კედლების ქვედა რეგისტრს შეტეხილთაღოვანი ნიშები შემოსდევს, რომელთა შორის კედლის წყობაში ფრაგმენტულად ჩართუ-

ლია ფლეთილი ქვები. ნიშებს ზემოთ, ეზოსკენ განაწილებულია გაშლილწირთხლებიანი თაღოვანი სარკმლები. კამარაში წითელი ფერის აგურით გამოყვანილი, ერთმანეთში ჩასმული მზარდი ზომის რომბები იხატება, რაც ინტერიერს საზეიმო ელფერს მატებს. სარდაფის შიდა სივრცის და კამარის დამუშავება, სავარაუდოდ, XVIII ს-ის ბოლოს უნდა ეკუთვნოდეს. კამარის გადაყვანა აგურის მსგავსი წყობით დალაგებული რომბებით, თბილისში, ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე საკვლევ უბანში ბ. ახოსპირელის III ჩიხის №1/17 სახლის სარდაფში და შ. დადიანის ქ. №20-ის სარდაფში გვხვდება და მათი აგებაც XVIII მიწურულს, ან XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე შეიძლება ვივარაუდოთ³².

ზემოთ მოხმობილ ქალაქის ქუჩების, საერთო ხედებისა, თუ მიკროუბნების ამსახველ ფოტოსურათებზე დაკვირვებამ და ამასთანავე, შემორჩენილი სიძველის ნაშთების ზოგადმა მიმოხილვამ დაგვანახა გორის გვიანი შუასაუკუნეებისდროინდელი ურბანული მემკვიდრეობის გარკვეული მსგავსება თბილისთან. ამასთან ერთად გამოიკვეთა მისი თავისებურებები და სპეციფიკური მხარეებიც, რაც ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციას, ქალაქის ისტორიას და თავგადასავალს უკავშირდება. ორივე ქალაქისთვის დამახასიათებელი ყოფილა დღეისთვის გამქრალი ბრტყელი, ბანური გადახურვების ტრადიციის სიმყარე, რის გამოხატულებად გვევლინება ევროპელი არქიტექტორის ჰეიდერ ფონ ბოროვსკის მიერ 1881 წელს დაპროექტებული სახლი, რომელიც გორის მკვიდრ მოქალაქეს დაუკვეთია. ამ ტიპის გადახურვის ცალკეულმა ნიმუშებმა თბილისშიც ამ დრომდე იარსება. გორში მიღებული

ლი ყოფილა ეზოს ნაშენი ზღუდეებიც, თუმცა ის თბილისისგან განსხვავებით ქალაქის სივრცითი სტრუქტურის უმთავრეს ელემენტად არ ქცეულა³³. თბილისის მსგავსად გორის სარდაფისთვისაც არ ყოფილა უცხო ინტერიერში ჭის არსებობა. სამშენებლო მასალათა სახეობებიც არსებითად ერთგვაროვანია ორივე ქალაქში, აგურით ნაშენ კედლებში რიყის ქვისა და პირმოსწორებული კვადრების ჩანარების გამოყენება აქაც ნაცადი ხერხია, არქიტექტურულ ფორმათა რეპერტუარშიც არ ჩანს მკვეთრი განსხვავება, ისე, როგორც კედლის წყობის ხერხებში. გორიც თბილისის მსგავსად არსებითად აგურით ნაშენ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის, თუმცა მაინც, – თბილისში აგურის მეტი სიჭარბეა, ხოლო გორში – რიყის ქვის. მიუხედავად ამდენი საერთო ნიშნისა, თბილისმა გვიანი შუა საუკუნეების სარდაფების ტიპოლოგიის დიდი მრავალფეროვნება და სიმრავლე შემოინახა. რაც განსაკუთრებით საყურადღებო იყო ჩვენთვის, გორში არსად შეგვხვდებოდა თბილისის სარდაფთა დიდი, საცხოვრებელი სადგომების თანმხლები წრიული, თუ კვადრატული გეგმის, უმეტესად კამარით დასრულებული იმ ტიპის მცირე ზომის სათავსები, რომელთა სიმრავლე თვალშისაცემია თბილისის საკვლევ უბანში და მათი ამგვარი გავრცელების ახსნას ვერაფერი შემატა სხვა განხილული ისტორიული ქალაქების მაგალითმა, სადაც ამდაგვარი სივრცის ერთი ნიმუშიც არ მოიძებნა. ასევე უშედეგო აღმოჩნდა ჩვენი მოკვლევა ახლო აღმოსავლეთის, კონკრეტულად კი ირანის ამ პერიოდის ურბანული დასახლებების შესახებ ინტერნეტრესურსებში არსებული ინფორმაციის კუთხით.

³² მ. მანია, ძველი თბილისის სარდაფები, *საქართველოს სიძველენი*, 3, თბ., 2003, გვ.152

³³ მ. მანია, ეზო, როგორც ისტორიული თბილისის სივრცითი სტრუქტურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, *მაცნე, საქ. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელ.ისტ. სერია*, №1, 1989, გვ. 107-115

დასკვნა

წინამდებარე წიგნი ეძღვნება თბილისის ერთ-ერთი ძველი საცხოვრებელი და სავაჭრო უბნის ურბანული მემკვიდრეობის კვლევას, რომელიც XIX ს-ის დასაწყისამდე შუა საუკუნეების გალავნის შიგნით, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში მდებარეობდა, მის მიღმა კი სამეფო ბაღები იყო გაშლილი. ახლა აქ ლადო გუდიაშვილის მოედანი და ვინა-რო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით დაქსელილი სამოსახლოა, რომელიც აშკარად ავლენს შუასაუკუნეობრივ წარმომავლობას და ძველად აღრიცხული შენობების სიმრავლითაც გამოირჩევა.

თბილისის XIX და XX ს-ის დასაწყისის გეგმების მიხედვით, მოედნის მიმდებარე კვარტალს მოლნისის უბანი ერქვა, რაც XVIII ს-ის შუა წლებში აგებული მონოფიზიტიური ეკლესიის (ახლა ნანგრევების სახით არსებული) სახელიდან მომდინარეობდა. ეს ადგილი სავაჭრო სივრცეს (ბაზარს) წარმოადგენდა და ბაზრის მოედანიც ერქვა. გარდა ამისა, ის აბას-აბადის სახელწოდებითაც იყო ცნობილი. XIX ს-ის პუბლიკაციებსა და საარქივო დოკუმენტებში ხშირია შემთხვევა, როდესაც ზემოთ აღნიშნული რამდენიმე დასახელება ერთდროულად ფიგურირებს. უბნის ბინადართა შორის იყვნენ თბილისის საპატიო მოქალაქეები, მდიდარი ვაჭრები და სამოხელეო აპარატის ჩინოვნიკები. მათი საცხოვრებელი სახლები ძირითადად ერთ ოჯახზე იყო გათვლილი, რაც განსხვავდება XIX ს-ის თბილისის ზოგიერთი უბნის გასაქირავებლად აგებული სახლები-საგან. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მეზობელ სოლოლაკთან შედარებისას, რომელიც ძველი სამეფო ბაღების ადგილზე გაშენდა შუა საუკუნეების გალავნის დანგრევის შემდეგ.

საკვლევი უბნის უცნობი ისტორიის ნაწილობრივ აღსადგენად გასათვალისწინებელია მოლნისის ეკლესიის ადგილზე 2009 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი XIII-XIV სს-ის ქართულ-ქალკედონური ეკლესიის არსებობა. უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, მისი მშენებლობა საქართველოს მეფე დავით VIII-ს (1293-1311 წწ.) უკავშირდება, რაც უბნის სიძველეზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს.

2016-2022 წლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, გუდიაშვილის მოედანზე და მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა და არქეოლოგიური ზედამხედველობით გაინმინდა შუა საუკუნეების პე-

რიოდის აქამდე უცნობი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა თბილისის განვითარების ფონდის დაფინანსებით და იკომოს საქართველოს მიერ 2015 წელს დამუშავებული კონსერვაციის გეგმის საფუძველზე. პროექტების განხორციელების პროცესში გაირკვა, რომ XIX ს-ის საცხოვრებელი სახლები მოიცავს კვადრატული აგურით ნაგებ აქამდე უცნობ XVI-XVII და XVIII სს-ის შენობების მეტ-ნაკლებად შემონახულ ფრაგმენტებს, რომლებიც მაღალი სამშენებლო ოსტატობით გამოირჩევა. ამასთანავე, გამოიკვეთა აქ მცხოვრები მოსახლეობის იმდროინდელი საქმიანობის სფერო, რაშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავა კერამიკულ წარმოებას. სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩენილი კერამიკული ნაკეთობების ასაკი XI-XIII სს-იდან XVI-XVIII სს-მდე მერყეობს, დადასტურდა XVI-XVIII სს-ის კერამიკული სახელოსნოს მუშაობის დეტალები, გამოსაწვავი ქურის ჩათვლით, აღმოჩენილია დიდი ტევადობის ქვევრები, რაც არ შეიძლება ღვინის მხოლოდ ინდივიდუალურ მოხმარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქს მჭიდრო სამეურნეო კავშირი ჰქონდა მეზობლად მდებარე სამეფო ბაღებთან, სადაც ნაირგვარ მცენარესთან ერთად, ვაზიც ხარობდა. ეს კი, შესაძლოა, ქალაქის გალავანში, უბნის მახლობლად დატანებული კარის არსებობაზე მიუთითებდეს.

* * *

ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე უბანში საკვლევად შეირჩა არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახლები, რომლებიც სპეციალური შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა. მათი უმეტესობა ერთ ადმინისტრაციულ მისამართზე თავმოყრილი რამდენიმე შენობისგან შედგება: **ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1, გ. აბესაძის ქ. №21, ლ. გუდიაშვილის მოედნის №2/7 და №7/3, შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქვ.-ის კუთხის №34/17.** მათთან ერთად კვლევა შესრულდა **ბ. ახოსპირელის I / II ჩიხი №4/3 შენობაზე**. ამასთანავე, მომზადდა **მცირე შენიშვნა** სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ **გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელი სახლზე**. ქვემო კალის მოცემულ მიკროუბანში მდებარე ამ სახლების კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა თბილისურ საცხოვრებელში

ბოლო საუკუნეების განმავლობაში განვითარებული არქიტექტურული და სტრუქტურული სახეცვლის პროცესის თვალის გადევნება და ახლად გამოვლენილი სიძველეების ზოგადი თარიღების განსაზღვრა.

* * *

ლ. გუდიაშვილის მოედნის და ახოსპირელის I ჩიხის კუთხეში მდებარეობს ერთი მისამართით გაერთიანებული ორი **საცხოვრებელი სახლი №6 /1**. ერთ-ერთი მათგანი მთავარი ფასადით მოედნისკენაა მიმართული. ბოლო დრომდე შენობამ XIX - XX სს-ის მიჯნაზე ჩამოყალიბებული სახით მოაღწია, მაგრამ, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გაირკვა, მანამდე იმგვარად იცვალა გარე და შიდა სტრუქტურა, რომ ადგილზე დარჩა გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენები. საარქივო მონაცემების მიხედვით, ახლანდელ №6/1 და №4 საცხოვრებელი სახლების ადგილზე იდგა 1812 წელს აგებული, რუსული კლასიციზმის სტილში გადანაწევტილი ერთსართულიანი, ბრტყელსახურავიანი შენობა მრგვალკოლონებიანი პორტიკით. მისი ფასადის უკან კი გაცილებით ადრინდელი ნაგებობა იფარებოდა, რომელიც ნაწილობრივ დღემდე შემონახული XVIII ს-ის ორდონიან სივრცეში, სადაც ქვედა დონე გვიან შუა საუკუნეებში სავაჭრო-სახელოსნო ფუნქციის მქონე სათავსებს ჰქონდა დათმობილი, ხოლო ზედა - საცხოვრებელს. შესასვლელი ჩიხის მხრიდან უნდა ყოფილიყო, საიდანაც ხვდებოდნენ ქვედა დონის სივრცეში, აქედანვე იწყებოდა სართულების დამაკავშირებელი ორ კედელს შუა მოთავსებული კიბე, რომელიც ბანზე ადიოდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს ორივე დონეზე გაიხსნა და გაიწმინდა სადგომ-სათავსები, რომელთა ფუნქცია ბოლომდე არ ირკვევა. ქვედა დონის დასავლეთი კედლის ერთ-ერთი ნიშის სიღრმეში გამოვლინდა ორ დონეზე ასული კონსტრუქცია რადიალურად დაწყობილი აგურის წყობით გამოყვანილი გვირგვინით. სიმაღლის მატებასთან ერთად ის ვიწროვდება და ზედა დონეზე აგურის და კირის ხსნარისაგან ნაგებ ბოთლისებური მოყვანილობის სხმულის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც თაღოვანი ნიშებით დანაწევრებულ კედელს ებჯინება. ამ უკანასკნელის წყობა კი უფრო მეტ სიძველეზე მიუთითებს. სავარაუდოა, რომ არასრული სიმაღლით შემონახული ეს უცნაური კონსტრუქცია ერთი სრულდებოდა და ბანზე ადიოდა.

ქვედა დონეზევე გაიხსნა კედლის სისქეში დატანებული მცირე სათავსები საჭრაქე ნიშებით. ხოლო შენობის ყველაზე დაბალ დონეზე გაიწმინდა წრიული გეგმარების, სფერული კამარით დასრულებული სადგომი აუზისმაგვარი ჩაღრმავებით იატაკში. აღსანიშნავია, რომ ქვედა დონის თითქმის ყველა სათავსის კედლის სისქეში ჩატანებულია კერა-

მიკული ჭურჭელი, რაც, ალბათ, აკუსტიკის გამართულობას უწყობდა ხელს. საარქივო მონაცემების და არსებული მდგომარეობის მიხედვით, სავარაუდოა, რომ გუდიაშვილის მოედანი №6/1 სახლის მოედნის მხარეს ფასადით მიმართულმა საცხოვრებელმა სახლმა გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენები შემოინახა, რომელიც შესაძლებელია დარბაზული საცხოვრებლის ნაწილი ყოფილიყო. ფრაგმენტული სახით, ის ჯერ 1812 წლის შენობაში, ხოლო XIX- XX სს-ის მიჯნაზე, უკვე ახალი საცხოვრებელი სახლის პერიმეტრში მოექცა.

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 სახლის ჩიხში განვითარებული ნაწილის ყველაზე ძველი სადგომი XVI-XVII სს-ით თარიღდება. როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გაირკვა, ის კიდევ უფრო ადრეულ სამშენებლო ფენებზე დგას. სავარაუდოა, რომ სადგომი დროის იმ პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც მასზე დაშენებული ახლანდელი საცხოვრებელი სახლი ჯერ კიდევ არ არსებობდა და მის ადგილზე სხვა ნაგებობები იდგა.

ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1 საცხოვრებელი სახლის ახლად გამოვლენილი სიძველეების მიხედვით, გვიანი შუა საუკუნეების თბილისური საცხოვრებლის სამშენებლო ოსტატობა მაღალ დონეზე იდგა, მისი განვითარების შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გარდამავალი ეტაპი მრავალსახოვანი უნდა ყოფილიყო, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით.

* * *

ახოსპირელის I და II ჩიხებს შორის მდებარე საცხოვრებელი სახლების რიგში იდგა მცირე ზომის ორსართულიანი შენობა **№4/3**, რომელმაც XIX ს-ის მეორე ნახევარში არ იცვალა სახე, როგორც ეს მოხდა ლ. გუდიაშვილის მოედანზე მდებარე უმეტეს საცხოვრებელ სახლებში. მძიმე მდგომარეობის გამო შენობის გადარჩენა ვერ მოხერხდა და დღეს მის ნაცვლად ამ ადგილზე 2022 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი დგას. ძველი შენობის დაშლის და ტერიტორიის მიწისაგან განმედიის დროს გამოვლინდა წინა საუკუნეების სხვადასხვა სისრულით შემორჩენილი სამშენებლო ფენები, კერამიკული მასალა და საყოფაცხოვრებო ნივთები.

შენობა ორი მხრიდან უვლიდა მცირე ზომის ეზოს, რომელიც I ჩიხის მხარეს იყო მიმართული, აქედანვე იყო მისი ერთადერთი შესასვლელი. საცხოვრებელი სახლის გეგმა ერთმაგ ანფილადს წარმოადგენდა, მწკრივად დალაგებულ ოთახებში ძირითადად აივნიდან შეიძლებოდა მოხვედრა. სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა ორი კიბით, რომლის კოჭები გამჭოლად გადიოდა პირველი სართულის განივ ფასადზე. II ჩიხის მხარეს გაშლილი აგურის საფასადო წყობის ერთიანობას რიტმულად ჩა-

რიგებული სარკმლის ღიობები არღვევდა. მეორე სართულზე კედლის სიბრტყეს დაუყვებოდა აგურის წყობაში ჩართული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხის ძელები. შუა საუკუნეებიდან ახალ დროში გადმოსულ ამ კონსტრუქციულ ხერხს მხატვრული დატვირთვაც გააჩნდა. სავარაუდოა, რომ ბ. ახოსპირელის I-II ჩიხი №4/3 საცხოვრებელი სახლის ზედა სართული ევოლუციურად დაკავშირებული იყოს შუა საუკუნეების ქორედიან (ქორი) საცხოვრებელთან, რომელმაც სახე იცვალა, მაგრამ არ გამქრალა და ახალ დრომდე მოაღწია. საცხოვრებელი სახლის თარიღი ძირითადად XIX ს-ის პირველი ნახევრის 30-იანი წლებიდან ამავე ს-ის შუა ხანებით განისაზღვრა, მაგრამ პირველი სართულის ქვედა ნაწილი და ნახევარსართავი XVIII საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა ყოფილიყო.

სახლის დემონტაჟის დროს (2020 წ.) ამ ადგილზე აღმოჩნდა მიწით დაფარული, კვადრატული აგურით და ფლეთილი ქვით ნაგები XVII-XVIII სს-ის სავაჭრო-სახელოსნოს ფუნქციის მქონე შენობის ფრაგმენტები, რომლებიც დაახლოებით 2 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. მისი კედლები შეისრულთაღიანი შეწყვილებული კედლის ნიშებითაა დანაწევრებული, რომელთა შორის მცირე ზომის საჭრაქე ნიშებია ჩართული. კედლების ასეთი დანაწევრება დამახასიათებელია საქართველოში არსებული XVII-XVIII სს-ის საერო ნაგებობებისთვის. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ შენობას შეისრული კამარა ჰქონდა, რაც გვიან შუა საუკუნეებზე მიანიშნებს. ახლად აღმოჩენილი სამშენებლო ფენები XVII-XVIII სს-ის უნდა იყოს.

საცხოვრებელი სახლი არ აღმოჩნდა გამონაკლისის ქალაქის ძველ უბანში მდებარე სხვა ისტორიული შენობებისგან, რომლებიც შუა საუკუნეების საცხოვრებლის ფრაგმენტებს და რიგ შემთხვევაში, თითქმის სრულად შემონახულ ინტერიერს, ან ფასადის დეტალებს მოიცავს, რაც გვიჩვენებს, რომ რთულმა ისტორიულმა მოვლენებმა ხელი ვერ შეუშალა სამშენებლო ტრადიციის უწყვეტად განვითარებას და დროის ცვლილებებზე სწრაფ და შესაბამის რეაგირებას.

* * *

გ. აბესაძის ქუჩას, რომელიც ლ. გუდიაშვილის მოედანს ჩრდილოეთიდან უერთდება, №21 საცხოვრებელი სახლი ასრულებს. ანფილადური გეგმის სამი შენობისგან შემდგარი ამ სახლის შესწავლამ გამოავლინა მიწის ზედა სტრუქტურათა ორგანული კავშირი ძველი საცხოვრებლის ფრაგმენტების შემცველ სართავთა სისტემასთან და ამასთანავე, შესაძლებელი გახადა ქალაქური საცხოვრებლის განვითარების თვალის გადევნება გვიანი შუა საუკუნეებიდან XIX ს-ში ჩამოყალიბებულ ახალი დროის თბი-

ლისურ სახლამდე. მოძიებული საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ ქუჩისპირა ნაგებობა (1857 წ) დამკვეთის (დავით არეშოვის, იგივე არეშიძის) კუთვნილი ძველი დარბაზის ადგილზე დაუპროექტებიათ. ძველის ნატურაში შესწავლამ დაადასტურა შენობის სარდაფის სართულში ფრაგმენტულად შენარჩუნებული ძველი კედლების არსებობა. გამოვლინდა ასევე, სახლზე მოშენებული, აბესაძის №23 (დღეისთვის დანგრეული) ნაგებობის ეზოს საფარს ქვეშ მოქცეული, ცილინდრულკამარიანი სათავსი ქუჩისკენ დატანებული კიბით, რომელიც, სავარაუდოდ, XVIII ს-ის დუქანს/სახელოსნოს წარმოადგენდა.

უწყვეტი განვითარების მკაფიო სურათი შენარჩუნებული იყო ეზოს სიღრმეში განთავსებული შენობის სტრუქტურაში, რომლის სარდაფი XVII ს-ის ქალაქური საცხოვრებლის ჩვენამდე საკმაოდ კარგად მოღწეულ მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს და შედგება აგურის ოსტატური წყობით ნაშენი მართკუთხა გეგმის, სარკმლებით განათებული, შეისრული კამარით, თაღებითა და ნიშებით დამუშავებული დიდი დარბაზისა და მასზე მოდგმული, მიწაში მეტად ჩაღრმავებული პატარა კვადრატული ოთახისგან. ამ მცირე სათავსის სავარაუდო საოჯახო აბანოს, თუ სანკვანძის ფუნქციაზე მიუთითებს გარედან მისკენ მიმართული წყლის თიხის მიღები, ხოლო ინტერიერში კედლების დამუშავება ორ იარუსად განაწილებული შეისრული ნიშებით, დარბაზთან დამაკავშირებელ კართანვე განთავსებული მცირე აუზი და მაღალყელიანი ერდოთი დასრულებული შეკრული კამარა. მოსაზრებას მცირე სათავსის ფუნქციაზე ამყარებს 1708 წლის თბილისური დოკუმენტი, რომელშიც გასაყოფი ქონების ჩამონათვაში იხსენიება „ჰაუზხანა თავისი თაღიანი ოთახითა“ (ჰაუზხანა სპარსული ტერმინია და გულისხმობს სარდაფის აუზიან სათავსს სახლში, ან მეჩეთში), რაც ესადაგება საკვლევი ობიექტის აგებულებასა და ფუნქციას და ადასტურებს მის არსებობას თბილისის სინამდვილეში.

ასევე, საყურადღებო აღმოჩნდა აღნიშნულ ძველ სარდაფზე, სავარაუდოდ, XVIII ს-ში დაშენებული სახლიდან შემორჩენილი სივრცე, სადაც დამახასიათებელი წყობით ნაშენ კედლებში დატანებული ხის სარტყლებისა და სწორკუთხა თახჩების გარდა, შემორჩენილი იყო გადახურვის მძლავრი ძელები და თანაბარი ინტერვალით განაწილებული სვეტები. გარდამავალი ეტაპის ამ ნაგებობის არსებობა ჩვენამდე მოღწეული, XIX ს-ის შუა წლების ავარიული სახლის დაშლისას გამოაშკარავდა და სამწუხაროდ, მისი ნაწილობრივი შენარჩუნებაც ვერ მოხერხდა.

* * *

არანაკლებ საყურადღებო აღმოჩნდა ბ. ახოსპირელის ქუჩასა და გასასვლელს შორის მოქცეუ-

ლი ლ. გუდიაშვილის მოედნის №2/7 და №7/3, რთული აგებულების, ადრეულ ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაშთების შემცველ სარდაფებზე დაფუძნებული შენობების შესწავლის შედეგები. გამოირკვა, რომ საარქივო პანორამულ ფოტოებზე აღბეჭდილი იდუმალი შენობიდან, რომელსაც მხატვრული-ისტორიული, თუ ფუნქციური დანიშნულების გამო მოედნის გასწვრივ გაშლილი სამშენებლო საქმიანობა დიდხანს უვლიდა გვერდს, კვადრატული აგურით ნაშენი ერთი ცხოველხატული კედელი მთლიანად დაფარული შეისრულთაღოვანი, ორიარუსიანი ნიშებით, შენარჩუნებული და ჩართული ყოფილა ბ. ახოსპირელის ქუჩის კუთხეში განთავსებულ 1910-იანი წლების, ერთიანად ახალი აგურით აგებულ მოედნის სტილის №7/2 შენობაში.

№2/7 და №7/3 შენობათა საძირკვლების გაძლიერების სამუშაოების დროს მიწის ფენის მოხსნისას უწყვეტ რეჟიმში გამოვლინდა XVI-XVII და XVIII სს-ში აქ მდგარ, განსხვავებული დანიშნულების ძველ ნაგებობათაგან შემორჩენილი კედლის ფრაგმენტები და რამდენიმე შედარებით სრულად მოღწეული სადგომი: განიერკედლებიანი და ღრმა ნიშებიანი, სავარაუდოდ, საცხოვრებელი დანიშნულების მართკუთხა გეგმის სათავსის ნანგრევი და ასევე, სხვადასხვა ზომისა და სიღრმის შეისრული ნიშებით აღჭურვილი კვადრატს მიახლოებული ოთახი (სახელოსნო, საწყობი?). აქვე გამოვლინდა თხელკედლებიანი, ოვალური გეგმის სათავსი შიგნით მოქცეული კერამიკის გამოსაწვავი ქურით. სარდაფის სივრცეში ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა კვადრატული აგურით ამოშენებული წრიული გეგმის, სხვადასხვა ზომისა (105 სმ, 72 სმ, 62 სმ) და სიღრმის (1.0 მ - 2.5 მ) ორმოები, რომლებსაც განსხვავებული დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა: წყლის ჭის, სამაცივრე ჭის, მარცვლეულის ან სხვა პროდუქტის შესანახი სამეურნეო ხაროსი, გასათბობად გამოყენებული ღრმულის - ქურსისა, თუ კერამიკული თიხის ბელტების სველ მდგომარეობაში შესანახად მოწყობილი ორმოსი.

გარდა აღნიშნულისა, №7/3 სახლის ეზოს გათხრისას, მიწის საფარს ქვეშ გამოვლინდა ღრმა და ფართო შეისრულთაღოვანი ნიშებით დამუშავებული გრძელი სათავსის აღმოსავლეთი კედელი და ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის ფრაგმენტები. სხვადასხვა მხარეს მიმართული სამი შემორჩენილი გასასვლელი დიდ ფართზე გაშლილი ნაგებობის არსებობაზე მიუთითებს, რომლის ნაწილი დღემდე ეზოს ქვეშ რჩება მოქცეული. სავარაუდოდ, ეს სავაჭრო დანიშნულების ნაგებობა, ფუნდუკი, თუ დახურული ბაზარი უნდა ყოფილიყო. ნაგებობის გეგმის სრულად წარმოდგენა შეუძლებელია, თუმცა კედლის სიგანე, აგურის წყობა, ფართო და დამკდარი პროპორციის შეისრულთაღოვანი ნიშა და საჭრაქე ნიშა საფეხურო-

ვანი დასრულებით, საფუძველს იძლევა მისი სავარაუდო თარიღი XVII საუკუნით განისაზღვროს.

განმენდითი სამუშაოების დროს №2/7 და №7/3 ნაგებობათა ძირში სარდაფის ფართსა, თუ ეზოში პერმანენტულად ამოდიოდა XI-XII სს-დან XVIII ს-მდე პერიოდის, სხვადასხვა ტიპის კერამიკული ჭურჭლის დიდი რაოდენობით ნატეხები. არაერთგვაროვანი სისრულით მოღწეულ სადგომთა განსხვავებული სამშენებლო მასალა და არქიტექტურული ფორმები ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, სავარაუდოდ, XVI-XVIII სს-ით განსაზღვრავს. ცხადი ხდება, რომ მეჭურჭლეთა დასახლების ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა საცხოვრებელი, სახელოსნო და სავაჭრო ნაგებობებით აქ დროის დიდ მონაკვეთში ფუნქციონირებდა და ტრადიციისამებრ ნაგებობათა განახლება ძველ ფუძეზე ხდებოდა. მოღწეული ნაშთების სიმრავლის მიუხედავად ძველ სტრუქტურათა სრული და მწყობრი სურათის აღდგენა ვერ ხერხდება, თუმცა მათი კონცენტრირება საგრძნობს ხდის წარსულში განვლილი აქტიური ცხოვრების მაჩისცემას და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის აქ მცხოვრებ მოქალაქეთა საქმიანობაზე.

* * *

მნიშვნელოვანი სიახლეები გამოვლინდა შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქუჩების კუთხის განაშენიანებაში, რითაც სრულდებოდა შუა საუკუნეების თბილისის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი გალავანს შიგნით. **შ. დადიანის ქ.-ის ბოლო - №34/17 და №32 სახლების** რეაბილიტაციის პროცესში, ორივე შენობის ფუნდამენტის სივრცეში გაიხსნა, სავარაუდოდ, VI-VIII სს-ის ფლეთილი ქვით ნაშენი, მძლავრი (საშუალოდ 2.8 მ სიგანის, გამოვლენილი საერთო სიგრძით 35 მ) კედლის ნანგრევი, რამაც დაადასტურა ისტორიული წყაროების ცნობა თბილისში ორმაგი ზღუდის არსებობის შესახებ. ამავე დროს, ჯერ ისევ დაუზუსტებელი დარჩა შ. დადიანის (ყოფ. ველიამინოვის) ქუჩის მიდამოებში XIX ს-ის 30-იან წლებამდე მდგარი გალავნის ადგილმდებარეობა, რაც განსაკუთრებული სიფრთხილის საფუძველს ქმნის აქ ნებისმიერი ტიპის მიწის სამუშაოს წარმოებისას.

ამასთან ერთად, შ. დადიანის ქ. №32 სახლის (რომელიც 1862 წელს დაუპროექტებია თბილისის მკვიდრ არქიტექტორ გრიგოლ აბესალომოს მოქალაქე ქეთევან მელიქოვასთვის) ფუნდამენტის გახსნამ ძველ გალავანთან ერთად გამოავლინა წარსულში აქ მდგარი გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობიდან შემორჩენილი, საკვლევ უბანში ფართოდ გავრცელებული მცირე ზომის, მიწაში ჩაღრმავებული დამხმარე სადგომებიდან ერთი საინტერესო ნიმუში: წრიული გეგმის, თაღოვანი ღრმა ნიშებით აღჭურვილი, სავარაუდოდ, სამეურნეო დანიშნულების სათავსი.

საგულისხმო შედეგები მოჰყვა შ. დადიანისა და ლ. ასათიანის ქქ.-ის გადაკვეთასთან არსებული №34/17, ორი შენობისგან შემდგარი სახლის კვლევას, რამაც ერთი შეხედვით ნათელ მოცემულობაში საუკუნეთა მსვლელობაში ამ ადგილზე განვითარებული სამშენებლო პროცესების და შემორჩენილი ნაშთების ერთობლიობით შედგენილი რთული სურათი გამოკვეთა. კუთხის ნაგებობის კედლებზე ნაღესობის მოხსნამ სარდაფიდან სხვენამდე მთელი მოცულობის ერთიანი სტრუქტურა გამოავლინა. გამოაშკარავდა, რომ ძველი სახლის თავდაპირველი სწორკუთხა ნიშები და ღიობები კედლებში დატანებული ხის სარტყლების ჩაჭრით, კედლის გამონგრევით და შემდეგ გამოშენებით გადაკეთებული იყო მშვილდათალოვან და ნახევარწრიულთალოვან კარფანჯრებად. ამგვარ სახეცვლას ახალ საფადო მორთულობასთან ერთად შენობისთვის XIX ს-ის შუა ხანის დამახასიათებელი გარეგნული სტილური ნიშნები მიუნიჭებია და ერთდროულად აგებული ორსართულიანი, XVIII ს-ის ბანიანი საცხოვრებლის სიძველე შეუნიღბავს.

ამის საპირისპიროდ, №34/17 სახლის ქვედა შენობის კვლევამ სარდაფშიც და მიწისზედა ნაწილშიც რამდენიმე სამშენებლო ფენებისგან შემდგარი რთული სტრუქტურა გამოავლინა და გვიანი შუა საუკუნეებიდან XIX ს-ის მიწურულამდე ცვლილებებთან განვითარების უწყვეტი სურათი დაგვანახა. თავდაპირველად, აქ უნდა მდგარიყო საკმაოდ მოზრდილი, აგურით, ფლეთილი და რიყის ქვის შერეული წყობით ნაშენი ძველი დარბაზი, რომელიც მოგვიანებით, შიდა გეგმარების ცვლილებით ორსართულიან, ერთი ალტურვილ სარდაფად გადაუკეთებიათ. ამავე მეტყველებს გაორმაგებული კედლები, გაუქმებული ნიშები და უჩვეულო ადგილზე მოქცეული დედაბოძი. XIX ს-ის I ნახევარში სარდაფის ერთ ნაწილზე ნიშებითა და ბუხრებით ალტურვილი ერთსართულიანი ბანიანი სახლი დაუშენებიათ, ხოლო მოგვიანებით, 1882 წლის პროექტის მიხედვით მასზე II სართული დაუდგამთ, რა დროსაც I სართულის ბანის კონსტრუქცია შეუნარჩუნებიათ.

* * *

როგორც ბოლო დროს გაირკვა, **ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 საცხოვრებელი სახლის** მეზობლად მდებარე შენობები გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენებს მოიცავს (გ. აბესაძის №23, ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/1). ამ ფონზე შეკითხვები დაისვა თბილისური საცხოვრებლის ზემოთაღნიშნული თვალსაჩინო ნიმუშის სავარაუდო სამშენებლო ფენებთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ გასათვალისწინებელია საცხოვრებელი სახლის სარდაფში არსებული, სახლის პერიმეტრიდან გასული მცირე ზომის სადგომი, რომელიც ბოლო ოთხი ათე-

ული წლის მანძილზე მიუწვდომელი იყო მნახველთათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ნაგებობა სამი ორსართულიანი სახლისაგან შეკრულ არქიტექტურულ კომპოზიციას წარმოადგენს, რომელმაც საბოლოო სახე XIX ს-ის 30-40- იან წლებში მიიღო. კვადრატული აგურით ნაგები საცხოვრებელი სახლის შეღესილ და ცისფრად შეღებილ ფასადებს ბოლოდროინდელ რეკონსტრუქციებამდე (1980, 2012-იანი, ნწ.) შერჩენილი ჰქონდა მშენებლობის დროინდელი კლასიციური და ისლამური სამყაროდან მომდინარე სტილიზებული ელემენტები.

შენობის მთელი პერიმეტრის ქვეშ განთავსებულია ნახევარსარდაფები, რომელთა შეუღესავი აგურის კედლები დანაწევრებულია თაღოვანი ნიშებით და მათ ზემოთ გაჭრილი სასინათლო ღიობებით თუ სწორკუთხა ნიშებით. სამხრეთიდან ნაგებობას ახლავს სახლის პერიმეტრიდან გასული კვადრატული გეგმის მცირე სადგომი, რომელიც ამჟამად ფასადის მიმდებარე ტროტუარის ქვეშაა მოქცეული. მისი ბრტყელი გადახურვა ეყრდნობა კვადრატულ საფუძველს, საიდანაც წრეზე გადასვლა განხორციელებულია თაღოვანი კედლის ნიშების ზემოთ გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებისა და აფრისებრი კონსტრუქციების მეშვეობით. სავარაუდოა, რომ სადგომი XVIII საუკუნეზე გვიანდელი არ არის. ამავე პერიოდის უნდა იყოს სარდაფის ქვედა ნაწილი, სადაც არსებულ თაღოვან ნიშებს „უხერხულად“ ებმის და ნაწილობრივ ჭრის კიდეც XIX ს-ის სასინათლო ღიობები და მეორე რეგისტრის ნიშები.

ნაგებობის ძველი ფენები მოგვიანებით ახალი დროის შენობაში მოექცა, რისთვისაც სამი სახვადასხვა ნაკვეთი გაერთიანდა. საცხოვრებელი სახლის ეტაპობრივი ცვლილებები XIX ს-ის პირველ ათეულ წლებშიც გაგრძელდა, შენობა თბილისური სახლის ქრესტომათიულ ნიმუშად იქცა, რომლის მნიშვნელობა სცილდება საკვლევი უბნის ფარგლებს.

* * *

წიგნის ერთი თავი დაეთმო საკვლევ ტერიტორიაზე გაბნეულ, **XIX-მდე არსებულ შენობათა ცალკეული ფრაგმენტების** შესწავლას, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ძველი სამშენებლო ფენების ახალ ნაგებობაში მოქცევის ხანგრძლივი გამოცდილება და ტრადიცია. შერჩეულ შენობათა შესწავლამ გვაჩვენა, რომ გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაწილები საცხოვრებელი სახლების ერთ ჯგუფში სრულადაა ინტეგრირებული ახალ სტრუქტურასთან და დღემდე პრაქტიკულად გამოიყენება სარდაფის დამხმარე სათავსებად. რიგ შემთხვევებ-

ში კი, წინა საუკუნეებიდან შემორჩენილი სტრუქტურები, თუ მათი ფრაგმენტები იმ ადგილზე შემდგომში აგებული სახლების საძირკვლის სივრცეში აღმოჩნდა მოქცეული და მხოლოდ მინის ფენის მოხსნის შემდეგ გახდა ცნობილი მათი არსებობა. ამგვარი სურათი გამოვლინდა ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე განაშენიანების თითქმის ყველა შენობაში, სადაც დღემდე შეფარულია თბილისის ძველი ურბანული მემკვიდრეობის მეტად საგულისხმო უცნობი ნიმუშები. ამ ნაშთების ერთმა ნაწილმა სამეცნიერო წრეებისთვის მანამდე ცნობილ სიძველეებთან ერთად შეავსო ქალაქის მოცემულ ტერიტორიაზე შემორჩენილი შუა საუკუნეების განაშენიანების ზოგადი კონტურები. ძალზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა XIX ს-ის არაერთ სახლში მეტ-ნაკლები სისრულით შემონახული XVII-XVIII სს-ის საცხოვრებლის ნიმუშების არსებობა და მასთან ერთად ზოგ შემთხვევაში კიდევ უფრო ადრეული სარდაფების, სხვადასხვა დანიშნულების სადგომების, თუ ცალკეული კედლის ფრაგმენტების სიმრავლე, რომელთა მთლიანობა ცხადად წარმოაჩენს საძირკვლებსა და ქვედა ფენებში მოქცეული შუა საუკუნეების ქალაქის თვალისთვის დაფარული ურბანული ქსოვილის დიდ სურათს.

მოედნის მახლობლად მდებარე თითქმის ყველა შენობაში აღმოჩნდა შეფარული თბილისის ძველი ურბანული მემკვიდრეობის მეტად საგულისხმო უცნობი ნიმუშები; მათ შორის მიკვლეული იქნა კიდევ ერთი კერამიკული ქურა (ბ. ახოსპირელის გასასვლელი №7/3), მასშტაბური ნაგებობის (ქარვასლა?) შეისრულთალოვანი პორტალი და მისი ერთი სადგომის ფრაგმენტი (ბ. ახოსპირელის ქ. №7), სხვადასხვა დანიშნულების დიდი, თუ მცირე სათავსები, რომელთაგან ზოგიერთი, სავარაუდოდ, შერეული დანიშნულებით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (ბ. ახოსპირელის ქ. №4, ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7, ბ. ახოსპირელის გასასვლელი №7/3, აბო თბილელის ქ. №6, გ. ჭიბლაძის ქ. №3 და გ. ჭიბლაძის ქ. №5); გამოვლინდა ასევე, ქვევრები და თონეები (ბ. ახოსპირელის ქ. №4, ბ. ახოსპირელის ქ. №7, გ. ჭიბლაძის ქ. №3, აბო თბილელის ქ. №2 და სხვა). ამ ჯგუფის სიძველეებს შორის გამოვლინდა ორსადგომიანი ნაგებობის კიდევ ერთი ნიმუში, მსგავსი აბესაძის ქ. №21 XVII ს-ის ორსათავსიანი სარდაფისა, რომლის გეგმარებამ, ორი სივრცის განსხვავებულმა მასშტაბმა და მათმა სხვადასხვა დონეზე განთავსებამ, საცხოვრებლის გარკვეული ტიპოლოგიის არსებობაზე დაგვაფიქრა. აღნიშნულმა ნაშთებმა მთლიანობაში კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა მოცემული ადგილის მნიშვნელობა და თვალწინ გადაშალა ძველი განაშენიანების ისტორიის აქამდე უცნობი, საინტერესო ფურცლები.

საკვლევი უბნის ისტორიის და ურბანული განვითარების საერთო სურათში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, ცალკე თავი დაეთმო **XIX ს-ის საარქივო დოკუმენტებს** საცხოვრებელი სახლების პროექტების სახით. მათი განხილვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ფაქტორი. მაგალითად, შესაძლებელია შენობა იმთავითვე პროექტიდან გადახვევით ააგეს ან საერთოდ არ განხორციელდა, საცხოვრებელი სახლი აღარ არსებობს ან იმდენადაა შეცვლილი გვიანდელი დანამატებით, რომ რთულია მისი პროექტთან დაკავშირება. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, არქივში მოძიებული პროექტი წარმოდგენას გვიქმნის უბნის ურბანულ განვითარებაზე, საცხოვრებელი და სავაჭრო ნაგებობების არქიტექტურაზე, ქუჩების სახელწოდების ცვლილებაზე, საცხოვრებლების ეთნიკურ შემადგენლობასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

XIX ს-ის რუკების მიხედვით მაშინდელ მოლნის მოედანზე გამომავალ, **ბ. ახოსპირელის ქ. №4**-თან დაკავშირებულმა საარქივო დოკუმენტებმა: არქიტექტორ ზბორჟევსკის 1852 წლის პროექტმა და თბილისელ არქიტექტორ გრ. აბესალომოვის 1859 წლის პროექტმა სახლის ისტორია და მშენებლობის ეტაპები მეტ-ნაკლებად გამოკვეთა და ამასთანავე, სახლის და მეზობლად მდებარე შენობათა მფლობელების ვინაობაც გაგვაცნო.

მოძიებულმა საარქივო მასალამ გამოკვეთა **ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9** სახლის მშენებლობის რიგითობა, რომლის ქვედა სართული 1854 წელს უკვე მდგარა და მასზე II სართულის დაშენება საუკუნის ბოლოსკენ, 1881 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით განხორციელდებოდა. ამ დოკუმენტებმა, ასევე, ახსნა მოუძებნა ბ. ახოსპირელის III ჩიხი №7 სახლის ყრუ ზურგის კედელთან მოქცეული დახშული ვიწრო ეზო-ჭის წარმოშობის გარემოებებს, რაც სწორედ II სართულის დაშენებას უნდა მოყოლოდა მეზობელ სახლზე.

შ. დადიანისა და მ. ლერმონტოვის ქუჩების კუთხის №20/6 საცხოვრებელი სახლის 1846 წლის საარქივო პროექტისა და XIX ს-ის ფოტოების შეჭერებით შესაძლებელი გახდა რთული გეგმარების ნაგებობის ტრანსფორმაციის პროცესის ნაწილობრივ აღდგენა, რასაც XVIII-XIX სს-ის მიჯნიდან დაწყებული მომდევნო ათწლეულების მანძილზე განსხვავებული პერიოდის ნაწილებისა და რიგრიგობით დამატებული სართულების გამთლიანება მოყოლია. ასევე, გამოიკვეთა გვერდით აგებულ, სავარაუდოდ, ქარვასლის ტიპის ნაგებობასთან შერწყმის ეტაპი, რომლის დანგრევის შემდეგ, II სართულის ინტერიერში არსებული შეისრულნიშებიანი კომპოზიცია სახლის უკანა ფასადზე მოქცეულა და ამ უჩვეულო

მდებარეობით დღესაც იპყრობს საყოველთაო ყურადღებას.

1854 წლის პროექტის მიხედვით შესაძლებელი გახდა 2002 წლის მიწისძვრის შედეგად სანახევროდ დანგრეული **ბ. ახოსპირელის III ჩიხი №1/17** ძეგლის საერთო სახის გაცნობა. გაირკვა, რომ ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოუღწევია შენობის თავდაპირველ, მარჯვენა ნაწილს, რომელიც პროექტის შედგენის დროისთვის უკვე მდგარა აქ და მიწისძვრას მშენებლობის მეორე ეტაპზე მიშენებული ფლიგელი დაუნგრევია.

1872 წლის პროექტით აგებული ერთსართულიანი აივნებიანი სახლი უნდა მდგარიყო **აბო თბილელის ქ. №3** -ის ადგილზე, სადაც ამჟამად ახალი შენობა დგას. მისი მშენებლობის დროს აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული გვიანი შუა საუკუნეების სადგომი, რომელსაც ნაწილობრივ კამარაც ჰქონდა შერჩენილი. 2008 წლამდე აქ იდგა ძლიერ გადაკეთებული შენობა.

1898 წლით დათარიღებული პროექტით აგებულმა სახლმა, რომლის დღევანდელი მისამართია **აბო თბილელის ქუჩა №2**, ჩვენ დრომდე მოაღწია. 2022 წელს მოხდა ნაგებობის დემონტაჟი. ახლა ამ ადგილზე მისი ასლი დგას.

1895 წლით დათარიღებული პროექტით აგებული სახლი იდგა **ახოსპირელის III და II ჩიხებს შორის, №3 /4**. მის ადგილზე ახლა 2006 წელს აგებული სახლი დგას. ასევე აღარ არსებობს 1893 წლით დათარიღებული პროექტის მიხედვით აგებული შენობა, რომელიც ახოსპირელის **II ჩიხის ბოლოს მდგარა**. მის ნაცვლად აქ ახლა ცარიელი ადგილია.

* * *

ამგვარად, კვლევის შედეგად გამოვლენილმა აქამდე უცნობმა ნიმუშებმა მოცემულ უბანში აღნუსხული და სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული გვიანი შუა საუკუნეების სარდაფების ჩამონათვალი გაზარდა. XIX ს-ის თითქმის უკლებლივ ყველა სახლის ქვედა სართულში ჩართულ ძველ სარდაფებს შორის აღმოჩნდა მეტ-ნაკლები სისრულით მოღწეული XVII-XVIII სს-ის ქალაქური საცხოვრებლის (ლ. გუდიაშვილის მოედანი №2, ლ. გუდიაშვილის მოედ. და ბ. ახოსპირელის I ჩიხი №6/1, გ. აბესაძის ქ. №21, ბ. ახოსპირელის III ჩიხი №9 (შესაძლოა შედარებით ადრეული, - XVIII ს.), აბო თბილელის ქ. №6, გ. ჭიბლაძის ქ. №3 და გ. ჭიბლაძის ქ. №5) და სავაჭრო, თუ შერეული ფუნქციის სხვა ნაგებობათა ნიმუშები (აბო თბილელის ქ. №2 ძველი დუქანი, გ. აბესაძის ქ. №21-ზე მიშენებული და №23 ნაკვეთის ეზოს ქვეშ მოქცეული დუქანი-სახელოსნო (?), ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/3 სახლის ეზოს საფარს ქვეშ მოქცეული „დახურული ბაზარი“ (?), ბ. ახოსპირელის ქ. №7 ეზოსა და სახლის ქვეშ შემორჩენი-

ლი ქარვასლის(?) ფრაგმენტები, ბ. ახოსპირელის ქ. №4 ძირა სართულის მარანი ქვევრებით, კერამიკული სახელოსნო-საწყობი და ქურები: - ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2 და ბ. ახოსპირელის გასასვ. №7/3).

რიგ შენობათა საძირკვლის არეში არქეოლოგიური ზედამხედველობით განხორციელებული მინის ფენის მოხსნისას ძველი კედლების ფრაგმენტებთან ერთად გამოვლინდა თბილისის XVII-XVIII საუკუნეების (შესაძლოა, ზოგიერთი უფრო ადრეულიც) ურბანული მემკვიდრეობიდან გადარჩენილი სამეურნეო და დამხმარე ფუნქციის მცირე სადგომები: მაცივარი, საკუჭნაო, საოჭახო აბანო-საპირფარეშო და სხვა (ლ. გუდიაშვილის მოედ. / ბ. ახოსპირელის I ჩიხი №6/1, გ. აბესაძის ქ. №21, შ. დადიანის ქ. №32, გ. ჭიბლაძის ქ. №3, ბ. ახოსპირელის ქ. №4 ნანგრევი ეზოს საფარს ქვეშ, ბ. ახოსპირელის გასასვ. №7/3, ლ. გუდიაშვილის მოედანი №2 ტროტუარის ქვეშ).

სარდაფებში შემორჩენილ გვიანი შუა საუკუნეების საცხოვრებლებს შორის გამოიკვეთა ორსადგომიანი საცხოვრებლის გეგმარებითი ტიპის არსებობა, სადაც დიდ მართკუთხა გეგმის დარბაზს ახლავს მის განაპირა ნაწილზე გარედან მოდგმული მცირე ზომის, კვადრატს მიახლოებული, ნიშებითა და ერთი ადჭურვილი მცირე ზომის დამხმარე, შერეული დანიშნულების ოთახი. ამ ტიპის საცხოვრებლის ნიმუშებმა სრული სახით მოაღწია გ. აბესაძის ქ. №21 (XVII ს) და გ. ჭიბლაძის ქ. №3 (XVIII ს) XIX ს-ის სახლების სარდაფებში.

ბოლო პერიოდის კვლევებმა აჩვენა, რომ გვიანი შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობა ძველ თბილისში მხოლოდ სარდაფებში შემორჩენილი ფრაგმენტების სახით არ გვხვდება და ცალკეულ შემთხვევებში, სრული ხუროთმოძღვრული სხეულით მოღწეული წინა საუკუნეების სახლები XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სტილური სახეცვლილებით აგრძელებენ დღემდე არსებობას. ზოგ შემთხვევაში ეს ცვლილება ზედაპირულად ჩანს და მის დანახვას მხოლოდ ყურადღების გამახვილება სჭირდება, უფრო ხშირად კი, შუა საუკუნეობრივი სიძველე კედლის ნალესობის მოხსნის შემდეგ ხდება აშკარა. ამის თვალსაჩინო ნიმუშად და მნიშვნელოვან სიახლედ საკვლევ უბანში ლ. ასათიანისა და შ. დადიანის ქუჩების კუთხის №34/17 სახლი გვევლინება, რომელსაც ბოლო დრომდე, გარეგნულ ნიშნებზე დაყრდნობით XIX ს-ის შუა პერიოდის თბილისური საცხოვრებლის ქრესტომათიულ ნიმუშად მივიჩნევდით. შენობის შესწავლამ კი, გამოავლინა მთელი ხუროთმოძღვრული სხეულით მოღწეული XVIII ს-ის ორსართულიანი ბანიანი სახლი სარდაფით, რამაც ბოლო ათწლეულებში ძველი თბილისის განაშენიანებაში მიკვლეულ, მთელი სისრულით შემორჩენილ გვიანი შუა საუკუნეების

სახლებს (ავლევის შესახვევი №20, გომის ქ. №11 შენობის ქვედა მკლავი, ბეთლემის აღმართი №16ბ, ბეთლემის აღმართი №5) კიდევ ერთი საყურადღებო ნიმუში შემატა.

* * *

ქალაქური საცხოვრებლის ადგილობრივი და საერთო მახასიათებლების გამოსაკვეთად, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამი ისტორიული ქალაქის ურბანული მემკვიდრეობის მიმოხილვა, ესენია: ახალციხე, გორი და სიღნაღი. შუა საუკუნეების დროინდელი საცხოვრებლები ამ ქალაქებში ნაკლებადაა გადარჩენილი, მაგრამ ისტორიული კონტექსტის, საარქივო მასალების, ძველი სასიმაგრო ნაგებობების და შუა საუკუნეების ურბანული ქსოვილიდან დარჩენილი კუნძულების თუ XIX ს-ის დღემდე შემონახული საცხოვრებელი სახლების მიხედვით, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა.

